

114 / 4
1982



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ ԱՆՈՒՄԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ

ISSN 0432-699X

ՄԱՍԻՆԻ

6

1982



ენათობი



საქართველოს მწერთა კავშირის ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივი-კომლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 58-ე

№ 6

თბილისი, 1982 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაპრსი

მორის ფრანკის ფიქტი — ლექსები	3
ზურაბ ქაპანაძე — თამბარა, რომანი	8
გიორგი მინდიაური — ლექსები	45
ბარბა ჯოჯუა — ლექსები	47
გივი ბუთხუზი — ნოველები	49
გივი ჯახუა — მოთხრობები	63
უზუნა წაბრავილი — მინიატურები	72
ირსია ჯაბაძე — მოთხრობები	75
გიორგი გიგაური — ლექსები	81
ავთანდილ ყურაშვილი — ლექსები	83
უზუნა სახლუხუციანი — ლექსები	86
ილია ხოჭბარია — ლექსები	88
დინოტრი იოვანავილი — ფრანგულენოვანი ნაწარმოებები	90
ალექსანდრე კუპრინი — ონეგინის მოგზაურობა. თარგმ. ოთარ ჭელიძემ	110
ფრანსუა სკოტ ფიცჯერალდი — ოჯახი ქარში. მოთხრობა. თარგმ. ვ. ტატიშვილმა	115

კრიტიკა და კუბლიცისტა კა

კობა იმედაშვილი — მითი და თანამედროვე ქართული პროზა	129
გიორგი თევზაძე — რუსთაველის კოსმოლოგია	142
ვ. მუხამედი — რამ უნაშინა ივანი შირინაძე?	150
სიური ხეთაკალი — ვალერიან გუნიას დამატებები	153

ფაქტები, მოგონებანი

ილია ტატიშვილი — მარშალი არჩილ ბაქრაძე	162
ანაიდა გოსტანჯიანი — ქართული კოეტი სომხ მემორიატა შორის თარგმნი არჩილ დავითიანი	172

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერუ-
ლაშა, ო. გიგინეიშვილი, ა. გომიაშვილი, ა. კალაძე, მ. ლეგანიძე,
ლ. მრალაშვილი, ა. სულაბაური, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე,
ო. შილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

— ნონა —

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11
მთ. რედ. მოადგილის — 98-55-18, განყოფი-
ლებების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწეობად 6. 05. 82 წ., ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 14. 05. 82 წ., ასაწეობის ზომა
7¹/₄X12, ქაღალდის ფორმატი 70X108¹/₁₆,
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11. პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ-საგამომცემლო
თაბახი 16,58.

უე 06319. ტირაჟი 26.950. შეჯ. 1181. ს.ა. კ
ც-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი. ლე-
ნიის ქ. № 14.

00511

მორის ფრანკოვილი

შ ე ნ ი თ ა

არც რა გიშრით,
არც რა ძოწით,
არც რა ოჭრო-ვერცხლითა, —
შენითა!

არც რა ტახტით,
არც რა ლახტით,
არც რა ფარ-შიშვერითა, —
შენითა!

არც რა მთებით,
არც რა ზღვებით,
არც რა ნაზი ზვრებითა, —
შენითა!

უცხო შუბით,
უცხო შუბლათ,

უცხო აღმაფრენითა?
შენითა!

არც რა ყმობით,
არც რა შტრობით,
არც გუნდრუკის კმევითა, —
შენითა!

სხვათა ლხენით,
სხვათა სტეენით,
იქნებ სხვათა ენითა? —
შენითა!

შ ე ნ ი თ ა!
შ ე ნ ი თ ა!
შ ე ნ ი თ ა!

სამშობლო
დედად შეიციხო უნდა,
თუ გსურს
მის შვილად
იწოდებოდე!

არა ბაგეზე,
არამედ გულში,
გულში —

გონების
პირველ
წყაროსთან!

დ. შ. ...
...
...

საშემოდგომო ლექსიკონი

ბროწეული —

დამსკდარ ტუჩებთან ნახე.

ლოცვა-კურთხევა —

წყველასთან ნახე.

სამოთხის ვაშლი —

ადამ და ევასთან ნახე.

პირველი ღამე —

მეორე ღამესთან ნახე.

ანგელოსი —

ეშმაკთან ნახე.

ყვაილი —

ეკალთან ნახე.

მთვარე — მზესთან ნახე.

მზე — მთვარესთან ნახე.

დავითი — დიდგორთან ნახე.

ერეკლე — კრწანისთან ნახე.

ტყვილი შებებასთან ნახე.

შებება — ოცნებასთან ნახე.

ტირილი — სიცილთან,

სიცილი — ტირილთან,

ლეჭი — მუსიკასთან ნახე.

სიყვარული — გულთან ნახე.

სიძულელიც — გულთან ნახე.

დღეს თუ არა

ხვალ იზილე

ჩემთვის დაგებული მახე, —

სული ჩემი —

ცეცხლთან ნახე.

გვამი ჩემი —

ფერფლთან ნახე.

მოსაწვევი ბარათი

ამჩატდება, აჩიტდება,

მოვა პეპლის ფარფატით, —

ნაღდ გაზაფხულს არ სჭირდება

მოსაწვევი ბარათი.

მზე თუ ცინცხალ გულში ჩნდება,

მზე სხვა გულშიც გადადის, —

ნაღდ სიყვარულს არ სჭირდება

ლოზუნგი და პლაკატი.

სცენა სცენად, გზნება გზნებად,

ხან სიმღერა, ხან ტაში, —

ნაღდ ცხოვრებას არ სჭირდება

ამ ცხოვრებით თამაში.

თვითონ მოვა ნება-ნება,

მოვა კარისკარამდი, —

ნამდვილ სიკვდილს არ სჭირდება

დამხმარე და ჭალათი.

მოვა, როგორც დადინჯება,

თითქმის არა უნდა რა, —

ნამდვილ ზამთარს არ სჭირდება

თოვლისფერი სუღარა.

მოვა, როგორც ეკადრება

ხალხის აზრს და ერის ხმას, —

უცვადებას არ სჭირდება

კამათი და კენჭისყრა!

• • •

ძველ ხელნაწერებს
ვაფორიაქებ,
ვგრანობ, რომ
ნაცარში ვეძებ
ნაღვერდალს.

გზაროდეს,
ბოროტება როცა გებრძვის,

გული დაგწყდეს,
როცა გაიმხანაგდება.

წავა და მოვა,
მოვა და წავა
და მერე ისევ მოვა,
ხომ უნდა მოჰყვეს
ტყვისფერ ჰავას
ისფერ ფიფქთა თოვა.

და მერე ისევ წავა,
ხომ უნდა გაჰყვეს
ისფერ გლოვას
ისფერ ფიფქთა ლავა.

მოვა და წავა,
წავა და მოვა,

წავა და მოვა,
მოვა და წავა
და მერე ისევ მოვა.

ყველაზე მოკლე პარტია

გვიტრიდეს, როგორც გვიტრიდა
თვალი, გულისთქმა, ჭიში, —
სულ პაწაწინა იქვი და...
ჭიში, შამათი, ქიში!

ვის გაახარებს სოფელი,
ჭიში, შამათი, ქიში!

ო, გამარჯვება რა არი,
ხელს თუ არავინ გიშლის, —
ნავლი, ნამწვი და ნაცარი...
ჭიში, შამათი, ქიში!

საწყუთრო ცხადზე ცხადია
ფიქრის ქარბუქში გვთოშავს.
ყველაზე მოკლე პარტია.
ჩამოვარდნილი დროშა.

ომი გვაქვს დაუნდობელი კარგ
ცხადშიც, სიზმარშიც, ძილშიც.

აღარც არაფრის იმედი,
აღარც არაფრის შიში, —
იქნები თუ არ იქნები,
ჭიში! შამათი! ქიში!

გოკია, რომელიც

კერავდა ჩოხას

გინდ დაიჭერეთ,
გინდ არა,
მე კი ნამდვილად მჯერა,

ქართულ ჩოხას და ახალუხს
გოკია
ახლაც ჰკერავს.

რა ვუყოთ, თუკი არავინ
არ მოიზომებს ტანზე,
იქნებ გამოჩნდეს ვაქცატი
ჩოხის საყიდლად ხვალ-ზეგ.

ჯოკიას ფული რად უნდა,
ქილებს ერბოში პოხავს,
ოლონდ მოვიდეს, ჯოკია
დათმობს საკუთარ ჩოხას.

ვაიმე, რა დროს ივრები,
დარდის კალენდარს დრო ხევს, —
ჯოკიას უბნის ბიჭები
არ უკვეთავენ ჩოხებს.

ზის ბერიკატი ჯიხურში
ძველი მაუდის მწვემსად,
ძველი ოსტატი ჯიუტად
ძველ ყაბალახებს კემსავს.

სადა ხარ, ენაქილიცი,
მოყმე, რაინდი, ქველი,
სად გიკომდება, ვინ იტყვის,
ერთ დროს საჩოხე წელი.

ენახე, ჯოკია ოხრავდა,
დღე დადგომოდა ცული, —
ვის შეუყვროს ჩოხა და
ვის დაახუროს ქული?!

პერის უბნის მელოდიაჰან

გულუხვობას ნეტა რა სჯობს,
ვინც იძუნწა, ისიც ჩაქრა ბოლოს,
თუ ფული გაქვს, უნდა ხარჯო,
ფულს ბრყვეები ინახავენ მხოლოდ.

არ გამიგოს ვინმემ ცულად,
მაგრამ მე ამ ცოდო-მადლით
ვცხოვრობ.

თუ სვამ კიდევ დათვრე უნდა,
კრეტინები არ თვრებიან მხოლოდ.

ქირში მყოფს თუ შეეხიდე, ცოცხალი
ხარ,

სხვას ნურაფერს ნატრობ,
რახან ცოცხლობ, კვდები კიდევ
ქვეყნად მკვდრები არ კვდებიან მარტო.

ნაიბრონული ლექსი

ჯერ არაფერი არ იცის ხალხმა,
მაშინ როდესაც, როს...

ეს ლექსი
მარტო იმას ჰკლავს ახლა,
ვინც
საქართველოს მტრობს.

ფიქრი წყალბადის ქაოსში გაღღვა,
რა მოუვიდა დროს,
ეს გული მარტო იმას ჰკლავს ახლა,
ვინც ჩვენს სიყვარულს მტრობს.

მთავარია, რით ცხოვრობ,
რად სულდგმულობ,
მთავარია,
დანარჩენი, იცოდე,
თამაში და ზღაპარია.

მთავარია, რას ტოვებ,
ვის უტოვებ,
მთავარია,
დანარჩენი მართოდენ
ნამწვავი და ნაცარია.

პროზაული პარაკლები

შესაძლებელია: ღვთის აღმოჩენა ადამიანში.

შეუძლებელია: დამტკიცება.

იოლია: ჩასწვდე უკვდავების არსს.

ძნელია: მისი ფორმულად ქცევა.

მარტივია: სიცოცხლე.

რთულია: სიკვდილი.

ვასაგებია: რატომ მოვედით.

გაუგებარია: რატომ მივდივართ.



გურამ კაპანაძე

თ ა ვ ბ ე რ ა

რომანი

წინასწარმეტყველია — ვინც დაავადებულ
გულს შეურნალობს.

ახუ მამიდ მუშაშვილ მანალი
ბიჭო, გამოდი ექიმი, იმდენ ფულს იშოვი,
მუთაქის მითელში ვერ ჩატევი!

კალენიკე (საუბარში ნათქვამი).

ლურჯი ცრემლები

1.

ცხრაშეტი წელი ბევრია თუ ცო-
ტა?.. ოცდაცხრა?.. ლამაზი სტიუარდე-
სა დაბნეული ზღვას თვითმფრინავთან.
ვინ აუხსნის თავის იდუმალ სამყარო-
ში ჩანთქმულს, რომ, ბოლოს და ბო-
ლოს, ყველაფერი მთავრდება: ინციდე-
ნტი, ასწლიანი ომი, შაკიკი, ქოლერის
ეპიდემია, უპურობა თუ ათასწლიანი
მონობა? ამ ქვეყანაზე დაუსრულებელი
არაფერია — უტვინობასაც თავისი სა-
მანი აქვს, თვით სიყვარულიც კი იფე-
რფლება ერთხელ. ოღონდ ვინ დაეხმა-
რება, ვინ შეატყობინებს ამდენს? ივ-
ნისის თვეში ცხრაშეტი წელი შეუსრუ-
ლდა მედეას. ალბათ ცხრაშეტი წელი
არც თუ ბევრია.

სარეგისტრაციო პუნქტებთან მგზავ-
რები ირევან. ჩვეულებრივი ქოთი,
ფუსფუსი. გასაფრენად გამზადებული
ადამიანების ოდნავ აღზნებული სახე-

ები. აეროპორტის თანამშრომლების
არაფრის მთქმელი გამოხედვა, ერთი და
იგივე... აქ რაც უნდა მოხდეს, მათთვის
ყოველდღიურობაა, როგორც ექიმისა-
თვის შემდეგი ავადმყოფი, როგორც
მოსამართლისათვის მორიგი დამნაშავე.
ვინ გაამტყუნებს მათ? ძრავების გუგუ-
ნი, კრიალა, წყნარი ცა, აფრენა და და-
ფრენა. შემდეგ უამინდობა, ზღვლემა.
თვეში ერთხელ ვილაცა ბილეთს ჰკარ-
გავს, ვილაცას ქურდობაზე წაასწრებენ,
ვილაცა მიხაკების გატანას ცდილობს
ჩრდილოეთში, ერთი სამუდამოდ შორ-
დება მეორეს. ერთგვაროვნება... მსუ-
ბუქი სევდით შეპყრობილი აეროპორ-
ტის უფროსი, ბენედიქტ ბლიაძე, ზე-
მოდან დასცქერის დარბაზს.

ბასკო კი პირდაღებული იყურებო-
და. მის წინაშე მთელი აეროპორტი გა-
შლილიყო: ბეტონის ფართო მოედანი,



ასაფრენ-დასაფრენი ბილიკები, გარინდებული ვერცხლისფერი ლაინერები, ბენზინიანი სატვირთო მანქანები, მგზავრების გადასაყვანი ავტობუსები, მოძრავი ტრაპები, იქით — მინდორი და სულ იქით კი — მთები. შეღამაზებული სინამდვილე.

ვისაც თავის დღეში არ უფრენია, სულ პატარა აეროპორტიც კი მოზიბლავს; ვინც ყვირილას ხეობის მიდამოში დაიბადა და მთელი ცხოვრება იქ გაატარა, თბილისიც ბაბილონად მოეჩვენება. ვისაც ჩაყვინთვა არ მოუტყრია, ცხოვრება ხეივანში გასეირნება ჰგონია. თუ მომოსის და სილენოსის საზოგადოებაში ხშირად არ გაგიბოლებია ყალიონი, როგორ გინდა მუტრუყი გედად მიიღო, როგორ ემთხვევი ოგეჩას ხელზე, როგორ დაარწმუნებ თავს, რომ ბუწვზე და ატლასზე, აყიუზე და ბაჯაღლოზე უფრო მშვენიერი პატიოსნება და სილატაკე იყოს.

გარინდებული ლაინერის ქვეშ იდგა კანკმალალი მედეა. უკანასკნელად მიფრინავდა რეისზე, ზღვის სანაპიროზე დარჩებოდა სამი კვირით. ქარი უწყწყავდა გრძელ, გაშლილ თმებს. მზის სხივები სიყვარულით ესალბუნებოდნენ. გუშინ კი მფრინავი გრიშას თვალებმა ფრთხილად შეატყობინეს სინამდვილე. გამოხედვამ, მხოლოდ ერთმა გამოხედვამ ამცნო მედეას დასასრული. თვალი ენაზე აეთილია. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს თუ როგორ გაუწყებენ გადადგომას, დაქვეითებას თუ სიყვარულის გაქარწყლებას. მის ცხოვრებაში პირველად სრულდებოდა რაღაც. პირველად შემოუტარა მეორე მხრიდან ქურდულად დიდმა ანექსიონისტმა — სინამდვილემ. პირველად იგრძნო გულში ღარღლი, პირველად დაადგეს თავზე ეკლის გვირგვინი.

მწყაზარმა მედეამ თავზე გადაისვა ხელი — აწეწილი თმის წესრიგში მოყვანას შეეცადა. მფრინავის გაცნობამდე წარმოდგენა არ ჰქონდა ნაპრალის პირას საბიფათო სიარულზე. მხო-

ლოდ შემდეგ მიხვდა ბუნდოვნებაში სიციცილე იდუმალება იყო. ფარულ ზეწარში გახვეული გამოუცნობი საგანი, რაღაც ყუთი, რომელსაც გასაღები არ უდგებოდა. ყოფიერებამ თავის მრისხანება ქალიშვილს მფრინავის სახით გამოუცხადა. მედეამ ჭერ არ იცოდა, რომ რაც ასე მიმზიდველია ამ ქვეყნად, ძალზე საშიში და წარმაველია. „გრიშა, გრიშა“. — წაიხურჩულა სტიუარდესამ და წამით ისე მოებჩინა სისხლი ყელში, თითქოს შხამიანმა ბუზმა უებინაო. გრიშა კი საქვსთან იჭდა. თავჩაღუნულმა ჩაიარა ორიოდ წუთის წინ. ცის შევარდნის ლამაზ სახეს ხშირად მოაზროვნე ადამიანის იერი ედებოდა. მაშინ კიდევ უფრო მიმზიდველი ხდებოდა საოცარი პროფესიის ადამიანი. უსაშველოდ ხიბლავდა შემხედვარეს.

სამი მგზავრი იგვიანებდა. ათიოდე წუთის შემდეგ სადისპეტჩერო პუნქტიდან პილოტი აფრენის ნებას მიიღებდა, ამუშავებდა ძრავას და ბილიკზე გაიყვანდა „იაკ-40“-ს.

უცებ აეროდრომზე ორი მამაკაცი და ბიჭი გამოვარდნენ. უფროსებს ჩემოდნები ეჭირათ ხელში, ბიჭს — პატარა ჩანთა. ბავშვი იყო გამხდარი და თმა-აბურძენილი. სირბილის დროს სახდალი გაეკრა.

— დამიცადეთ, — გაისმა მისი სასოწარკვეთილი ხმა, — საით გარბიხართ?.. აი, თვითმფრინავი!..

— ჭერ აქეთ. — გამოსძახა ძალაღმა ახალგაზრდა კაცმა, ბიკენტი რომ ერქვა, — ქარი ჩაიდგი მუხლში.

— ტყლიბი ჩამწყდა, ბიბია...

ბიჭს ჰკვიანი და ძლიერი თვალები ჰქონდა. მაგრამ ცამეტ წლისაც არ იქნებოდა და პირველად იდგა ნამდვილ აეროპორტში. ახლა პატარა კოლუმბის თვალებით გასცქეროდა სივრცეს. მაგრამ რა ხდებოდა, ვერ მიმხვდარიყო. ამიტომ სანდალი თავისუფალ ხელში დაიჭირა და უფროსებს დაედევნა.

მამაკაცები შედგნენ. იქით, შორს

„ილ-18“ ეშვებოდა მიწაზე. ტიმოთემ თვალი შეავლო თვითმფრინავს.

— თეთრი შაბარდუხი, — თქვა მან.

ოფლი მოიწმინდა სახიდან და პერანგის გახდა დაიწყო.

— იჩქარე, — უთხრა ბიკენტიმ.

მისი პერანგი ძირს ეგდო უკვე.

— შარვალიც? — იკითხა ტიმოთემ.

— არა... უშარვლოდ შეიძლება არ აგვიშვან... — შენ რაღას უდგეხარ? — მიუბრუნდა ბიკენტი აქოშინებულ ბასკოს.

— როგორ, ზღვაზე ვართ უკვე?

— ზღვას ერთ საათში იხილავ... ახლა კი მოილე მოწყალეობა და გაიფრე. ხალზე ცხელა... ოფლად გავიღვრებით...

ბიკმა წარბიც კი არ გაატოკა. მაშინ ბიკენტიმ განუმარტა:

— ვიცვლით ბასკო, კანს ვიცვლით.

— რომელ კანს, ბიკენტი?

— საკუთარ კანს. გველივით ვტყავედებით... სიმბოლურად. ვიდრე შენს ადგილს მოძებნიდე მიწაზე, ყველაფერი უნდა სცადო. მაშინ შეუძლებელია ერთხელ მაინც რომ არ გავილიძოს ბედმა... შეიძლება უეცროვ შავი დედლივით გაკეთდე... ჩემ-ჩემად ყველა ოცნებობს დორანში ჩავარდნაზე... ბასკო, ფუქი არსებობის სათავეს ვაცოცხლებთ, აზრს ვანიჭებთ.

— მერე ისევ ჩავიცვამთ ამ პერანგებს?

— არა, — მიუგო ბიკენტიმ, — მაშინ რაღა აზრი ექნებოდა, ბასკო... მოწყვიტე გველი ხის ძირში ან ქვასთან ტოვებდა იველ სამოსელს. ჩვენ — ცის კარბიქესთან... წელწადში ერთხელ მაინც უნდა გაიფრთხილო. გამოიცვალო ქურქი. აზრები, მწიკელი, რამდენიმე ხნით ყველაფერი დაივიწყო და ჩვეულებრივად იცხოვრო. ამბობენ, აკირომელიც ქვეყანას განუდგება. ბრბოს გამოეყოფა, სამყაროს გაგების შესაძლებლობის უნარით ჭილღოვდება. როდესაც სხეული სამოსელისგან თავისუფლდება, ის ისევ უბრუნდება თავის დიდ დედას — ბუნებას. ეს რაზე-

ტიცია მიმზიდველ გზის სულის სხეულისგან განთავისუფლდება და სამყაროს უსასრულო გზაზე გაიქცევა... ვამებ, კაცმა, რომელმაც პირველმა აიფარა ფოთოლი, კამეჩის რქაში იჯდა. რა ჰქონდა ადამიანს დასაფარავი და სასირცხოვო, გარდა ბოროტი გულისა და გამყიდველი სულისა? მაგრამ იმათ, მოგვხსენება, ლეღვის ფოთლითა ან სამოსელით ვერ შენიღბავ.

— ეს სიბრძევეა, — თქვა ბასკომ.

— ეს სიბრძნეა... მძლავრი სულები გამოუცნობი რჩებიან.

— რა დაგემართათ, გაიხედეთ, ყველას აცვია... ეშმაკები ხომ არ შეგიძვრათ გვერდებში?

— განა არ შეიძლება ყველა რომ ცდებოდეს?.. განა ყველამ არ აიყვანა გოლგოთაზე ქრისტე, ყველამ არ დაწვა უბედური ჯორდანო?... გამოიღვიძე, ბასკო, დასძლიე, მოჰკალ საკუთარ თავში ჩამბაზი და თოჭინა!

ბიკენტი და ტიმოთე ილიმებოდნენ, თამაშობდნენ, ჩამბაზობდნენ. მათი წარმოდგენით, განცვიფრების ელემენტს სიხალისე შეაქვს ცხოვრებაში. უკუნიითი უკუნიამდე სიცილი იცავდა ადამიანებს, აკეთილშობილებდა!... თანაც ძალზე ცხელოდა. გადაკრულშიც ხომ არ იყვნენ?

— სამოსელისაგან განთავისუფლებული სხეული, ღვლიში კაცი თავისუფლებისკენ მიილტვის, — ჩაურთო ტიმოთემ.

— მე ზღვისკენ მივიწრაფი.

— ზღვაში რა, ტანისამოსით შედიან?

— ნაპირთან მეც ვაეშვივლდები.

— ბასკო, მაშინ წარმოიდგინე, რომ სანაპიროსთან ვდგავართ და უფრო მეტი მოკრძალებით, კეთილშობილებით, უბრალოებით და ირონიით მიილე მისალები... ერთი თვით მაინც ავმალდეთ, დავუახლოვდეთ კვირიას. ზოგჯერ მაინც იმე უნდა მოიქცე, რაც სხვებისგან განგასხვავებს. სტანდარტული — შემზარავია. ქვეყანა თუ უკიდვანოა, მოდი მაშინ ზოგჯერ მაინც დაეამსგავ-



სოთ მას ჩვენი ზრახვები და სურვილები... ბასკო, შენ, რომელსაც მომავალი გქვია, შენ, რომელსაც სამშობლო გითვალთვალავს ცალი თვლით, რადგან მეორე თვალი უფრო დიდ აფერისტებზე აქვს მიშტერებული, ასეთი საქციელი არ გეკადრება.

რამდენიმე წამით ანგელოზებმა ჩამოიარეს. შემდეგ ბასკომ დინჯად განაცხადა:

— ცანცარა არა ვარ. ამიტომ ამ პერანგს ვერ შეველევი — მთელია, სუფთაა და მიხდება. თუ გინდათ, ამ სანდლებს დავტოვებ. ოღონდ ისიც იმ პირობით, ახალს თუ მიყიდით გავრაში.

— მირონცხებაზე ამბობ უარს, შე მემლო, — თვალები დაუბრიალა შვილს ტიმოთემ, — წრიული ბრუნვის ერთი კინჩხა ნაწილო?! —

— ბასკო, — ახლა ბიკენტიმ შეუტია, — ჯერ ერთი, როდესაც შენზე დარბაისელი კაცი გელაპარაკება, უტრადლებით უნდა მოუსმინო. მეორეც, მთავარი პერანგია — კანი... ბავშვები ბაიბურში არ არიან და ხშირად მუტრუყები კამეჩებად ეჩვენებათ. ბავშვები სინამდვილეს ისე აღიქვამენ, როგორსაც ხედავენ. სინამდვილე და ცხოვრება კი სულ სხვაა. აი, სიზმრის მსგავსიც კი არ არის, არც მოჩვენებაა, არც იგავია, არც სიმბოლო და არც მითოსია. ჩემი აზრით, მათზე უფრო მნიშვნელოვანი რაღაცაა. ოღონდ ჯერჯერობით გამოუცნობია და თეთრი შაშვია ჩვენთვის... ნიღბებსაც და სათვალეებსაც აქ დავტოვებ.

— ჩემს სიცოცხლეში არცერთი არ მიტარებია... პერანგს კი ვერ შეველევი, — გაიმეორა ბიკმა.

— გვირგვინები, კუნძულები, სამოვრები, ვენახები, ხარები და მინისტრის პორტფელები დაუთმიათ... შენი პერანგი მათთან შედარებით წერილმანია, მუსესუმირაა, ალუჩია.

— ზურგი ხომ არ გქავა? — შეეკითხა ტიმოთე.

— რაც არ მომწონს, არ გავაკეთებ.

— ცხოვრებაში ეს შეუძლებელია... შე თარაქამა, — იყვირა ტიმოთემ, — რაც თავი მახსოვს, დღე და მოსწრება, აგერ ოცდაცხრა წელია სხვების ნაკვალევს მიყვები უსიტყვოდ. კრინტის დაუძრავად, ტლაპოში ჩაფლულვარ, ეკალბარდებში დამიკაწრია დაწვები, მაგრამ ისევ გავმართლვარ წელში, გზა გამიგრძელებია და ერთხელაც არ შემობრუნებია ენა უფროსებისთვის... ცოდვაში ნუ ჩამადებიან ფხს.

— ბასკო, გენაცვალე, გახდილი ადამიანი არც პატარავდება და არც სასაცილო ხდება. პირიქით, მშვენიერდება და ბავშვურ სიწმინდეს იბრუნებს. ბროლა კაკალს ემსგავსება... დაგვესგავსე!.. თუკი უმეცართა წრეში ტრიალებ დიდხანს, ხვალ თუ ზეგ შენც ბრიყვად იქცევი. დიადი დიადს ოზიდავს. საშინელი — გულუბრყვილოს. აბა, ბონდზე ან კიპორკზე გასვლას დიდხანს დააქვრდი მდინარეს: ნახავ, როგორ ჩაგხედავს თვალბში და სულ მალე როგორ ჩაეკრობით ერთმანეთს. მდინარე — სინამდვილეა. გაშიშვლებული სინამდვილე კი იმერული აბაზია, დიდი ხათაბალა რამ არის. წარმოდგენაც კი არ გაქვს, რა დარჩებოდა ცხოვრებასგან მისტიკა, ოცნება, კინკები. მირაეი და პოეზია რომ ჩამოეშორებინათ... გონა გაზაფხული ივარგებდა სიყვარულის გარეშე?.. შეაფურთხე ეშმაკს და აიტაცე ჩვენი ლოზუნგი: შევიპყრათ ბრიყვები და გავაშქვიანუროთ!

— ეს თვალბში ნაცრის შეყრაა და მეტი არაფერი, — ბასკო მტკიცედ იცავდა თავის თვალსაზრისს.

— ადამიანი, — უთბრა ტიმოთემ, — რომელსაც ვირის ქეჩი აკრავს და შეზღუდულია წარმოდგენით, არ არის ღირსი არც ვაგონის პალმების ხილვისა, არც შავ ზღვაში ჩაყვინთვისა და არც თვითმფრინავიდან დიადი კაკასიონის ხილვისა. ეს ნათელზე ნათელია... ხოლო იველი წესი და კანონი ნურავინ დაავიწყდება: სუსტი უსიტყვოდ ემოტრილება ძლიერს. წინააღმდეგ შემთხ-

ვევაში ჭიტლას იმსახურებს. უგუნურობის და სიჯიუტის საძირკველზე აგებული წარმოდგენა პრასა-ნიახურია, დაფსბრიულა!

— შე ვარ უგუნური, თუ...

— ბასკო, ჩვენ ბილიეს ვეძებთ, და-კარგულ ბილიეს სილაღისაყენ, სიმართლისაყენ, აღზევებისაყენ მიმავალს... ბიჭო, ერთი პერანგით არც გავლარობდებით და არც ვინმეს თვალში დავკარგავთ წონას.

ბასკომ მგლის ყური გამოიბა. შემდეგ გადაჭრით თქვა:

— არაეითარ შემთხვევაში!

— გიყანა ხომ არ უჭამია? — ჰკითხა ბიკენტის მეგობარმა — რას ველოლია ვებით? — შემდეგ ბიჭს მიუბრუნდა: — ისე გაიხდი, როგორც დაგიბარებია, შე დისიდენტო!

— რა კადნიერი ყოფილა, — სინანულით ჩაილაპარაკა ბიკენტომ, — ბასკო, მაშინ, მოდი, საბოლოო სიტყვას გეტყვი და კარგად მომისმინე — პიროვნება, რომელიც კოლექტივს ერიყება, კაცი, რომელიც თავის გვარს, სოფელს განზე გაუდგება, აუცილებლად დაიღუპება.

„ბავშვია, — გაიფიქრა მან, — და ჯერ არ ესმის, რომ ყოველთვის ისე ხდება, როგორც სხვებს მოსწონს და არა ისე, როგორც შენ მოგესურვება“.

შემდეგ ძალმომრეობას მიმართეს, ასე იყო ყოველთვის — პატარა გომბიოს, ჩიორას, ადამიანს თუ ერს — მოზრდილი გომბიო, ჩასუქებული ჩიორა, მძიმე წონის ადამიანი, თუ დიდი ერი ერევა ხოლმე.

— შენ მიყიდე? — უკანასკნელად გაიბრძოლა ბასკომ, — ბებიას საჩუქარია.

— შენი ბებიაც და ბაბუაც... ოღონდ დედაშენის მხრიდან... ახლა კი ნულა ხვანხვალე.

მაშინ ფეხები გაპარჭყა ბასკომ. ხელები დაიკრიფა და ზეცას აღაპყრო თვალები. მეომარივით ეჭირა თავი, მეფე გუბაზივით, თორმეტი წლიდან ბრძო-

ლის ველზე რომ ანავარდებდა. — ნუ იჭიმები, — უთხრა ტიმოთემ, — გგონია ფეხების გადაკვანტილება გიშველს?

ბიკენტი კი გაკვირვებით შესცქეროდა ბიჭს. „შიძლემა მართლაც გუბაზი ან სააკაძე იყო მისი წინაპარი? შიძლემა ჩვენც გმირები ვართ და ვერ ვხვდებით... შიძლემა სინამდვილეში მებრძოლები ვართ, ოღონდ არ ვიცით ამის შესახებ, არ მოგვეცემია ამის გამოვლენის შესაძლებლობა... ყოჩაღ, ყმაწვილო... საყუთარ თავსა და ადამიანებს უნდა ვსწავლობდეთ, და არა ვირთხებებსა და მაიმუნებს, ადამიანის მშვენიერ ყურებს და არა თევზის ლაყუჩებს, კაცის დაღლილ და დაღარულ ტვისსა და არა უტვინო ბაჭიების ჰემისფეროებს... ყოჩაღ, ბასკო!“

მაგრამ ვილაც ხომ უნდა დაიმორჩილო შენც. „მიწამ უყოს პირი ყველა მოძალადეს,“ — გაიფიქრა ბიკენტომ, თვალები დახუჭა, მიეშველა მეგობარს და თვალის დახამხამებაში ვირი ბაგაზე დააბეს.

— ტიკინსავეთ მომეჭექით არა?! — თქვა დამარცხებულმა, გაუგებრობის მსხვერპლმა.

— ახლა ირიკავე რამდენიც გინდოდეს, — გაიცინა ტიმოთემ.

— იყუჩე, პატარავ, — თანაგრძობით უთხრა ბიკენტომ და თავზე გადაუსვა ხელი.

აეროპორტის უფროსმა წარბები შეიკრა. ის ვერ იტანდა, როცა პატარებსა და დიაცებს ჩაგრავენ. მაგრამ ამ დროს ტელეფონთან ახმეს. მოსკოვი თხოულობდა და ბენედიქტე ბლიაძემ თავის კაბინეტს მიაშურა. ეს ინციდენტი შედგამაც შეამჩნია, ოღონდ არ გაპკვირვებია, რადგან გრიშასკან გაეგონა, რომ მგზავრები სხვადასხვაა, რომ მათი მოქმედებაც მრავალფეროვანი შეიძლება იყოს — გამოზნული, დაუსაბუთებელი, მიხვეულ-მოხვეული. მსუბუქი და უბეიროც, რომ აეროპორტში ათასი საოცრება ხდება. თანაც იმ წუთებში მხოლოდ

მფრინავზე ფიქრობდა, მხოლოდ გრიშა ედგა თვალწინ. ვერ გაუგო პილოტმა, ვერ აუბა მხარი, ვერ გაჰყვა მარადიულ მხარეში, ეგზოტიკურ ნაპირებთან, დრიადებთან, ედემის ლომებთან, ნიანგებთან და ფარშავანგებთან. ასე ურიგოდ მთავრდება ყველაფერი — სიზმარიც და სინამდვილეც, როდესაც ერთს მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებს თავში — სარეცელო, როდესაც ერთს მეორე მხოლოდ საცულულტოდ უნდა.

ბიკენტიმ პასპორტები და ბილეთები გაუწოდა სტიუარდესას. შემდეგ დაავიროდა. ვილაცა მოაგონა. შორეული წლები დაუყენა თვალწინ ამ ნალვლიანმა თვალებმა, თლილმა, დახვეწილმა ნაკეთებმა, ოდნავ ფერმკრთალმა სახის კანმა. ვის აგონებდა, ღმერთო ჩემო, ვინ იყო? განა შესაძლებელია ასეთი მსგავსება? თუ ეს შემთხვევაც იმ არაჩვეულებრივ ამალელებელ საიდუმლოებებს განეკუთვნება, რომლებიც ასე გვაშფოთებენ და გვაწვალებენ ხოლმე თილის წინ?

— გაიარეთ. — განუჩრქველი ხმით თქვა სტიუარდესამ.

ბიკენტი თვალს არ ამორებდა. კიდრე კბეხს აჰყვებოდა, გამტერებულ ბასკოს ჰკოთხა:

— საიდან იწყება, ბასკო, სამშობლო?

ბიკი არ დაბნეულა. მაშინვე უპასუხა:

— ბათუმის ახლო-მახლოდან... სარფიდან.

ბიკენტიმ თავი გააქნია:

— არა ბასკო... არ, ამ გოგონადან იწყება მამული, ზღვაც, მინდორიც, სრული სიმშვიდე სულისა.

2.

თვითმფრინავის მზადყოფნა სადისპეტჩეროს შეატყობინა გრიშამ.

— გზას დაგილოცავთ, როდესაც „მოსკოვი“ დაფრინდება, — უპასუხეს მას.

— კეთილი.

მარჯვნივ მიაბრუნა თავი. „მოსკოვი“ საცა იყო გაეკრობოდა მიწა. „მოსკოვი“ მოჰყავს, — გაიფიქრა გრიშამ. მფრინავი ყოველთვის ცნობს მფრინავს. სივრცეა მათი საერთო. მშობლიური ფენომენი. ხოლო დრო — ერთგულების საზომია. ოდესღაც ერთად დაფრინავდნენ. შემდეგ კი მეგობრებად დარჩნენ. ცა უყვარდათ და ორივე თავის საქმის მაგისტრი გახლდათ. ეს იგორმა ასწავლა: დრო თვითმფრინავზე სწრაფად მიფრინავს — გუშინ აკვანში რომ ასეველებდი, ხვალ უკვე გასიებული პროსტატით ივლი და ლამაზობით შეუღმწევლად ისევ დაასველებ საწოლს. რა ნიშნითაც მოვედით ამ ქვეყანაზე, იმავე დალით დავებრუნდებით უკანო.

გრიშამ მოეჩვენა, რომ „ილ-18“-ის პილოტმა ხელი აუწია. ბოლოს მორიგე დისპეტჩერს ხმაც გაისმა:

— შეგიძლია აფრინდე, შევარდენო!

ყველას უყვარდა მამაცი მფრინავი აეროპორტში. პილოტმა ხელ-ნელა წინ წასწია დროსელის ბერკეტი. ირავების გუგუნე თანდათან გაიღიერდა. გრიშამ მუხრუჭები აუშვა და თვითმფრინავი ადგილიდან მოწყდა. გუგუნე ღრიალში გადავიდა. ლაინერის სიჩქარე სწრაფად მატულობდა. შემდეგ მფრინავმა თავისკენ მოსწია შტურვალი და თვითმფრინავი მიწას მოსწყდა.

მას, რასაც ახლა გრიშა გაზიცილიდა, ვერაინი გაიზიარებდა. გარდა იგორისა. იგი განსაკუთრებული, თავისებური სამყაროა, განუძეოვრებული აოსია. ხოლო მფრინავი ადამიანების ძედიუშია ზეცაში.

გრიშას სახელს შერაევანდი უცებ მოეფინა. ფრენის პირველსავე წელს მამაც მფრინავად აღიარეს. ერთხელ კავკასიონთან ჰქვა-ქუხილში მოხვდა. მაშინ კინალამ სიციცხლე წააგო გოიშამ. მაგრამ მიხვდა, რომ ადამიანი არც მწევარია და არც ჩიშინი ცხენი — ყველაფერს უძლებს. ყველაფერს იტახს. დაფრენის შემდეგ თქვა: „რა მიწიდიველი პროფესია გვაქვს“. ამ განცხადე-

ბამ აღაფრთოვანა კოლეგები. ხოლო ერთხელ, როდესაც აეროპორტში თანამშრომლებს შორის ქურქებს ანაწილებდნენ, უარი თქვა თავის უფლებაზე და იმპორტული სამოსელი ერთ ახალგაზრდა ობოლ მტვირთავს დაუთმო. „რატომ დამცინი? — ჰკითხა ყმაწვილმა, — პატრონი რომ მყოლებოდა, მეც არ ვიზოხებდი მიწაზე“. „იუჟე, — უთხრა გრიშამ, — ქურქი არ მჭირდება, დამითმია“. „ასე არ ხუმრობენ, გრიშა“. მფრანავმა მიუგო: „როდესაც ადამიანების სიდიადეში ექვი ეპარებათ, კაცს აბზინდა ქირდება“. იმ წუთში სიკეთე მზესავით ჭიმჭიმაზე იდგა.

ხოლო მის სახელს, მის ზინათს, ქონების სკივრს, კიდევ ერთი უმდიდრესი განძი შეემატა, თავიდანვე კმაყოფილებისათვის რომ გამზადებს და გამამხნევებელ სულიერ სიმშვიდისათვის რომ განგაწყობს. — ეს იყო დაუშრეტელი წყარო სიცოცხლისა, განუწყვეტელი ზეიმი და საზრდო სიკეთისა და ჰკუი-სა, თამამი, დაუფიქრებელი სწრაფვა, შემართებული თამაში, რომანტიზმისა და კოლექტიური ცხოვრების სულისკვეთების შეწყობის, შეხამების მაგალითი.

შემდეგ ქურქი არ მოერგო ჯონდოს და ათას მანეთად გაყიდა. მერე მთელი კვირა დასდევდა მფრინავს კათხა ლუდზე დასაპარტეებლად. ბოლოს გრიშა გაჰყვა და დიდსულოვნების კიდევ ერთი გაკეთილი ჩაუტარა. ყურების ჩამოყრა არ იცოდა. ყელყვლობა არ აკლდა.

სწრაფად აფრინდა თვითმფრინავი და მალე თბილისი სულ დაბლა დარჩა.

ბასკომ ილუმინატორში გაიხედა და გაყურდა, სული განაბა. ოკრობოკრო მიწა ქვეშად გამოიყურებოდა. ქვემოთ ყველაფერი უჩვეულო და გამოუცნობი იყო. „რა იქნა მტკვარი, მთაწმინდა საითაა?“. ამ დროს თვითმფრინავი მკვეთრად შეირბა, საპაერო ორმოში მოხვდა. და ბიჰს სული კოჭებში გაეპარა. „ხომ არ გამოველაპარაკო ბიკენტის?“

ბასკომ ახედა. „რა ზეთივიდ ამისთანებისგან შევლას ხედავდნენ მელი“. როდესაც ისევ სარკმელში გაიხედა, დედამიწა აღარ ჩანდა, თვითმფრინავი ღრუბლებს შორის მიფრინავდა. კარგა ხანს ასე იყო. მერე ისევ გამოჩნდა ლანდშაფტი და ისევ შეეკუმშა გული ბასკოს. სანამ გამოიჩქვები, სიმაღლე ყოველთვის შიშის გრძნობას იწვევს. როდესაც წესიერო, გულუბრყვილო კაცი ჩვეულებრივ, უდარდელ მდგომარეობიდან გაუგებარ სიტუაციაში ხვდება, ზაფრა ეცემა ძალაუნებურად.

ბიკენტიმ ცალი თვალთ გადახედა ბასკოს. მან გაიფიქრა: განა ის არსება, რომელსაც მუხლები უკანალებს, და მინც გაიძახის — არ მეშინიაო, ყველაზე სიმპათიური და მიმზიდველი არ არის?!

— რა ასკილივით იქნევ თავს, სამთვარიომ ხომ არ მოგიარა?

ბიკენტიმ უეცრივ გამომტყვრალ ღრუბლებს შეავლო თვალი. უყურა, უყურა და როდესაც მოსწყინდა, ქალის გვერდით ჯდომა ინატრა. შემდეგ გაიფიქრა, ნეტავ როგორ იქცევიან ტყის ლეოპარდები და ზღვის ურჩხულები, როცა მოწყენილობა შეიპყრობთ უეცრივ, როცა ვიდაცის გაგლეჯა მობეზრდებათ... ძილს აძლევენ თავს ალბათ... ნადირობენ, ჭამენ და ძინავთ. დანარჩენ დროს სად ფანტავენ? გრძნობენ მაპატმას? თუ მათთვისაც სამყარო ბუნდოვანია?..

„ეს ღრუბლებმა შემომპარეს ფიქრი“... აცი წამოსვლის წინ გადაწყვიტა, რომ ზღვაზე ერთი თვის განმავლობაში სკივრში, სეაფში ჩაეტედა ყველა ლეოპარდსა და ურჩხულს. მხოლოდ ქაფი, ზურმუხტი, სიბენტერე, ჰეტერები, დიონისე და მისი რაზმი...

ბიკენტიმ წინ წაადგო თავი, ახლო მსხდომნი შეათვალერა. ქალი სადღაც ჰყავდა ნანახი. მამაკაცი დაბეჩავებული მოეჩვენა.

— იალბუზმა მოგხიბლა? — შეშა-

რავი კილოთი კითხა მამაკაცმა მეუღლეს.

— იტალიური ფეხსაცმელი... — წყნარად მიუგო ქალმა.

— იალბუზზე იტალიური ქოშებით ვერ ახვალ.

მაგრამ მამაკაცის ხმაში ისევე წაყვქუაქვქობა იგრძნობოდა.

— გავრის ბულვარში გავისიერებ.

— გაზე, ნუციო, ავერ ზღვაც გამოჩნდა...

ასე გაქრება ერთხელ მიწა და ყველაფერს წყალი დაფარავს — ქოშებს და სურვილებს, წინდებსა და პატივმოყვარეობას... რა საოცრებაა ზურმუხტი ზღვა... ხუთი წუთის წინ კი — ქალარა კავკასიონი.

— იტალიური ფეხსაცმელები...

ბიენტის გაეღიმა... სულის მხდელი ყოველდღიური წვრილმანობა ამკობს ადამიანებს. ხოლო ნამდვილი ქალები ყოველთვის აოცებდნენ ყმაწვილკაცს... ეანა, ზოია, მარიამ სტოუარტი. მაია წყნეთელი... ირგვლივ სინამდვილეში კი მხოლოდ ფარშევანგები, კაჭკაჭები, იაღონები დასეირნობენ და დაფრინავენ.

— ზღვა ყოველთვის დამაწყნარებლად მოქმედებს ნალექაზე. მის სიღრმეში შეაკრი სიმარტივეც იგრძნობა. შორიდან, ძალიან შორიდან ისიც წვეთია და მეტი არაფერი... მართლა, გეთყვია, ხომ არ იცი, რატომ უწოდებენ შავ ზღვას — შავს და არა ცისფერს, როგორც სინამდვილეშია.

— ქოშები... ეგ ლათაიებიც კი არ მჭირდება.

— ამ წელიწადში ორი წყვილი გიყიდე... ნუციო, სოკრატე, დიდი სოკრატე კი მთელი სიცოცხლე ფეხშიშველა დაიარებოდა... განა ეანა ფეხშიშველა, ან დაგლეჯილი ჩუსტებით არ ავიდა თავის კოცონზე?

— რატომ მიაჩვენებ?

— მოიხიბლე მაგნოლით, იყნოსე ზღვის და მთის შეზავებული გავრის პერი, იქვე თევზად წყალში... ბუნება

ადამიანის მთავარი მანუგე შეტყობილობაა

„თავის კოცონზე... — გიჟივითა ბიენტი — საკუთარ კოცონზე... რა ბედნიერია ვისაც თავისი მუგუზალი გააჩნია... კოცონზე დაწვა ერთეულეზის მონაპოვარია, დიდი ადამიანების ხვედრია, რჩეულთა, ქუდბედ დაყოლილთა საჩუქარია“...

— ვერ შემაკედენ. — თქვა ნუცამ.

— მაშინ დიადი ზღვა, ან რიოში ქოშები.

— იტალიურს ვირჩევ.

მამაკაცმა თავი ჩაკიდა. მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ისევე მიუბრუნდა მეუღლეს.

— შენი რისხვა ნუ მომეცემა. კიდე ერთხელ მომისმინე... აი. ერთ მხარეს ნარნარი ტალღებია დელფინები, ჰალმები, თოლიები, შავი გედები. მზეზე მოხუნტრუცე გოგო-ბიჭები, სიცოცხლე, ატარლები, იალქნები... მეორე მხარეს კი... მე ზღვის ქაფს, ენჭებს და ლოკიენებს ვირჩევ.

— ამავე თვითმფრინავით ვბრუნდები თბილისში.

— როგორ გეტყობა, რომ შენი წინაპარი სახელოვანი კინზე არ ყოფილა.

„ეანა არ დაუსჯიათ... რა სისულელეა, ეანა დაასაჩუქრეს, მარადიულობა უბოძეს, ზეცაში აიყვანეს... მეც დამსვით კოცონზე, ოღონდ ნამდვილ კოცონზე. საჭაროდ დამწვით, და არა ჩუმად, თანდათან, ვერაგულად ქრონიკულად, ხანგრძლივად... უკებ წაიკოდეთ ცეცხლი და არა ოცდაცხრა წლის განმავლობაში... ნაელო ქარს გაატანეთ... მეც არ ამშველებ ხმას, კრისტს არ დაეძრავ“.

ბიენტი კარგ გუნებაზე დადგა. სანამ ქალს რამდენიმე მწვერი მაინც უზის თავში, სიცოცხლე მოსაწყევბ ათასოდეს არ გახდება. მწვერებიანი და კვაწაწალოვებიანი ქალები უფლის ეპისტოლეა დედამიწაზე. ადამიანებისთვის გამოგზავნილი.

შემდეგ ცოლ-ქმარის შერიგება გადაწყვიტა. სწრაფად „ივერიის“ კოლოფი-

დან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და მი-
აბოლა.

მაშინვე ეცა ქალი.

— რატომ იგდებთ თავს, თვითმფრი-
ნავში აღარ ეწვეიან. ორი წელიწადია,
რაც გამოღება აიკრძალა.

— გთხოვთ სამსახური გამიწიოთ და
ისევ შემაქციოთ ლამაზი ზურგი.

— ნუ ჯამბაზობთ, ჩააქრეთ თუ თუნი.

ქალს სწორი ნაკვებები ჰქონდა და შა-
ვი უძირო თვალები. თავის დროზე ეშ-
ხიანი იქნებოდა. ლამაზები შემდეგ გან-
საკუთრებით იგესლებიან, თითქოს
დრო შეურაცხყოფას აყენებდეს, თით-
ქოს ცხოვრება მხოლოდ მათ ატყუებ-
დეს რალაყაში.

ისევ შეანათა კუმეტი თვალები.

— ახლავე ვაი-უშველებელს აეტეხავ.

— თქვენი ნებაა... ორი დღეა, რაც
ფსიქიატრიულიდან გამოვედი.

— მთავარ პილოტს გამოვიძახებ!

ბიკენტიმ მიუგო:

— ყოველთვის ისე ვიქცევი, რო-
გორც მოწონს. — ბასკოს აზრს იმეო-
რებდა... — ისე კი, რაც მალე დაწნავთ
ხახალა. მით უკეთესი იქნება.

უცებ ბიკენტიმ იცნო ქალი. რამდე-
ნიმე წლის წინ ნაცნობმა გინეკოლოგმა
დაანახა ქუჩაში. მიდიოდა ამაყად,
თვაწეული, მოღიმარი. იზიდავდა გამ-
ვლულების მზერას. იგონებოდა, რომ
რუსთაველზე გამოსულიყო მიწიერი ნა-
ღველის გასაფანტავად და ადამიანებში
რწმენის განსამტკიცებლად. როგორ
ძიკურავდა, რა ლამაზად მოედერა კი-
სერი. „ორიოდე წლის წინ ჩვენს გან-
ყოფილებაში საიდუმლოდ პლასტიკური
ოპერაცია გაუკეთდა“. — უთხრა ნაც-
ნობმა. „ცხვირის?“. — იკითხა ბიკენ-
ტიმ. „გინეკოლოგების სამყარო სხვაგან
მდებარეობს“. — გაიცინა გინეკოლოგ-
მა. ბიკენტიმ თავი დაუქნია ეჭიძს, რო-
მელსაც ჰიპოკრატეს ფიცის ერთი პუნ-
ქტი დაეწიებოდა. მაგრამ მთავარი ეს
არ იყო მინც. მთავარი ის უაზრობა
გახლდათ რომელიც ადამიანებს განა-
გებდა. ბებერი მხიარული სილენოსი

კი ილიმებოდა. ორასა მანეთი და...
კმაყოფილი დარჩა — გინეკოლოგიც,
ნუციკოც და უნებურად მისი მეუღ-
ლეც. ერთი პატარა პლასტიკური ოპე-
რაცია ქორწინებამდე რამდენიმე დღით
ადრე და ნუციკო უმანკო ჩაბარდა მე-
უღლეს. „ეს ჩვენი გინეკოლოგიის და-
მსახურებაა, — ამაყად უთხრა ნაცნობ-
მა, — ზოგიერთმა ჩვენებურმა გინეკო-
ლოგმა უკან ჩამოიტოვა დებეკიცა და
ბერნარდიც“.

— თუ ახლავე არ ჩააქრო ცეცხლი,

— უცებ აფეთქდა ნუციკოს მეუღლე.

— უპარაშუტოდ ჩავუშვებ ქვევით...
კბილებში ოფლს ვადენ.

მამავაცს ნიკაიი უცახცახებდა.

— ბიქტორ, ძალიან გთხოვთ, ნუ გა-
აფთრდები. ქუადამთხვეულია... მაგას
დანაც ექნება ჩექმებში ჩატანებული.

— ბალბა არ მომიხარშოს. კეფაზე
წვენი არ დამასხას... მიიძევი, გეაჭები.

ბიქტორი აღარ წყნარდებოდა. უცებ
აუღო ალლო მომხდარ ცვლილებას და
აფრა აუშვა.

კოლ-ქმრის მწედ წარმოგზავნილმა
ბიკენტიმ კი შშვილდი ძირს დადო, ისევ
მიეყრდნო სავარძლის ზურგს ღიმილით
და სიგარეტი ჩააქრო. „ჩაო, იტალია-
ნო, მორჩა ბერი ცხონებასაა. ბონასერა,
სენიორა... დიადრა ერთიანობის ინსტინ-
ქტი. ოჯახს ვერავითარი ქოშები ვერა-
ვითარი სატყუარები. ვერავითარი ილუ-
ზიები ვერ გათიშავს, თუ კი მისი წვე-
რები სულთ რაინდები. შეუღოკალე-
ბი და ერთმანეთის მოსიყვარულენი
არიან... ყოველთვის შესაილებელია,
როგორც საოჯახო, ისე სამოქალაქო
ომის თავიდან აცილება“.

თვითმფრიზნავი ბათუმის აეროპორტ-
ში ეშვებოდა. უამინდობის გამო კურ-
სი იცვალა და ადლერის ნაცვლად აქ-
რის დედაქალაქში ამოხყვეს თავი.

ტიმოთემ ოდნავ დატკუნხილი, ზომი-
ერად დასერილი ცხვირსახოც ამოღო
შარკლის ჯიბიდან და ოფლი მოიწმინ-



და მოღვენთილ სახეზე. საქორიდან კოჭებამდე სველი იყო. უკმაყოფილო მგზავრები თვითმფრინაეიდან გასასვლელად ემზადებოდნენ. ბიკენტის თავი წინ ტორტმანობდა. ბასკო არ ჩანდა.

ტიმოთემ ცხვირსაბოცი კისერზე მოიხვია. თავისუფალი ხელით ჯიბე მოისინჯა: ფული ადგილზე იყო. ამ დროს ჰკითხეს:

— თავის დროზე პტოლემეოსის მსოფლიო სისტემის დამცველი იქნებოდით, თუ გალილეისი?

ტიმოთემ აიხედა. ვაეი, ნაფუძვარზე ამოსულ ხეს რომ ჰგავდა, იღიმებოდა. ტიმოთემაც გაუღიმა და თან გაიფიქრა, რომ ამ მგზავრს, ცხვირთან ერთად, სხვა ბევრი რამეც გამრუდებული ექნებოდა — შეხედულება ადამიანზე, ცხოვრების განვლილი გზა და წარმოდგენა ლობიერებაზე.

— როგორ?

— მოწინავე იდეებს იზიარებთ თუ ძველს? შეხედულებები საკუთარი გაქვთ, თუ გაზეთებიდან, გაქირავების პუნქტიდან აღებული დროებით?

— მოწინავეს, — ისევ გაიღიმა ტიმოთემ, — უაუნიით უაუნისამდე.

— მაშინაც, როდესაც წიხლს დაგაკერენ ნაწლავებზე?

ტიმოთემ ოფლი მოიწმინდა. პერანგი ზურგზე მიწებებოდა.

— ვიწვით, — თქვა მან.

ვაემა აქეთ-იქით გაიხედა:

— როგორ, ცეცხლი წაეკიდა პროპელერს?

— ცხელა, — განუმარტა ტიმოთემ,

— არაქათი აღარ არის, ყანყრატოში ველარ ეტევა ჰერი.

— ნათელზე უფრო ნათელია, რომ ცხელა. ზოლო ის, რაც ნათელია, განმარტებას არ საჭიროებს.

ტიმოთემ ფეხის გადადგმა მოინდომა, მაგრამ მარჯვენა ქვედა კიდურს ძვრა ვერ უყო. მაშინ ძირს დაიხედა. ყმაწვილკაცს ორმოცდაექვსი ზომის ტერფი ექნებოდა.

— გაათავისუფლეთ ჩემი ფეხი. —

უთხრა მას ტიმოთემ და უეცრად წაიხილა ნო, თუ როგორ დარია სულმოკლეობა ხელი.

— ესე იგი, გალილეისტი ბრძანდებით, არა?

— სხვათაშორის, ჩემი მეგობარი მოკრივეა, საქართველოს ჩემპიონი, — რატომ იცრუა, თვითონაც გაუყვარდა. მარჯვენა ფეხის თითები თანდათან უბუყდებოდა. უცნობმა მეგობრულად დაადო უშველბელი ხელი მხარზე.

— ვაგლახ მე, გეტყობა თავზე მამალ ბუხს არ დაისვამ... უაკვე მომწონხარ, მალე გამოენახავთ საერთო ენას... სიცოცხლე არ იმალება და მაშინვე ამოტივტივდება ზოლმე ზედაპირზე. მამაკაცი როდესაც იტყუება და ტვინის ნაკლოვანებასაც განიცდის, ქალაქუნას ემსგავსება... მართალია, სიცოცხლის დიდი ხელოვნება-განურჩევლობა და ბლეფია, მაგრამ მამაკაცი სიცოცხლეზე მალა უნდა იდგეს, მამაკაცი მაინც მამაკაცია... მომისმინე, ერთხელ კალიმაზე...

— სად? — ყურები ცქვიტა ტიმოთემ.

— შორს, აქედან ძალიან შორს, სადაც სიცოცხლე ჩირადაც არა ღირს, ერთი მოკრივე დამძიმობილდა. სათხო ბიჭი იყო.

— ჩემპიონი?

— იცი, როდის დამძიმობილდა?

— როდის?

— როდესაც მარცხენა ხელი ერთი მესამედით დავუმოკლე... ნამგლით, უბრალო სასოფლო იარაღით. ყველა მატყუარასა და ამაყს კინწისკერით უშვებს ორმოში ცხოვრება... გასაგებად ვთქვი?

— თითქმის.

ცხოვრება და უცნობი ზვიგენის თვალთ უყურებდნენ ტიმოთეს.

„ეს ხომ მკრეხელობა და ხუნხუნობაა, — გაუელვა მას თავში — წყვილია, შევეთია ირგვლივ. სამოთხე კი — მხოლოდ ზღაპრებში და ბიბლიაშია. ზოლო დარეინი ნაწილობრივ მაინც მართალია, ნაწილი ადამიანებისა მაინც მაიმუნებიდან არის გაჩენილი და არა

სხვა რომელიმე გზით... სად ხარ, ბიკენტი?"

— მომისმინე, მეგობარო, ხუთ მანეთს ხომ არ მასესხებდი ერთი დღით?

— ერთი დღით?

— ხვალვე მოვპინტრიშდები მაგნოლიების ქვეშ.

— ჩვენ ვაგრაში მივპინტრიშდებით.

— სცადა იმავე ტონით გახუმრება ტიმოთემ.

— ყოჩაღ, ხა-ხა-ხა... მაგრამ ვანა ვაგრაში მაგნოლიები არ იზრდებიან?

...აი, იმ არემარეში გამოცხადდები, იხვეები რომ დაცურავენ.

— გედები, — გაუსწორა ტიმოთემ და ჩიბიკენ წაიღო ხელი.

„რა უკვდავმა ხელმა, რა განგებამ შექმნა ასეთი ურჩხული?“ — ფიქრობდა ტიმოთე. უცნობი კი მღვარსლავ თვალებს არ აშორებდა. ნელ-ნელა ამოაძვრინა ერთი ასიგნაცია ტიმოთემ. მან გაიფიქრა, თუ ბედი მაქვს, ხუთმანეთიანს ამოვაცურებო. ხელს ათმანეთიანი ამოჰყვა.

— გამადლობო, — უთხრა ოყრაყმა და ფული გამოართვა. — პირის ზიარება ხარ... კეთილი სახე და ლომისებური გამოხედვა მაქვს... მცონარეობა — ზადია, ხოლო გულმოდგინეობით და ბეჯითობით ბევრს მიაღწევ ცხოვრებაში, აბა შენ იცი... ისე იცოდე, ზღვაზე თუ ვინმემ შეურაცხყოფა მოგაყენა, ნუ მოგერიდება, მიხმე... სტეფანე მქვია, რა-ზინის სეხნია ვარ, მასავით სწორუბოვარი და სამართლიანი... იქ, — ხელი გაიშვირა ჩრდილო-აღმოსავლეთით, — ზედმეტსახელად ბრინტოზავრსაც შეძახნენ, რადგან წუშელებელ ტანზე კარტოფილის ხელს თავი მადევს. ოღონდ არ შეცდე, ამ თავში საკმარისი რაოდენობის ტვინის უჯრედებია მიმოფანტული.

— გამადლობო, — თქვა ტიმოთემ.

წასვლის წინ სტეფანემ ხელი გაუწოდა და ჰკითხა:

— მართლა, ვერპარხს ამჯობინებ თუ ბოდლერს?

— ბოდლერს.

— აბა მოუსმინე... ლა შერ ში დის-

ტრაიტ ტროპ — ზღვა საშინლად მილელებს მე... ეს ვერპარხმა განაცხადა...

როდესაც სტეფანე გაშორდა, ტიმოთე სავარძელში ჩაესვენა. „მგლის მუცელში გასაძვროში, ელ კაპონე, ბესო იარმურკელი, ნიუ-იორკელი ბანდიტი შულცი“. შემდეგ თავი ინუგეშა, ხომ შეიძლებოდა ათმანეთიანის ნაცვლად ასმანეთიანი რომ ამოეღო. ამ აზრმა ოდნავ დაამშვიდა. ნუგეში დასაწყისია სამყაროს შეცნობისა, ტკივილის ბუნების ამოხსნისა. ის პატარა კაცის დამცველია: მართალია, ცოტათი თავის მოტყუების ელემენტებსაც შეიცავს, მაგრამ მაინც ზოგჯერ ერთადერთი ნათელი სხივია ბნელეთში. მართლაც ნუგეში უბედური გულისთვის ის ცეცხლია, რომელიც სამყაროშია გაფანტული უსასრულოდ და უსასყიდლოდ. ის სხივია, ზოგიერთი განუყოფელის, ერთიანის მეფურ სულს რომ უწოდებს ან გონიერ ციურ ეთერს რომ ადარებს.

ტიმოთემ გასასვლელისკენ გასწია, თავი დაუტრა მომხიბვლელ სტიუარტესას და კიბეებზე დაეშვა.

— სად დაიკარგე? — ჰკითხა მეგობარს ბიკენტიმ თვითმფრინავის კიჩოს ქვეშ. შემდეგ უფრო დაკვირვებით ჩახედა თვალბუმში. — რატომ აკაუნებ ამ სიკვლეში, ჰაჭებმა ხომ არ გიმტყუნეს, შარდი ხომ არ შეგეხუთა?

— მომისმინე, რამდენიმე წუთის განმავლობაში თუ შეგიცვლია როდისმე მსოფლმხედველობა?.. ბასკო სად არის?

ბიკენტიმ პერანგის ღილი შეიხსნა.

— წინ გაიქცა... ენ გაგატრიზავა ასე? წყალი მაინც დაგელია, ველარ გიყურებ.

— გამივლის, ბიკენტი, მალე სულ მოვკობინდები.

— დავსიკება ალბათ... არა მგონია ვინმეს გაეთვალე.

— სინათლე საბოლოოდ ვერასოდეს

ვერ გააპობს წყველიადს. ზღვაზე ყოველთვის რუხი ღრუბლები იქნება ჩამოწოლილი. ხოლო ღრუბლებქვეშ — უსამართლობა და სიყალბე...

— ვამეხ, ჩემო ტიმოთე, აიხედე... ღრუბლის ნატამალიც არ არის ცაზე. მზე უხვად აფრქვევს სიკეთის სხივებს. ორ დღეში გულუბრყვილო ზანგებს დავემსავსებით. სინათლის სხივი, სიმაართლის კოცონი კი, ბოლოს და ბოლოს, გააძევენს დედამიწიდან ტყის ლეოპარდებს, ზღვის ურჩხულებს და წვივებს შეუტრუსავეს საკუთარ ბუნაგში სიბეცეს.

— სამიოდე წუთის წინ ბერაში გამატარეს. უღვაში შევირცხვინე... ისე კი მოჭამავირესავით მომეჭკა. განგება მიუწყავს სამაგიეროს.

— ზღვის სანაპიროზე ყოველგვარი ჭურის ადამიანს გადააწყდები. ამისთვის მომზადებული უნდა იყო. და ნუ აკვანწალდები. ტაროსიც მშვენიერი გვიდგას.

— ილიბაცური შემთხვევაა ალბათ, — ინუგეშა თავი ტიმოთემ.

— იუუჩე, მეგობარო, მაგრად ჩამკიდე ხელი, ღრმად ისუნთქე ზღვის სუფთა ჰაერი და გაეიქცეთ აეროპორტასკენ, სადაც ბასკო დიდი ხანია გველოდება.

4.

აეროპორტში თვითმფრინავიდან პირველი გრიშა გადმოვიდა, ყველაზე ბოლოს კი მედეა. მან პირდაპირ გადაკვეთა აეროპორტი, გაუღიმა ნაცნობ სტიუარდესას, ცალი თვალთ გახედა დარბაზის შესასვლელთან მდგარ ბიკენტის და ტიმოთეს და აეროვაგზლის შენობაში გაუჩინარდა.

— წელან მართალი იყავი, — ტიმოთე თვალს არ ამორებდა მედეას. — იგი, მართალია პატარა, მაგრამ მინც შექცია ამ წყველიადში.

— ციციანთელა...

— ჩვენ რომ არ გვარგია, სხვას რომ

უნათებს გზებს და ამ წუთისეუკრძევილი სამუდამოდ რომ მიეფარება ბუნების...

— ცხოვრებაში ყველაფერი მოსალოდნელია, — გამეორება, სიხარული, ქანცვიფრებაც, კიდევ გადააკვერება სადმე.

— ათას ქისა მარჩილს მირჩევნია... ნუთუ მართლაც მჩატე სისხლი და ხორცია ცხოვრების საწინდარი და არსი?

— კი ვამეხ... მაგრამ როგორ გინდა ახლა გაგრაში ამოყო თავი?

ადღერის რენსზე ძლივს გაჩაჩხეს ბილეთები. უამინდობამ და ბედმა კი ასე უმტყუნათ.

— ელექტრომატარებელს შევხატეთ.

ბიკენტი და ტიმოთე მეზობლად ცხოვრობდნენ. ტიმოთე რამდენიმე თვით უფროსი იყო მეგობარზე. სკოლის დამთავრების შემდეგ თითქმის მთელი შავი ზღვის სანაპირო შემოიარეს: ქობულეთი, ბათუმი, გუდაუთა, ბიჭვინთა, ლესელიძე, განთიადი, სოჭი, ტუაპსე, ოდესა, სევასტოპოლი. უკანასკნელი სამი წელი კი გაგრაში ისვენებდნენ. მათ გადაწყვიტეს, რომ გაგრა შავი ზღვის მარგალიტი გახლდათ. შეუდარებელი ყველაზე ახლობელი, რომ მის სანაპიროზე, თორმეტი კილომეტრის სიგოიეზე, რჩეული გოგონები და ქალები შავდებოდნენ მზის ქვეშ. ხოლო „გაგრაფში“, სადაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის სული ტრიალებდა, ერთ-ერთი მკურდრო და მიმზიდველი რესტორანი იყო შავი ზღვისა აღმოსავლეთ სანაპიროზე. მთები, აკვასიონის კალთები, უცოიე ეშვებიან ზღვისკენ. მათ შორის კი ეოევკარას, გაგრაფშისა და ციხერვას ხეობებია, ჩანჩქერები, ლელეები. მთებში — რიწა და ავადხარა, აქეთ — მაპზიშხა, დრაცენა და შავნოლია, წყავი და ჭადარი, ევკალიპტი და კვიპაროსი... იქვე კი, შორიანლოს, ახალგაზრდა ჩანართელი ნახევრადმიშველი სხუელეების კილომეტრები... სხვა რაღა უნდა გინდოდეს, როცა ოცდაცხრა წლისა ხარ, როცა ჯერ კიდევ მოტყუებულად არ მიგაჩნია თავი?

აეროვაგზლის შენობაში იატაკზე დადეს ჩემოდნები და მიმოიხედეს. ბასკოს ეძებდნენ. ტუალეტის შესასვლელთან ხალხი ჩოჩქოლობდა. ყურადღება არ მიუქცევიათ, ბრბოს ფუსფუსი უყვარს. როგორც კი საშუალება მიეცემა, აყაყანდება და ამჩატდება.

— რა უტუს ჯარია?

— შეჭვრეხებული ხალხი მოწყენილობის და ერთფეროვნების ბუდეა, — უთხრა ბიკენტიმ, — ნეტავ, სად გაქრა ბასკო?

— რა ლაწა-ლუწია იქ?.. მომისმინე, რატომ არის ცხოვრება ასე მოწყობილი?

„ისევე დაიწყო“, — გაიფიქრა ბიკენტიმ.

— მაინც როგორ, მეზობელო?

— უცნაურად... მოგეწონება ვიღაც ძლიერ, ის კი უხმოდ ჩაგივლის და სამუდამოდ გაუჩინარდება... არაფრის შენარჩუნება არ შეიძლება ამ ქვეყანაზე — არც ღიმილის, არც ნიავის და არც ლამაზი სტიუარდისის... იმ გოგონას ფეხებმა და მკერდმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

ბიკენტი დააშტერდა ტიმოთეს. შემდეგ უთხრა:

— ახლა შენი ფერი მომწონს... ისევე დაგიბრუნდა ადამიანის იერი... წელან კი რომაელის მიერ დატყვევებულ და გალახულ ბარბაროსს ჰგავდი.

ტიმოთემ ეკვის თვალთ გახედვა მგობარს, მაგრამ არ შესიტყვებია.

ამ დროს დარბაზში მალალი ქერათმიაჩი ქალი შემოვიდა, შავი სათვალე მოიხსნა და შედგა.

— აი, კიდევ ერთი ჩვენი ემბლემა, — თქვა ტიმოთემ, — ოღონდ ოღნავ გახუნებული.

„ემბლემა“ რალაცათი დაინტერესდა და წამოვიდა. როდესაც ბიკენტის და ტიმოთეს მიუახლოვდა, იკითხა:

— რა აღრზაურია, ყმაწვილებო? ბიკენტიმ მხრები აიჩეჩა.

— წარმოდგენა არ გვაქვს... თანაც განა ოცდაათი წლის შემდეგ ცნობის-

მოყვარეობა თანდათან არ მივსწავლინა? ნაში?

— ოცდაცხრის ვარ, — თქვა ქალმა.

— რომ არ გეტყობათ?

— სხვათა შორის, ყველა გაცილებით ნაკლებს მაძლევს, — ქალს ღიმილი მოერია სახეზე.

— ...ოცდათხუთმეტის მეგონეთ, — ბიკენტიმაც გაუცინა.

ქერათმიანს ჯერ ღიმილი გაეყინა სახეზე, შემდეგ ზიზღი ჩაუდგა თვალეში, მერე კი სწრაფად მოწყდა ადგილიდან და შეგროვილ ხალხისკენ გაეარდა.

ტიმოთემ თითისწვერებზე აიწია.

— სანაძლეოს დავდებ, ბასკოს ყურებს თუ არ ვხედავდე. რალაც ცოდვის ლული ტრიალებს მის თავზე.

ბიკენტიმაც აიყელყელავა. მის წინ გულის მომწყველელი სურათი გადაიშალა. ბასკოს ერთი ყური შუახნის ქალს ეჭირა მაგრად, მეორე ყურს ყმაწვილი ქალი ჩაფრენოდა. ამის შემყურეს ბიკენტის კაეშანარ მოერია. მან თქვა:

— ურვას ნუ მიეცემით, მაგრამ საქმეში უნდა ჩავერიოთ. ბაეშვი უწყინარობის და სისუსტის სიმბოლოა, დაცვა სჭირდება... სხვას, ყველაფერს რომ შევეშვათ, შენი შეილია.

თავისთვის კი გაიფიქრა: „ადამიანები ორი რამეთი მოდიან აღფრთოვანებაში — საკუთარი ბედნიერებით და სხვისი უბედურებით“.

ტიმოთემ ასანთა ამოაქვრინა ჯიბიდან, სიგარეტს ცეცხლი მოუყიდა, მხრებში გასწორდა, მკაცრი იერი მიიღო და წინ გადადგა ფეხი.

— ჩემოდნები არ აგაცალონ, — გააფრთხილა ბიკენტი.

— მოგეშველო?

— თავად გაუფქვავდები.

ტიმოთემ ხალხის რკალი გაარღვია და იკითხა:

— რატომ აწამებთ პატარას?

— ხელისუფლების წარმომადგენელი ხართ? — ჰკითხეს მას.

— წესრიგის დამცველი გუშაგი



ბრძანდებით? — გაეხარდა ახალგაზრდა ქალს.

— ჩემი შვილია... ყურებს რომ უგრელებთ, პირუტყვად გინდათ აქციოთ?.. პატარა ბავშვზე თავდასხმა ეს იგივეა, რაც ერის წინააღმდეგ გალაშქრება.

— ჩვენ პატროსანი მანდილოსნები ვართ. ეს კი პირუტყველ დანაშაულზე წავისწართ. — თქვა შუახნის ქალმა.

— პროკლამაციებს ავრცელებდა? — იკითხა ზეინკალმა. მოწინავე მუშამ.

ივანეს მოლიმარი, ირონიული თვალები და კეთილი სახე ჰქონდა.

— უარესს ჩადიოდა. — განაცხადა მეორე ყურის მპყრობელმა ქალმა. — თავზე მწუწე გადმოგვასხა.

ამ დროს ბასკომ იყვირა:

— ვაი, მეტყინა!

— არ გამაბრაზოთ. — ხმას აუწია ტიმოთემ, — იცოდეთ ლურსმანს ორი თითით ვლუნავ.

ქალებმა ყური არ ათხოვეს მას.

— უყურეთ, სირცხვილი დაუკარგავს. ტყვილის გრინობა კი შერჩენია. ზეინკალმა ისევ იკითხა:

— თვითმფრინავის გატაცების გემას ადგენდა?

— ეს პატარა წარმართი ქუქრუტანაში იკვირებოდა... ხედავთ როგორ მოიკატუნა თავი!

— სად? — იკითხეს ცნობისმოყვარეებმა.

— კაბინიდან მეზობელ კაბინაში იყურებოდა.

— წარმოგიდგენით რა უხეაოსობაა.

— თქვა მალალმა ქერათმიანმა ქალმა და ზოზლით სავსე მზერა ესროლა ტიმოთეს. — ამ პატარა ბიჭში უკვე სათაელო ზის.

— მაძას ვეებდო. — წაილულულა ბასკომ.

— იბტიბარსაც რომ არ იტყვს?! ასეთი ოინი არ გაგვია. წარაპაყნავ!

— ძლივს გამოვათრიეთ. ებნაც დააპირა... მილიცია!

— როცა გჭირდება. კერას მტრეცხვების იპოვნი წესრიგის დამცველები იქნებიან.

— კომპრაჩიკოსები ხართ. — თქვა ივანემ.

ერთად თავმოყრილი ადამიანების აზრმა გაორება განიცადა. ხალხიც ისევე როგორც ყველაფერი გაორებულა ამ ქვეყანაზე — ფულიანი თუ უფულო ადამიანები. ანგელოზები თუ ატრაკაზები. ორი ბანაეი წარმოიშვა სწრაფად. ერთნი ამართლებდნენ ბასკოს მათ აღნიშნეს, რომ კოდექსში არსად არ არის მოხსენებული თვალთვალის საწინააღმდეგო მუხლი. რომ ზღვის ჯაგო ზოგჯერ სულს აფორიაქებს. მეორენი არ იზიარებდნენ ამ აზრს და ბიჭის დასჯას მოითხოვდნენ. ეს სასჯელი სამაგალითო უნდა გამხდარიყო სხვებისათვის.

— კოლექტიურად მიეწყოთ სკოლას! — წამოაყენა წინადადება ერთმა მგზავრმა. — წესიერი ხალხი უნდა შევერთდეთ. დავირაზმოთ. მაშინ სილირფე კერაფერს დაგვკალებს. ახლავე თუ არ ავადინეთ ზურგზე ბოლი შეძლებ დაგვიანდება.

ერთი მეცნიერ-მუშაკი არ დაეთანხმა. ქორია იყო. მაგრამ დამაჯერებლად ლაპარაკობდა.

— ეს არაპედაგოგიური ძილეგობა იქნებოდა. — თქვა მან. — მაკარენკო...

— არ გვინტერესებს მაკარენკო!

— პესტალოცი?

— არც ფუეე პესტალოცი!.. მიეწეროთ აღმზრდელებს!... ამისთახები ზღე-

ბიან შემდეგ ოჯახის დამანგოეველნი. პატიოსანი ქალების შეძაცდენელები!

მეცნიერ-მუშაკს მჭირში კაპი ამოსდეს.

დარბაზში საშინლად ცხელოდა. იფლი იღვრებოდა იოგვლოვ. მაგრამ კოავის აზრადაც არ მოსვლია ზღემაში ჩახტობა ან კაეტუსის ქვეშ წამოწოლა. თითქოს ბეთხოვენი უკრავდა ოოიარზე, თითქოს ასტრონავტები ძიფობიანდნენ მარსზე, ან კევოცხებს აოიგებდნენ. ორ უკიდურესობას შორის უტვინოებას და გონიერებას, სიბოლო-

ტესა და სიკეთეს, სიციხესა და სიცივეს შორის მრავალი გარდამავალი ფორმა არსებობს. ერთ-ერთი მათგანია გატაცება და თავდავიწყება.

— რამდენი წლის ხარ? — ჰკითხა შუახნის ქალმა, ასე გულმოდგინედ რომ ეკვირა გაწეილილი ყური.

— თერთმეტის, ბიცოლა, ოქტომბერში თორმეტის გავხდები.

— შენი ბიცოლა ჩინეთში ცხოვრობს და უკვე ქვრივია.

— თხუთმეტი წლის შესახედაობა კი აქვს. — თქვა ქერათმიანმა ქალმა და ისევ გახედა ტიმოთეს.

— სამხრეთელია, ადრეა მოწიფული, — ევერი დაუკრა მეცნიერ-მუშაკმა.

— უკანასკნელად გაფრთხილებთ. — იყვირა ტიმოთემ. — თქვენ იცით, რომ მაგის რთის საშოვნელად ყოველდღე დილის ექვს საათზე ვდგებოდით!

— იაღლიში მოუვიდა. აპატიეთ. იკლიკანტური შემთხვევაა.

— გაათავისუფლეთ ბიჭი. — მოითხოვა ზეინკალმაყ. — კაცი თავისუფლებისათვისაა გაჩენილი და არა შეზღუდვისათვის.

— ასეთი კი მართლაც რა მოხდა. რა უნდა დაენახა ისეთი ამ წყრთის სიგრძე ბიჭს. — თქვა ერთმა მგზავრმა, რომელიც მანამდის ქალებს ემზრობოდა. — სამოცდაორი წელია ვაცეცებ თვალებს და ვერაფერი მნიშვნელოვანი ვერ შევამჩნიე დედამიწაზე... რამდენიმე წამის განმავლობაში ამ ბიჭს ჭუჭრუტანაში რა უნდა დაენახა ისეთი?

— როგორ თუ რა უნდა დაენახა? — იყვირა ახალგაზრდა ქალმა. — შეიძლება ძირმაგარა მაქვს ბარძაყზე?

მაშინვე ყურები ცქიციტეს. — ძირმაგარა?... სხვათაშორის, სამყურა ზალახი უხდება... მაქარსაც ბევრს ნუ შიირთმევთ.

— თქვენზე კარგად ვიცი. რაც უხდება... მე ვთქვი, შეიძლება ძირმაგარა მაქვსთქო.

— ეს დიდი მკრეხელობა იქნებოდა... წანაზარდი, მუქეჭვი ქალის სხეულს

არ ამშვენებს... უდაბნოსაგან რუსული კედლები იყო ყოველთვის მიმზიდველი. ძველი მხატვრებიც ასეთ ფეხებს ხატავდნენ... ყოველშემთხვევაში, ძირმაგარიანი ფეხი მე არ შემხვედრია არც რემბრანტის და არც ექსპრესიონისტების სურათებში. თანამედროვე რეალიზმიც უარყოფს მუწუებს.

ექსპრეტები და სპეციალისტები ისევ ორ ბანაკად იყვნენ დაჯგუფებულნი. დარბაისელმა ჩალის ქუდიანმა მამაკაცმა დამწუხრებული ხმით თქვა:

— რა პატარაა და უკვე საითყენა აქვს მზერა მიმართული... რა გვემართება, საიდან იზადებიან თავგუნება, ურცხვი თიყნები? როდის მოასწრო ადილაში გამოსვლა?

— ჰიონერი ხარ?

— კი.

ერთმა მალალმა კაცმა შემდეგი განაცხადა:

— ჩემთვის ყველაფერი ნათელია. ფსიქიატრი ვარ. აქ ავსტრიაა დამნაშავე.

— ავსტრია რა შუაშია? — იკითხა ჩალისქუდიანმა მგზავრმა. — ასეთი პატარა ქალში როგორ იქნება... თუმცა...

— ავსტრია თავის დროზე მთლიანად რომ გავნადგურებიათ. ეს არ მოხდებოდა... არ დაიბადებოდა ფროიდი. არ გავრცელდებოდა ფროიდის ბაირალის ქვეშ თავშეფარებული გარყვნილება... ყველაფერი ნათელია.

ერთი-ორი არ დაეთანხმა ამ აზრს. ადამიანები ფროიდადმდე საკმარისი გატაცებით მისდევდნენ ამ სპორტს. სექსი უფრო გართობა, სასიამოვნო თავშეკეცვა და ფარული სანახაობაა, და არა გარყვნილება. ზეინკალმა კი იკითხა: — რაა ნათელი?... — შემდეგ დაუმატა: — შეედა ბიჭს, ნახატები ვერ გარჩია კარზე... ხომ ასეა, ბიჭიკო?... ფროიდი კი არა, აივანოვსკი გვინდა... კაცის ხატვა არ იციან წესიერად... ამა გაარჩიეთ. მამაკაცი ხატია თუ ქალი?

ხალხო. აივაზოვსკი გვკვირდება, ზღვის
ახლოს ტყუილებრალოდ კი არ ვდგა-
ვარ...

- აივაზოვსკი გვკვირდება!
- სხვა ბევრი რამეც გვაცლია, მაგ-
რამ...

„ხალხი ბრძენია, — გაიფიქრა ბიკე-
ნტიმ, — ჭეშმარიტება კი აზრთა ჭი-
დილში იბადება, ასე იყო მოსეს დრო-
იდან მოყოლებული“.

— მეგობრებო, პატრიოტებო, პატი-
ოსნების საბჭოს წევრებო, — მიმართა
ქალებს ზეინკალმა, — გაათავისუფ-
ლეთ, უდანაშაულოა... მერწმუნეთ, წა-
რმოდგენაც კი არა აქვს სხეულის ავ-
კარგზე.

— რას ბრძანებთ, — იყვირა ყმაწვი-
ლმა ქალმა და ნესტოები აუთრთოლ-
და, — მაშინ ამ ღლაპს ასე რატომ ჰქო-
ნდა დაპრაწული თვალები?

— მამას დავეძებდი, — წაილულულ-
და გაოგნებულმა.

— ასეთი ოინები არ გაგივა!

ბასკოს კვირაში ერთხელ მაინც
უჩიჩინებდნენ სკოლაში, ბიკენტისაგა-
ნაც მოესმინა, რომ ადამიანი ბუნებით
კეთილია, რომ სიცოცხლე იგივე ჰოე-
მაა, რომ ბუნების უმეტესი გამოვლი-
ნებანი ამაღლებენ, წმენდავენ, ხეწა-
ვენ, ხორცსა და სიხარულს ასხამენ პა-
ტარა ადამიანს... მაგრამ ახლა რა ხდე-
ბოდა?.. მან ჭერ არ იცოდა, რომ სიტყ-
ვასა და სინამდვილეს შორის ერთი ან
ორი კილომეტრი კი არაა, არამედ, ერ-
თი, ორი ან უფრო მეტი სინათლს წე-
ლია გადებული.

— ცრუობს, ასეთი ვნებიანი თვალე-
ბი ჩემს იგორსაც კი არ ჰქონია არასო-
დეს... მამას რა უნდოდა დაბლა?! —
ნიშნის მოგებით იკითხა ახალგაზრდა
ქალმა.

— შენი იგორი ეტყობა ცვედანიო.
— თქვა ზეინკალმა. აშკარად ბიჭის მხა-
რზე იდგა.

— ნურას უკაცრავად, ვერ მოგართ-
ვეს პატრიოქანი.

შემდეგ ბიოლოგიურ მეცნიერებათა

კანდიდატი გამოძებნეს. მას მტკიცებით

— რა ახატია კარს: კაცი თუ ქალი?

კანდიდატი არ აჩქარდა. ახლომხედ-
ველი გახლდათ და თითქმის ცხვირი
მიბეჩინა ნახატს. დიდხანს ათვალაოე-
ბდა, სწავლობდა. შემდეგ თქვა, რომ
ისევე, როგორც თანამედროვე გოგოს
და ბიჭის გარჩევა ზოგჯერ გაძნელე-
ბულია, ასევე ნახატშიც ხშირად შეუ-
ძლებელია მამლაყინწას ვარიისგან გან-
სხვავება. დგება ის დრო, როდესაც
ზღვარი იშლება ქალსა და კაცსა, ქალა-
ქსა და სოფელს, ზეცასა და მიწას, სიკ-
ვდილსა და სიცოცხლეს შორის.

აეროვაგზლის უფროსის მოადგილე
დარბაზის კუთხეში იდგა და აბაშელ
ვიტალის შესცქეროდა დაღლილი თვა-
ლებით. გვარიანად ისაუბრეს მოსავა-
ლზე. მეტი აღარაფერი ჰქონდათ სათქ-
მელი თანასოფლელებს. მაშინ შექუ-
ჩულ ხალხს ჰკიდა თვალი მოადგილემ
და ხელი გაუწოდა ვიტალის:

— წავალ ახლა, მივხედავ იმ ხალხს.
ფორმიან მამაკაცს მაშინვე გზა დაუ-
თმეს.

თავიდან ვერაფერი გაიგო მოადგი-
ლემ. ყველა ერთხმად დაპარაკობდა,
ყველა ცდილობდა მისი ყურადღების
მიპყრობას. ზოგიერთს შეიძლება ბი-
ლეთიც ჰქონდა ასალები და გაამხანაგე-
ბას, გაშინაურებას ცდილობდა. როდე-
საც ბოლოს და ბოლოს ჩაწვდა საქმის
არსს, მოადგილემ კეფა მოიფხანა.

— მოქალაქეა ვერ დავსჯით... გაუ-
თავისუფლეთ ყურები.

— რატომ?

— რომელ სქესს ეკუთვნის მოქალა-
ქე?

— მამრობითს.

— ტუალეტოც მამაკაცებისა.

რამდენიმე წამით ანგელოზებმა ჩა-
მოიარეს. ამ სამარსებურ სიჩუბეში
დამაგნიტებული, დაძაბული, შეძარკე-
ნებელი ხმა გაისმა უეცოვ:

— ბრალს გდებთ მკიოეწლოვანის
შეცდენის ცდაში!

ქალებმა მაშინვე ცრუებები გადმო-

ყარეს და პატიება ითხოვეს. ისე კი ცხოვრება ამბრაკადმარა და იგი გაუმეზრობაზეა დაფუძნებული. როცა მოგეჩვენება, რომ აი, ახლა, ამ წუთას, გამარჯვების დროშას ააფრიალებ, სწორედ მაშინ გამოგიდებს ვიღაცა კვანტს, ან მანქანის ბორბალის ქვეშ დიდ ლოდინს დაგიდებს ფარულად.

— შეუხდე, ტიმოთე!

ეს ბიკენტის მოწოდება იყო. ცოტახნის შემდეგ ტიმოთემ განაცხადა:

— ჩემს მეგობარს უმადლოდეთ, კაცს, რომელიც დიდსულოვნებისთვისაა გაჩენილი, კაცი, რომელიც მოწყალებას ემსახურება.

ქალებმა მადლობა გადაუხადეს ტიმოთეს. ბასკოს თავზე გადაუხვეს ხელი, მიელოლიავენ. ხალხი დიშალა — ზოგიერთი ნასიამოვნები, ზოგი — შამაყოფილო.

— სასხლავის წვერზე ეყიდე, — უთხრა ბასკოს ბიკენტიმ, — ცოტას გაწყდა, ყური არ აგახიეს.

— მალე მოვშორდებით აქაურობას? — იკითხა ბიკმა.

— მალე, მაგრამ მანამდის...

ყველაზე სასიამოვნო ამ ქვეყანაზე ჭკუის სწავლებაა, შეგონება, მასწავლებლობა. ამიტომ ბიკენტიმ დრო იხელთა და ბასკო გვერდზე გაიყვანა.

— დღეს მართალია ხიფათს გადაეყარე, — უთხრა ბიკს, — მაგრამ ჩინებული გაკვეთილიც მიიღე. ბორბლები, რომელმაც დღეს მედუზის თვალებით ჩახედა, გაგამწარებს და ან სიგარეტის წვევას დაგაწყებინებს. ან ფურთხებას ან კიდევ პოეზიის ტაძრის კარამდის მიგიყვანს, ლირას დაგაქერინებს ხელში და სამებზე ჩამოგაკრევენებს პატარა თითებს. ყველაზე დიდი მგოსანი ყველაზე დიდი ტანჭულიც იყო. შენ ხალხს უმღერებ და გულს გადაუშლი, თუ როგორ დაუმსახურებლად ავიწიეს საჯაროდ ორი პატარა ყური, როგორ გამოგიყვანეს ტულატიდან დედაკაცებმა და როგორ გამოგამზურეს. მოუთხრობ, თუ როგორ მიიღე პირველი სე-

რიოზული ჭრილობები. თუ რამდენი წუთი მარტოობისა განიცადე ბრბოს წინაშე...

— რა ჭრილობები?

— ყურის აწვევის შედეგად მიღებული სულიერი ჭრილობები.

— ყურის აწვევა მესიამოვნა კიდევ, განსაკუთრებით ერთ მათგანს ნაზი თითები ჰქონდა.

ბიკენტიმ შუბლი შეიკრა.

— ყური სიამოვნების აღმქმელი ორგანო როდია. ყური — სულის ინსტრუმენტი, ძაბრია, რაშიც ისხმება მუსიკის ჰანგები, გაჭირვებული ადამიანის თხოვნა და ვედრება, უფროსების დარიგება... სიამოვნების მომნიჭებელი ორგანოები სხეულის სხვა მიდამოებშია განლაგებული...

ამ დროს ტიმოთეც გამოჩნდა. ჩემოდნები მოჰქონდა.

— როგორ მოგწონს „არდადეგების“ დასაწყისი?

— დასაწყისი მშვენიერია... კიდევ ერთხელ დაერწმუნდი, რომ საჭიროა ხაფანგების დროზე დაგება... შეეპყრათ ბრიყვები და გავაჭკვიანუროთ!.. ახლა კი გავსწიოთ, იწყება ჩვენი წანწალი, ესე იგი ნამდვილი სიცოცხლე, სავსე და საინტერესო ცხოვრება.

5.

ტიმოთეს ზოგიერთი შურის თვალთშესცქეროდა. იგი გაზაფხულის პირველ დღეს დაიბადა. მშობლებმა ტიმოთე დაარქვეს, უწყინარი, კაფოლიტაური, ძველი სახელი. ამ სახელს სკოლის დამთავრებამდე ატარებდა, და შემდეგ კიდევ რამდენიმე წელი. ბავშვობიდანვე ეძებდა უპოვნელს, როგორც პოეტი სიკვდილის კარამდის უთვალთვალებს ხოლმე დაკარგულ ბუნებას ან იმას, რაც არასოდეს არ გაჩნდა. გულუბრყვილო ხასიათის გარდა, უამრავი თმა ჰქონდა. თმა ეზრდებოდა ცხვირზე, ყურის ბიბილოებზე... პატარაობიდანვე სრულყოფილად დაეუფლა ბრძოლას ზოგი-



ერთ ილეთს. მაგალითად, ფეხებზე ეკი-
და, თუ რა შეხედულების იყო სხვა მა-
სზე. უმაღლეს სასწავლებელში ვერ
მოხვდა, ზედიზედ სამჯერ სცადა ბედი.
მერე მიხვდა, ყველაფრის მიზეზი მისი
წარმართული სახელი რომ იყო და გა-
მოიკვალა. ვამეზი გახდა. ახლად მონა-
თლული ვამეზი კლასის ამხანაგებისათ-
ვის ისევ ტიმოთედ დარჩა. ზოგიერთი
ნაცნობი კიდევ დაიბნა — სახელისა
და გვარის გამოცვლამ ხომ შეიძლება
წინაპრების შეცვლის სურვილიც რომ
აღუფრას კაცს. ყველას უნდა, პაპამისის
პაპა ვახტანგ მეფე რომ უოფილუჯო. ან
ბენჭიამინო ფორდი. მაგრამ წარსულს,
ბედს, თუ ერთხელ გამოგიჭირა, კერ-
სად გაექცევი. თუნდაც ლეოპერა, ან
ფოცხვერა გერქვას.

მეოთხეჯერ სცადა უმაღლესში მოწ-
ყობა და როდესაც ისევ მოეცარა ხე-
ლი, უკვე აღარ წყენია. მიხვდა, რომ
დოქლომის გარეშეც შეიძლებოდა გა-
ვირინება ქალაში. მანამდის მაგნიტო-
ფონის ქარხანაში მოეწყო, კეთილსინ-
დისიერად აითვისა ხელობა და ცხოვ-
რებას გულუბრყვილო და მშვიდი სიდი-
ადით გადახედა. ჩვიდმეტი წლისა და-
ქორწინდა. ოცი წლისა ბეუღლეს და-
შორდა. თავი რომ დაეცვა, შეუღლება
და დაშორება მდინარეში ჩაყვანთვის
და ამოყვინთვის შეადარა. მაშინ მეო-
რეჯერ დაქორწინდა და მეორეჯერვე
თავგალუშულმა ამოყვინთა. ერთი წე-
ლი შეისვენა. შემდეგ სადღაც ამოიკი-
თხა, რომანის მოძრაობა. მოქმედება
ნელ-ნელა უნდა ვითარდებოდეს, რომ
მისი გმირების გრძნობები და აზრები
დიდი ხნის განმავლობაში მოთოკილი
უნდა იყოს მაქსიმალურად. ამან ის მი-
ანიშნა, ის მართალი აზრი დაუბადა თა-
ვში, რომ ცხოვრება რომანი როდია.
ამიტომ მასაც გმირებთან. ამ მოგონილ
ფიტულებთან. საერთო არაფერი აქვს...
მესამე ქორწინება ბედნიერი გამოდგა.
ცოლ-ქმარმა ერთმანეთი შეინარჩუნეს,
მიუხედავად წვრილმანი შეტაკებებისა,

კანქვეშ სისხლ-ჩაქცევებისა და
სახის პაწია უსიამოვნებებისა.

ტიმოთე მაინცდამაინც არ სძულდათ.
მის ქონებას, ძალაუფლებას, გაქანებას
და შთამომავლობას მხოლოდ გულგრი-
ლობის აღძვრა თუ შეეძლო. მაგრამ მი-
სი ერთი თვისება მაინც აღიზიანებდათ
ზოგჯერ, ეს კაცი, რომელსაც არც წე-
სიერი ბინა გააჩნდა, არც აგარაკი, არც
მანქანა და არც მოძავალა, თავს ხშირად
თავისუფლად გრძნობდა და ისე იქცე-
ოდა, როგორც მოეპრიანებოდა.

ტიმოთე და ბიკენტი ბავშვობიდან მე-
გობრობდნენ. ხოლო ზაფხულობით
ზოგჯერ ზღვაზე ისვენებდნენ ერთად.
მრავალფეროვნება მიმზიდველია, ცვა-
ლებადობას გულისხმობს და ახალისებს
თვალს. სიხარულს ეძებს ირგვლივ. ე-
დევ ერთხელ ატყუებს კაცს. ზაფხულს
ხან აჭარაში, ხან აფხაზეთში და ხან
კოლხიდაში ატარებდნენ. მაგრამ მაგრამ
მაინც ყველაზე მეტად მიიზიდა მათი
ეურადლება. გაგრას ყველა ვერ აღიქ-
ვამს ბოლომდის და ღრმად. მის დასა-
ნახავად და შესაფასებლად განსაკუთ-
რებული თვალთა საჭირო. წაგნების თა-
როებს, სადაც მსოფლიოს შედეგები
ალაგია, თუ კი ცარიელი თავი უცქე-
რის, რა უნდა შენიშნოს ან რა უნდა
შეამჩნიოს?

— ბიჭო, მალაზის ვიტრინები თბი-
ლისშიც საესეა, — უთხრა ბიკენტომ
ბასკოს, — აქ ჯერ ზღვას გადაავლე
თვალი, შემდეგ მთებისკენ შეტრიალ-
და... მაშინ როდესაც ხელის ერთი გა-
წედლობით შეიძლება მშვენიერებას და
ცხოვრების სიხარულს, მიწვედ, შენს
ეურადლებას მეშხანური საგნები იპყ-
რობენ. ეს სულის სიღატაკეზე, უხეშ
და მდაბალ გრძნობებზე მიუთითებს,
რაც სავალალო და ჩასაფიქრებელია.

— ეს პერანგი უნდა მივიღოს მამა-
ჩემმა.

— რომელი?

— ვიტრინაში რომ არის გამოდებუ-
ლი.

— რას ბერულობს? — იკითხა ტიმოთემ.

ბიკენტიმ მამინვე აუწყა ბიჭის მოთხოვნა.

— ათი მანეთი ეღირება.

— მარტორქას ჭუჭულები არ უნდა?

— იკითხა გაბრაზებულმა ტიმოთემ.

— იმ პერანგის სანაცლოდ, თბილისში რომ დამატოვებინეთ, — განმარტა ბასკომ.

— თუ ვინდა ბავშვი სწრაფად გაიზარდოს, — უთხრა ტიმოთემ ბიკენტის, — ხშირად უნდა აუწიო ყურები.

— თუ არ მიყიდის, გამას დავუძახებ.

— ამისთანებს უნდა ერქვას მოაზროვნე ლერწამი?

თბილისიდან გამომგზავრების წინ მამა-შვილი შეთანხმდნენ, რომ დროებით ისე დაიჭერდნენ თავს, როგორც ღვიძლი იშვები. ქალი, სხვადასხვა აღნაგობისა და შეხედულების დიაცი, აკეთილშობილებს მამაკაცს. მათი მეშვეობით აღამიანის ბუნებაში წარმოჩინდება საუკეთესო თვისებები — რაინდობა, დიდსულოვნება, თავდადება, დავიწყებული მამულის, მიწებისადმი ღრმადი, პატივმოყვარეობა. ქალს კი თავისუფალი მამაკაცი უფრო იზიდავს, ვიდრე წვრილშვილიანი და გაჭირვებული. ამიტომ ერთი თვით ვაშები და ბასკო ძმები არიან.

ბასკო ვიტრინას არ ცილდებოდა.

— აი, ის წითელი მომიხდებოდა. — თქვა მან.

— ეუთაქო? — ჰკითხა ტიმოთემ ბიკენტის.

— თუ პერანგის შექმნას მამობის დაბრუნებას არჩევ, მოსდევ.

— ასე როგორ დავუთმო?.. ეს ხომ ცალკეტუჩობაა.

— სხვა გზას ვერ ვხედავ.

— თავაწყვეტილი, აულაგმავი ინსტინქტების წახალისება გამოვია... ნაყინს არ დამჯერდება?

— ნუ იტყუებ თავს.

— ნამდვილი ყარანგოზიანთ ქორია. გახეთში გახვეული ახალი წითელი

პერანგი ილლიაში ამოიჩვენა მისი მთავარ ქუჩას გაუყენენ და მილიციის გვერდით მდებარე სასაუბმესთან შეჩერდნენ. დილიდან უჭმელები იყვნენ.

— ვახტანგ გორგასალის დროს იყო რიგი? — იკითხა ტიმოთემ.

— თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენი მდგომარეობა დღითიდღე უმჯობესდება, მაშინ იმ დროს რიგი პონტის ზღვიდან კავკასიონის ქედამდე უნდა ყოფილიყო გაწოლილი... იღვწენ რიგში კოლხები, ქანები, აფხაზები, ქალდეველები, ტიბარელები, სპარსელები და ბიზანტიელები. ელოდებოდნენ.

საათზე მეტ ხანს იღვწენ რიგში. როცა მათი ჭერიც დადგა, სწორედ მაშინ გაათავდა კვერცხი და არაქანი.

— არიქა ვილუბებით, — იყვირა ტიმოთემ, — ბიკენტი, სადა ხარ?

მამინვე მოიბრინა მეგობარმა.

— ეშმაკმა ჩამოგვიარა? — იკითხა მან.

— ცუდათაა საქმე, დავგრა ხეიტი — ტიმოთემ გულბოყვზე დაირტყა მუშტი.

— მთლად ნუ გადაირევი. — უთხრა ბიკენტიმ. შემდეგ ანუგეშა: — დიდი პასკალი, სპინოზა, ფრანკისკო ასიზელი წლობით არ ჰამდნენ. მაგრამ მაინც აღამიანები იყვნენ... გაუყვილი, გასინტრიცებული კაცი, ვინც კი შემხვედრია, ყველა ბითური იყო.

— ბიკენტი, ბუნებას თავისი მიზანი. თავისი კანონები და შეხედულება აქვს... როცა მუცელი ყელში გწვდება, გაიწყდება პასკალი. მუჰამედ ალი და ის გრანდიოზული გეგმებაც, რომლებიც მომავალში უნდა განხორციელდეს... ისე პერმარილწამებელი კაცი, თუნდაც სპინოზა ერქვას, არა მწამს. ხოლო სანამ გოეთეზე დაიწყებდეს ფიქრს, სანამ ვარსკვლავების მზერით მოიხიბლებოდეს, მანამდის კაცმა იოლად უნდა მოიპოვოს ერთი ბოლოკი, ერთი კვერცხი, ნახევარი ქილა მანონი და ნატეხი პური, საჭამადი ზიზილპიპილო-



ები და ლეიწილები როდია, და არც სამოთხის გასაღებია... ხოლო ყველა მშვირი მურთხი და დაფსხრიყულია ჩვენსავეთ.

— ეს ძველი, გადმონაშთური და მუშანური ფილოსოფიაა.

— მშია, — თქვა ბასკომ.

— ბავშვმა რაღა დააშავა?.. ახლა, რომ ავდგე და ავერ იმათ, კუთხეში გემრრეელად რომ მიირთმევენ, მივუახლოვდე, თავში ქვა ჩავცხო და ქილა მაწონი გავიტაცო, ვინ გამამტყუნებს, ვინ მიწოდებს ყაჩაღს?

ბიკენტიმ თქვა, რომ ცარიელ ლაპარაკს, რაიმე რეალური გადაწყვეტილების მიღება აჭობებდაო, რომელიმე ანგელოზისათვის თავის მიბარებაო.

ამ დროს ახალგაზრდა გამყიდველმა ქალმა იკითხა:

— რამდენი ხართ?

— სამნი, — იყვირა ტიპოთემ.

— საიდან ჩამოხვედით?

— თბილისიდან.

— რაღაცას მოგიხერხებთ, — გაუღიმა გამყიდველმა, — ნუ ჩამოყრით ყურებს.

— ჯადოსანო, კეთილო ფერიავ, მოჯამაგირედ დავიდგებით, სერენადას გიმღერებთ.

როცა დანაყრდენს, გამვლელებს დაუწყვეს თვალიერება. სახის ფერიც მალე ეცვალა ტიპოთეს — ვარდისფერმა გადაკრა, რაც მის ჯანსაღ და მზიარულ ხასიათზე მიუთითებდა. ვინც მკირედით ემყოფილდება, ის უპირატესობა აქვს, რომ ცხოვრების დამანგრეველი ძალები გვერდს უვლიან და იშვიათად უქარწყლდებათ იმედი და ნუგეში, ხოლო ძებნს, თევზსა და მკადს ყოველთვის იშოვნის კაცი, ძალიან თუ გაიჭაჭება.

— მუცელს, ლა პანჩას, როგორ უნდა აქყვა, ბიჭო, — უთხრა ბიკენტიმ ტიპოთეს, — გოეთე როგორ უნდა გაცვალო მაწონში?

— როდესაც სტომაქი გატენილია, გოეთე ისევ ჩემი მეგობარი ხდება. აქედან ის გამომდინარეობს, რომ ადაძია-

ნის ყველა ორგანო პარმოხიულად სავესე და ემყოფილი უნდა იყოს, თუ კი ნამდვილად გესურს მშვიდობით, ბედნიერებით და სიხარულით დატყვეს კაცი... ცხოვრების უმთავრესი ტაძარი — ეუქია. ის, რაც ტრიალებს, ყველაფერი დიდებულია — დედამიწის წრიული სელა მზის ირგვლივ, ვარსკვლავების სირბილი ერთმანეთის გარშემო, კერის და ყანწის ტრიალიც. მაგრამ ყველაზე უკეთესი მაინც — ექუში წიწილას და ტყემლის ჩასრიალება და ბოუნება.

ასეთი გონივრული საუბარი გააბეს და ზღვისკენ გასწიეს. შხად იუხუნ მწყერაობის გასაჩაღებლად. ბიკენტიმ შავი სათვალე გაიკეთა. ტიპოთემ ზემოდან გადააელო თვალი მზეზე მოხუნტრუცე ქალებს.

— შეხე, ვინ მოდიან. — თქვა ბიკენტიმ.

— ბედნიერნი ჩანან, — თქვა ტიპოთემ, — ალბათ ძალიან უყვართ ერთმანეთი... საიდან იცნობ?

— თვითმფრინავიდან, — ბიკენტიმ თავი დაუკრა ნუცას და ბიქტორს. როდესაც ცოლქმარი დაშორდნენ, ბიკენტი დაინტერესდა: — ეტყობა იტალიური ფეხსაცმელები მაინც ჩაიგდო ხუციკომ... ჩაო. ბამბინო, ბონა სეოა, სენიორე, არივედერჩი, ბამბინო, ბამბინო, ლა სორელა — ბიკენტი იტალიულად ასაღებდა თავს.

— ბიბია, იტალიური საიდან იცი? — იკითხა გოცებულმა ბასკომ.

— ბაბუაჩემის ბაბუა. ილ ნონო, სიცილიელი ან რომაელი იყო.

— შეხე... ფეხბურთს ხომ არ თამაშობდა?

შემდეგ ნაყინი იყიდეს. მოხარულ სიმინდზეც არ უთხრეს უაზო ბასკოს.

— ახლა რა კჭნათ?

— ახლა კოდლას ვუფსტევიზოთ.

როგორ იქცევა ნიჭიერი მხატვარი, როდესაც სამყაროს საიდუმლოების

ფარდის ახდას გადაწყვეტს? ლამაზი ქალი გამოყავს ზღვაზე, ნახევრად აშიშვლებს მას და ტალღების სიახლოვეს აწევს.

ლამილისფერი საცურაო კოსტუმო ეცვა მედეას. იღგა და არც იღგა, ფრთებიც ჰქონდა და არ ჰქონდა, იყურებოდა და არც იყურებოდა, მიწიერიცა და ციურიც. მისი შემყურე უცებ რწმუნდებოდა, რომ სიცოცხლე არავითარ შემთხვევაში არც სისულელე და არც უაზრობა არ იყო. ქალებში შურს, მწუხარებასა და ტყვილს აღიზავდა, მამაკაცებში ჭერ ვნებასა და დაუოკებელ ძინს, შემდეგ — სასოწარკვეთას. საკმარისია მისი ერთი გამოხედვა და სწრაფად აიჭრები ცხოვრების კიბეზე, იღბალი გეწვევა ქოხში და გულში, გაგისწორდება მრუდე და კნაჭა ფეხები, თხელი ჰკუთ უმალ გაგისქელდება, განძს დაეპატრონები ტყეში. ხოლო თუ ზენაც შეგაწევა, შეიძლება მართლაც მანამდის არაფერი, არაარობა — ნახევარ კაცად მაინც იქცე.

თბილისში ის უფრო პატივცემულია, ვისაც მსუბუქი მანქანა ჰყავს, ვიდრე ის, ვინც ველოსიპედით ან ფეხით დასეირნობს. მედეაც მტკიცედ ადგა ამ აზრს. მიწყვიც ასე იყო: ქალს ვიროსანს ჯოროსანი ერჩივნა, ხოლო ჯოროსანს — ცხენოსანი. მედეა... გელი... თვალუბის ნაცვლად — ორი ჭერ აღმოუჩენელი ვარსკვლავი, მკერდის მაგივრად — ორი ამოუცნობი საიდუმლოება...

ახლა მან თავისი ფართო, კეცის ხელი თვალეები მშფიდდად, მოთენთილად ზღვისკენ მიმართულ ტალღები ერთგული ძაღლის კუდივით ირხეოდნენ მისი მწყაზარი საოცარი ფეხების სიახლოვეს. შემდეგ თმა შეისწორა, რათა კიდევ უფრო თვალსაჩინოდ გამოეჩინა თავისი გრძელი, მოქნილი ხელები.

ერთი მელოტი დამსვენებელი, ხილბოსტნეულის მალაზიის გამგე, ყოფილი მსახიობი, ჩუმ-ჩუმად უთვალთვალდებდა მედეას. მან გაიფიქრა, რომ ან სიზმარს ხედავდა, ანდა სულ გამოთაყვანდა ორ-

მოცდათი წლის ასაკში. გიგანტური ქვიშა, ღრუბლის ნაფლეთი, მთები, პალმები. მხოლოდ დეკორაციაა ნიჭიერი უხილავი არსების მიერ შექმნილი, — ფიქრობდა იგი, — ჩვენ ისე ვართ გაფორმებულები, რომ სინამდვილეს მოვაგონებთ ერთმანეთს... შენ კი ერთხელ მაინც გადმოიხედე, სიზმარო”.

მედეას არ გაუხედავს მელოტი მამაკაცისკენ, იღგა და თითქოს ფერს მატებდა ზღვას, უფრო ალურჯებდა. შემდეგ ოდნავ მარცხნივ მიატრიალა თავი და ორ მამაკაცსა და ერთ პატარა ბიჭს მოჰკრა თვალი. ბიჭს საზამთრო მოჰქონდა, ნაპირ-ნაპირ მოდიოდნენ.

ბასკომ ორასიოდე მეტრიდან შეამჩნია მედეა.

— შეხეთ, — თქვა მან, — გელი, თეთრი გელი.

პატარა ნიანგის თვალეებით იყურებოდა. ბიკენტი შედგა და სათვალე მოიხსნა.

— შორიდან მართლაც გელს ჰგავს, ჩინო... ოღონდ ახლოდან იხვი არ აღმოჩნდება.

— ბიძა, რაღა ყველაფერში ცუდს ეძებ. უკეთესი არ იქნებოდა, კვატი გადად რომ გეჩვენებოდეს?... ეს კი ნამდვილი გელია.

ბიკენტის ხელი აეჭავა. მაგრამ თავი შეიკავა და ჩაფიქრდა. ბასკო ნაწილობრივ მართალი იყო, მართლაც რატომ უნდა ეძებო ადამიანში მაიმუნის ნიშნები, როდესაც ისეც ყველაფერი ნათელია.

— ნახე რას იკვანწება, — თქვა ტიმოთემ, — ასეთ გოგონას სულ ყაბულუფლავს ვაჰმევედი ერთი თვის განმავლობაში.

— დედა, რა ლამაზია, — პირი დაალო ბასკომ.

— ნუ ეუნდრუკობ და თავს ნუ იგდება, — დაუბღვირა ტიმოთემ.

ბიკენტომ დაიცვა ბიჭი.

— ზღვაზე სულის ბურღოში გახვევა სამარცხვინო როდია. სულის წაწყვეტა ზღვაზე საპატიოცაა.

როდესაც მიუახლოვდნენ, მედემ ზურგი შეაქცია. მათ მაშინვე იცნეს სტიუარდესა. ბიკენტიმ ნახევრად შიშველ სხეულზე გადახედა. ყოველთვის იზიდავდა ერთად შეყრილი ზაღები — ალღუმი თუ სტადიონი, ბაზარი თუ კრებები. ერთი ილიმება, მეორეს ზურგი მიუშვერია მზისთვის, მესამე მზესუშხირას აცნატუნებს, მეოთხე მესუთეს უთვალთვალებს. კოლექტიური მარტობა და სიცარიელე.

— იმპორტულ ტრუსებში გამოწყობილი სუკები, — თქვა ბიკენტიმ და პერანგის ღილები შეიხსნა.

შორს ტრულერი მიაპობდა ტალებს. მეთევზეების ნაეები წერტილებად ჩანდნენ. რამდენიმე თოლია ნაპირის სიახლოვით დაფრინავდა. ამ დროს კი ბასკო საზამთროს დებდა სილაზე. შემდეგ მედეს გახედა და ლაწვი მოიფხანა. მერე კი დუმილი დაარღვია:

— შეიძლება ამ ბურთს თქვენი საჩრდილობელის ქვეშ დავდებ?.. დაცხა საზამთროს.

მედემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქრა, ყელი მოიღერა და ამყად, აუჩქარებლად გასწია ზღვისკენ. ნაპირთან ფეხი წამოკრა ქვას და წაიფორხილა. სწრაფად გაიმართა წელში, ტკივილიც კი არ შეიმჩნია. გრანობდა, მთელი სა-ნაპირო თვალს ადევნებდა. ხოლო სილაშახისათვის, მშვენიერებისათვის მზად იყო მთელი ვაგრა გველო, რამდენჯერმე ფეხი წამოეკრა ან წვეტიან ქვაზე დაეხიჯა და არც ერთხელ არ შეემჩნია თავს დამტყდარი უბედურება. ნამდვილი ქალი უბედობაშიც დიდ სიჭიუტეს იჩენს.

ნელად შედიოდა ზღვაში მედეა — ჯერ კოჭებამდის მიწვდა წყალი, შემდეგ მუხლისთავამდის, მკერდამდის, ყელამდის. «ასე ვეფლობით ცხოვრებაში, — მელოტ თავზე მოისვა ხელი ყოფილმა მსახიობმა, — ბავშვები კოჭებამდის, ახალგაზრდები — წელამდის, ხანდაზმულები — ყელამდის და მერე საბოლოოდ კვცინთავთ... არის კი დი-

დი განსხვავება ნელ-ნელა მეტროპოლი და უეცრად ჩახტომადში?« ყოფილმა მსახიობმა თავი გააქნია. საქმე ის იყო, რომ ცხოვრების ის პერიოდი, როდესაც რწყილივით მოსვენებას არ აძლევდა მარადიული კითხვები — ფული თუ სინდისი, რბილი თუ საერთო ვაგონით მოგზაურობა, ხიზილალა თუ ბოლოკი — განვლილი ჰქონდა. მაგრამ ეტყობა რწყილი ერთხელ თუ შეგიძვრა კანქვეშ, შემდეგ თუნდ პროფესია გამოიკვალე და თუნდაც ნათი გადაასხი, ზოგჯერ მაინც ისევ წამოყოფს თავს და გიკებნს. მალაზიის გამგემ რატომღაც უბედურად იგრანო თავი.

მედემ თავაწეულმა გასცურა რამდენიმე მეტრი და უკან გამობრუნდა. ნაპირზე ტანი შეემშრალა პირსახოკით.

— დღეს წყალი სასიამოვნოა? — რუსულად ჰკითხა ბიკენტიმ. ამ ძველი ხერხით აპირებდა ძაფის გაბმას ლამაზ ქალიშვილთან.

დუმილი. ვაჟმა სათვალე მოიხსნა, თმაზე გადაისვა ხელი, ოდნავ დაიხარა და გააგრძელა:

— ცივ წყალს ვერ ვიტან, ჩვენ ცხელი სისხლი გვიჩქვფს ძარღვებში...

ზღვიდან ტიმოთე უქნევდა ხელს. ქალიშვილი პატარა მრგვალ სარკეში იხედებოდა. ბიკენტი სათვალეს აწვალებდა.

— აი, ჩვენთან იტალიაში...

— სად? — მაშინვე ლამაზი ყურები ცქვიტა მედემამ.

„მოხედა ლოქო ბადეს“.

— იტალიაში, სიცილიაში... აერტატო, ანიმატო, ინკვარტატო... ტანტი სალუტი.

მედემ მზიური ღიმილი აჩუქა ვაჟს და ნაზად გამოხედა:

— ნამდვილი იტალიელი ხართ?

„როგორ იზიდავს ყველას იტალია, მონტე კარლო, ტატი და სიერა მორენა... ბეგლეველი, ჯოჯოეთელი და რკვიელი კი არავის უნდა“...

— პატივი მაქვს იტალიელი ვიყო.

— რომაელი ბრძანდებით? — მედემამ

მობდენილად ჩაუშვა სარკე რედიციულში.

— აგროგენტოდან, — ვაჟმა გამჟოლ შეხედა, — სამხრეთ იტალიაში, სადაც ჩემი დიდი წინაპარი ემპედოკლე დაიბადა.

— მფრინავი ხომ არ იყო? — დაინტერესდა მედვა.

— ფრინველები და ადამიანები უყვარდა.

დაფინებით შესცქეროდა ბიკენტი მედვას და მალე სტიუარდესას თვალის გუგები თანდათან შეუვიწროვდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ყმაწვილი კაცის პიროვნებამ შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. ძლიერი სხივი ყოველთვის ავიწროებს გუგებს, ათბობს გაციებულ კიდურებს და წყვილიან ფანტავს სულში.

— დამიხატეთ თქვენი ქალაქი, — შეეხვეწა ქალიშვილი.

— ქალაქი პატარაა, იმდენად შემოსაზღვრულია, რომ დღეში ერთ კაცს სამი კაცის მოკვლის სურვილი უჩნდება...

— რა საინტერესოა.

— ნამდვილ მამაკაცს კი სამჯერ შეუყვარდება ხოლმე ქალი.

— მთელი ცხოვრების მანძილზე?

— არა... ერთი დღე-ღამის განმავლობაში, გათენებამდის.

— ეს ხომ უფრო აღმოსავლური ჩვევაა?

— საყოველთაო მიდრეკილებაა, სენიორა. ტემპერამენტული, ძლიერი მამაკაცის თვისებაა... აქ რელიგია და გეოგრაფიული განედი არაფერ შუაშია.

მედვას და ბიკენტის ღიმილით მიუახლოვდა ტიმოთე. მან ქალიშვილს ჰკითხა:

— წყალი ცივი ხომ არ არის?

— თბილია... თქვენ სადაური ხართ?

— მეიდ ინ შროშა, — პასუხი ბიკენტიმ გასცა.

— სად არის?

— სიცილიაში, ტირენის ზღვასთან...

იმერეთში... მერინა, პალერმო, შორაპანი გაგიგიათ?..

— ჩვენ, მე და ჩემი უმცროსი ძმა, თბილისიდან ვართ, ეს კი ჩვენი იტალიელი სტუმარია.

ასე იყვნენ მოლაპარაკებულები მეგობრები.

— მე კი თქვენი შვილი მეგონა, — გაიღიმა სტიუარდესამ, — რა სიმპათიური ბიჭია!

— რას ბრძანებთ, ძმაა... გაჩვენოთ საბუთი?

— სხვა დროს, ჩემო ბატონო!

შემდეგ ტიმოთემ ის კითხვები დაუსვა ქალიშვილს, რომელსაც ჯერ კიდევ ზუთიოდე წლის წინ იყენებდნენ გაგარის სანაპიროზე.

„არავითარი სიახლე, ანტიციპაცია, აზრის სიღრმე ან ფანტაზია, — გაიფიქრა ბიკენტიმ, — ახლა ანეკდოტებს მოჰყვება ან კარტის თამაშს შესთავაზებს... სად არიან ამჟამად, ნაღვლიანი, მორიდებული, პატიოსანი, თამამი მამაკაცები? მარტივი, ცარიელი, ზერელე ადამიანი შენც გამსუბუქებს და ტრიალ მინდორში ამოგაყოფინებს თავს. მაშინ როდესაც ტყის სიღრმე, მთის კორტოხი და ზღვის შუაგულია ნამდვილი ვაჟაკის სანატრელი მხარე“.

— მი პერმეტა დი პრეზენტარმი, სონო ბიკენტინო, — თავი დაუტრა ვაჟმა, — თქვენ როგორ გიხმით?

— მედვა, — უპასუხა და გოცებით შეხედა. ვაჟი ვერ მიხვდა ქალიშვილის განცვიფრების მიზეზს, გაუღიმა და სიგარეტის მოწვევის ნებართვა თხოვა, — იტალიელები ქართულად ლაპარაკობენ?

— ზოგიერთი... ფილოლოგიური დავამთავრე და გადაწყვიტე თქვენი ენა შემესწავლა. საქართველო ძალიან ჰგავს სიცილიას, ენა — სხარტი და ყველაფრის გამომხატველია, ქალები კი მხოლოდ თავყანისცემისთვის ხართ დაბადებულნი.

— რით ერთობით იტალიაში?

— სიყვარულით...

— ო, როგორები ხართ მამაკაცები...

რატომ ჰგავხართ ყველა ერთმანეთს?

— სიყვარული ყველაზე კეთილშობილური და სასიამოვნო გასართობია ამ ქვეყანაზე... მას არც ყანის თოხნა, არც დაზვასთან დგომა არ შეედრება.

— ბევრი გყვარებით თქვენს სიცოცხლეში?

— არც ისე ცოტა, ორასი ან სამასი... სინამდვილეში კი ალბათ არცერთი.

ისევ მოიხსნა სათვალე ბიკენტიმ. მედღეა ზღვას გასცქეროდა, თავი მიებრუნებია. ამიტომ ვერ ჩახედა კარგად თვალებში. მას კი ძალიან აინტერესებდა, იყო თუ არა თვალის გუგები დავიწროებული.

— იტალიელებს მხოლოდ კინოდან ვიცნობ... მარჩელო მასტროიანი, ნინო მამფრედი, ვიტორიო გასმანი, მასიმო ჭიროტი, მარია ვალონტი...

— დანტე ალიგიერი, — გააგრძელა ბიკენტიმ, — არიოსტო, ნიკოლო პიზანი, ბოკაჩიო, მიქელანჯელო...

— მიქელანჯელო ანტონიონი?

— მიქელანჯელო ბუანოროტო სიმონი... ჯოტო, ტინტორეტო, კარავაჯო, მაკიაველი, პინდემონტი.

— რომელ ფილმებში თამაშობენ?

— ცხოვრებისეულ, კომედიურ ფილმებში. მაგრამ თქვენ მაშინ დაბადებული არ იქნებოდით.

— სამწუხაროა.

— იტალიელებს, სიცილიელებს გულის ნაცვლად ქალი ან მარადიული, ჩაუქრობელი ცეცხლი უდევთ. როდესაც ის ქრება, ადამიანი ქოთნის საკეთებლად მიდის... დაბადებიდანვე საოცრად გიზგიზებს. ჭერ თვალი არ გვაქვს გახელილი და რძე ტუჩებზე შემშრალი, როდესაც სიყვარულის სერენადის სიმღერას ვიწყებთ. ჩვენ, იტალიელებმა შევქმენით ქალი, სიყვარული და აყალბაყალი. ამიტომაც, ვინც იტალიელს შეყვარებს, სენიორა, უბედნიერეს წუთებს განიცდის ცხოვრებაში, განუმეორებელს, მიუვლეველს, შეუძლებელს. ჩვენ შეგვიძლია პატარა ოთახიდან დავანახოთ, თუ რა ზდება კავკასიონის

ქელზე, ოკეანის ფსკერზე, ტყეში, შაჰის პარკში... იტალიელი ეს საოცრება და რომია, ნეაპოლი და პალერმო, ვერიონა და სან-მარინო, ჩივიტავეკია, პიზა და აველინოა...

მედღეს თვალეები მიენაბა.

— რომი, ჩივიტავეკია, აველინო... — ჩურჩულებდა გაოგნებული.

— სენიორა, თქვენი სურვილი თუ იქნებოდა, მარადიულ ქალაქს გაჩვენებდით.

— საიდან, პატარა ოთახიდან?

— არა, კაპიტოლიუმის და ესქვილინეს გორაკებიდან.

— ნუთუ მართლა გამომიგზავნით ვიზას? — თვალეები დაჟვიტა სტიუარდესამ.

— ფველი რომაელის სიტყვას გაძლევთ.

ასეც უნდა მომხდარიყო. ეს კანონზომიერია, იშვიათი რჩეულს უნდა შეხედეს, იტალიელი — ულამაზეს სტიუარდესას, ფველი რომაელის შთაბრძნავალი — რჩეული ერის, ხალხის წარმომადგენელს. „დედიკო, როგორა ჰგავს ახლა ვიტორიო გასმანს“.

— თვითმფრინავი არასოდეს არ წაგიყვანიათ?

— არა, მედღეა.

— ხომალდი?

— არც ხომალდი... სამაგიეროდ მანქანის საჭეს თავისუფლად ვფლობ, სენიორა... ნავის მართვაში კი ტოლი არა მყავს.

— კაცი თუ გყავთ მოკლული?

— მედღეა, ყაჩაღი როდი ვარ, მარღვებში კეთილშობილური და პატიოსანი სისხლი მიჩქვფს.

— თქვენს ენაზე როგორ იქნება — ზღვა?

— მარე.

— სიყვარული?

— ამორე, აფეტტო... ხოლო ძვირფასი — პრეფერიტო.

— ცა?

— ჩიელო... ვარსკვლავი — სტელა.

— რომში მივემგზავრები?

- ვენგო ა რომა.
- ბიკენტინო, ვენგო ა რომა, — გაიკინა მელდამ.
- ბონა სერა, სენიორა, ბამბინა, ფანჩილა.
- ჩვენ არ გვიყვარს ერთმანეთი?
- ნოა ჩი ამიაპო.
- „ნოა ჩი ამიაპო... ჩვენ აღარ გვიყვარს ერთმანეთი... გრიშას ერუდიცია აკლდა... ბიკენტინო კი, ღმერთო ჩემო, რა საჩუქარია“...
- როგორ იქნება: ყველაფერი მომბეზრდა ამ ქვეყნად?
- ინ ნომინე პატრის ეტ ფილია ეტ სპირიტუს ვინი.
- ბიკენტინო, რატომ არ შედიხარ ზღვაში?
- თქვენ გელოდებით, ერთად გაცუროთ ვედებოვით.
- ქალიშვილს დასვენება აღარ სურდა. მაშინ ვაემა ზღვას მიამურა.
- მხოლოდ რამდენიმე წუთით დაგტოვებთ, ტიპოთე და ბასკო დაგიცავენ საფრთხისაგან.
- როცა ამოყვინთა, მხარულით გასცურა. დიდხანს არ მოუხედავს. სიამოვნებდა თბილი წყალი და პატარა-პატარა ტალღები. „თევზი — ბიკენტი დაუმრუნდა თავის კერძას“. ლაყუნებით სუნთქავდა და ფარფლებით მიაპობდა წყალს. ქვემოთ კი მისი ტომის წარმომადგენლები ფუსფუსებდნენ — პირანები და ზვიგენები, ვეშაპები და თევზ-მახვილები. „რომელი სატყუნე აქვთ, რამდენი იმპერატორია, ვის კოცნიან მუხლებზე?“ აქ თავისუფლად ეჩვენებოდა თავი ბიკენტის, სამფლობელოც უფრო ვრცელი იყო, მყუდროებაც და მშვიდი მარტოობაც.
- ამ დროს თავზე მოტორიანი ნავი წამოადგა.
- სულ გამოტვინდი? — ჰკითხა ქუპრიოვით გაშავებულმა ვაემა.
- ასე ძალე დამიპატარავდა თევზით თავი?
- ათ მანეთს რომ გაშვლებინებ, მა-

შინ გნახავ, თევზით როგონტაშიყუნაქს ხალდები.

- უშარვლოთ ვარ.
- ვინ ხარ?
- იტალიელი... ბიკენტინო ეშპედოკლე.
- მილოციაში აჭიკიკილები იტალიურად.
- ამოვიდე ნავზე?
- უკან გაკურვა მოსაწყვენად მოეჩვენა ბიკენტის. მაგრამ ეშმაკობა არ გაუვიდა.
- ნაპირთან დაგხვდები... იცოდე, გაპარვას ნუ შეეცდები, ჩინეთშიც მოგძებნი... ჩაო, იტალიანო.
- ჩაო... ღრძო გული გქონიათ, მეგობარო... ჩაო.
- ნავმა წრე შემოარტყა ვაეს და ნაპირისკენ გაქრა კამარა.
- ნაპირზე ბასკო შეეგება ყვირილით ბიკენტის.
- ჰაუ, სად ხარ ამდენხანს?.. სახამთროს ნაჭერი შინც გადაგინახე.
- ბიკენტიმ მიმოიხედა.
- მელდა სად არის?
- სახლოსკენ გასცურა.
- დაუნიშნეთ პაემანი?
- თვითონ მოგეხებნითო.
- ყველაფერში ასეთი გლახები როგორ ხართ.
- შენ გელოდებოდით. — თქვა ბასკომ, — განა შენ არ ხარ ჩვენი ატამანი?
- ფუჰ, ასეთი გოგოს გაშვება შეიძლებოდა ხელიდან?

7.

ზღაპრულ წამებთან შერწყმა და ჯადოსნური მხარის ბილვა ყოველდღე შეიძლება განმეორდეს, თუ კი ძარღვებში სისხლს დემონები შეუჩნდებიან და ააჩქეფებენ.

მელდა სარკის წინ იდგა. ანარეკლი ნახატივით ჩანდა, ოდნავ მიჩქმალული, ჩრდილოვანი, საიდუმლო, საიდან მოვიდა, ვინ გამოიქრწა: გამიშვლებული

ასეთი სხეულის ხილვა საზიფათოა. მზრებზე გადაიგდო თმები. შემდეგ თუ-ძოზე დაისვა ხელი, გაიზმორა და ზან-ტად გაალიმა. ასეთი სხეული სიცოცხ-ლის დღესასწაულიცაა. „ახლა კი გან-ვიწმინდოთ შავი ზღვის განუმეორებე-ლი ტალღებით“. მასში ის ავაზა იჭდა, დაუნდობელს რომ უწოდებენ. თენდე-ბოდა.

სწრაფად ჩაიკვა. გადასერა ეზო, სი-რბილით გაჰყვა ხეივანს, ქადრის ხეს ცალი ხელი შემოხვია და წრე შემოარ-ტყა. ისევ გაიქცა. წელიწადის თორმე-ტი თვიდან ყველაზე მეტად ეს თვე იზი-დავდა — კეისარის თვე. ცხელი, ეინი-ანი... სულმოუთქმელად მირბოდა. ნუ-თუ ცხრამეტი წელი მართლაც ჯობია ორმოცდაცხრასა და ორმოცდაცხრა-მეტს? უცებ გრიშას სიტყვები მოაგონ-და, რომ ყველაფერი წარმავალია, რომ ერთხელ, როდესაც უკან მოიხედავ, გაცდები განვლილი გზის უფერულო-ბითა და სილატაკით. მაშინ შედგა და შემოტრიალდა. რამდენიმე წამი გო-ცბული უყურებდა ეგზოტიკურ მცენა-რებს, მათ შორის მოთავსებულ ალს-ფრად შეღებილ ზეცას. შეიძლება გრი-შა არ ცდებოდა, შეიძლება სამყარო მართლაც ქაოსიდან გაჩნდა. შეიძლება სიცოცხლე მართლაც ამოეხა და პაპი-როსის კვამლია, მაგრამ როგორ შეიძ-ლება ეს ხეები. ეს სიმწვანე და სილურ-ჯე. და თავად მედეაც სიზმარი ან სი-სულელე ყოფილიყოს.

ფიონი უბერავდა და ხეივანში, სა-დაც თმაგადავარცხნილი მედეა მდიო-და, ერთი მეორეს ცვლიდნენ პალმები, მაგნოლიები, ოლეანდრები, ევკალიპ-ტები, ქადრები, კვიპაროზები. ზღვის პაერთან შეზავებული მათი სურნელება თრიაქივით მოქმედებდა. შემდეგ სანა-პარო ხეივანი დაიწყო. ისევ ქოქოსი, დრაკენები, დაფნის ხეები. იქით, ხელ-მარცხნივ კი უსასრულო ზღვა. „მარიამ ლეთისმშობელო, საიდან ამდენი სას-წაული?“

ჩვეულებრივ ნავსაყუდელთან ბანა-

ობდა. მაგრამ უეცრივ დაუფრთხილ-ლით მიიზიდა ზღვამ, თითქოს ნაპირი-დან ვილაც ღვედით ექაჩებოდა, თით-ქოს მამაცი მფრინავი გრიშა უქნევდა ხელს წყლიდან. ველარ შეიკავა თავი, სწრაფად გადაუხვია გზიდან, ნაპირთან მოიბრძინა, სუნთქვა შეეკრა და ზღვაში გადაეშვა.

შორიახლო ნაპირთან ორი ქალი იჭ-და. ერთს გრძელი ცხვირი ჰქონდა, მე-ორეს — ძალზე მოკლე ფეხები. როდეს-საც მედეამ ჩაუარა, ერთმაც და მეორე-მაც რატომღაც შეურაცხყოფილად იჭ-რბნეს თავი.

— ხომ არ უკაუნებს? — იკითხა ერ-თმა.

— ეგზეშიანი იქნება, ამიტომ ბანა-ობს უთენია და კაბაში... მაგის შემდეგ წყალში ჩამსვლელი აღარ ვარ.

ჩითის კაბა მაშინვე შემოეტმანა სხეულზე. მაინც სწრაფად მიცურავდა. ნელა უბერავდა ბრიზი სიღრმიდან. ზღვა—თბილი, მეგობრული, გამჭვირვა-ლე, მედეა — მოქნილი, შეუცნობელი. ორივენი ცხრამეტი წლის იყვნენ, შე-მოქმედის ყველაზე საუკეთესო ქმნილე-ბანი: სატურნის ცხრამეტი ცრემლი და იმდენივე გაზაფხული.

როდესაც დაიღალა, უკან გამოსცუ-რა. ამ დაღლაში, კუნთების ამ მოდუნე-ბაშიც რაღაც წარმართული, შორეული, შეუცნობი იყო. ნაპირზე სველი კაბა გაიხადა და ქვებზე დააფინა. დედაკა-ცები გაოგნებულები შესცქეროდნენ მის უზადო სხეულს. ერთმა, თვალებდათხ-რილმა თქვა:

— და მაინც დრო სულ მალე მოუ-ლებს ბოლოს.

დილაადრიან მტვერი შეაყარეს სა-ხეში. რატომ მოქმედებს დამამშვიდებ-ლად ფსორიაზიანი კანი, ან უტვინო თა-ვი? რატომ გუზარავენ ის თვალეები, რო-მლებშიც რწმენა, სიკეთე და აპრილია ჩამჯდარი. რატომ გვაცვავენ ჯვარზე ზღვის ქაფიდან შობილი სხეულები?.. როდესაც პატარა კაცს ბევრი რამ აყ-ლია, თანდათან უგრძელდება ნიკაპი და

უსივდება ცხვირი. მაგრამ როდესაც ისევ მოეფერება ბედი, სიკეთე უჩნდება თვალბედაში და ცხვირიც უსწორდება.

მედემ სახე შეუღებია ნიავს, უფორმო, შეუცნობელ საგანს.

— ერთი ბარბაყი მინც უფრო მსხვილი აქვს, — დაასვენა დაგვაჯულმა.

ადამიანები ყოველთვის ფხიზლად არიან, სწრაფად აღმოუჩენენ ხოლმე ერთიმეორეს წუნს და დროზე მიუთითებენ. სხვანაირად მათი არსებობა ცოტათი გაუგებარი, ხოლო სიცოცხლე — მოსაწყენი გახდებოდა.

ბოლოს და ბოლოს, კაბაც გაშრა. ბოლოს და ბოლოს, დამსვენებლებიც გამოჩნდნენ და იმ ორ მეგობარ ქალს მაშინვე მიეცა საშუალება ახლა სხვა ფეხების შემოწმებისა. მედმა კი სანაპიროს გაჰყვა, მარჯვნივ აუხვია და ღია კაფეში. დიდ სოკოს რომ ჰგავდა, ამოჰყო თავი. განაპირა თავისუფალ მაგიდისკენ გასწია. ბანაობის შემდეგ ღია ცისქვეშ, ზღვის ახლოს საუზმის მოწყობა, როდესაც არსად არ გეჩქარება, როდესაც მთელი დღე და საღამო ჯერ კიდევ წინ გიძევს, სხეულს განცხრომისათვის ამზადებს.

მოპირდაპირე მხარეს მაგიდასთან სამნი ისხდნენ, ოცდახუთი-ოცდაშვიდი წლის ვაჟები. ამ ყმაწვილებს გაგონილო ჰქონდათ, რომ მამაყაყი სახელს ბრძოლის ველზე იხვეჭდა. ოღონდ ეს უწინ იყო. ვაჟეაცუარი ჩხუბიც ისტორიას ჩაბარდა. მათ რატომღაც სჯეროდათ, რომ საერთოდ, ახლა პატიოსნებით ვერავის გააკვირვებ, პატიოსნება სიცარიელის, ირონიის, უარყოფის გრძნობას იწვევს, აღიზიანებს ყველას. პატიოსნება სისუსტის, საჭურისობის, უჯიშობის ასოციაციასთანაა დაკავშირებული. სინდისი კი გაზით გაბერილი ბუშტია. ხოლო სიცოცხლეს, გვიან თუ ადრე, ჩამოგართმევენ და სხვას გადასცემენ. ამიტომ ვიდრე ფილენჯის ქარი მოგვივლის, ვიდრე ეშმაკი ჩამოგვილიდეს, უნდა იცოდეს ქალის ალერსის ფასი და რომ ღვინოში თვით ღმერთი ზის — თავდავიწყების,

სითამამის, გამარჯვების მემორიალური მხედართმთავარი, რომ წლები დაიძრნენ, რომ ოცი წლის შემდეგ მათი სვლის სიჩქარე ყოველდღიურად მატულობს. ხოლო სიკაბუჯე, გიშრის თვალები, ხშირი წაბლისფერი თმა, სწორი ცხვირი და განიერი ბეჭები — შენი საშვია ამ ცხოვრებაში. ოღონდ არ უნდა დაივიწყო — ეს საშვი დროებითია, რომ კეისარის, რიჩარდ ლომგულის და დიდი დავითის დროება სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს, და ვიდრე ღვინოსაც და ქალსაც საბოლოოდ არ გააყალბებენ, უნდა შეგეძლოს მათი დაფასება, ბადეში გახვევა. გაგრა, ლამაზმანები, „ოჯალეში“, თოლიები, პრინც ოლდენბურგელის „გაგრიფშიც“ ვილაციის მიერ მორთმეული საჩუქარია და ვისაც სილამაზე ჰყოფნის, ვინც სიცოცხლის ფასი იცის, ის ეუფლება მას. ჩვენ იმ განძის მათივებელნი ვართ, სიამოვნებას რომ უწოდებენ. ასე ფიქრობდნენ ეს მუტრუკები. აქილივებდნენ ყველაფერს, რადგან ჰეტუჰეტურას, ქრისტესგვირგვინას და ადამიანის საუკეთესო ჩანაფიქრს მტვერთან ერთად ნიავი ფანტავს აქეთ-იქით. არაფერია ჰეშმარიტი, ყველაფერი დასაშვებიაო.

„ბორჯომს“ სვამდნენ და გუშინდელ საღამოს იგონებდნენ. ტვინის ზერულ ფენებიდან წარმოშობილი აზრები სასიამოვნო, მსუბუქი და მიმზიდველია. ნამდვილ მამაყაყეზივით საუბრობდნენ და გულწრფელად იხსენებდნენ ყოველ წერილმანს. რამდენი შესვეს?... ბევრი... როდის მოხვია ხელი წელზე?... აღარ ახსოვს... როდის გაიყვანა მეორე თმა-ხში?... საღამოს დასასრულს... რატომ გაუძალიანდა?... გამოუცნობია ქალის სურვილი და ბუნება... რამდენჯერ აჭამა ლავაში?... ყოველთვის მომზობლავია გულწრფელი საუბარი, ხამალა იმაზე ლაპარაკი, რაზეც ფიქრობ. განზრახვისა და მოქმედების პირდაპირობა მხოლოდ ცხოველების პრივილეგია როდი უნდა იყოს. გულდასმით აღწერდნენ და

აფასებდნენ ქალწულების სხეულის თითოეულ ნაწილს.

— სული მეწინააწლება, — თქვა სტეფანემ.

— მართლაც, შერისხოს გაჩიმ, სად დაიკარგნენ ღრუბლები?

მალხაზმაც ზეცას მიიპყრო შზერა:

— დიდი ხვატი იქნება. ათასი მანეთი, ვინც ღრუბლებს გამოგვიგზავნის.

— რამდენი დავლიეთ გუშინ?

— უამრავი, მთვარეზე პლატონის კრატერს რომ აავსებდა.

— სუფიზმმა გვიმსხვერპლა, — თქვა გიზომ. ორი წლის წინ ისტორიული დამთავრა. თავის თავის შეცნობას წარსულის შესწავლის მეშვეობით ცდილობდა. — წინაპრების გენების ზვარაყნი გავხდით. ქალი და შარბათი, სიამოვნება და ტკბილი მიძინება. წარმართული, ქრისტიანული, ზორიასტრული გენებია არეული ჩვენში... ძველი საქართველოც ორად იყო გაყოფილი, როგორც გული. პარკუჭთაშორის ძვიდღე, სტიოპა, ეჭიმები სექტალურ ნაწილს რომ უწოდებენ, ლიხის მთა... საუკუნეების მანძილზე გვთიშავდნენ, გვთელავდნენ, გვაქვებდნენ. ხან ბიზანტიას ვებრძოდით, ხან რომაელებს, ხან ირანს, ხან არაბებს, ხან ოსმალოებს, ხან მონღოლებს, ხან სხვა ვადათიელს, უკვალოდ არაფერი რჩება — ბრძოლასთან, წინააღმდეგობის გაწევასთან ერთად ჩვენშიც გამოჩნდებოდნენ ხოლმე სულმოკლენი, მტერთან შერიგებას რომ ესწრაფვოდნენ. ჩვენ იმ სამეხიდან, ბრძამაშემქმნელი, ვიშნუ-დამცველი, შივა-დამანგრეველი რომ ეწოდება, შივა ამოვირჩიეთ... ბიჭებო, ჩვენი აღონაი — ქალა და ღვინოა.

მებუფეტე რაღაცას ანიშნებდა ხელით. მალხაზმა მინერალური წყალი შესვა.

— სტიოპა, შიკრიკად ხომ არ დავგიდგებოდი? — იკითხა მან და ცარიელი ჭიქა მაგიდაზე დადო.

მასინ სტეფანე წამოდგა და ფარდულისკენ გასწია. მალხაზმა ისევ დაისხა

„ბორჯომი“. მას შავი ულვაშები ჰქონდა კენებდნენ.

— რატომ უხდება მამაკაცს ულვაშები და ზინათი?

— ულვაშის რა მოგახსენო, სიმდიდრე კი ყველას აკეთილშობილებს — მელიოტსაც და ჩოლერას, მოღალატესა და ცვედანსაც. ხოლო ყველა ღარიბი და ხელმოცარული, თუნდაც გაწიპინებული ულვაშიანი, უსახურია.

სტეფანე სწრაფად დაბრუნდა უკან. მან განაცხადა, რომ მებუფეტეს ჩეხური ლუდი მიეღო.

გადაწყვიტეს, ვიდრე შავეთის კარს შეაღებდნენ, ერთი ყუთი ლუდიც გაეწინაჩათ. ამ დროს მედემამ მიიპყრო მათი ყურადღება.

— შეხედეთ, რა ჭიშინაი ცხოველი მოდის.

— ცის ფოლიო.

— თუ არ მეჩვენება, თუკი მირაყი არ არის, ჯერჯერობით ვაგრაში ბადალი არ უნდა პყავდეს, — თქვა სტეფანემ.

ოფიციალტმა ყუთი ხის ქვეშ დადგა. რამდენიმე ბოთლი გაახსნევიანეს და დაისხეს. როდესაც მედემამ ისაუბრა და წამოდგა, მალხაზმა თქვა:

— თავისთავად არავინ არაფერს იძლევა: არც მიწა, არც წყალი, არც გაეშმაკებული ავადმყოფი, აბიტურიენტსაც კი ძალით უნდა წაართვა ფული...

— თქვენის ნებართვით წუთნკალ ძალივით დავედევნები, — თქვა ალაწოპა სტეფანემ და რიოში ღიმილი მოეფინა სახეზე.

— ოღონდ უტარო დანასავით არ დაიკარგო. მანამდის კი სადღეგრძელოს შევსევამთ ვაგრის ახალი ჩემპიონისა.

— რა ვიცით იმ ძაფის და მასზე ჩამოკიდებული იმ გენების შესახებ, რომლითაც დაკავშირებულია ორი სამყარო, ყველა წასული და ცოცხალი ადამიანი. ჩვენ ჩავალთ, ეს ძაფი და მასზე ჩამოკიდებული კრიალოსნები კი დარჩება უცვლელად. ხოლო რაც უცვლელია, ის არსებობს სინამდვილეში, ჩვენ კი აჩრდილებიც არ ვართ, და ერთად-

ერთი საჩუქარი — მხოლოდ სიცოცხლეა, — თქვა გიზომ.

— თუ ასეა, სწრაფად შევსვით, მეგობარო!

8.

ისინი ზღვისკენ მიდიოდნენ. ბიკენტის ბასკოს მხარზე ეღო ხელი და მეგობრულად ესაუბრებოდა. ბიკენტი პარალელს ავლებდა ყოფიერებაში მონაწილე სხვადასხვა წარმომადგენელს — ორბსა და კოლოს, ჭიკაძესა და უფალს, ზვიგენსა და ლიფსიტას, დირექტორსა და დამლაგებელს, ძლიერსა და სასაცილოს, წარმატებასა და მარცხს შორის და ამტკიცებდა, რომ ყველანი ერთ ფერხულში იყვნენ ჩაბმულნი, რომ ყველა ერთ წრეში ტრიალებდა.

— პატარავ, ცასა და მიწას შორის ვფაცურობთ, ხან და-ძმანი ვართ და ხან კი ერთმანეთის კერძები. შენც სხვებთან ერთად ხარ გაბმული იმ დიდ ქსელში ობობა-აუცილებლობა რომ ხლართავს.

— სტიუარდესასთან ერთად?

ბიკენტი შედგა. ცოტა ხნის შემდეგ იკითხა:

— საიდან გაგახსენდა მედეა?

— სამუდამოდ ჩამჩჩა გულში.

— სადმე თვალი ხომ არ მოგიკრავს ამ დღეებში?

— არა, ბიძია.

— კეთილი... ხოდა, გავაგრძელოთ... ქვეყანაზე ყოველთვის არსებობს ერთი მეორეზე უკეთესი კუნძული, უკეთესი ბოლაზი. როცა ამდაგვარისთვის ყური გაქვს მოკრული, ყოველთვის დარბიხარ მის საძებნელად. მაგრამ მერე, უკვე ძალიან გვიან, მიხვდები, რომ ყველაფერი ერთი და იგივეა სინამდვილეში, რომ ყველა ადამიანს ოცი თითი აბია და რომ ყველაფერი მეორდება... თუმცა ყველაფერი არა — ბედნიერება იშვიათად თუ დაგიკაუუნებს განმეორებით კარზე...

— კინოლექტორიუმს მიწყო?

— ცხოვრებას გასწავლი, ფრატელი!

— სტიუარდესას ვერ ეპიკენტი?

ბიკენტი დააკვირდა ბიკს. მის ხმაში რაღაც თითოობაზე ნოტები იგრძნო.

— მასხარის ჩაჩი მოგიხდებოდა. მაგრამ მაინც მომისმინე, ნაადრევად ნუ აცერკეტდები. ბრანგვი და აერაკი მერეც გახდები. ახლა კი, სანამ ბავშვი ხარ, ბავშვად დარჩი. სტიუარდესას კი შეეშვი, ჯერ შენთვის აღრეა... სამყაროში, სადაც მოგვიყვანეს, მშვენიერი მხოლოდ ბალღობაა. ოცნე, კენწლუე ბურთი, ყინული ჩაუგდე საყვლოში შენ წინ მჭდომ ამხანაგს, უფშტვინე მამალ ინდაურს, ერთი-ორჯერ „შატალოც“ იგემე, ოღონდ არასოდეს არ დააბეზლო მასწავლებელთან თანაკლასელი, ოქროს მედალიც კი რომ შეგპირდნენ, სამედიცინოზე უგამოცდოდაც კი რომ ჩაგრიცხონ. ჯაშუშობას თითის შეყოფა ჯობია ცხვირში, ან ჩოგბურთის და კოკობანას თამაში. ბიჭო, ბაღნებს იმდენი სათამაშოები, გასართობი, საბურქალო, სანახავი, საგნები და სამყარო გაქვთ, რომ ჩვენ, მოზრდილებს არც კი მოგველანდება. მერე კი განმარტოება ისწავლე. ყველაფერი, რაც კარგია, მარტოხელას შექმნილია. კრებებზე, ბაზარში, მოედნებზე — ვერაფერ თვალსაჩინოს ვერ მოჰკრავ თვალს. ერიდე ბრბოს და ქალებს, განსაკუთრებით ლამაზ ქალებს.

ბასკოს ელიმებოდა. ნახევრადველურ გვიმრასავით იზრდებოდა, როგორც ბერი სხვა ბავშვი. არც უცხო ენას, არც მუსიკას და არც ქართულ ცეკვებს არ ასწავლიდნენ. ამიტომაც არ ჰგავდა იმ ხელოვნურ სასუქით გაფურჩქნეულ გოგონა-პამიდორებს და ბიჭუნა-კიტრებს, თვალს რომ ხიბლავენ და ჭკუას და ფანტაზიას კი რომ აღარიბებენ. ამიტომაც უყვარდა ბიკენტის ალბათ.

ისევ გამოეკიდებთან წლები ერთმანეთს, ისევ იქცევიან ბავშვები მოზრდილებად, უფროსები სამუდამო წარსულად, და ბასკო — ბიკენტად.

„უდარდელი ფრინველი. კიდევ რამდენი წელი გაგრძელდება მისთვის ეს

დრო?... ხუთი, ექვსი? სულ რომ გაგო-
იელდეს?... ყველანი რომ სახარების
ჩიტებად დავრჩეთ უკანასკნელ ამოსუნ-
თქვამდის?... რა დაშავდებოდა?..."

ამ დროს ბასკომ იკითხა:

— ამ ქვეყანაზე ფული ჯობია ყველა-
ფერს, მინისტრობა თუ სტიუარდესას
ნაირი ქალი?

— მხოლოდ ნამუსი და პატიოსნება!
— მიუგო ბიკენტიმ.

— ბიბია, როგორ დამაჯერებ, რომ
უმანქანო კაცი უფრო დაფასებული
იყოს, ვიდრე მანქანიანი, უფროთ ფრინ-
ველი ჩაგრავდეს მერცხალს, ან უებილო
აურდელეო კბილებიან მგელს.

— ბიკო, როგორ ბაზრის დირექტო-
რის შეილივით მსჯელობ, სად ისწავლე?

— ცხოვრებაში — სკოლაში და ეზო-
ში.

— ეტყობა კიდევ დამჭირდება რამ-
დენიმე ლექციის წაიკითხვა.

ტიმოთე, რომელიც უკან მოდიოდა,
წამოუწია ბიკენტის და კითხა:

— რა ქვა მოგვაგადე, ეს დღეები სად
იყარგებოდი შეადღეზე?

— მარტოობამ მიძიზიდა, ცნობილი
კანონია, როდესაც სახედრებს შორის
რჩები დიდხანს, ყროყინს იწყებ, როცა
ბრბოს შეერევი, მასავით იწყებ აზროვ-
ნებას. მარტოობის გარეშე ისევე უბე-
დურია კაცი, როგორც მარტო ცარიელ
ხელფასზე მცხოვრები ადამიანი, თქვენს
საზოგადოებაში ამპარტავნობას და
ქედმაღლობას ჯარგავს კაცი.

— სტიუარდესა ხომ არ შეგხვედრია
სადმე?

— რავა ყველა შეიშალეთ იმ ქალწუ-
ლზე.

ზღვაზე ოდნავ ირწეოდნენ ტალღები.
ის დრო იდგა, როცა ჯერ კიდევ ძალზე
არ ცხელა. ბიკენტიმ პერანგი გაიძრო.
შორიახლო ორი ახალგაზრდა ქალი და
მამაკაცი კარტს თამაშობდნენ. მამაკაცი
იღიმებოდა.

— ვერ მიცანიით?

— აა, ჩვენი ძველი ბათუმელი მეგო-
ბარი. — ტიმოთემ ხელი ჩამოართვა

ზეინცალს. შემდეგ ბასკომ უკვე უფრო
თავი დაუყარი შენს მხსნელს...

ბასკომ თვალები დახარა.

ივანემ კარტის თამაში შესთავაზა მე-
გობრებს. მანამდის ქალიშვილები გაა-
ცნო. ბიკენტიმ ზეინცალის გვერდით მო-
იკალათა. ტიმოთემ და ბასკომ ზღვას
მიამურეს.

— საიდან ხარ, ვანო?

— თქვენებური ვარ... ქანჭიყებს ვჭრი
მშობლიურ ქარხანაში, პატრებს ვცემ
ბალალაიკას, ზოგჯერ არაყს, ჰოყეის და
ყროსყორდებინ ამოხსნას. ისე, დროდა-
დრო ნალეულაჲ მისიედება.

— ვანო, მოხარული ვარ, რომ გაგი-
ცანი.

— მოხეობებულად ჩამოყვით, ჩი-
ტუნებო. — ივანემ იზოლდას და თა-
მარს მიმართა.

ივანემ კარტი დაარიგა. ცისფერი თვა-
ლები ჰქონდა და ეშმაკივით წაწვეტი-
ბული ნიკაბი.

— კარტი ქალივით მუხანათია,
თქვა მან, როცა თავისი კარტები გაშა-
ლა.

— კარტიც მხოლოდ ძლიერ მამა-
კაცს უვარდება ზელში, — უთხრა ბი-
კენტიმ და გვერდი მოიკვალა.

— ყველას როგორ მოწონს ეს ძლი-
ერი და შეძლებული — მეუღლეს,
შვილებს, ნათესაებს, მეგობრებს და
აგარაკსაც კი... მაგრამ შავი ზღვა და
გაგრა მაინც მეტისმეტია, ეს ბურჟუა-
ზიული გადმონაშთია. ბიკენტი... სამ
დღეში ორასი მანეთი შემომებარჯა...

— ქალებმა დაგლუპეს?

— ტბილიმა ცხოვრებამ ჩამითრია,
მეგობარო... ყოველთვის თავდაჭერილი
ვიყავი. აღზრდილი და შეგნებულო. სა-
ლამს ვერავინ დამასწრებს, არჩენე-
ბის დღეს დილის ზეთ საათზე ვდგები,
მიყვარს კრებებზე გამოსვლა, ურიგოდ
მისდღემში არ ვაგმებრალეარ წინ... აქ,
იმებო, ელაკამ შემცვალა... ეს ორი
ნაპირის ამბავია. ერთ მხარეს თვით-
შეგნება, ნებისყოფა, თხელ პერანგში
გახვეული მარტოხელა მოფრთხილ

გული დგას, საწინააღმდეგო ნაპირზე — გადარეული პალმები, ციტრუსები, ლურჯი ტალღები, მთები, ჭარბი ოზონი და ინფრაწითელი სხივები, თბომავლები, კატერები, პატარა ნავები, შწვადები, აჯიკა, ლეთიური კალმახი... ამ პატარა ფართობზე რამდენი ცდუნებაა ერთად თავმოყრილი სულის დასაღუპავად და პატარა ბიუჯეტის გასანადგურებლად. გაურკვეველი ძღვევამოსილება აუცილებლობისა და ბედისწერისა, რაზედაც ისე იმსხვერუვა პიროვნება და ინდივიდუმი, როგორც გაგრის სანაპიროს გასწვრივ განლაგებულ ხელოვნურ კლდეებზე — ტალღები... ბიკენტი, სული ნუ წამოიწყდება, აქ ჩემი წვრილმანი ბუნება მოულოდნელად გაიფურჩქნა: ორ კვერცხს, ყველის ნაჭერს, ძებვს ორი შამპანურიც მივავალე. შეადღეუე კი ძველ გაგრიდან რკინიგზის სადგურამდე ტაქსით გვირსეირნე. ხოლო საღამოზე თავი „გაგრიფშეი“ ამოყავი... აკვირძალებამ მომზიბლა...

— ეან პოლ გეტი, დარდიმანდი. — ირონიულად გაიღიმა იზოლდამ. — ტუზით ვფარავ ბაბუას.

— შეძმდეგ ეს ორი მხვევალი შევიძინე და საბოლოოდ ჩავიძირე.

— უგულო ხარ, ივანე. — უსაყვედურა თამარმა.

— ახლა გიბრში ნუ ჩამიდგებით, არც ისეთი ლაყინტარა ვარ.

— ორგანოს, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში არ ხმარობენ, ჰქრება, პატარავდება... პატივმოყვარეობამ და სიხარბემ შეგვიპყრო, იმის მაგივრად, რომ ეკავასიონის, გლაციულების, ტალღების ხილვით დატყბე, ეან პოლ გეტით შამპანურს სვამ და ტაქსით დასეირნობ. ეს ხომ იმათი ქაშური იდეოლოგია და მსოფლმხედველობაა... რა შეედრება სისადავეს და ჰქრეტას: რამდენიც გინდა უყურე ზღვებსა და ყინულოვან ოკეანესაც, ძროხებსაც და მინდვრებსაც, აგარაკებსა და სერთიფიკატის მალაზიებს — ყველაფერი შე-

ნია, შენ გეკუთვნის... კვამილსა და ნიკ გენებს, ოღონდ სულმა არ წაგძლიოს, დაპატრონების სურვილი ნუ გაგიჩნდება.

— დამას — თელფის ვალეტი.

— ისევ შენ წააგე, ივანე. — უთხრა იზოლდამ.

— შენ სხვა რაიმე გამაკვირვე, ჩიტუნია... შემოდგომაზე ოცდათვრამეტი მისრულდება, მალე მომწყდება კიწი... დილაადრიან ვდგები, გადარეულივით გაგრიბვარ, ტანჯიკებს კვრი შინ ვბრუნდები, ტელევიზორთან ვჯდები, კვირა დღეს შეუღლესთან ერთად ვსეირნობ ბულვარში, ასე, ჩემთვის კიყავი. ახლა კი... რაშია ძმებო, საქმე, ხომ ვერ ამიხსნით?... რა იაღლიში მომივიდა? გაგრა ჩემს რწმენას შეეხო, ახგელოზები დამიფრთხო... არ უნდა წამოვსულიყავი აქეთ, ექენებოდი ბედნიერი და ისევ მზიარული.

— ნუ წითლავობ, — უთხრა ბიკენტიმ, — ტყუილებრალოდ ნუ იშლი ფაფარს.

ივანემ განაცხადა, რომ კიდევ უფრო მეტი სულიერი ლტოლვა იგრძნობიკენტის მიმართ, რომ საქართველოც ეს რეალური მხარე კი არ იყო, არამედ ოცნება და ზღაპარი. თითქოს აქ დაეობადეო, თითქოს აქ დაიწა ჩემი აკვანი. აქ შე დაეფრინავო და საბუდამოდაც სიამოვნებით დაკრჩებოდიო.

— მოდი კოლექტიური ტყუმალაობა გავმართოთ. — თქვა თამარიკომ.

ეს წინადადება მიიღეს. შევიდნენ ზღვაში და იხეხივით გაეკურეს. წუთით ყველაფერი დაივიწყეს, სამყარო ისევ სამოთხის ტბად იქცა, კეთილ და დამამშვიდებელ მხარედ.

ზღვაში ტიპოთეს შეხვდა ბიკენტი, მეგობარი ზურგზე იწვა და ნებიერობდა.

— შინ მოგვიანებით დაებრუნდები.

— სად იქნები? — იკითხა ტიპოთემ.

— იქ, სადაც ჩემი არსიდან ისმის.

— ამათ მიყვები?

— არა.

— რაღაცას ეშმაკობ, ბიკენტი... ვიღაცას დაეძებ გამწარებულს.

ბიკენტიმ ჩაყვინთა და ისევ ამოყვინთა.

— ხომ არ ჩავიძირო, ვამეხ, ხომ არ წავიდე ფსკერისკენ, სამუდამოდ ხომ არ დავიფარო წყლით? — იკითხა მან.

— რას ლაპარაკობ, ბიკენტი, ნახე რა კრილა ცა და რა სასიამოვნო წყალია... ირგვლივ ამდენი გედები და ცურავენ... სტიუარდესასაც გადააწყდები საღმე.

— გმადლობ, ვამეხ, კეთილი რჩევითათვის...

9

ხმა ზოგჯერ მოციქულია სიხარულის, აღმაფრენისა. ზოგჯერ კი მედიუმია ბნელი ძალებისა, ბედისწერისა, მიზეზია თმების ყალბზე დადგომისა, მღვარძლავი ვითარებისა, იმედების გაცრუებისა. ზოგჯერ ძალზე ძნელია სწრაფად გაერკვე, თუ საიდან გამოძინარეობს იგი — დათვის ანგალადან თუ სამოთხის კარიდან, ან ვის ეკუთვნის — სირინოზს თუ ასაკში შესულ სატანას.

ბიკენტის ეძახდნენ. მაგრამ სიფრთხილეს არასოდეს არ ატყვივდება თავი. გონება და სიფრთხილეა ჩვენი ფარა, ჩვენი რწმენის შემანარჩუნებელი წყვილია დიდა და მუჰამედის მოციქულებით გარშემორტყმულ გარემოში. ამიტომაც დიდი სიფრთხილით მოუყვალე ბიკენტი. მაგრამ ვერაფერი დაინახა, რადგან ჭიატა მზე მის პირდაპირ იდგა.

— სალუტო ბიკენტინო!

— სად ხარ, ჯოკონდა!

— აქ ვარ, ბიკენტინო.

— რამდენს ვეძებდი... გულში საკირე დამინთე და გაქრი... სენიორა, მაინც სად ბრძანდებოდით?

— იქით.

— შენში მომთაბარეობის ინსტინქტია

გაბატონებულ, მედია. ეს თობაზე მიუთითებს.

ბიკენტიმ ჩაყვინთა, მედეას ქვეშ გასცურა და მეორე მხრიდან ამოუდგა:

— ჯადოსანო, რა მომხიბლაკია შენი მეორედ დაბადება... თქვენი გულისათვის, სენიორა, ყველა მამაკაცი, თუ კი ნამდვილი ვაჟაკია, ოლიმპუს მონსზე აცოცდება დაუკითხავად.

— სიცილიაშია?

— არა, მარსზეა.

— მთები გიყვარს?

— მთა ბურჯია თავისუფლების, იქ მტერი ვერ მოგადგება.

მოხდენილად უსვამდა ხელებს მედეა. „ასეთები მედიდურად, ამაყად გასცურავენ თავის ზღვას, — გაიფიქრა ბიკენტიმ, — ცხოვრებაც ხომ ცურაობაა. ერთი ჭყუმპალობს ნაპირთან, მეორე მხოლოდ ტივტივებს, მესამე შუაგულისკენ მიისწრაფვის. ამ სწრაფვაში ან უმალ იძირება ან მოხდენილად მიცურავს და, ბოლოს და ბოლოს, მაინც ფსკერისკენ გასწევს. ისე, ათასი კომბინაციაა. გზაში ხან ზვიგენი გამოგვიდება, ხან ინსპექცია, ზემოდან ხან თოლია გადაგიფრენს, ხან ქორი გიკაეუნებს უიფლიბანდში ნისკარტს, ან მეორე მოცურავე გავლებს ჩემად ხელს ტრუსებში და არ გიშვებს წინ. მაგრამ მაინც სასიამოვნოა, როგორც ტალღებში, ისე ცხოვრებაში ლილევი.

— ბიკენტინო, ა, ბიკენტინო... ვინ დაგარქვა ასეთი ლამაზი სახელი?

— სილენებმა... სიცილიაში — პალერმოში, მესინაში სილენები, დრიადები და ნიმფები ქსოვენ კაცის წინდებსა და პერანგს... უნდა, წაგიყვანო იმ მხარეში... უნდა გაჩვენო ეგეოსის ზღვა, სალუქი კრიტის ენისელი, თეზევსის მიერ დასახლებული ათენი, დიადი რომელის მიერ აგებული ქალაქი...

— ჩვენ გორგასალის პატრიოტები ვართ.

ნაპირისკენ გასცურეს.

— რატომ ეძნელება კაცს ნაპირისკენ

ცურვა, ზღვის სიღრმისკენ კი იოლად მიიწევს? — იკითხა მედემამ.

— შეტოპვა ყველაფერში ადვილია, სენიორა... შენ გადაჩვევა თქვი.

იქ, სადაც გაგარის ქედი ძირს ეშვება ზღვისკენ, ცა მოჭუფრულოყო, საომარად შეკრებილიყვნენ ღრუბლები. ხელმარცხნივ შორს გამზაშმა ჩანდა. ბიკენტიმ ქალიშვილს გადახედა და გაიფიქრა, რომ რა მომხიბლავიც არ უნდა იყოს გაგრა, მედეას მაინც ვერ შეედრება.

— მომისმინე, მედეა... თუ უდაბნოში ხარ და უეცრივ უსაშველოდ მოგწყურდება, როგორ უნდა მოიქცე?

— უნდა მოითმინო.

— არა... უნდა გავარდე, სადმე წყარო მოძებნო და დაეწაფო. სხვა ვერაფერი გიშველის, ვერც აღზრდა, ვერც იდეები და ვერც წრთობა... მაგრამ თუ კი ყველაზე ლამაზმა გოგონამ მოგხიბლა ამ ქვეყანაზე, იმას კი მაინცდამაინც არ მოსდისხარ თვალში, მაშინ როგორ უნდა მოიქცე?.. მომისმინე, როგორი მამაკაცები მოგწონს?

— მხარბუქიანი, შეგვერემანები და სოლომონის ოქროს მალაროების მმართველები.

— ეს ხომ ჩვეულებრივი ქალის სიზმარია, მედეა?

— პრაქტიკული ქალის ჯანსაღი მიდრეკილებაა.

— ქარს და ამ ტალღებს გაატანე ჩემი წარმოდგენა.

— რატომ, ბიკენტინო? — იცინოდა სტიუარდესა.

— ჩვენ, იტალიელები, შეყვარებულები ვიბადებით და ტრფობაა ჩვენი ერთადერთი პროფესია და ნუგეში. ცხოვრებასთან ორთაბრძოლაში ის შთაგვაგონებს და გვიცავს სულმოკლეობისაგან. ამ ერთადერთი იარაღით ვაუმჯობესებთ ადამიანებსა და სამყაროს. სიყვარულია ჩვენი სულის სარკე და მასატმა. უსაზღვროა მისი ძალა, სამფლობელო. საგნებში და მალაროებში კი არ არის ბედნიერება და სიმდიდრე.

ის ჩვენს გულში ბევს, თვით სიყვარულს ღია პრიმომ ამოროზო და არა სოლომონის ზინათი... დღეს ერთად ვივახშვით, კარო მიო... ლა ინვიტო ა ჩენა.

სტიუარდესა დათანხმდა.

— სიყვარული ყველა დიდუურას შეუძლია. — თქვა მან.

— ცდები, სენიორა, ვირს ყროყინი და ფიზიკური სიამოვნების მინიჭების უნარი შესწევს... სიყვარული კი მხოლოდ ამაღლებული სულის პატრონის თვისებაა, ზოლო დიდი სიყვარული მხოლოდ ერთეულთა ხვედრია, ბედია, ისევე როგორც კარუზოს ხმა, ლეონარდოს ფუნჯი, ნიუტონის ხვეულები და ლარები, ავგუსტინეს წმინდანობა. კეტი დაუშვი ჩემს თავზე, თუ მართალი არ ვიყო.

შემდეგ მედემამ იკითხა:

— იტალიელები რა აზრისა ხართ არასრულფასოვნების კომპლექსზე?

— ეს ბატონმა უილიამ ჭეიმსმა აღმოაჩინა და მისი ერთი მსხვერპლი თქვენს გვერდით მიცურავს... დარწმუნებული ვარ, რომ ლამაზი სენიორა ჩემს გულისთვის არასოდეს არ მოიწამლავს თავს გაზით და ღირსად არ ჩამთვლის ნეკი ნეკზე რომ გადმომამკლავს.

მაგრამ ნაპირთან იძულებული გახდნენ ამ საყვირველ თემაზე სჯაბაასი შტუწყვიტათ, რადგან უფრო წარმტაცი სანახაობა დაუდგათ თვალწინ.

პირსწორი და პირმოუფერებელი ბიქტორი და ერთი უპატიური ახალგაზრდა კაცი, ჯოტო, გამალებით უზილაუნდნენ ერთმანეთს ცხვარპირს. ბედისწერა უღმობელად ნავარდობდა. ალგუნებული ნუცა შორიახლოს იდგა და მეთუღეს ამხნევებდა.

— რა ძიძგილაობაა? — მაშინვე იკითხა ყარყარა მედემამ და თვალები მოხდენილად ააფოფინა. შემდეგ ბიკენტის მიუბრუნდა, — ამ მამაკაცს ვიცნობ, ერთი თვითმფრინავით ვიმგზავრეთ.

— სირკაქკაქს იქერენ?

მათ აუხსნეს, რომ ახალგაზრდა ვაჟი ხუნხუზი იყო და იმ ქალბატონის ახლადშენაძენი იტალიური ქოშების მოპარვა სცადაო. უამრავ ხალხს მოეყარა თავი. დამსვენებლები კისრისტებით მობობდნენ. მოჩხუბარნი კი მთელი გულით უშენდნენ მუშტებს ერთმანეთს. ჯოტო უფრო უხეშად იქნევდა ხელებს, ზოგჯერ წესებსაც კი არ იცავდა, მუცლის ქვემოთ ცდილობდა დარტყმას. თანაც ახალგაზრდა იყო და უფრო ძლიერი. მაგრამ ბიქტორის მხარეზე სიმართლე იდგა და გაჭირვებით ნაყიდი ქოშები. დამსვენებლები ბიქტორის მხარეს იჭერდნენ, და სიამოვნებით შესცქეროდნენ ორთაბრძოლას.

ერთი წუთით შედგნენ. მაშინ ბიქტორმა მიარცველს უთხრა:

— მაკალე, ისე დაგასამარო, არქეოლოგიურმა ექსპედიციამაც ვერ გიპოვნოს.

ჯოტომ ფორაჰენდი განახორციელა. მაგრამ ბოლოს ბიქტორმა მაინც მიატანა ვიწროში, სინსილა გამოაცალა და ძირს დასცა მოძალადე. ამ ბრძოლაში ბიქტორმა თავი აღარ დაზოგა. იმ წუთებში სიცოცხლე ჩირადაც არ უღირდა. ცხვირგასიებული რუხი მგლის ნათესავი ძლივს წამოდგა და ძუნძულძუნძულთ გაშორდა იქაურობას.

— ყოჩაღ, — ულოცავდნენ ბიქტორს, — მაგრად შეანჯღრიე!

— როგორ მომწონს თქვენი მხარე, — უთხრა ბიექტიმ მედეას, — როგორ მაგონებს აგრიგენტოს, ხოლო ხალხი — რომაელებსა და სიცილიელებს.

და ბიექტიმ სადად, ფრთხილად მოხვია ხელი დიდ ბედნიერებას. მაგრამ მედეა განზე გადაგა.

— ამ ხელს მუხანათური განზრახვა არ ჰქონია, სორელა, — თქვა ლილაგახუნებულმა ვაჟმა.

— დავილაღე.

— მედეა, სხვისი სიცოცხლისათვის შენი სილამაზე დიდი საფრთხეა...

მედეამ მგლის ყური გამოიბა. მან კი გაიფიქრა, რომ განზრახვიდან სურვე-

ლის ასრულებამდის ძალიან გულმარცხი იყო.

უნივერსალთან ტაქსის მძღოლმა კიდევ ორი მგზავრი ჩასვა და მთელი გზის მანძილზე, ბიქვინთამდის მედეას და ბიექტის კრინტი არ დაუთრავთ.

სტიუარდესას გრიშა მოაგონდა. მფრინავი ზოგჯერ ხმაძალა იცინოდა საზოგადოებაში. უწინ ეს მისი უწყინარი თვისებები მოსწონდა კიდევ ქალიშვილს, თავისუფლების მოყვარულობას და პირობითობისგან შორს დგომას მიაწერდა. მაგრამ ახლა ნაკლად ჩაუთვალა. გემოვნებაშიც მოიყოლებოდა მფრინავი. ფოკუსნიობაც მოჩვენებით გამოდგა — ჯიბიდან, სახელოებრიდან ცხვირსახოცების, ლენტების, კვერცხების უეცრივ ამოღება — მოსაწყენი და ტრივიალური. ლამაზი და რაინდული შარავანდელით მოსილი მფრინავი თანდათან ჰკარგავდა მშვენიერებას და სიბნელეში უჩინარდებოდა. მედეამ ბიექტის გადახედა, რომაელების შთამომავალს. ამ რომაელთან შედარებით გრიშა ერთი თბილისელი ვაჟი იყო და მეტი არაფერი... იტალია, იტალია, რომი, მარადიული ოცნება. ნეაპოლი, იალქნები, სიცილია, მილანი... იტალიის შესახებ თითქმის ამით ამოიწურებოდა მშვენიერი სტიუარდესას წარმოდგენა.

— მოვედით, — თქვა ბიექტიმ და მანქანიდან გადმოვიდა. ფაცხაში ყველა ადგილი დაკავებული აღმოჩნდა. მაშინ ბიექტიმ რაღაც ჩასაჩურჩულა ყურში ადმინისტრატორს და საქმე მალე გაიჩარხა. თავისუფალ მაგიდასთან დასვეს.

— სასიამოვნო ფუნდუკია, — დაეთანხმა მედეა და მიმოიხედა.

სანაპიროზე ადამიანის ყველა ტიპს წააწყდები: ალაწოპას და კრუხის პალოს, ახვირასა და გასინტრიკებულს, ბანის და პულჩინელას, ცეტკვირიეს და ზურგგადაყვლეფილს. თამბაქოს

კვამლში გახვეული ბედნიერი თავები მოჩანდნენ. ისმებოდა შამპანური, ღვინო, კონიაკი.

— სათვალეში ძნელად გიცნობს კაცი, — უთხრა ბიკენტის მედამ.

— მზეერავისთვის ეს ხელსაყრელია... რა შევეუყვებითო?..

ოფიციალტი ყურადღებიანი გამოდგა. დასაღვევად შამპანური აირჩიეს. სასმელი ცივი იყო და სასიამოვნოდ ისმებოდა. მალე კიდევ უფრო გულკეთილი და თავაზიანი მოჩვენათ ოფიციალტი. გადიოდნენ და შემოდდიოდნენ, სვამდნენ და იცინოდნენ. მედეაც მხოლოდ ილიმებოდა, ან იცინოდა.

«ათ წელს ღიმილში გაატარებს. შემდეგ შეეპარება თანდათან შავი ქვის ფერი სევდა, სხეულზე მოხვედრილი ყვირილას წყლის წვეთებივით მოუშორებელი ნალექი».

ბიკენტიმ ჰიჭები შეავსო.

— მეტს ველარ დავლევ, — თქვა სტიუარდესამ. — მომეკიდა.

— მრავლისაგან მრავალი, მრავლისაგან უმრავლესი.

ბიკენტიმ დიონისე ახსენა, კაცი და ღმერთი, რომელიც ღამურებად აქცევს ყველას, ვისაც შამპანი არ უყვარს. რამდენიმე საათით გახელება — აი, რას მოითხოვს იგი — რამდენიმე ხნით თავდაიწყება და მოდუნება, რომ სინამდვილემ საძუდაოდ არ შეგშალოს ჰაუიდან. მედეას შეეშინდა და უშალ შიილო ჰიჭა ტუჩებთან.

— მართლა შეიძლება ღამურად რომ ვიქცე? — იკითხა მან, როდესაც ჰიჭა ერთ მოწაფებაზე გამოსცალა.

— საიდუმლოდ გეტყვი. ცის თაღის ქვეშ ყველაფერი მოსალოდნელია. ხოლო სიცოცხლის ფორმები ძალზე ცვალებადი და მოუხელთებელია... მე დავანახებ ბევრ ადამიანს — ცხოველს, მკენარუს, ან არაფერს რომ წარმოადგენს.

— ბიკენტიხო, როგორც ყველას, მეც ფორმის გამოცვლის შეშინია. შინაარსით თუნდაც მორიელი ვიყო... რა

საშინელებაა მფრინავი თევზის ღამურა... კიდევ ერთი დამისხი, რომაელ!

გვარიანად ისაღიღეს. რესტორნიდან ბარში გადაინაცვლეს. მედეამ რონინით გაიარა ხეივანი. ბარში ბიკენტიმ აუწყა, რომ მასში, მედეაში, განსახიერებელი იყო ყოველივე ის, რაც ქალში პატარაობიდანვე იზიდავდა და ანციფრებდა. თავის მხრივ სტიუარდესა გამოუტყდა, რომ რომაელი მისი დადიხნის და ერთადერთი ოცნება გახლდათ. ადამიანები მოვლენ და წავლენ, ყველაფრის მამოძრავებელი — ლტოლვა, სიხარბე და ცნობისმოყვარეობა კი მარადიულად დარჩება.

— ყური უგდე, ჩელენტანო მღერის, — თქვა ქალიშვილმა.

— ჩემი სისხლის მაგი და შამანი.

— რამდენ ხანს დარჩები ენის შემსაწვლად ჩვენთან თბილისში?

— ერთ წელიწადს.

როდესაც საღამოს ბინდი მელიასავით შემოიბარა ბარში, საცურაოდ გასწიეს.

— ოღონდ შორს ნუ შევტოპავთ, — შეეხვეწა მედეა, — ღამე ზღვას არ კენდობი.

ბიკენტიმ მაგიდიდან კამფეტები, ატამი და შამპანური აიღო.

— დაგვიორდება. — თქვა მან.

ზღვა ოდნავ ღელავდა. ბრიზი ხმელეთიდან უბერავდა. შორს გემი მოაპობდა ტალღებს. თანდათან შავი ფერით იღებებოდა ბიჭვინთა და ისინი ნელ-ნელა შიშვლდებოდნენ.

— ყველაფერი დაიღია, რაც წყვდობაში იბადება.

მაგრამ სტიუარდესამ წაუყრუა. ბიკენტიმ ფრთხილად მიიზიდა ქალიშვილი.

— ნუ გამიფუტკებ საღამოს. — შეეხვეწა მედეა.

მაშინ ზღვაში შეცურეს. უხმოდ მიიწვედნენ წინ. ცაზე უშველებელი ვარსკვლავები, წყალში — სიგრილე და სამყაროს განუჩველობა. ირგვლივ

ლამე — მფარველი მარტოობისა და სიშინელისა, ლამე, როდესაც ყველა კატა ნაცრისფერია და ყველა ადამიანი თანასწორი, ლამე — მფარველი კრილოზებისა და ტყვიილისა.

ნუ მოატყუებთ თავს, მშვენიერი წუთები არ მეორდება. მუდმივი და ხშირი მხოლოდ ერთფეროვნება, მოწყენილობა, განუტრეველობა და გაუგებრობაა. ნუ დაქარგავთ იმ წუთებს, როდესაც ირველივ ფათერაკის გრძნობა სუფევს, ხოლო გვერდით ყველაზე ლამაზი გოგონა მოცურავს. შეიძლება აგიერთადერთიც იყოს, აღარასოდეს განმეორდეს... შემდეგ ლამის ზღვას თბილისის ოთახი შეცვლის თავისი ყოველდღიური წვრილმანი საზრუნავით, ხოლო მედეას — თოხი ან წიგნი.

— ბუნა ნოტე... ჩვენ ზღვამ გვშეაოდეცა, ზღვიდან გამოვედით და ისევ მას დავებრუნდით.

— მომისმინე, გვეყოფა, უკან გავცუროთ, — შეეხვეწა მედეა.

— სად ვართ?

— მე შეკითხვები?

— რატომ მომეპარა ცული წინათგრძნობა?... რა ხმები ისმის, წყალში დამხრჩვალები ხომ არ გვიკვირებენ?

ნაპირისკენ მაკურავდნენ. მედეა გამალებით უსვამდა ხელებს.

— ბევრი დაგვრჩა?

— უბედურებას მედგარ მკერდს დავუპირისპირებ... ადამიანებს ძინავთ, არავის არ აინტერესებს სხვისი გავიწვევა, ორი განწირულის ბედი... ხოლო ლამის ზღვა და ცხოვრება — აგავაა, კადმუსის ქალიშვილი.

ბიკენტიმ მუშტი დაუქნია ვარსკვლავებს.

— რატომ ჩამომრჩი? — იკითხა მედეამ.

— თუ შემთხვევა მომეცა, შემდეგ გატყვი.

— ფეხი ხომ არ გაგენასკვა?... სულ ცოტა დაგვრჩა, ბიკენტი!

უსებ ბიკენტის განწირული, გულ-

შემზარავი ყვირილი გაისმოდა...
 დესას ზაფრა ეცა, მაინც იკითხა:

— რატომ ლაზიანდარობ?

— სწრაფად გასცურე, მედეა. ნუ დაქარგავ ძვირფას წუთებს!

წამით ტალღებმა დააფარეს ბიკენტი.

— რა დროს ხუმრობაა!

— ეს ხუმრობა როდია, ეს უჩარობის ჩარაა.

ისევ გაქრა ბიკენტი. მედეა საბოლოოდ აიტანა შიშმა. შემდეგ შორიდან გაისმა ვაჟის გაგუდული ხმა:

— ზვიგენი დაგვესხა თავს, მედეა... ჩემი საქმე ცუდათაა... წინ წადი! მე გადავუდგები... ნაპირისკენ, გიბრძანებ!... ვაიმე, ფეხი!..

მედეა აღარაფერი ახსოვდა, რნატიკტურად ამოძრავებდა მკლავებს, თავგამოდებით ებრძოდა წყალს.

როდესაც ნაპირზე ამოვიდა, მუხლები მოეკვეთა. აბანებდა. გონება—აპარატი წყვეტილ-წყვეტილ მუშაობდა „ბიკენტინო, ბიკენტინო!“ — მისუსტებული ხმით გასძახა. მაგრამ ეს უაზრობა იყო. ბოლოს მოიფიქრა, რომ საჭირო იყო შეეტყობინებინა მილიციისათვის და სასწრაფო დახმარებისათვის. მაშინ მობრუნდა და კურორტისკენ კისრისტეხით გაეარდა. შუა გზაზე მოჰგონდა, რომ მახევრად შიშველი იყო და შედგა. უცებ ცბერმა აზრმა გაუელვა, სულ რომ შეშვებოდა ამ საქმეს, ხელები რომ დაებანა?... რა არის აქ დასაძრახისი? რატომ მოითხოვთ ბევრს გამოუცდელი, სუსტი არსებისაგან?

ისევ გაიბზარა ერთგან სტიუარდისას გულის ედელი. როგორ იცხოვროს აწი, ვის ენდოს, რომელ ბილიკს გაჰყვის?

ქვითინით მიუახლოვდა ადგილს, სადაც ორიოდ საათის წინ ტანისამოსი დატოვა. ვილაც უცნობი უნამუსოდ სვამდა შამპანურს და ბილს შეექცოდა. ზურგით იჯდა. მედეა მიუახლოვდა და წამით ერთ ადგილზე გაიყინა.

— უბადრუკო, არარაობა! — შეაკეცლა მან.

ბიკენტი შემოტრიალდა და წყნარი ხმით აუხსნა:

— დიდი ბრიალა გადავიხადე. შენ გმირს დაპყურებ და უსაფუძვლოდ ლაწმლავ.

— სახედარს...

— რომელი ქალიშვილები ასე არასოდეს არ ზვდებოდნენ გამარჯვებულს... ისინი ალერსით აჭილდობდნენ მეომარს, და უშუშებდნენ ჭრილობას... მომიახლოვდი, სენიორა, მიბოძეთ თქვენი აუციო.

— მომწყდი თავიდან... გომბიოსავით მომეჭეცი, მაგრამ იცოდე, სამაგიეროს გადაგიხდი აუცილებლად.

— გომიბო რას ნიშნავს არ მესმის, ამიხსენო, მშვენიერო.

ბიკენტი წამოდგა და შამპანურის ბოთლი გაუწოდა. სტიუარდესამ არც კი გახედა, ჭინვებს იცვამდა.

— მომისმინე, — თქვა ^{ერყინულში} ^{მე არ ვქილიკობ} ^{შეიძლება უკვე მომ-} ^{ბეზრდა ეს ყანდი} ^{შეიძლება მართლაც} ^{ალარ ვაპირებდი ნაპირზე გამოსვლას} ^{შეიძლება სიკვდილზე ფიქრი} ^{როგორც} ^{ყველა წმინდა ადამიანს} ^{მეც მიპყრობს} ^{ზოგჯერ} ^{შეიძლება დროდადრო ის სა-} ^{მულამო ნაპირი უფრო მიმზიდველი} ^{ჩანდეს} ^{ვიდრე ეს} ^{საცა ჩვენ ვდგავართ} ^{ახლა} ^{შეიძლება მეც მომბეზრდა ჭიტ-} ^{ლაყის მიღება თუნდაც ისეთი ძლიერი} ^{მოწინააღმდეგისაგან} ^{როგორც ცხოვ-} ^{რებაა...} ^{მარტინ იდენივით ზვიგენის} ^{კუჭში გაჭრე} ^{ან ჯორდანო ბრუნოსა-} ^{ვით ცეცხლის აღს გაპყვე ზეცაში} ^{გა-} ^{ნა შეედრება რაიმე მიწიერი მას?..} ^{რომ} ^{იცოდე} ^{რა მოსაწყენი ზღება ცხოვრე-} ^{ბის რელიგია} ^{როდესაც ერთი ეინითაა} ^{შეპყრობილი} ^{მეორე კი განურჩევლო-} ^{ბით.}

ბიკენტიმ ისევ შესთავაზა ალერსი. სტიუარდესამ აბრეშუმის ბლუზა გადაიცვა.

□ ვაბრძელება იქნება □

ბიოგრაფი მონღიკაური

სარდალი და ჰარისკაცები

როცა ქარი ჭრის, ან გარშემო მძლავრი თქეშია,
მოწმენდილ ზეცას რომ მიაპობს წეროთა გუნდი —
შენა ხარ ყველგან:

სიკედელშიაც,
სიციცხლეშიაც,
რომ არ დაედოს არასოდეს ოცნებას ხუნდი.

სული მოსახლე არის მთების
ვით არწივები,
სული, რომელიც მარტოდენ ეტრფის მწვერვალებს.
ქალის ცრემლები,
თმა-ჩანჩქერი,
ნამთა მძივები,—
მთელი ცხოვრება პოეზიის შექმით ელვარებს.

ყოველი წიგნი, — გულის სისხლი,
ერის განძია,
დაიბადება,
ხალხში ცხოვრობს სიტყვა მართალი,
მწამს, რომ სხვა ყველა ამ ცხოვრების ჯარისკაცია,
და ვეფხვის ტყავით შემოსილი ლექსი —
სარდალი!

ხალხიკაურთა კერაჳი

ქველ მეფოლადეს გოგა განიკაშვილს

მთიდან ზევეების გრიალი
ძილს აღარ მიფრთხობს,
აღარა.

აუვავებული ტყემლის ხე —
ტყეს შერევია
ქალარად.

გაზაფხულის ცა მერცხლაობს,
 ლაშქარ დაჭარდა
 წეროთა,
 კალამიც დაზეზებულა
 მთელი ხმით
 სასიმღეროდა.
 როგორც ფუტკარი დაეძებს
 ყვავილებს თავის სარგოსა,
 პოეტის ჩანგიც დარაჯობს
 ლეთიურ ჰანგს
 საარაკოსა.
 მეც თქვენთან სტუმრად მოვსულვარ
 ხალიბაურთა კერაზე,
 რომ ერთმანეთი გაგვეცნო,
 ფოლადნო,
 გულის ძგერაზე.
 შემომეგებნენ მაშინვე,
 როგორც კი მათთან
 შეველი

ზღაბრულთქმულ-ლეგენდას
 ხარები — ცეცხლის
 მფრქვეველი.
 ისმის გრგვინვა და გრიალი
 გამომწყვდეული
 ხარების,
 თითქოს ხეობას შემოჰყენენ
 გადარეული
 ქარებო.
 თქვენ მუდამ მთელი ცხოვრება
 ემაგ ცეცხლს ეთამაშებით
 და მისთვის გვეამაყებით
 ფოლადისგულა
 ვაეებო,
 რომ მამულს არ მოეშალოს
 მზის სხივი შუბის
 ტარზედა,
 რომ რეკდეს ჩვენი ფოლადი
 არწიეთა
 ნაბუღარზედა!



ბარუა ჯოჯუა

სკმობლო

მე ვადღეგრძელებ საყვარელ თბილისს,
შოთას და თამარს, ვაჟა-ფშაველას,
დიდგორ-ბასიანს, კრწანისის ტყვილს,
და მთაწმინდაზე სხიეთა ანთებას;

მე ვადღეგრძელებ გელათს და დავითს,
ჩვენს წარსულს, აწმყოს, უკეთეს მერმისს,
ნიკორწმინდადან მშობლიურ ძაბილს
და მარადიულ ჭენებას მერნის;

მე ვადღეგრძელებ სვეტიცხოველზე,
უქრობელ ნატვრას არსაკიძისას,
და ჩემს თვალების სევდიან ფსკერზე,
შენი ვარსკვლავის ამობრწყინებას.


* * *

ჩვენს შორის იყო ყოველთვის ვილაც,
ვილაც მესამე,
თვალთუხილავი...
და ვგრძნობდი თითქოს,
ჰაეროვანი მისი სხეული,
აკავშირებდა ჩვენს ლამაზ სიზმრებს...
და დავდიოდით უშიშრად სამნი —
მე,
შენ
და ნატვრა...
და მე მჭეროდა,
რომ ერთმანეთის მოზიარენი,
როგორც წამება და სიხარული,

ერთი ოცნებით გადახლართულნი,
 ხან დაბინდება,
 ხან მზიანეთი,
 ჩვენ გავივლიდით ყოველთვის სამნი...
 და ხშირად, შენზე მონატრებული,
 ოდეს წყვედიადში მეკარგებოდი,
 და მაკლდა სითბო შენი თვალების,
 მე ვებვეოდი ძვირფას მესამეს,
 მის წმინდა სხეულს.
 და შენს მაგიერ,
 მის გამჟღავნებელ აჩრდილს ვკოცნიდი...
 და მზის სხივებზე გადახვეული ჩვენი ჩრდილები,
 ერთ სვეტად ჩანდნენ,
 როგორც კანდელი...
 და მაინც ერთად ვიყავით სამნი —
 მე,
 შენ
 და ნატერა...

* * *

ბედმა გავეთიშა...
 აზოზოქრებულ მდინარესავეთ ჩადგა ჩვენს შუა
 და მიგვაქანებს...
 საით?
 ვინ იცის...
 ამ ნაპირიდან მე ვხედავ შენს გზას,
 მკრთალად,
 ნისლეტში ის იძირება...
 და მეც ლოდებით მივყვები მის კვალს,
 გიხმობ,
 გეძახი,
 ვესათუთები,
 მაგრამ მქუხარე ბედის მდინარე
 ახშობს ჩემს ძახილს,
 მდინარე ყვირის სათაელივით,
 ყვირის და მიჭრის დაუსრულებლად...
 მხოლოდ მან უწყის,
 რომ არასოდეს არ შეაერთებს ჩამწყდარ ნაპირებს...
 და მიჭრის ნისლში გამარჯვებული.



ნოველები

კლასის დამრიგებელი

— ცივა ძალიანა, ცივა! — თქვა წისქვილი-
დან დაბრუნებულმა პაპაჩემმა, მაგიდაზე შე-
მოდგა ტაგანი და ხელების ფშვნივით მი-
უფიცებდა ღუმელს.

თოვდა წინა დღეს, ბარდნიდა ღამითაც... მე
ჯერ კიდევ ვინეტი და მელიძა, მაგრამ მუხა-
რბოდა ადგომა, რაკი დიდი თოვლი მეგუ-
ლებოდა, ავდექი და ვეცი ფანჯარას... მონ-
მენდილი ცა დაპყრებდა ერთიანად გათეთ-
რებულ ქვეყანას.

— ნუხელევე თუ გადაიღო, თორი არ ვეცი-
ებოდა ესე ძალიანა, — ჩაილაპარაკა ბებიამ.
— დღეს შენი ჯერი? — შემეკითხა დედა.
— არა, ჩიტაანთ ლექსოსი.

სკოლას ადრევე შემოაკლდა შეშა. სოფელ-
ში აღარაიენ დარჩა ფარსაგი, მოეხდენა ჩე-
ნთვის, ქალები და მოხუცები კი ძლივს აუდი-
ოდნენ ათასგვარ საზრუნავს. მერე შორიგე-
ობა დაეანესთ ჩვენი კლასის გოგო-ბიჭებმა:
ჯერ-ჯერით მიგვეკონდა წვიმლები და მომსხო-
ნაფოტები, იმით ვახულებდით მოძველებულ
თუნუქის ღუმელს და გაედიოდით იოლას.
მაღე ჩვენ მოგვბამეს სხვა კლასელებმაც, ახ-
ლა იმას მეუბნებოდა დედაჩემი: შენ ხომ არ
მოგინა შეშის მიტანის რიგვაო.

მოგბრუნდი ისევ და მივწვი წინდებს,
რომლებიც დანოლის წინ დასამრობად დაე-
ფინე ღუმელის ქვეშ. მაგრამ აღარ მივარგო-
დნენ ქალამნები. დაეცქეროდი მათ და გავი-
რინდე ფიქრში. კაი ხანია, შემომაცვდა მამის
სამოსი, ქურთუკს არა უშეაფდა ჯერჯერობით.
სხვა დანარჩენი... რაკი აღარ გამოდგებოდა
ჩასაცმელად, დახივს და საკერებლებად მიაჯ-
ლანეს ჩვენი კაბებსა და შარვლებს.

— რაღას უყურებ? — შემეკითხა დედაჩე-
მი.

— რასა და აი! — ეუპასუხე და დავანახე
დაცვეთილი ქალამნები.

ჩუმად იცვამდა ჩემი პატარა და-ძმა, მე იმ-
დენად არ მენაღვლებოდა ფეხსაცმელთა უქო-
ნლობა, რამდენადაც — უპურობა, ჯერ კიდევ
შემოდგომაზე ნაფიდა პაპაჩემი ბარში, სიმინ-
დსა და ხორბალზე გასაცვლელად წაიღო ყვე-
ლი და მატყლი, სულ შემოველო მუხრან-ძა-
ლისი და ძლივს ეშოვნა ცხენის ერთი საპალ-
ნე. იმასლა გვიზოგავდნენ ცოტ-ცოტას...

— ნეტა რა ვქნა? რაღა ჩავაცვა ე ბაღლ-
სა? — ანუნუნდა დედაჩემი.

— გამოიტანე ი ბიჭის ხამლები მაინცა! —
შენიშნა ბებიამ.

— იქნება ბრუნდება შინა, იმან რაღა ჩაი-
ცვას?..

— გამოუტანე, მიდი!.. ოღონდ ჩამოვიდეს
ისა და!.. — უთხრა პაპაჩემმაც.

გავიდა დედაჩემი მეორე ოთახში და გამო-
იტანა თითქმის მთლად ახალი ფეხსაცმელები,
რომლებიც ქალაქელებმა მოგვეყიდეს ამ ზაფ-
ხულს კარაქზე. ერთი ორჯელ კი მოასწრო
იმათი ჩაცმა მამაჩემმა და ნაფიდა მერე.

როცა ვიცვამდი, მე მიყურებდნენ სამივენი.

— კარვა კი მოუვიდა, აი! — ჩაილაპარაკა
ბებიამ.

— განა პატარალა, ძალი ჩამიხრჩვება
ამის კისურზე! — გაიღიმა დედამ.

— რა უცბად შეყარა ტანი, მე მეგონა, და-
გვეჩაგრებოდა შიმშილ-სიტყვილითა! — ქი-
რქილებდა პაპა.

საქართველო
საბჭოთა კავშირი

— თავის ჯიშს არა დააგდებხარ! — გაღო-
მებული მიყურებდა ბებია.

— უხლა ისლავ ჩემი საგონებელი, რა ვა-
ჭამო ე ბაღლებსა! — ანუნუნდა დედა.

— რა და აბე! — ტაგანს მიხედა პაპაქემ.
მა. — ხრილი ამოვიტანე ნისქელიდანა! მო-
უდღელე ფუთულში შეჭამანდი მაინც!

დედაჩემმა მაშინვე გასცრა ხრილი და
ორიოდე მუჭა ფქვილი ძლივს გასცვივდა სა-
ცერს. შეუკეთა ღუმელს, შედგა ჩაღხნით
წყალი და ყველანი სასობით მივაჩერდით
მას. როცა ადულდა, მოუკიდა ფქვილიც და
მოურია ციხეზე.

მე და ჩემი პატარა და-ძმა ისე მივაჩერდით
ქვაბს, როგორც სასწაულთმოქმედ რაღაცას.
დედაჩემი კი არხეინად ურევდა და სრესდა
ზევით მოგდებულ მურკვებს. როცა გაგვიწყ-
და მოთმინების ძაფი, სწორედ მაშინ გადმო-
დგა ქვაბი. ჩვენ მაშინვე გახარებულვითა მი-
ვაშურეთ მაგადას. მაგრამ რაკი აღარაფერი
გამოჩნდა მისატანებელი, უხალისოდ დავი-
თითოვეთ წყალწყალა შეჭამანდით სახსე ჯა-
მები. ვიგვე თუ არა, მაშინვე დაშვრია გული
და ძლივს შევიკავე თავი. მერე მიხეხედე და-
სა და ძმას. უხალისოდ იკიანებოდნენ ისი-
ნიც.

— ჭამეთ, შვილო, ჭამეთ!.. — გვეუბნებო-
და ბებია (დედა იმ დროს გარეთ იყო გასუ-
ლი). — ჭამეთ და, როცა მოხვალთ სკოლიდა-
ნა, კაი საქმელს დაგაზვედრებთ დედათქვენ.

მეორე ყლუპიც ჩაივსებე პირში... ჩემს
დღეში ამხნარი უგემური არაფერი მეჭამა
ჯერ ძლივს ჩავეთე გაჭირებების და ვუგანე
კოდვე ჯამს, რომ დამინახა ბებია, მაშინვე
გამოიღო განჯინიდან გოზაური, ამოიღო
ერბო და ბლომად ჩამიფო ჯამში, თანაც შე-
მაქნა კვლავ:

— ჭამე, შვილო, ჭამე!..

მერე მიუბრუნდა ჩემს და-ძმას...
ახლა ერბოს ხალისით მივუბრუნდი ჯამს
და ის იყო სახსე კოვზი ვიტყუე პირში, რომ
კვლავ ამერია გული. ვერც ერბოს გამოეკე-
თებინა უმარილო და წყალ-წყალა შეჭამანდი.
ძლივს ჩავეთე ის ყლუპიც. ისევე განხე გე-
რე უღუფთა და, ნამოკინი თუ არა, მაშინვე
ამყვა და-ძმაც, ჩაეიცით. დავიხურეთ, გაეი-
კეთეთ ხელთათმანები. ნამოვაელეთ ხელი ნი-
გნების ჩანთებს და გავედით გარეთ. ძალიან
შეხალისებოდა ახალი ხამლებით სიარული.
მე ვუკვალავდი თოვლს და-ძმას.

ჯგუფ-ჯგუფად მივმურებოდნენ გოგო-ბი-
ჭები სკოლისაკენ. მალე ნამოვენით თანატო-
ლებს, ლექსოს საშალდით შეეკრა ოთხი პატა-
რა შუშის ნაჭერი და ისე ამოიღო იღლიაში.
მიდიოდა წინ და თანაც ელაპარაკებოდა და-
თას:

— ერთი კაი დაფოლილი ციგა მოვიტანე
გუშინა, მაგრამ დედაჩემი დაძახდა ავადა და

ნუხელ დიდხანს გვენთო ცეცხლზე მადრი, რა-
ღა გადაეარჩინე სკოლაში ნამოსაღუნად.

„მეტყვა მაინც დედაჩემისთვის, ჩემი ჯე-
რია-მეტყი“, ჩაეილაპარაკე გუნებაში.

— არა უშვარა, ერთხელ ხო მაინც აგვიბ-
რიალებს ღუმელსა!.. — უთხრა დათამ. მას
გაცვეთილი წინდიდან ვარდისფრად მოუჩან-
და ქუსლი. ამის გამო იყო თუ რა, კარგად
ვეღარ ანაბრებდა ფეხს, კოჭლობდა ცოტათი.

— დღეს ბოლო დღეა, იქნებ მალეც გამო-
გვიშვან მასწავლებლებმა. — თქვა სალომე
ყველაიძემ.

კარგადვე დაგვიხედა დამლაგებელი. გამო-
ართვა ლექსოს შუშის კონა და ხელად დაგვი-
ნთო ცეცხლი. მაგრამ ვერც კი მოვასწარიტ
გათბობა, რომ დაირეკა ზარიც. შემოვიდა
თეონა მასწავლებელი და მაშინვე ნამოვდე-
ქით ფეხზე.

მას აღარ ამოუკითხავს სია, დადო თუ არა
ეურნალი, მაშინვე ღუმელთან დაიდგა სკამი
და იქიდან მოგვიბრუნდა ბავშვებს. ჯერ დაგ-
ვათვალურა ყველანი და გვიკითხა მერე: გვი-
ვათო? არაო, ვუპასუხეთ ერთხმად.

მოგვიახლოვდა მერე და გამოგვესაუბრა
მამებზე. საიდან მოგდით შტრილებიო. ყველამ
ეუთხართ რაღაც... მერე გვიკითხა, რა ჭამეთ
ამ დღითო. თითქმის საერთაოდ უპასუხებ-
დნენ მოსწავლეები... ზოგმა დაუსახელა ხავი,
ნი, ზოგმა — ღურღუჭა, ანტრია, ხირხიტო,
თხლონიჯი... მე ძლივს ვიკაებდი ღიმილს,
რომ ერთობდნენ ჩემი თანატოლები. მაგრამ
თურმე, ეტყობოდა, რომ არ ტყუვდებოდა
კლასის დამწიგებელი. სანამ ჩემზე მოდებო-
და ჯარი, ვიფიქრე: მოდი, მეც მოვიგონებ
რაღაცას, მერე უაზროდ არ დავიწყო ბოდი-
ალი-მეტყი.

— შენა? — ახლა მე გადმომხედა თეონა
მასწავლებელმა.

— ხინკალი! — ნამოვიძახე უცხად და ყო-
ჩაღად. რათა უფრო მეტი დამაჯერებლობა
მიმეცა სიტყვისათვის.

— ბავშვებო, დღეს არ ჩაეატარებთ გაკვე-
თილებს. გამოგიცხადებთ ნიშნებს და მერე
არც ერთი არ ნახვალთ შინ. ნამოდით ჩემ
თან. ბიჭები დამტყორით შუშას, გოგონები მო-
მიტანთ წყალს...

ბარის რომელიღაც სოფლიდან იყო თეონა
მასწავლებელი. შესაძებ ნელინადი რომ შეუ-
თავდა ჩვენთან, მაშინ დაიწყო ომი. ქმრის
პალტო ჩაეკვა დიდი ყინვების გამო. ერთიბე-
ნო გოგად მოსჩანდა ვაგვიანს სამოსში, ომ-
ში იყო მისი ქმარიც, როგორც ლაპარაკობ-
დნენ მაშინ, ზაქროსა და თეონას თურმე
გაცნობისთანავე შეეყარებოდათ ერთმანეთი,
მაგრამ ბიჭისთვის უარი ეთქვათ ქალის
მშობლებს, რაკი ძალიან ღამაზი ბიჭი იყო
ფურჩის გამე. თეონა მაინც გაწყლოდა ცო-
ლად...



კლასის დამრიგებელი მშვიდად გველაპარაკებოდა და ხშირად აჩვენებდა ხოლმე გრძელ სახელოებს, რომლებიც, ჩანდა, ვერ გაემეტებინა ასაკეცად. იმ პალატოშიც კი ველარ პფარაუდა ძავდავს. გამოგვიცხადა ნიშნები და გვესაუბრა ომზე, ჩვენი ჯარების გამარჯვებაზე, რომელიც ექვსი დღის განმავლობაში დასრულდა. ესენი გაათავისუფლეს გერმანელებისაგან. ამ ახალი ამბების მოყოლას რომ მორჩა, გაგვამხნევა მერე:

— ნუ გეშინიათ, ბავშვებო, მალე დამთავრდება ომი, დაეებრუნდებიან მამები, ძმები...

ამ საუბარში მოუსწრო ზარმა. აიღო ფურნალი და გავიდა კლასიდან.

ყველანი მიუცვივდით ღუმელთან, აუხადეთ სახურავი, რათა გამოგვეჩრტიოდა მუგუზუნისათვის, მაგრამ ერთიანად ჩამწვარიყნა შეშა. მაინც ვუფაფრებოდით და ვუცდიდით მასწავლებელს, დიდხანს არ დაუგვიანია მას. გამოგვიარა მამინე და გაგვიძღვა წინ. მდუმარედ მიდიოდა და ასევე მივყევბოდით ჩვენც. მალე გადაუხუციეთ გზიდან და თითქმის ძალით შეგვიყვანა შინ: მოდიო, დათბით ცოტა ხანსო. ვიღაც დედაკაცი იჯდა გახურებულ ღუმელის გვერდით და ფენილ გაქუცულს ხალიჩაზე და არხეინად არჩევდა ნიგოზს. იქვე ედგა აკვანიც. გაღვიძებული ჩვილი ფუნჩულა თითებით ეთამამებოდა კამარაზე ჩამოკონწილებულ მიწე-ღვინჭილებს. გოგოებმა დაინახეს თუ არა, მისცივიდენ უნახავებიოთ. ზოგი ალუს ეძახდა, ზოგი — ტაასი მალე დააფეთეს და აბტირეს ბავშვი. მერე დაუპირეს აყენება. მაგრამ დაუშალა თვონას ფედაძე.

ჩვენ კი მოშორებით ვიდექით და ვიყურებოდით აქეთ-იქით. საამურად გაღუფლდუმბულს ღუმელზე დულით თავს იკლავდა ლობიოიანი ქვაბ-ქოთანა. მის გვერდით კი თუჯის კეცზე ცხებოდა თეთრი მჭადი. მის ამო სურნელზე რამდენჯერმე გადავუკლამე ნერწყვი. მგონი, ჩემს დღეში იყვნენ სხვებიც, არ ვიცოდი, რატომ არ თესდნენ სიმინდს მთაში. იშვიათად ამოიტანდნენ ხოლმე ჩვენები პარიდან. ხელად ჩამოფქვადენენ ნისქვილზე. გამოაცხობდნენ და ეჭამდით ქადასავით მადიანად, როგორც იშვიათ ხილს...

მჭადს მოჩვენებითი გულგრილობით მოვაცილდ თვლი და მიმოიხივდე ოთახში. დაქრილი შუშით იყო გამოტანილი დაუქმებული ბუხარი. ბევრი ენყო ღუმელქვე. ტახტქვეშ... წყლით სახუც სათლუბი კი იდგა მაგიდის გვერდით. ვერ გავიგე, რატომღა უნდოდა შუშის დაჭრა და წყლის მოტანა მასწავლებელს.

— დაწვეთ ჩანთები, გაიხადეთ პალატოები და დასხედით ცოტა ხანს, დათბით!

ჩანთები კი დავანყეთ, მაგრამ ვერევე მიუხორხორდით კართან.

— დაიცა, დაიცა! — შეგეაჩრე მასწავლებელმა და გოგოებს ერთს მისცა მუნჯი, მუნჯი ორეს — ტოლჩა, მესამეს — კოჭობი...

— ჩვენი? — ნამოიძახეს უჭურტლებოდ დარჩენილებმა.

— თქვენ აღარაფერი, არა მჭირდება მეტი. მე მომჩაქრა დაბლაგვებული ცული, ჩამოგვეცა სათონები და კედელზე აყუდებული პლახებიდან გადმოგვიქცია ერთი პატარა ხარხა.

— აი, ეს დამიჭერით მარტო, მეტი არ მიწინა! — გვითხრა და გაბრუნდა უკან.

— მასწ... რა არი უა. მასწ... — მყოფა, არა მჭირდება მეტი.

მჭადისა და ლობიოს დანახვაზე კიდევ უფრო შემოშიტია შიმშილმა, მაგრამ როგორ გამოვამტყაუნებდი ამას! განზე მივიყენე ბიჭები და მსხედ მოვიქინე ცული. ეუბაგუნებდი, როგორც შეშძლო. მაგრამ აღარ მომდევდა ძალი. მალე დამაყარა ქირის ოფლმაც.

— როგორ ეტყობა, რომ ხინელით არი გამძღარი! — სიცლით უთხრა ბიჭებს ლექსომ.

ყველას აუტყდა ხარხარი და გამეცინა მეც. მალე ისევ გამოვიდა მასწავლებელი.

— ნელა, ფრთხილად!.. — მარიგებდა ნამდღაუნში.

ორიოდე პატარა ნაფოტი კი შევაგდებინე და მომვარდა დათა:

— შიიტა ახლა შენა!

— ენახოთ აბა, ხირხიტონაჭამი აჯობებს თუ არა ხინკალიჭამისა.. — ახლა მას დააყარეს სიცლი ბიჭებმა.

ეუბაგუნებდით რიგრიგობით და, როგორც იყო, დაეანაფოტეთ ხარხა. მერე, რომ მიუცვივდით მუორესაც, წინ გადაგვიდგა მასწავლებელი:

— კმარა, აღარ მიწინა მეტი!..

ამ დროს მოვიდნენ გოგოებიც და კვლავ შინ შეგვიყვანა ყველანი. მჭადის ნატეხებით საესე ლანგარი დაგვხუდა მაგიდაზე მოხუცი ჯამებზე ასხამდა უკვე იმ ხანად შენელებულხა და ამოღესილ ლობიოს.

— აბა, გაიხადეთ ეხლავ პალატოები და მიდიეთ მაგიდასთან!.. — გამამხნევებლად შეგვიძახა მასწავლებელმა.

— არა, მასწ... — დიდი მადლობა, მასწ... — გადგვიდგა წინ და ძალს ის ძალს — ჩვენ. ვერც ერთი ვერ მიგვებრუნა მაგიდასთან. ავიღეთ ჩანთები და გამოვცვივდით გარეთ. გარქარებულები მივყევბოდით გზას. არც ერთი კი არ ეიღებდით ხმას. აღბათ, როგორც მე ყველას თვალწინ ედგა ოხშივარავარდნილი ცხელი მჭადის ნატეხები და ჯამებზე ამოღებული სურნელოვანი ლობიო. ნამდღაუნში ველაპავდი ნერწყუს და იმითღა ვინუტემბდით თავს, რომ მივიფოდი თუ არა შინ. რაღაც კაი რამეს დამახვედრებდა დე-

დაჩემი. მართალია, აღარ გვებადა აღარაფერი, მაგრამ, ყოელის შემქმნელისათვის უცბად, მოულოდნელად, რაღაცას გამოაჩენდა ხოლმე. მივდიდი თუ არა შინ, ვეცი კარადას, დამიხედა ცარიელი. ავხადე კიდობანს — რა შეგინახავს, რას ეძებ... მოვბრუნდი და კინაღამ ავტირდი სიბრაზისაგან. მერე მანუგეშა ბებიაში:

— სულე და ამაღამ რაღაცას გააკეთებს დედაშენი.

კარგა დიდი დრო იყო „ამალამამდე“.

— გაკვეთილები, შეილო — შემახსენა ბოლოს.

საქმელზე ფიქრით გაბენტერებულს განაღდა მახსოვდა, რომ არდადეგები გვქონდა უკვე-ცრემლნარევი ჯიჯლინით გავხსენი ჩანთა, მაგრამ რაღაც უცნაური რამ მომხდოდა ხელში. ბიჭებმა თუ იმასხარუს-მეთქი, გამოიღვა უცბად და ჩავიხედე შიგნით. ორი კიი დიდი ჩურჩხელა იდო ჩანთაში.

ჩურჩხელები..

მ ბ ლ ი

— ომი დამთავრდა, ხალხნო, ომი, ომი.. გაიხარეთ, მოგივლენთ ეხლა შეილები, ქმრები, ძეგბი.. მამები.. — გაიმახოდა კოჭლი საბა.

იმ დროს ბოსლის წინ ვიჯექი და გულმოდგინედ ებანდავდი ჩემი პატარა ძმის ქალამანს. მაშინვე გვერდზე გადავიხედე ხელსაქმე და შევეარდი შინ.

— ომი გათავებულა, დედი, ომი!

დედაჩემს კარაქი ამოქონდა შედელებილი დოდან.

— ვინ გითხრა? — რაღაცნაირად შეკრთა და ვერევე გაუშეშდა სახელთაქაპინებულნი მკლავი.

— იძახიან, გამოდი გარეთა!

საბა კვირაში ერთხელ, ხან კი ორჯერ ჩადიოდა რაიონში და ამოქონდა გახეთები და ნერილები. ხალხში რომ ჩამოარჩებოდა ყველაფერს, მერე მიეშურებოდა ფერმაში. მას, როგორც ფოსტალიონს, დაეჯერებოდა ეს ამბავი.

არ ვიცი, რა ქნა დედაჩემმა, რადგან მაშინვე გავეარდი ეზოში და დავაპირე მეზობლებთან შირბენა. თუმცა ყველას გასატონად იძახდა საბა, მაგრამ მაინც მომწადადა მეც მეხარებინა ტოლებისათვის, რომ გათავდა ომი და მალე დაგვიბრუნდებოდნენ დიდი ხნის მონატრებული მამები. მივირბინე კი გზამდის, მაგრამ რაღაცნაირად გადაშიარა ამ სურვილმა. უშაღვე ნარმომიდგა მამაჩემი, გამახსენდა, ცრემლითა და ვაი-ვიშით რომ გაეცალეთ ოჯახმა, ერთხანს გვიგზავნიდა ნერილებს... უკანასკნელად შეგვატყობინა: მივდივართ ფრონტზეო და მორჩა, ამის მეტი

ეს მთელი ფუფუნება იყო ომის დასრულების უშაღვე გამქარება ბრაზი და გალიმებულმა მივხედე ბებიას.

იგი ფეხმორთხმით იჯდა ღუმელის გვერდით დაფენილს სანმისზე და არხეინად ჰქსოვდა წინდას.

ჩურჩხელები..

ალბათ, შეშას რომ ეჭირდით, მაშინ ჩაანყო მასწავლებლმა. მაგრამ მარტო მე ხომ არ გამომარჩედა შეიდე გოგოსა და რვა ბიჭში? არც კი შემპარვია ეჭვი, რომ მან ყველას გაატანა ორორი, ვიდექი გახარებული, დაეჭვროდი საჩუქარს და მერეღა მოვეგე გონთ: მას არც შეშა სჭირდებოდა, არცა — ნყალი... ჯერ კი დავაპირე, შეკრა პირში, მაგრამ... უშაღვე თეაღწინ დამიღდა დაძმა, ბებია, პაპა, გადაენწყობე. კვლავ შემენახა ჩანთაშივე და დილაზე, ღამიანადვე ნაშოვ-მდგარიყავი ლოგინიდან, დამეჭრა თანაბრად და ტბილად დამებერებინა ყველა.

აღარაფერი გვახსოვს მისი. დავნაღვლიანდი თანდათან, მაგრამ მაინც გავუდი სოფელში. ერთიანად აყვანებული ქალები აღარას ავიღდნენ საბას, ზოგი რას ეკითხებოდა, ზოგი — რას... აქეთ-იქიდან მოეშურებოდნენ დიდი ხნის გაუძლისი სვედით დამშუნებული ბერიკაცები, მწუხარებისაგან ცრემლგამშრალი ქალები, უკვე ნაშორიხეებული გოგო-ბიჭობა, ბაღლობა..

მალე მოიბრინა დედაჩემმაც, მას სწორად არ შეგებია ყაბაჩის ლილები და ვერც კი გრძნობდა, რომ ამის გამო მრუდად ედგა საყულო. ხელების ჯიკე-ჯიკავით გააპო ყოლები და გახარებული მიეტქა ფოსტალიონს: — ვინ გითხრა, საბავე, შენა! მართალია, ბიჭო?

— მართალია, კაცო, მართალი, მამა! განა ბაღლი ვარ, მოვიტყუილო? რადიოს გამოუცხადებია, რომაო... გათავდა ომში! გახარებულია მთელი ხალხი, განა ჩვენ რო ვერაფერს ვიგებთ თავი დროზე... ღრუვ ხეში გამომწყვდელულებივით როგორღაცა ვართ აქაურები?

— შენი ყურით გაიგონე? — დაეჭვებით სკითხა ვიღაცამ.

— შოო-შოეტი, კაცო, შოო, შოო!.. სხვისი ყურით ხომ არ გავიგონებდი მამა, პაპა! რა ხალხია, ეე! კარგით, დამანებეთ თავი! ყელიღა მეტიინა ამთვენი ღამარაკითა! — ნასას, ვლულად გაინია გახეუკიანებულმა საბამ.

ზოგი ისევე ჯგროდ გაჰყვა ფოსტალიონს და მერევე თუ შესამედ ეკითხებოდა ერთსა და იგივეს. ზოგიც იქვე დარჩა; ზოგები კი (ალ-



ბათ, არა სჯეროდათ) უიშვოდოდ როგორღაც გაილაღნენ აქეთ-იქით.

დედაჩემმა მომიკიდა ხელი და დამაბრუნა შინისკენ. მე მაშინღა შეეხსენე, რომ სწორად არა ჰქონდა ღილები შეყრული, უკუღმა მოგზავნიდა თავმალვით. ეტყობოდა, ფართიფუროთ ჩავიკე და ისე გამოქცეულიყო სიმაართლის გასაგებად, რომ ვიშვარჯვეთი სახლს, იმ დროს გამოიყვანა ჩემმა დამ ზურგზე მოკურებული ჩვენი პატარა ძმა. ისიც ჩვენთან მოდიოდა თურმე.

— ახალი ამბავი, მაყვალ! — დაეუძახე შორიდან, — გათავდა ომი და მოვა მამაჩემი! იგი იქვე გაჩერდა და შემეკითხა:
 — როდის მოვა?
 — რა ვიცი მე! მოვა როდისმე!
 — დედი, მართლა?
 — მართლა. შეილო, მამ! დასვი ბაღლი! და ნამოდი შინა! ბაზარში უნდა გაგზავნო შენ და ელგუჯა, გაატანოთ კარაქსა და გვებ ვისმე გადაუყვალათ პურზე.

ამასობაში შევედით კიდევ შინ. დედას ეგრევე მიეტოვებინა სადღობელი და თაველია ქვაბი, რომელშიც წყალზე ტოტიკვებდა კვარცხის გულივით ყვითელი კარაქის ვეება გუნდა.

— გზაში შენ ატარე, გოგოა ესა! არაზე შატირო, თორი ამოხოლ აქა და დაგაგლეჯე ყურებსა! — მაფრთხილებდა დედა, თანაც ეძებდა ჭურჭელს, რომელშიც უნდა ჩადო კარაქი. მევე ისევ ახლადმოკალულ ჩალხანაზე შეაჩერა არჩევანი და განაგრძო ჩემი დის გასაგონად: — თუ გასცვალთ, შენ ნაშაილე პური, არ მისცე მაგასა, თორი შეჭამს სულა და დაგვარჩენს მშვივებსა! — ისევ მე მომიბრუნდა ბოლოს, — დაუჯერე, არაზე შატირო, თორი ის არის კიდევსა!

შეგობრულად ვიზრდებოდი მე და ჩემი და, მაგრამ ახლა აღბათ, იმიტომ მაფრთხილებდა დედა, კაი ხანი რომ ვშიშნობოდი და ვაითუ პურის გამო დაგვეკანრა ერთმანეთი.

გამოვალეო წყალი ჩალხანას, ჩადო კარაქი, სადღობლისავე სერა გადაფარა ზემოდან, ირგვლივ შემოარტყა ბანარი და მე შემომა, ჩეჩა ქვაბუნა.

ყოველთვის მიმიხაროდა ბაზარში, რადგან აქა ვხვდებოდი ათასი ჯურის ხალხს: თბილისიდან ამოსულ ქალებსა და კაცებს, ჯარიდან დაბრუნებულ ყვარჯინასა და კისერზე ხელნამოკიდებულ ხეობრებს... ქალაქელები ყველზე ერბოზე, კარტოფილზე, ქათამსა და კვარცხზე სკვლიდნენ საიდანღაც მოპოვებულ სამოსსა და თეთრეულს, საპონს, მარლილს, ასანთს... ნავთიც კი მოჰქონდათ... მაგრამ მე უფრო ჯარიდან დაბრუნებული ზიჭებისავე მიმიხედა გული, ისინი დიდის

ხალისით უყვებოდნენ ერთმანეთს, ფრონტულსაინტერესო ამბებს...

ჩავედით თუ არა, გაეჩრდიო განაპირებით და ჩემ დას გადავეცი ქვაბუნა.

მან დაიდგა წინ, ყოჩაღად მოხსნა ბანარი, შემოაძრო სერა, კარგად დააჩინა კარაქი და დაიძახა ხმამაღლა:

— კაა-რაქი პურზე გასაცვლელი, კაა-რაქი, კაა-რაქიიი!

უმაღლე დაგვესივნენ ქალაქელები.

— პერანგზე არ გასცვლი?

— არ გვინდა პერანგი, დედამ დაგვაბარა, პურზე გაცვალეთ!

გაბრუნდებოდა ერთი, ეკითხებოდა მეორე:

— კაბა არ გინდა? კაი კაბა მაქვს საშენო!

— არა! პური, პური!

ზოგი დახედავდა კარაქს და მიდიოდა ეგრევე, ზოგი ფრჩხილნამოზრდილ ნეკს ამოკ. კრახინა და პირში იტყუებოდა თითს, რათა ასე გაესივდა გემო.

მე ერთი ხანობა კი ვიდექი დის გვერდით, მერე ბაზარში სახეტიალოდ გამიჩია გულმა. ავიარ-ჩავიარე თავიდან ბოლომდის, მივდექმოვდექი ერთი ნაპირიდან მეორემდის... ხალხი იყო იმეფი... რომ აღარ ეტოვებოდა მოვდა, ნზე, რიყზეც კი გასულყვეთ აქა-იქ, აუარებელ დედაკაცებში თითო-ოროლანი ღიღიღიებდნენ კაცები, ომის დამთავრებაზე ლაპარაკობდნენ ყველგან, ხელს ართმევდნენ ერთმანეთს, უღოსავდნენ გახარებულნი, ათასნაირ ხმაზე ისმოდა სიცილ-ხარხარი, ლაპარაკი, ძახილი...

მაღე მომწყინდა ხეტიალი, რადგან ძალიან დავიღალე, თანაც ისე მომშივდა, ლამის ვიკუცემოდი მუხლებში, კვლავ დაებრუნდი უკან.

ჩემს დას ისევ საესე ჰქონდა ჩალხანა, კარაქის გუნდა კი მუშტრებს ისე ავკორტნათ ფრჩხილებით, თითქმის ქათმებს ჩაუციბათ ნისკარტებით, ვიყურებოდი აქეთ-იქით და თვალებით ამოვ ეძებდი სასურველ მუშტარს, მაგრამ არაუინ იყო პურზე გაცვლის მსურველი, მერე ნაშოიძახა კილაცამ: სამხედროები მოდიან, სამხედროებით და ყველამ ზიდისკენ ეობრუნეთ პირი.

ჯგუფ-ჯგუფად შემოდოდნენ ჯარისკაცები ბაზარში, ზურგზე ეკიდათ დიდი ჩანთები, მხარზე — ატომატები, ხელში კი ეჭირათ დაკეცილი ფარაჯები, მოდიოდნენ შორი მგზავრობით დაღლილნი, მაგრამ მაინც მხნენი და ბედნიურნი.

შემოვიდნენ ხალხში და დაიქსაქსნენ აქეთ-იქით.

ისე გავერთე იმათი ცქერით, სულ დამავინყდა კარაქი, მარტო მე კი არა, მათ უცქერდა მთელი ხალხი, ბედნიერებოო, შენატრა ვილაცამ, ნეტავი თქვენს დედებსა, ნატირა ერთმა შოსანმა ქალმა.



ჯარისკაცები კი დადიოდნენ და ყიდულობდნენ ყველს. შაშხს, კვერცხს... მალე ჩვენს კენ შემობრუნდა ერთი შევევრმანი, მალალი, პირხმელი და ლამაზი ახალგაზრდა. მან ახლოდან დახედდა ფრჩხილებით აკენკილ კარაქს, მერე ჩაიყო ფიბებში ხელი, ამოიღო საფულე და ამოჩეჩა დასტად ჩანყობილი წი. თელი სამთუმნიანები. ამოიღო ოთხი ცალი და მომცა მე.

ჩემმა დამ უარის ნიშნად გაუქნია ხელი:

— არა, არა! პური, პური!.. დედამ დაგვაბარა, პურზე გაყვალეთო!

— პურიო? — გაღიმებულმა იკითხა და თითქოს ახლა უფრო მეტი ყურადღებით შეგვათვალევრა ორივენი. — მოგცემთ პურსაც! — თქვა. შემოიბრუნა ზურგჩანთი, მოხსნა პირი და ამოიღო ფურჩხის დიდი პური.

ჩემს საიცოცხლემი პირველადა ვხედავდი იმხელა მრგვალ, გაფუფულებულ მონითალო პურს, რომელმაც სასიამოვნო სურნელი დააყენა ირგვლივ.

ჩემმა დამ დაშასწრო გამორთმევა.

მე კი ავიღე და გაბარებულმა გავეწოდე ქვაბუნა.

ჯარისკაცს უმაღლე შემოვისცნენ! მწმფტმ რებული ქალები. სად მიტმტმტმტმტმტმ შეილოო; როდის გაგიშვებენ შინაო; ჩემი თედუა ხო არ გინახავ სადმეო, ასეთი და ასეთი ბიჭოო... ეკითხებოდნენ ათას რაღაცას.

იგი ველარც კი ასწრებდა პასუხებს. ბოლოს მოიყალა ჩემთვისაც. გამომართვა ქვაბუნა, გადაცალა, დაუხუფა თავი და გატრაილდა იმხანად მოკიდებული ჩანთის სწორებით.

მე კი გაბრუნებულევით როგორღაც ვიდექი და ველარაფერი მომხებრხებინა ფულისთვის. მაშინღა მოვედი გონთ, როცა უკვე შერია ხალხში. ავედევნეთ ორივენი და უკანვე შევაძლეეთ ფული.

— გქონდეთ თქვენ, გქონდეთ! მე არ მინდა! — თქვა, გაგვიღიმა და შეუერთდა ამხანაგებს.

ვრდევით მე და ჩემი და, რომელსაც მკერდზე ორივე ხელით მავრად მიეხუტებინა პური და გაცუქეროდით ჯარისკაცს. მერე შევხედეთ ერთმანეთს, გაგვეცინა ხმამალა და გავედით მავრიდამ.

ტყვისმეცველი

— ბეჯანა!

გასმა ზამბარებანი საწოლის ქრიალი და მერე ამას მოჰყვა ხრილისმავგავრი წამოძახილი:

— ხააა!

— რას იზამ, წამოხვალ?

— კი!

— აბა, ადექი მამ!

მოხუცი ერთხანს უცდიდა აივანზე, მერე კვლავ დააპირა რაღაცის თქმა, გაალო კიდევ პირი. მაგრამ გადაიფიქრა დაძახება და გაბრუნდა უკან. მიდიდა ნელა, თანაც იყურებოდა ეზოში. მერე სვეტს მოჰკიდა ხელი, გადაიხარა მოაჯირიდან და გახედდა აღმოსავლეთს.

მიშველი მთების დაკბილულ ვალაყანს გუმბათისებურად დამხობოდა მოკრივლებული ცა, ოდნავ შენითლებულ ღრუბლებს ზანტად მიალეღევებდა სუსხბანი ნიავი.

შვიდა საშხარეულში.

შხიარულად ბურბურებდა ახლადგახურებული ღუმელი.

დაჯდა დაბალ სკამზე და მისწვდა მატყლის ნინდებს. მერე სპორტულ ფეხსაცმელებზე შეაჩურა თვალი...

ადგა თუ არა, კეცზე შემწვარი მწვადი შედგა ღუმელზე, კოვხით მოურია გამლხვალ ქონს და ისევ გავიდა გარეთ, სახეზე შეისხა ცივი წყალი... ბოლოს ხელპირის მშრალებით გაუმურა დასაძახებლად, მაგრამ, სანამ გარიცხებდა ხმას, დანჯერიდან შეიხედა ოთახში.

ბიჭს უკვე აერთო სინათლე. ფარდებს მიღმა მოჩანდა ბუნდოვნად; ჩაცმული ტრიალებდა სარკიანი კარადის წინ.

დაჰკიდა პირსანშენდი და მიუტრიალდა საუკუნაო კარადას. გამოიღო ყველი, პური... კიდევ რაღაც უნდა მიეტანა სუფრაზე, მაგრამ არ იცოდა, დიასახლისს სად რა ჰქონდა გადამავალი.

შემოვიდა ბიჭი და მიუფიცხდა ღუმელს. — აღარ არი ჯდომის დრო, დაიბანე პირი! შეწნაყრდეთ და დაეყაროთ გზას ბარაქა!

— ჯერ გათენდეს კარგა!

— შორია, სანამ ავალთ, ამოვა მზეცა! ცოტა ხნის შემდეგ ფეხზე იდგნენ ორივენი. მოხუცმა გახუთი გადააფარა აულაგებულ მავიდას, მერე შეიყვანა დიდ ოთახში. აჰკრა ხელი ჩამორთველს და განათდა იქაურობა.

ბიჭმა უმაღლე თვალი მიაჯაჭვა კედელზე ჩამოკიდებულ იარაღს. უყურა კარგა ხანს და ბოლოს ავტომატურ თოფზე შეაჩერა არჩევანი.

მოხუცს გაელიმა ემშაკურად და ჩამოიღო ორღულიანი, მერე შემოირტყა ხანჯალი, აღმედად გადაიკიდა საჯახზე და, რომ გამოვიდნენ აივანზე პირველმა თვითონ ჩაირბინა კიბე, მერე ჩქარი ნაბიჯით გაუდგა დათრთვილულ ბიღის.

იცრიცებოდა დილის ბინდი. მონშენდილ ცაზე იფერფლებოდნენ ვარსკვლავანი, გვერდებშენითლებული ღრუბელი კი სადღაც გადაეკრგნა ნიავს.

მიდიოდნენ ჩქარა და, რომ ისუნთქავდა, სუსხიანი დილის ჰაერს, ბოლქვებად გასდროდა ორთქლი.

მალე დანიანურდა მოხუცი. თავადაც გაშალა ნაბიჯი, რათა ნამოსწეოდა ბიძას. ბოლოს კიდევ აუბა მხარი, მაგრამ გაირონდა ფიქრში და ჩამოჩა კვლავ. რაცა შენიშნა ეს, მოუჩქარა ისევ, თანაც დააკვირდა ორთქილზე დამჩნეულ ბიძის თანაბარ ნა. ფეხურებს. ვითომ მე უფრო ჩქარა მივაბიჯებ და როგორღა მასწრებს ესაო, გაიფიქრა და შეათვალერა მოხუცი. დაბალი და განიერი ფეხები ეხურა მას. მოკლე ქურთუკის საყვლოზე მორგავით ედგა გაპარსული კისერი, ქუდის შავი ბუნებებიდან კი უხვიროდ მოჩანდა ქაღარა, რაც თითქოს არ შეგფერობდა მის კუნთოვან ქედსა და კვერავით ბრტყელ მხარ. ბუქს. „რამხელა კაცია, დათვისაც კი დაეჭობება ხელდახელ...“ გაიფიქრა და ნამოენი აკვდა. ეუზერსულებოდა სიჩუმე. დაფიქრდა და ესდა ჰკითხა მერე:

— როდის დაბრუნდება ძალუაქემი?
— არ ვიცი, თუ ძალიან არა უჭირსრა ელენეს, მოვა ორსამ დღეში.

— კარგი კაცია ელენეს ქმარი. კარგი გოგო იყო და საფერი შეხვდა მეუღლეს! ბიჭებისა რაღა იცით?

— ენგურკესზე მუშაობენ ორიენი...
— ეგ ხო... სხვა? არა იცითრა მტკი?
— არაფერი, — უპასუხა და გავიდნენ კიდევ რიყზე.

ფრთხილად მიაბიჯებდნენ ქვებს შორის. იქვე ახლოს მომხუოდა ზვირთბაქოჩრილი მდინარი. მისი კიდები თხელი, სიფრიფანა ყინულით მოვეერცხლა ღამის ყინვას. ნელა ააყოლა თვალი დინებას. ღურჯად მომხუო. და რიყის დალაქინელ არტახებში ჩაქტილი წყალი. მოსახვევებში გააფთრებით ასკდებოდა ღაღებს და ბედს შერიგებული გამორბოდა დაღმა. თანაც სადაფოვანი ენებით ლოკავდა მიჯრით მიწყობილ ქვებს და ხუჭუჭა ტალღების ხტუნვით მოიჩქაროდა ხიდისკენ.

ახლა დაღმა ჩააყოლა თვალი. ქვემოთაც ბობოქრობდა ამგვარადვე, ოღონდ ერთგან გაეხრამნა რიყე და დაქსაქსულიყო რამდენი. მე ტოტად.

ბიძას აცალა ხიდზე გასვლა. მერე შედგა თვითონაც. მივიდა შუა ადგილას და ჩახედა ლილისფერ ტალღებს, რომელთაც ალაგალაგ უქაფდებოდათ ქეჩო.

გავიდნენ გაღმა და შეუდგნენ აღმართს. აქედან უკვე ახლოს იყო წითლად. ყვითლად და ყავისფრად გადაფარული ტყე. მას შავი ფერიც დაჰკრავდა ალაგალაგ. ეს იქ. სადაც უკვე გასკვნოდა ფოთილი ხეებს.

„ბარემ სულ აქ გაავატარებ შევბულებას. ავევები ბიძაჩემს და ყოველ დღე ვეკლით ტყეში. თუ ვერ კინადირებთ რამეზე, სუფთა

ჰაერზე მაინც მომიხდება მთებზე ჰაერზე და ვყრი ქონებს...“ ფიქრობდა და გვერდით მიჰყვებოდა მოხუცს.

თანდათან გაბაცდა ვარდისფრად შეღვივებული ცის აღსავალი. მერე ამოამუქა მზემ და კიდევ უფრო თვალნარმტაცად აჩახახხე. ნენ ტყეზე დაღვრილი ფერები.

მიხედა საოფლისკენაც.

ყველაფერი ისე მოჩანდა აქედან, როგორც — ხელისგულზე. ყვითლად და მოყავისფროდ გადაკვერცხილ ხეხილების ვარჯებს შორის ახიღულიყვინენ სხვადასხვა სიდიდისა და მოყვანილობის სახლები. საკვამურებიდან ხანცად მიიზღანებოდა მტრედისფერი ბოლი. სოფლის მიღმა ალაგალაგ ხნულით გადაეშავებინათ ტრიალი მინდორი. აქა-იქ ყრუდ ბუბუნებდნენ ტრაქტორები.

სირბილით აედევნა დანიანურებულ ბიძას და ჩაილაპარაკა სუნთქვამოსმირებულმა:

— კარგია სოფელი!. მამაჩემს არ უნდა დაეტოვებინა აქაურობა! მალეც იმიტომ დაემჩნა სიბერე, რო ქალაქშია. შენ გაცოდებით უფრო ახალგაზრდა ხარ იმაზე.

— მე პატარა ვარ და ნიადაგს.. თანაც, სუ. ფთა ჰაერზე ვარ სულ! მიყვარს ბუნება, კიცაე ტყესა და ნადირ-ფრინველს. რაც კია ჩემს სამცველოში, იმას ვერაეინ ახლებს უნებართვად ხელსა!

— ეთქვათ და, ფული შემოგაძლიეს. მამო. ნა?.. — ქოშინის გამო ნანყვეტ-ნანყვეტად ღაპარაკობდა ბიჭი.

— ჩემთან არც ფული გავა და არც არაფერი!

— ემ, ბიძაჩემო! თუკი უნდათ. მაინც მოაკლავენ რაღაცას. შენ კი არ დაგიძახებენ იმ დროსა.

— ადრიდან გვიანობამდის ტყეში ვარ სულა და ვინ გამიბედავს მაგასა? კარგად მეუერება ჯერა, ტყეში შორს გადის თოფის ხმა.

— ეთქვათ და ნაასნარი. მერე? — თითქოსა სედისო, ისე ეკითხებოდა ბიჭი.

— აფერი იარაღსა. ნაეართმევე ნანადირევსა და გადაეცემ სასამართლოსა!

— მაგ დროს არ დაგზოგავს ბრაკონიერი!

— აბა ერთი, გამიბედლოს ვინმე რამ!

— რა დიდი ამბავი უნდა? თრახ და შორჩა!

— ეგრე აფილი რო იყოს თრახ. აქამდე ათეჯერ ვიქნებოდი მოკლული! — არხეინად ჩაიქირქილა მოხუცმა.

— ევერი რო იყავი, ვიკოდი, ტფყისმცველობა როდისლა დაგავალეს?

— ამ ზაფხულსა!

ამ დროს კიდევ შევიდნენ ნურილიანიში.

ფეხქვეშ მქისეად ამრიალდა ბაღახზე დაყენილი ფოთოლი. თუმცა არ უბერავდა ნიაკი. მაგრამ მაინცა ცვიოდა ნელა. უხშაუროდ. ხამუმ-ხამუმ... ოხმივარევით თხელი ბურუსა

გაქვიოდა და მეტს ვეღარას
ლეარების გამო.

იფეგა ხეებქვეშ და გაუბზარავი სიჩუმე და-
ვანებულოყო ირგვლივ. მხოლოდ ნაბიჯებით
გამონვეული ჩქამი არღვევდა მდუმარებას:
ფეხქვეშ ყურისნამღებად შრიალებდა ხმელი
ფოთილო.

მიჰყვებოდა შორიახლოს და ათვალერებ-
და ხეებს. ტანაყრილ შიმვლებში აქა-იქ მო-
ჩანდა სააბაჟო სოკოებით გახორხილი და
კოდალებისაგან ალაგ-ალაგ დაცხავებული
ნიფლები, ქარისაგან გადატეხილი ცილაშე-
მომპალი ვერხვები, დახავსებული ყუნჭები...

ეროვან შეჩერდა მოხუცი, ახედა ფარღა-
ლალა ტოტებს და გაიჩინდა ფიქრი.

რადაცნაირი ბინდი იფეგა ხეებქვეშ. მკრთა-
ლო, აისის მომძლავრებული შუქით დაღახვ-
რული ბინდი. თუმცა სამარისებური სიჩუმე
დავანებულოყო ირგვლივ. მაგრამ მაინც ისე-
თი გამომტყველებით გარინდულოყო მოხუ-
ცი, თითქოს ისმენდა ტყის იდუმალ ხმებს,
თვდებამორეული ბუნების შეუცნობელ ჩურ-
ჩულს.

მიმოიხედა თვითონაც და მერე ისევ მიავ-
ტერდა ბიძას.

— რასაც თქვენ ნადირ-ფრინველს იცავთ...
არ არი, არ არი! რა არი ამის მიზეზი?

— რა ეციო, ბევრი რაში?... ვიაროთ! — თქვა
და გეზად გაუყვა ფერდოს.

მალე გავიფინე დაკეპულ ველზე. ირგვლივ
შამბად ატეხილიყო ჩადუნა, ანწლი, დიცი,
შუპყა... ბალახს ნამად აჩნდა გამდნარი
თრთილი. შუაზე გადასჭრეს ველი და კვლავ
შევიფინე ტყეში. მერე უეცრად შედგა მოხუ-
ცი, გახედა პირმზითს და დაუსტვინა თით-
ებით.

— რა არის? — შეეკითხა ბიძას.

— არც!

გათვალერა ფოთლებგაძარცული ხეთა
რტოები და გამჩჩერებულ ბუჩქნარში დაინა-
ხა ყელმოღერებული და ყურებდაცქეტილი
შეღები.

გაფაციცებულნი იყურებოდნენ ისინი.
ბიჭმა მამინვე მოიხსნა თოფი, შემართა
ლულა, შეარჩია ყველაზე დიდი და დასვა ნი.
შახე.

— რა კარგებია ეს დალოცვლები, რა ლა-
შაზუბი!.. როგორ ახარებენ თვალსა და გულ-
სა!.. — წყნარად ლაპარაკობდა გაღიმებული
და გასაცქროდა შეღებს. მერე მოიხედა მის-
ნულისკენ. დაინახა თუ არა შემართული თო-
ფი, უშალვე ლულაზე აუკრა ხელი.

გაისმა გამაყრუებელი ქუხილი და მყისვე
გადაიკარგნენ ტყურნი. პერეში გასროლილ-
მა ტყვიამ კი ძირს ჩამოყარა ტოტების ნაღ-
ვები.

— რასა სჩადი, რასა!..
ენაჩავარდნილოვით სდუმდა ბიჭი.

— არ შეიძლება ვგრე, არა, არა, არა!.. —

გაქვიოდა და მეტს ვეღარას
ლეარების გამო.

— კარგი, პოო, კარგი! — გული მოუვიდა
ბიჭსაც.

— არ უნდა იყო ხარბი და სულნასული!

— აბა მაშ რისთვის ნამოუვიდით?

— განა აუცოლებელია მოუკლათ რამე?

დაუშინე თაქვე და კვლავ ამრიალდა ფო-
თილი. მერე გეზი აიღეს ნურილიანისკენ და
ნაადგნენ ირმის გეშს. საცოდავი ქორბუდასი
მარტო რქები და პირწმინდად გამოხორული
ძელებიდა შემორჩენოდათ მგლებს.

— აი — ნამოიძახა და შეხედა ბიჭს, —
ამათ კიდევ ჩვენგან უნდათ ხოცვა?

— როგორ იქვერენ ეგ ოხრები?

— დაედევნებთან, ყოველის მხრიდან მოუჭ-
რინა გზას და შემოაგდებენ ნურილიანში.

„აჰა!.. რომ გაებას რქებით, არა? გასაგე-
ბია!“ გაიფიქრა და თქვა მერე:

— აბა, რო იტყვიან ხოლმე, მგელი ბუნე-
ბის სანიტარიოა!..

— სანიტარი კი არა!.. რასაც ეგვნი შევლ-
ირმებსა და საქონელს ანადგურებენ!.. — ნა-
მოიძახა და აღარ დაასრულა სათქმელი. ხან-
ჯლით აჩეხა რქები და შედო ტოტებზე: —
რო გამოებრუნდებით სამინაოდ, მაშინ ნავი-
ლოთ ესა!

გავიფინე ველზე... აქ. გორმალაღას ქედი-
დან ირიბად გადმოხრილ ჩრდილში ვერცხლის-
ფრად ქათქათებდა ჯერ კიდევ გაუმდნარი
თრთილი. მზიანში კი მთლად სველი იყო
ბუჩქნარ-ბალახი.

სიგრძეზე ჩასჭრეს ველი, დაადგნენ ხეში
ჩამეველ ბილიკს და მოისმა ძაღლის ნკმუ-
ტუნს მიმგავსებული ჩქამი. უშალვე დაძახა
სმენა, მაგრამ აღარაფერი გაუგონია მეტი.
ისევ თვალწინ ედგა ირმის რქები და ძელები.
ცოტა ხნის შემდეგ კი ნაანყდნენ ეინრო ბი-
ლიკზე დაგებულ ხაფანგში გაბმულ მგელს.
იგი არც კი ყურებდა მონადირეებს. თაქრა-
ღუნული გააფთრებით იღრღინდა ფეხს და
ნკმუტუნებდა ხანდახან.

— არც ამას ვესროლო? — იკითხა და
მგლისკენ მიმართა თოფი.

— შე სატილაღე!.. მოგენია თუ ვერა ირ-
მის ცოდა! — ნამოიძახა მოხუცმა და მოა-
ჩერდა ტყურს. — ბევრგან უნდა დავაგო
ამის შემდეგ!..

— ამაზეც დამიშლი? — გაუმეორა ბიჭმა.

— რა ვაგაკობაა ხაფანგში გაბმულის მო-
კვლა? მერე რაა, რო ნადირია? მაინც ნუ და-
ვამცილებთ ეგრე, შევენარჩუნოთ ღირსება!

— მოიჭამს ფეხს და გაგვამცვია!

— სადღა ნაგა ეგ საცოდავი!

ბიჭს უკვირდა, რომ მგელი გააფთრებით
იჭამდა ფეხს და ერთხელაც არ აუხედნია თა-
ვზე ნამომდგარი კაცებისათვის.

მოხუცმა იქვე მიაყუდა თოფი, გამოსჭრა



ორტოტა კეტი. დასცა კისერზე და ბალახებზე გაართხმევირა მგელს თავი.

— მოდი, დამოჭირე ეს!

ბურქებზე მიაყუდა თოფი და შეენაცვლა ბიძას.

სისხლში მოთხერხლ ხაფანგთან დაიხარა მოხუცი, განზე გადაუნია საქერები, გაუთა. ვისუფლა ფეხი, მერე თრთვილზე გაიწმინდა ხელები, ისევ დაანა ორვაბაზს და უთხრა ბიჭს:

— მოეზაადე სასროლად! ოღონდ ნუ დაახლი კი მაშინვე, ცოტაზე გაუშვი და მერე!.. — თქვა და აუშვა ადგილიდან.

მ გ ზ ა ს რ ა ე ბ ი

ავტობუსს რალენაირად შეეცვალა ხმა, თანდათან უკლო სელასაც და გაჭერდა შუა გზაზე, ძალიან ეცადა მძღოლი, მაგრამ ველარ ააჩქამა ძრავა, მერე ჩავიდა ძირს, ახადა კამოტს, ელნათურის შუქზე რალაც უჩიოკინა აქა-იქ, მაგრამ მაინც არ ეშველა არაფერი, მერე შევიდა სალონში და გამოუცხადა მგზავრებს:

— გამიფუჭდა მანქანა, ჩადით, ნადით!

ჯერ არავინ იღებდა ხმას, მერე ანუნუნდა ერთი ქალი:

— უიმე... სად ვიართ ამ სიბნელეში? მერე ცოტა შანძილი კი არა გვაქვს გასაღულელო, წყალიც შეიძლება ადიდებული იყოს!..

— არა ექნა, აბა! — თქვა მოფერმა და კვლავ ჩავიდა ძირს.

მგზავრები ერთ ხანს ისხდნენ ჩუმად ეგონათ, რალაც ეშველებოდა მანქანას, მაგრამ ამოად გადიოდა დრო... მერე თქვა ერთმა: — ჩავიდეთ მაინც, აბა რალა იქნება!..

სდუმდა ყველა, მერე ნამოდგა ერთი, თან აიყოლა ზურგჩანთა და გატეხილი ბადურა... ცოტა ხნის შემდეგ მას აჰყვა მეორე, ნამოინია მესამეც, ბოლოს ერთბაშად ნამოიშალნენ დანარჩენებიც და რივი დადგა კართან, ჩადიოდნენ და სიბნელეში იქსაცსებოდნენ აქეთ-იქით.

სულ ბოლოს ჩავიდა ქალი, რომელსაც მძიმე ჩანთები ეჭირა ორივე ხელში, ცოტათი გასცდა მანქანას, დადო ხელბარგი, შეისწორა თავსაფარი და მიიხედა უკან, მერე ისევ დასწავდა ტვირთს და გაუდგა გზას, ბნელოდა და ქროდა ქარი... უცბად ერთ ადგილას გუბეში ჩასცა ფეხი და მაშინვე გადადგა გვერდზე, დააცვია თვალები და აქა-იქ ძლივ შენიშნა ტბორები, გადავიდა ნაპირზე და აიხედა მალა, ქარი ერთიმეორის მიყოლებით მიაგლეჯებდა დანყვეტილ ღრუბლებს, ძლივ შესამჩნევად ბგუტავდა მთვარე... ისევ მიიხედა უკან და მოათვალერა უკვე მიძინებული დაბა, კაციშვილი არავინ ეგულებოდა

ზედიზედ იქუხა თოფმა, მაგრამ მგელს ვერცხვებდა გარბოდა მგელი.

— დაუმიზნე კარგად, ჩქარა!

მისდევდნენ და ბიჭი ესროდა ზედიზედ, ესროლა უკანასკნელიც და მერე ხელმეორედ შეუდგა გატევისას.

ალარ იყო დაცდის ხანი და დაუმიზნა ახლა თვითონ, იქუხა თოფმა და ორჯერ ზედიზედ ნაკოტრიალდა მთელი სისწრაფით მიმსარბოლი მგელი, ნამოდგა კვლავ, გაძუნძულდა ცოტაზეც დაეცა მერე და ალარც გაუტევიდა ფეხი.

— აგრე უნდა, აი!..

ნაცნობი და ვის უნდა მისდგომოდა კარზე? არ იყო მეტი გზა, უნდა გასდგომოდა ქალას, არსად არ ქაჭანებდა არავინ, კანტიკუნტად ისმოდა წინ ნასულთა ხმებიც... ისევ დასწავდა ხელბარგს და ააჩქარა მუხლი, რათა როგორმე დასწავოდა მგზავრებს, არა, დასწავოდა კი არა, შორიახლო ევლო მათგან, ატალახებულ გზაზე ტბორები იდგა ალაგ-ალაგ, ხან სად ჩას, ცემდა ფეხს, ხან—სად... ჩავიდა რიყვე და გახედა გორის ძირს, ახლა სულ ფერდობზე, ტყის პირას მიდიოდა გზა, ამ დროს კიდევ გამოანათა მთვარემ, მკრთალ შუქზე ბუნდოვნად დაჩნდა გადფუთლებული მურყნარი ქალი, ტყესაც ნაკოტრიალდა შემოდგომის ნახი ფერები, მაგრამ კანთულად ვერ ჩანდა მთვარის შუქზე, მიდიოდა ჩქარა... ბუნდოვნად მოჩანდნენ დაქსაქსიტი მიმავალი მგზავრები, დაახლოებოდა უკვე... შეანერა ნაბიჯი... დაანყო ხელჩანთები, მოიწმინდა ოფლი და ისევ გახედა გზას, როცა კარგად დაშორდნენ ისინი, ისევ დასწავდა ტვირთს... გაიწინდა ფიქრში და ნამოინია უნებურად, წელა როგორღაც მიიჩნეოდნენ ისინი, მიაცქერდა და მოეჩვენა, რომ უკან გამობრუნდა ერთი... გაჩერდა და დააკვირდა კარგად, მაგრამ შიშ, ში გადიოდა დრო, არდილი კი ისევ მიილია გახუნებულ ბინდში, თანდათან გაუნეღდა შიში და ნელა გაუდგა გზას, მიდიოდა და ფიქრობდა ოჯახზე, ქმარ-შვილის ნარმოდგე, ნაზე მთლად გაქარვდა შიში, „ნეტა რას იზამდა შალიკო, ჩამოთრიდა თუ არა თივებს მთიდან... არა, ბალღებს ვერ დაანებებდა თავს, თქვენ გენაცვალეთ, შეიღებო, თქვენ-ნა!.. ჩემი შალიკო, კაცო!.. მამ ვფავ-კორნის კერძი გაუხდევ, თუ შირმავად მოვიღებ შენთან!..“ ამის გაფიქრებაზე გაბეჯულად გაუტია უფრო, მალე ღრუბელი აუფარა მთვა, რეს და ვეება ჩრდილი დაეცა ქალაზე, სიბნელემ შთანთქა მგზავრებიც, „შენ ამოგინევა პატრონი!.. რალა ეხლა ჩამობნედი, ზე ტიპალო?..“ გაფიქრა და აიხედა მალა, რო-

გორც ბორიყში ნაკვერჩხალი, ეგრეა ბჭუ-
ტავდა გამურული მნათობი, რომელიც გამა-
ლებული მოქროდა და ხან ჩაქრებოდა მთლად.
ხანაც გამოკრთებოდა ისევ... თითქოს ღრუ-
ბელს კი არ მიაქროლებდა ქარი, მთვარე მო-
ცურავდა ნარნარად და მსუბუქად, ისევ გაი-
ხედა წინ და დაელოდა მთვარის გამოჩენას.
როცა გადაიარა ჩრდილმა, გახედა ან უკვე
განათებულ გზას, აღარავინ ქაჭანებდა თვალ-
სანიერზე. ნამოავლო ხელი ჩანთებს და ისევ
ჩარმოიდგინა შეილები, მივა და გაახარებს
ტკბილელთი, ჩამოუფრებებს ქარვისფერსა და
სურნელოვან ეაშლებს, მანდარინებს... ვინ
იცის, როგორ მოერგვებთ ვარაუდით ნაყიდი
პერანგები, შარვლები, პალტოები, ფეხსაცმე-
ლები... „როგორ უვლის შალიკო ბალებსა...
დედა გენაცვალთ, შეილებო, დედა!.. მოვიფი-
ვარ და მომაქვს სიხარული...“ მიდიოდა და
რაც უფრო უახლოვდებოდა ხეეს, თანდათან
ძალუმიდ ისმოდა მთებიდან გამოქცეული
ადიდებული წყლის შხული. ბლადა დარა,
ნიდან გამოვარდნილი ურჩხულეოთ და ხათ-
ქით და ზარით ივლებდა არემარეს... ხეეს
მიახლოვებულმა შავად რალაც შენიშნა
წყლის პირად, უმაღლე შეანელა ნაბიჯი, რა-
ღაცნაირად აუჩქარდა გული, ერთი პირო-
ბა რიყიდან ამოჩენილ ქვად მიიჩნია ის შავი
რალაც, მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა
ხეეს, მით უფრო ეშხავებოდა ნამომჯდარ
კაცს... შეჩერდა და მიაცქერდა დაფინებით,
არა, ქვა კი არა, ნამდვილად იყო ვიღაც, რო,
გორ მოქცეულიყო ამ უკაცრეოს ადგილას?
იყოყმანა კარგა ხანს... მერე დაუძახა გულის
კანკალით:

— რომელი ხარ მანდა?

არ გაუცია ხმა, იქნებ ვცდებოდე და მერ-
ვენებოდესო, გაიფიქრა კი, მაგრამ მაინც და-
უძახა ყოველი შემთხვევისათვის:

— რას უზიხარ მანდა, რასა!

— არ მყურება, რას იძახი, არა!..

„ეგ თუ კაი კაცია, რას უზის მანდა?.. მე
მიცდის?.. ვაიმე, ჩემი შეილებო!.. რას აე-
თებს მანდა ამ შუალამისასა?.. ადგეს და ნა,
ფორიოს ეგ კარგუნახავი!.. მეც არ მივალ ახ-
ლოს!.. ვინები აქა! თუ ადგა და ნამოვიდა
ჩემსკენ, გავიქცევი წველა-კრულითა!.. ვი-
კოვლებ და შექრავ ქვეყანას!..“ გაიფიქრა და
დადო ტვირთი, უშნეოდ როგორღაც ააშოძ,
რავა ხელები, თითქოს ეძებდა რალაცას... რა-
კი ვერ იგდო ვერაფერი, დაიხარა და დასწვდა
ქვას, აიღო მეროვც... მაგრამ უმაღლე იგრ-
ძინო უზერხულობა: სულელი ხომ არ იყო, ეს-
როლა უმიზნობა?.. გადაწყვიტა, კვლავ გა-
ნეგრძო სეღა, არც კი ეგდო ყური მისთვის,
ისე გასულიყო გაღმა და გასდგომოდა გზას.

— რაღას უდგებარ: მოდი, შენ გელოდე-
ბი!..

„რაო?.. შენ გელოდებიო?.. მე რას მელო-

დება, ეგ კარგუნახავი?“ გაიფიქრა და დაუ-
ძახა გაანზხლებით:

— ნადი მანდიდანა, ნადი!.. ნადი!..

— წყლის შხულიში კარგად არ მყურება,
რას იძახი, არა!.. შენ გელოდები, მოდი!.. მა-
რტო ვერ გახვალ წყალში!.. — დაუძახა მან
და ადგა.

თანდათან დამშვიდდა ამ სიტყვებზე, მაგ-
რამ არა, არ უნდოდა მისი გაყვანა იდგა კა-
რგა ხანს... მერე იქვე დაყარა ქვედა, დაიბერ-
ტყა ხელები და უნადიმოდ დაეჭანა ტვირთს...
კაცი იქვე იდგა და მოსწერებოდა უმძრა.

ხად, მერე ალაპარაკდა ხმაშალდა:

— მოდი, ნუ გეშინიან, მოდი!.. ადამიანები

ვართ, ის ხომ არა... რო გაინფიცით ნამუსი
და აღარ დავინდოთ ერთურთი?..

კიდევ უფრო გამხნედა ამ სიტყვებზე, მა-
ინც რაღაცნაირი შიშით მიუახლოვდა ნაპირს
და მიაცქერდა აღორბულ ხეეს.

— აბა, გახვალ?.. თუ მე მოგავლო ხელი?..

— არა, არა!.. არ მინდა!..

— მამეცი ეგენი მაინცა და მე გაგიტან
გაღმა! — უთხრა და მოუახლოვდა.

ნასიამოვნები მიაცქერდა სახეზე.

მოუახლოვდა იგი წელწელა, გაუბედავად...

ეს კაცი მართლაც არ იქნებოდა ავისმქმნე-
ლი... უხმოდ მიანოდა ჩანთები და იგი ისევ
მიბრუნდა წყლისკენ, გვერდულად როგორ-
ღაც შევიდა შიგ და... დაინახა, როგორ შე-
ასხა ზვირთებმა მუხლებზე, ნელა მიიწვდა
უცნობი... როგორღაც იქნა, გაივლია გაღმა, თა-
ვის ბარგთან დაანყო ჩანთები და გამობრუნ-
და უკან, „როდის მოახსნრო ადიდება ამ უპა-
ტრონომა?“

გამოვიდა უცნობი, მოაჩერდა უხმოდ და
თქვა მერე:

— აბა რას იზამ, გახვალ?

მდუმარედ მიხედა წყალს, მოუბრუნდა მე-
რე, მაგრამ ვერ უთხრა კი ვერაფერი.

— რა ვიცი... როგორც გინდა... თუ გინდა

მოგვიდებ ხელსა... თუ არა — შედი!.. მაგრამ
რო ნავიგდოს წყალმა?.. არა, ვერ გახვალ
შენა, ვერა!.. — უთხრა და გამოუნდა მარ-
ჯეწენა.

უცბად ვერ გადაეწყვიტა, როგორ უნდა
მიეცა ხელი უცხო კაცისთვის, მართალია, მი-
ენდო გულით, და ეს უცნობიც როდი ჩანდა
იმიხთანა, რომ... მაგრამ მაინც...

— ნუ გეშინიან, ნუ!.. მამ კარგი! შენ მა-
ინც მომიკედ ხელი!..

— არ შეეძლო არც ეს!.. თავად მძღავრად
ვერ მოუჭერდა თითებს და მოიტაცებდა
წყალი... იდგა უცნობი, ეჭირა გამოწვდილი
მკლავი და მოსწერებოდა უსიტყვოდ, „შენ
მომკედ, შენა!.. ვერა მენა!..“ გაიფიქრა და
შეაჭერდა რალაცნაირად.

— ეე!.. შენ თუ გიყურე!.. — ნამოიძახა

უცნობმა, მაჯაზე მარწუხივით მაგრად ჩაე-

ლო ლონიერი ხელი და გაუძღვა ნინ... მიდი-
ოდა და თანაც გაიძახოდა ნამდაუნუმ: --
ფრთხილად!.. ნელა!.. ნუ გეშინიან..

მიპყავდა და, რამდენადღაც იყვრობდა
ქრთლად, იმდენად უფრო უძლიერდებოდა
ვულის ცემაც... გაღმა გასვლის შემდეგ ამ
უცნობს რომ უცბად აეღო თავზე ხელი, ვინ იყო
პატრონი? ვერ გაიღებდა ხმას და იქნებ ვერც
მოეხერხებინა გაბრძოლება, მაგრამ როგორც
კი ჩადგა წყალში ფეხი, თანდათან გაქარვდა
ფრთხილად და მოიკრიბა ძალი, ყინულივით ცი-
კო ტალღები ძალუმაღ სცემდნენ წიწვებზე,
მუხლებზე...

— ნუ გეშინიან!.. ნუ გეშინიან!.. — ამხ-
ნეებდა უცნობი და ეჭირა მაგრადა.

მიპყებოდა ნელა და ეხუტა თვალები, მთე-
ლის ძალით სცემდნენ ყინულივით ცივი ტა-
ლღები, უჭირდა სულთქმა სუსხავდა წყალი,
მძლავრად ეხლებოდნენ ტალღები უზრამავ-
დნენ ქვიშას და უქადდნენ ნალექებს, მაგრამ
მტკიცედ ეყურა უცნობის მაგარ ხელს. ერთი
თალია გაუჭირდა ძალიან, მერე იგრძნო, რომ
იკლო წყლის ძალამ, თანდათან ქვევით ჩაი-
საცვდა ზვირთთა ცემაზე და გაახილა თვა-
ლი. უკვე ახლოს იყვნენ ნაპირთან, უნებურად
როგორღაც ააჩქარა ფეხი, გააშვებინა ხელი
და უცნობზე ნინ გავარდა ნაპირზე, მაშინვე
დასწვდა ჩანთებს, მაგრამ გულში აღარ უქნა
ჩამოეტოვებინა უცნობი, მის გვერდში სია-
რულით მაინც ხომ უნდა დაფესებინა სიკე-
თე? სანამ იგი მხარზე მოიკიდებდა ნახევრად
სავსე ტომარას, მოუცადა და მერე ერთად
გაუდგნენ გზას. მიდიოდნენ უხმოდ, რაც უფ-
რო შორდებოდნენ ხეებს, კლბულობდა წყლის
ხმაც და თანდათან შედიოდნენ ქალაზე და-
ვანებულს მყუდროებაში. სციოდა და ერთი,
რებოდა სველი კაბის კალთების ფაროხუნო,
სიარულიში გათბა თანდათან. მერე როგორ-
ღაც მოუყრუვდა სისველით გამოწვეული უსი-
ამოვნებაც და მოუნდა ლაპარაკი თვითონ
ეუხერხულებოდა ხმის გაღება, სდუმდა უც-
ნობიც, რამდენჯერმე ახედა გვერდიდან, იგი
ნელში ოდნავ ნახრილი მიიბიჯებდა და მი-
აქყაუნებდა სველ ფეხსაცმელებს... მოუნდა
გაეტყო, ვინ იყო იგი, სადაური, პჯავდა თუ
არა ცოლ-შვილი... ვინა ხარ, რა ჩუმად მო-
დიხარ, თქვი რამე... შენამც გაიხარებ შენის
ხიზნიითა..."

უცებ ტყვიან ჩამოსხმა რალაც ჩქამი, თი-
თქოს ვიღაც ვიხახდა ვიღაცას, რალაცნარად
შეერთა ამ ხმაზე და უნებურად ისე როგორ,
ღაც მიინია მისკენ, კინაღამ გვერდზე შეახო
გვერდი, შერცხვა და გაუმანძილდა უცბად,
კვლავ გაისმა კვილი და ახლა კი მოვეგო
გონთ: ეს... ბუები გამოიოდნენ ტყეში.

— როგორა პჯავს ადამიანის ხმას!.. —
თქვა და გადანიკიტა, ამის შემდეგ ველო
ჩუმად.

— გამოიგონია, მაშალი ბუ ხმებზე...
დედალ ბუსო. — დაიწყო უცნობმა, — მაგ-
რამ მანამ არ მიფრინდებიან ერთმანეთთან,
სანამ ამ ხმამათ თავიანთ გულის წადილს არ
გამოხატავენო...

გაიღმა ამ სიტყვებზე და კვლავ ირიბად
ახედა უცნობს. „რა კარგი კაცი ჩანს!..
როგორ შენუხდა ჩემი გულისთვის, როგორ
მინდა, რომ ვუთხრა შენად... გამოუტყ-
დე რომ... გულში როგორ დავიკრეო სოტ-
მელი? არა, არა!.. სჯობს სიჩუმეში მართალია,
შემანუხებს უთქმელობა, მაგრამ... როგორმე
გაუძღვებ ამ წადილს...“ გაიფიქრა და კიდევ
შევიდნენ სოფელში, ახლა უფრო მტკად იც-
ინტერესდა მის სადაურობაზე, როგორ იც-
ლავდა ამ შუაღამისას? რომ შეეპატრონა... არ
გამოდგებოდა ქმართან!.. არა და... როგორ
გაეშვა უპატივცემოდ?.. ზრდილობა ითხოვდა,
ცალკედ მაინც შეეპატივნა შინ, შეყოყმანდა
და შეანელა სელა, მაგრამ ჩვეულებრივი ნა-
ბიჯით მიდიოდა უცნობი, აი, ჩამორჩა კიდევ
მას, გაალო კიდევ პირი, რათა ვთქვა რალაც,
მაგრამ შეშინდა რალაც!.. მერე გაიქცა სა-
ხლისკენ და არც კი შემდრკავა საჩიხიდან
გამოვარდნილი ძაღლის ყუფაზე, კიდევ კარ,
გი ნაგაზმა დროზე იცნო პატრონი და გამო-
ეკიდა წყმტუნით, აირბინა აივნის კიბე, იქ-
ვე კართან დაიწყო ჩანთები და რატომღაც
დააყოვნა შესვლა

სიბნელებში ერთიანად სდუმდა შემოგარე-
ნიც, ახალა შენიშნა, რომ ჩამდგარიყო ქა-
რი, შეალო კარი, ანთო სინათლე და თვალე-
ბის ფშენვტით ნამოინია ქმარმა:

— რას დადიხარ ამ უდროო დროსა?
— მანქანა გაუფუჭდა შოფერს და რა გვე-
ქნა მამა? ფეხით ნამოიყვით მგზავრები, რო-
გორ არიან ბაღლები? — იკითხა და ჩამოუ-
არა მძინარე შეიღებს: — თქვენ გენაცუა-
ლოთ დედა, თქვენა!.. — მერე მიბრუნდა აქ-
ენისკენაც, გადახადა თესახურნი, დააცქერდა
მძინარეს და აუვარდა ჩუმი სიცილი.

— გამო აქეთ, ძლიეს დეაქინე, რადა ხარ
სველი?

— წყალი იყო დიდი და გამოვტოპეთ.. რო-
გორა ხართ?

— ისე მკითხები, თითქოს დიდი ხნის ნა-
სული იყო, დიდას არ ნახედი?

— კი, მაგრამ მომენტატრეთ, ძალიან მო-
მენტატრეთო!

...გამოიყვალა სამოსი, გაშალა სუფრა და
ნახებმსეს სახელდახელოდ, გაფაციცებული
ჭამდა და ქმარიც მადიანად აყოლებდა ვხას,
„უხლამც გვერდნეს სასმელი, დააღვედი კარ-
გი კაცის სადღეგრძელოს, ვინც აუგად არ
შეეხება ქალს, ვინც დაინდობს და... ოპ!.. გა-
უმარჯოს ასეთ კაცს!.. ვეღვან ხსნილი
ქმონდეს გზა! მშვიდობით ევლოს მუდამ!..“
გაიფიქრა და მიუბრუნდა მუხლს:

საქართველო
საბჭოთა კავშირი

— შალიკო, მართალია, რომ მაშალი ბუ ხმაზე სცნობს დედალ ბუსო?

— ალბათ, მართალია!

— მაგრამ მანამ არ მიფრინდებიან ერთმა. ნეთთან, ხანამ თავიანთ გულის ნადილს ძახილით არ გამოხატავენ...

— არ ეციო, რაზე გაგახსენდა?

— რო მოვდიოდით, მთელი ტყე აკლდუბული ჰქონდათ ბუებს კევილით... არა მგონია, ეს მართალი იყოს...

— პო, შეიძლება...

ი მ რ ა მ ი

მოხუცმა ააქტარა ცხენი და გახედა გზას. მერე ისევ მოზიდა სადავე და მიიხედა უკან. იქვე იდგნენ მისი გამცილებლები: ცოლი, შვილები, რძლები, შვილიშვილები. ერთხელ კიდევ აუწია ხელი და დაქვინა გამომშვიდობების ნიშნად, მერე ისევ გასწორდა და მიუშვა სადავე.

ცხენი ჩქარი ნაბიჯით მიუყვებოდა ყამირს. ზე გაქნილ ბილიკს. მოხუცსაც ხელს აძლევდა ასეთი სიარული: არ უწყრებოდა და არ უღერებოდა მართახს, მიჰყავდა ნებაზე და გასცქეროდა ერთიანად ახასხასებულ ველებს... არა უშვავდა ნლოვანების კვალობაზე. კარგად უჭრიდა თვალი, არ ემდუროდა მკლავ-მუხლსაც, არც გულს... მაგრამ კუჭის ტკივილმა შეფიქრია ამა ბოლო დროს. ისიც ხან მიყურებოდა რამდენიმე ხნით, ხან დაეწყებოდა ისევ... ვერ გაიგო, რაზე უარჯღებოდა ხოლმე ხანდახან. მერე ურჩივს მცავე წყალზე ნასვლა. ქუაში დაუჯდა და როდი დაუშალეს შვილებმაც. დაი შეყავს კანაღბევის გათხოვილი და ხომ იქვეა მცავე წყალიც, ექიმებიც...

აუიდა ქეღზე, გახედ-გამოხედა მთებს და შეაჩერა ცხენი, რა ღამაზად იყვნენ დამწყაზრულნი... თითქოს ხელი გადაუხვევნიათ, ისე ედგნენ ერთმანეთს მხარში. მონმენდილი იყო ცა, მაგრამ სიშორის გამო ბურუსივით რალაც მოსავდა მათს თხემებსა და კალთებს. თითქოს ფიქრობდნენ რალაცას... სდუმდნენ ამაყად, შედიდურად... აქ გაზრდილი და დახარებული აღარ უნდა გავოცებინა ამ სანახაობას, მაგრამ ძალიან ეტრფოდა სილამაზეს.

ხარობდა მთებისა და ხეობების ცქერით... ცხენიც როდი ურღვევდა ამ ტკბობას — იდგა უძრავად. იორამი კი მოჯადოებულვით იტყირებოდა აქეთ-იქით... სულ რომ არაფერი, მარტო ამ მთების საფურელებად ღირდა სიცოცხლე... აღარ უნდა ყოფილიყო დაუდევარი ჯანმრთელობისადმი. უნდა როგორმე განკურნებულიყო ამ სნებისაგან. საიდან გა-მოუტყვრა ეს სატიალე? რაზე დაემართა ქვა-საეთი მაგარ კაცს?

ძლივს მოსწყვიტა თვალი აბიბინებულ იალალებს. მიუშვა სადავე და გაუდგა გზას. ახლა უკვე დაღმა ეშვებოდა ბილიკი. ჩავიდა ქალაში და გზაზე შორიდანვე შენიშნა ვილაყები. გაუხარდა მათი დანახვა. კარგია ხალხთან მგზავრობა! აძრახდებიან ურ-

თურთს, გაიგებს რალაც ახალს... მაგრამ მი-ახლოვებისთანავე გაუცრუვდა იმედი — მგზავრები არ იყვნენ, მთიბავეები გამოდგნენ ისინი და ახლა თურმე დასასვენებლად მი-მურერბოდნენ წყაროზე. ისეთ დროს ნამოე-ნია მათ, როცა უკვე აუხევეს ზღიდან. იქვე ახლოს ტყიანი ფერდობის ძირში გამოჩნრი-ალებდა ანკარა, ჩამოდიოდა დაღმა და კუ-რკურით მიიკლანებოდა ქვებსა და ბაღ-ხებში. ცხენი უშაღვე დაენაფა წყალს, თა-ვად კი გახედა წყაროსთან აფიქნებულ ბი-ჭებს. ზოგი იბანდა ხელებს, ზოგი რცვხდა ცელს, ზოგები კი შლიდნენ სუფრას და ზედ ალაგებდნენ შინიდან ნამოლებულ საგზალს. მიესალმა ომხიანად და ერთხმად უბასუ-ხეს მათაც. მერე დაუძახა ერთმა:

— საით გაგიწვნია, ბიძაე!.. მოდი, დაის-ყენე ცოტა ხანს, დაგვეწვიე სამხარზე!

ურიგო როდი იქნებოდა მათს მარაქაში ცოტა ხნით მაინც გარევა. ჩამოხდა ძირს, ცხენს ნაპყარა აღვირი და გაუშვა ბალახზე. თვითონ კი გამოზრუნდა და ჯერ დაიბანა ხელები, მერე მუჭით დალია რამდენიმე ყლუპი. ადგა და მიხედა სახელდახელო სუ-ფრას: თონის, ფურნისა და კევის პურები, რამდენიმე თავი ნიორი, მწვანე ხახვი, წყალ-გაველებული ქინძი, ოხრახუში, ყველი და და-მბალ ხაჭოს ნატივები... ცხვირსახოცით ჩა-მოიმშრალა უღვამებში გარჩენილი წვეთები და ბიჭებმა ჩამოსაჯდომად საპატიო ადგი-ლას დაუდგეს ქვა.

მისწვდა ნიერის თავს, გაფცქვანა ერთი კბილი, დაანო მარილზე და მიატანა პურს. მალე მოვიდა მადავა და გახედა ცხენს აკი-დებულ გატენილ ხურჯინს. ის იყო დააპირა მოეტანა თავისი წილიც, მაგრამ შეაყონა ბიჭების ხუმრობამ. ქილიკობდნენ, იცნოდ-ნენ და თანაც დამგელებულუბი შევეციოდნენ სამხარს.

— სასმელი არ ნამოგილიათ არაეისა? — იკითხა ერთმა.

— მართლა, როგორ დაგვაეიწყდა, ეე!

მაშინ კი ადგა და გაეშურა ცხენისკენ. მართალია, თვითონ არ სვამდა კუჭის ტკი-ვილის გამო, მაგრამ რაკი დისას მიდიოდა სტუმრად, თიკნის საესე ტკიქორა ჩაუდგეს რძლებმა.

— არ გინდა, ბიძა, არა!.. — მიუხედავად და დაუძახებს ბიჭებმა.

— ეხუშრეთ, განა მართლა, კაცო!..

— ვგუთნი ხუმრობა შევარცხენინე, ნატამალი სიმართლე მაინც რო არ ერისო შიგა! — სიცილითვე უპასუხა და გადაურჩა ხურჯინის თვალს მოკრული პირი..

— უპ, რაზე ნუხდებოდი, კაცო!..
ნამოგდა ერთი, მოგლიჯა ბუერის ფოთოლი, გარეცხა და მოუკრიფა პირი.

— აი!.. ხურხი სჯობია ღონესაო!..
დაუსხა და ბიჭებმაც ჩამოირივეს თითო... ცოტა ხანი რომ გამოსხა, იორამმა კიდევ ნაატანა ხელი ტიქორას.

— აბა, დალივეთ თითოცა!..
ერთმა ისევ ნამოაელო ხელი ბუერას, კვლავ მოუკრიფა ნაპირები და მოუშვირა მოხუცს.

— კარგი, კარგი!.. შეყოფა, კაცო!.. — წამოიძახა მან და მიმართა ბიჭებს: — აბა, რომელი დალიეთ?

— ვიღას გეითხები? დალივე შენ თავადა!

— რა ეთქო!.. მოდიოთ, ამით იცით ვის გაუშარჯოს?. მართალი რო არ იყოს, არ ვადღერძებლებდი!.. გაუმარჯოს ჩვენებიანთ გოგიას! სულ ტყუილად იტანჯება სანყალი.. მალე გზა გახსნოდეს, საღალაღათი გამოსულიყოს!..

ყველამ ადღერძებდა გოგია და მერე, თორამისთვისაც რომ გასაგები ყოფილიყო ეს ამბავი, ერთმა უამბო გაკვირთ: გოგიას გაგიყვებით სუვარებოდა უკანამხრელი გოგო. ერთმანეთისთვის მიცემული სქონოდათ პირი.. ბა, მაგრამ მერე სხვას დასთანხმებოდა წაყოლაზე. ეს რომ გაეგო გოგიას, მისულიყო სიმართლის გასაგებად. იმ გოგოს კი აეტებნა ერთი ამბავი: მიშველეთ, ჩემი მოტაცება უნდაო. იმ ნიოყზე შეყრილი მგზობლებს დაეჭირათ გოგია. მერე იმათ დამონებოთ ერთი-ღნა გოგოს და... დაეჭვირებინა სანყალი ბიჭი.

იორამს ძალიან მოხვდა გულზე ეს ამბავი..

ამის შემდეგ დიდხანს აღარ გაჩერებულან მთიბავები. ნამოკრიფეს ნარჩენები, შეახვიეს სუფრაშივე, ნამოაელეს ცელებს ხელი და გაიფინეს ველზე.

ისევ ხურჯინშივე ჩადგა ტიქორა, მერე ამოსდო ცხენს ლაგამი, შეჯდა და გაუდგა გზას. მიდიოდა და წვლილავდა ამ ახლად გაგონილ ამბავს. ზოგს იქნებ დაუჯერებლად მოსჩვენებოდა ეს, მაგრამ... თავადაც გადახდა ამისა მსჯავსი. ალბათ გოგომ იმიტომ დააჭერიდა გოგია, რომ უფრო თავისუფლად გაყოლოდა სხვასო, გაიფინა და გაახსენდა მხევიანარი. მანაც ასევე გასცვალა სხვაზე და

იორამს უკანვე დაუბრუნეს ნიშნები. ტანილი ოქროს საყურ-ბეჭდები. კინალამ გადაყვა ჯავრს.. ძლიერს გადაატანინეს თავისი-ანუბა... არა, აღარ უნდა იფიქროს იმაზე. როდის ის იყო!.. გაუჯერდა ცხენს და გამაღდა საფერზეც. ცოტა ხანს ატარა ასე და მერე ნაბიჯზე გადაიყვანა ისევ. ხომ დი. დი ხნის ამბავია და... რალენარად უყვარს ახლაც. დრომ ვერ გადააინყა მხევიანარი.

ჩაუყვანა ცხენი ფერდობს და დალიქრდა თავის ავადმყოფობაზე. ეშველებოდა რამ თუ არა? ურჩევდნენ ნაცნობ-ნათესავები და, აბა ერთი... დაეცხოვროდა თუ არა უკეთესობა. შორიდანვე დაჩნდა პატარა სახლები და კარვები, აქეთ-იქით მოსიერნე ხალხი... იფიქრა, მაინც აქა ვარ და, მოდი, ხანამ ავალ დასთან, ჯერ წყლის დახალევედ მივბრუნდებოო და იქით მიაბრუნა ცხენი. იქვე ახლოს, მისასვლელშივე, გზის პირას ჩამწკრივებულნიყვნენ ქალები და დედაკაცები.. რალა არ მოეტანათ გასაყიდად: კიტრი, პამიდორი, ატამი, ვაშლი, ხაჭო, ყველი, კარაქი... მზესუმზირაც კი. ბევრი ეხვეოდათ მუშ. ტარი. იორამს იქნებ მათთვის მაინცა და მაინც არ მიეცინება ყურადღება, მაგრამ ზედ გზის პირას ისხდნენ და მიხედა უნებურად. მიხედა და მაშინვე რალაც ეშმაკად, ძალიან ნაცნობ სახეს მოჰქრა თვალი. უმაღლე მოზიდა სადავეს... ირეოდნენ დამსვენებლები და ზანდახან აუფარებოდნენ წინ. ხომ არა ეტყუებდებიო, გაიფიქრა და ახლა შუბლზე ხელშეყოფილი მიაშტერდა მოხუცი. არ, არ ღალატობდა მესხიერება. ის იყო ნამდვილად!.. დაჩაიყვებოდა, მოკუზული, დაატარავებული. ჩამიჩივით ჩამომქქანარ სახეზე კვლავ აჩნდა ის სათაყვანო ხალხები. რომელთა გამოც ერთ დროს... მას მუშტერებზე სქონდა მიპყრობილი ყურადღება და ვერ ამ. ჩნედა იქვე ახლოს გაჩერებულ ცხენოსანს. ჯერ კი დააპირა ჩახდომა და გამოლაპარაკება, მაგრამ. მიუშვა სადავე და, რომ გასცდა კარგა მანძილით, მოიხედა ისევ. რალაც ძალა ენეოდა უკან, ცხენი კი მიდიოდა ნებაზე. მერე მოზოდა სადავეს, ჩამოხდა ძირს და გაიხედა იქითკენ. დაჟამრამ მისვლა, მაგრამ ვერ მოახერხა უცბად, ჯერ უნდა მოსულიყო გონთ...

ცხენი უმაღლე დაეტანა ბალახს. ნაჟარა აღვირი და ნაილო საგონებელმა. დროს თავისებური ბურუსით გაემკრთალე ბინა ნარსული, მაგრამ მისი ხატება მაინც შემოინახა ცხადად... ახლა რალას დამსგავსადა, სანყალი!.. გენა პირქვე და დედო დაღვე თავი. გაირინდა ფიქრში. ვინ იცის, ცხოვრების როგორი გზა შეხვდა და აი, სადაღვე მოიყვანა ბედმა!.. მას არ ეტყობოდა ნენ მუშტერები, აუელ-ჩაუელიდნენ

გულგრილად... ნარმოიდგინა ცოლიც. არხე-ინად ზის ეხლა ხორეშანი შინ, გამხვიენებულია ქმარ-შვილში, ხარობს რძლებითა და შვილიშვილებით... ეს კი... ნამოჯდა და გაიხედა იქითკენ. ბორცვი ეფარებოდა. მაგრამ მაინც ნათლად ედგა თვალნინ ერთიანად დაპატარავებული, მოკუსული, ჩამომჭყნარი... ძალიან გულთ მოუნდა მასთან მისვლა, გამოლაპარაკება, მაგრამ შეეცოდა რალაცნარად... ვეღარ უთმუნდა გული! არა, უნდა მისულყო უქველად! არ ეტყოდა არაფერს, არც შეახსენებდა თავს, მარტო დააკვირდებოდა ახლოდან, იქნებ კიდევ შევაჭრებოდა ყახიდად. გაახსენდა ის დილა... შაშინ მთიდან ბრუნდებოდა შინ. რომ დაუახლოვდა იმ სოფელს. გადამწყვიტა მისი ნახვა. მაგრამ ეუხერხულებოდა ხელცარიელს მისვლა. აბა რა უნდა მიეტანა ცხვრიდან დაბრუნებულს? ნახვა კი უნდოდა ძალიან. დაურბინა ვვავილუბს და დაკრიფა ბლომად. იმ უბრალო, მინდვრის ვვავილუბის თაიგულით გაახარა შაშინ. ახლაც მიმოიხედა ველზე. შეკონა კარგა ბლომად და მიხედა ცხენს. არხეინად ბალახობდა საფერზე. ჯგუფ-ჯგუფად მიდ-მოდიოდა

ხალხი...

მივიდა და გაჭერდა მის წინ. უბეში ედო თაიგული და დასცქეროდა მყიდველივით. მას ერთხელაც არ ამოუხედნია შალა. დალონებული უყურებდა მის გვერდით მჯდომ დედაკაცებს, რომლებიც გაფაციცებულნი ჰყიდიდნენ ხილს. ბოსტნულს, ყველსა და კარაქს. მას წინ ედგა ძველი, დანჯღრეული კალათა, რომელშიც ეწყო მთის ტიფეტა და უფერული ვაშლები. დააპირა შევაჭრება. რამდენიც უნდა ეთქვა ფასი, მისცემდა ულაპარაკოდ. გადაუხდიდა მეტს და არ გამოართმევდა ხურდასაც. მაგრამ როგორღა მიერთმივნა თაიგული? გადამწყვიტა. უბრალოდ დაედო მის წინ და გაბრუნებულიყო ეგრვე. მერე გამოგზავნიდა დისწულის შვილებს სასყიდლად. ნელა ჩააცურა ხელი უბეში, დააპირა თაიგულის ამოღება, მაგრამ... უმალვე მიხედა, რომ ძალიან უხერხული რაღაც გამოუვიდოდა ეს და ეგრევე გაბრუნდა ცივად. მივიდა ცხენთან და ამოიღო თაიგული, ჯერ კი დააცქერდა გულდასყვილი, მერე დადო ქვაზე, დაიჭირა ცხენი, გადაჯდა და გაუდგა გზას.



მომხრობები

ოდოია

ოციანი თოხი უზომოდ დამძიმდა, ოქროს ხავერდში გახვეული დილის მზე სარეველამოხალბულ ყანებს უხვად აფრქვევდა ცინცხალ სხივებს. მახვილივით ასხლეტილი სიმინდის ფურცლების ბასრ ფხებზე ჯერ კიდევ ლალისფრად ციმციმებდა ცვარ-ნაში.

შარშანდელმა მოუსაგლიანობამ შავი დღე აყარა ისედაც არაქათგამოცლილ სოფელს. ქვეყნის სატყვიარ-გასაჭირს ბუნებამაც თავისი დაუმატა. ჯერ იყო და ახალ ნათესებს წვიმამ იმდენი უთხლავუნა, მარცვალი მიწაშივე ამოაღო და გააცუდა: რაც წყალს გადაურჩა — გვალვამ ახანძრა და ააბრიალა. ჰოდა, შიმშილმაც არხეინად შეაღო სამზარეულო სახლების კარები და შიგ შეაგულ კერიახე უბოდინშოდ მოიკალათა.

იცოცხლეთ, სამაგიეროდ წელს აიყარა და მერე როგორ — ერთბაშად ზღვად მოასკდა და ამობიბინდა თვალსაწიერზე გადაფენილი ყანები. მიწამ ხევერიელად ამოიყოლა მადლი და ბარაქა, მადლიანად აწოვა ძუძუ და მზესთან შეასისხლხორცა. ბალახ-ბულახიც იმდენი მოიწია, სადაცაა ყანყრა-

ტომი მისწვდებოდა ლორტქო ღეროებს და მოგუდავდა.

წინათ, აქ, ამ დროს, ალიონთან ერთად იღვიებდა ოდოია, ლარივით გატყორცნილ მწკრივებზე ჩამორიგებული გლეხების ერთ თავში ამოყვებოდა ცხელ სუნთქვას, გამხმარ ფოთლებს ნაპერწყალი რომ აუაღდება, ისე აზავთდებოდა, აიგრაგნებოდა მოავდრე ღრუბელივით, ერთბაშად გაითავისებდა ცისქვეშეთს, შენიეთდებოდა მზესთან და გრივალბთან, შორს, საფლავთა ბალახებში მიმობნეულ წინაპართა სახელებს — ფარნავაზს, დავითს, წათეს, მაძინიას, მარიამს, შაქას, აიტაცებდა, ააფორიაკებდა, მერე მსუბუქი ფრთებით გადაუჭროლებდა ყანებს, სიმინდის ფოთლებში გაიშრიალებდა, გაინავარდებდა, თბილ მიწას ნისლის კალთებით გულში ჩაეკვრებოდა, ჩაკოცნიდა, იქვე ჩაინავლებოდა, თითქოს, გაქრებოდა და უცაბედად ისევ თოხის პირს ერუანტელად აეკიდებოდა ცაგახსნილი და კვლავ გრიალებდა. გუუნებდა ძლევაშოსილი და სათავემორღვეული — ოდო-ია-დო-ოდოია დო-დო-დო...

მაშინ თოხის პრიალა ტარებიც ხან-

კლებივით ელავდნენ მზეზე, ოფლის ნაკადულები დარავდა გლეხაკის გარუჯულ სახესა და გულმკერდს.

გუჯუ ბაბუა ამტკიცებდა იმ ოდოიას თბილი ერთანტელი დღეში მტკაველის სიმალღეზე ზრდიდაო სიმინდს.

სამი წელია, რაც ომმა ზურგზე მოიკიდა ოდოია და სისხლის წვეთებად მიმოფანტა შორეულ ცისქვეშეთში — გრიგალებთან შეჯახებულს, ცეცხლთან ნარკინალს ყუმბარებით დამზრალ-დახეთქილ მიწაში მარცვალ-მარცვალ მარხავდა.

და ხმებისაგან დაიცალა სოფელი.

მათხარი არავინ დარჩა. თვრამეტ წელს გადაცილებულ ყმაწვილებს, მეორე დღეს თუ არ წაიყვანდნენ, შემდეგ თვითონ მიდიოდნენ ფრონტზე მოხალისედ. მოხუცებიღა დაღანღალებდნენ შუკებსა და ორღობეებში, იხტიბარ-გაუტეხავნი, წილებზე ფეხს იდგამდნენ, ჩვენც აგვიყოლიებდნენ, გეწინამ-ილოლობდნენ, გვამხნევებდნენ, სოფლის სამამაკაცო საქმეებში გვაჩევედნენ და გეწრთვინდნენ.

და, აი, რეთრაყიდან ვდგავარ, ვიქნევ და ვიქნევ მამიჩემისეულ ოყიანს. ჩემი კბილა ლექსოც რომ არ გამოჩნდა? ალბათ ძალიან გაუჭირდა. დაჯაბნა უძილურებამ, არა და გვერდით ხმის გამცემი რომ გიდგას, ისიც ლეთის წყალობაზე დიდია.

რაც უფრო მალა მიიქანებოდა გავარვარებული მზე, მით უფრო მიმძიმდებოდა და მიდუნდებოდა მკლავები. თოხის ყოველი მოქნევა, თვითელი ძირი სიმინდის შემოვლა არაქათს მაკლის. არც თუ ისე შორს მდგარი ქადრები, ცაში აწვართული კენწერობის ოდნავი რხევა — რონინით, მაკლურად მიხმობენ გრილ, ხასხასა ბალახზე დაფენილი ჩრდილებისაყენ. ეს ფესვებქლიერი ქადრები, ამ საუჯუნეზე ადრე, გუჯუ ბაბუას დიდ პაპას მაძინიას, ოჯახის მეთათე შვილს დაურგავს და მას შემდეგ ერთგულად დარაჯობენ გზის ვასაყარს, ამ ხე-გოლიათე-

ბმა უკლებლივ სათითაოდ ^{საქართველოს} საომრად სოფლის წვერულვაშაბიბინებული ვაეაყებო, გოგონებიც კი დავინიყის, უკან დაბრუნებულს რამდენსღა მოითვლიან.

და ახლა, ამ სიცხე-ლადარში, თავად თოხისტარის ხელა, ვუბაყუნებ და ვუბაყუნებ ისედაც დამძიმებულ თოხს.

თითქოს თავბრუ მეხვევა, თვალეზე ბინდი მელაციცება, მზეც უცნაურად აიშღვრა, გადამწიფებული ნესვივით გაყვითლდა და დაიღლაბნა ცაზე. ნარინჯისფერ სივრცეში ჰაერიც შედედდა, შენივთდა, ცხელი მტვერი მითუთქავს ნესტოებსა და ფილტვებს. შევბარბაციდი კიდევ და რომ არ წაქცეულიყავი, იქვე ფხვიერ მიწაზე ჩავიმუხლე.

— მუშა კაცს გაუმარჯოს, ყოჩაღ, კარგად ვითოხნია ბაბუ! — ძილბურანში მყოფს ჩამესმა გუჯუ ბაბუას, სოფლის მახვშისა და მოძღვარის ბუხუნი. ალბათ, მხოლოდ ამ ხმას შეეძლო მაშინ ჩემი გამოფხიზლება. მკვირცხლად კი ვცადე წამოხტომა, მაგრამ ისე ვიყავი მისავათებული, როგორც მითხრა დაისვენეო, იქვე ჩავიყეცე.

— ძან კი დაცხა, დღეს ცეცხლს დაანთებს ალბათ ეგ დალოცვილი, — თითქოს თავისთვის მოლაპარაკე მოხუცი დინჯად დასწედა ჩემს მიერ მიგდებულ თოხს და ისე ძლიერად, გემრიელად მოუსვა, მწკრივში ჩამდგარი სიმინდის ლეროები ააშრიალა და ააძღვრა.

— თავისუფლად, ასე ხალვათად უნდა გეჭიროს ბაბუ, ძალდაუტანებლად... ხელი არ დაგელლება, მიწაც დაგიობილდება და მოგყვება. — მარიგებდა, თან მსუბუქად ჰაეროვნად ათამაშებდა თოხს. პირბასრი, ლაპლაპა ლითონიც რიტმულად იტყორცნებოდა ზვეით-ქვევით, უმოწყალოდ ცელავდა სარეველა ბალახს და მწვეანე, ნოტიო სურნელით იყლინთებოდა იჭაურობა.

„ოდო, დდო-ია, ო ჰო-ჰო“ — რაღაც წყვეტილი ბგერები მოსწყდა მე-

ყანურის გაქვავებულ ბაგეებს. დამსხვრეული ხმები, დაჭრილი მტრედები აფარფატდნენ მზით გათანგულ უფერულ სივრცეში და მე ვხედავდი თუ როგორ ეცემოდნენ ძირს ეს დაჭრილი მტრედები ბელტებად, დო-დო-დო, თოხის პირთან ქვავდებოდნენ მოცული ბალახები.

ანაზღად გამახსენდა დედაჩემის ნაამბობი, წუხელ ბებიას რომ უყვებოდა. მესამე ვაჟის შავი ქალაღი ძოუკიდა გუჯუ უბედურსო.

თავად სევგამწარებულ ბებიას, კვალდაკარგული სამი შვილის დედას, თითისტარი გაუვარდა ხელიდან. კარგა ხანს ხმა ვერ გაიღო, მშრალი, გამოფიტული თვალებით მისჩერებოდა ნაჭაზე ჩამოკიდებულ მოქოთქოთე კარდალას.

— ეგ რა თქვი ადამიანო, ძეგუდა ცოცხალია?

— არ დაიჭერა, ფოსტალიონს ასე უთხრა, თუ კიდევ გნახე ჭიშკართან მოსული, მაგ დაფეხვილ ფეხებს მოგაფშენო. გააფრთხილა. ეგ ამბავი არსად წამოგცდესო. დეპეშაც უკან გაატანა. — ომში ვაჟაკები გავგზავნე და არა ქალაღდებიო.

— კაცი კი არა, რკინა ყოფილა ეგ უბედური, პიტალო ელდეც კი დაიმსხვრეოდა ამდენ ჭირ-ვარაშში. — ახლა კი კედელზე მოპარპალე ცეცხლს, მის თავთან შორივით გადებულ, უცნაურ იეროგლიფებიან, წარძართულ ევრბებს ესიტყვებოდა სასოწარკვეთილი ბებია.

ეს რკინა და ელდე-პიტალო — კაცად რომ ჩამოქნა მაგიურმა ძალამ, მარჯვედ იქნევდა ახლა თოხს და თითქოს ჰაერიც ტორტმანობდა ძის მძლავრი ფილტვების ამონბაბლქვისაგან. ამ გოლიათ სხეულში ყრუ ტკივილები და ბოღმა საწუთროს უეულმართობად გრიგალებდა. უხმო სატკივარი ფლეთდა მის ყოველ უჯრედს, ყოველ ძარღვს, მაგრამ იმდენად ძლიერი მასალისაგან იყო ნაშენი, მოკვდავის

თვალს არ შეეძლო მისი სიღრმე-სიღრმეობათა ხილვა.

კარგა რომ წაიმანძილა, ძერე უნიათოდ მყოფს მომიბრუნდა, თოხი წამოაქცია და ზედ ყუაზე ჩამოჯდა.

— ოხ-ოხოია, მარჯა, — გულის ქუხილად აღმოხდა ჩვეული ძველებური შეძახილი და ქული მოიხდა.

— დილით წახემსება ვერ მოვასწარი, თითო ლუკმა გაეტეხით ბაბუ, — მითხრა და ვერცხლის აბზინდიან ქამარზე ჩამოკიდებული ფუთა ჩამოიხსნა წელიდან. გაშალა. შიგ ნახევარი მჭადი და ორიოდე ნაჭერი ჭყინტი ყველი იყო.

გუშინდელს აქეთ ლუკმა არ ჩამედო, დედამ მეზობლისაგან ერთი თეფში სიმინდის ფქვილი მოინათხოვრა. მჭადი გამოაცხო და იმებს საძად გაგვიყო, თვითონ ისე მზეჩამდგარი თვალებით გვიყურებდა, თითქოს უზენაესი ბედნიერება გვწვეოდეს. რამდენიმე წაშში ნამცეციც აღარ დაგვრჩენია, დედა რომ მშვიერი იყო — არც კი მოგვეგონებია მაშინ.

ბაბუა გუჯუც დედაჩემის თვალებით მიყურებდა ახლა. მას ხელი არ უხლია არაფრისთვის. მადიანად ვილუკებოდი, ქვეშ-ქვეშ შევყურებდი ბერიკაცს და ანაზღად გამახსენდა, ამ რამდენიმე დღის წინ აგიტატორი რომ გავგინიორწყალა.

ჭადრის ქვეშ ვისხედით, კარგა მოზრდილი ნაკვეთი გავთოხნეთ და გრილოს მივაშურეთ, სწორედ აქ წამოგვადგა მიხეილა აგიტატორი, სოფლის ერთადერთი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ომისათვის საჭირო ჯანი არ უწილდა ბუნებამ. მოგვესალმა, ძერე რალაც-რულაცები იბეუტურა, ბოლოს გავვითლებული გაზეთი ამოიღო და ათეისტურ თემაზე კარგა მოზრდილი წერილი წავგვიცოთხა.

— ეს სველაფერი კარგი, ჩემო ძიხეილო, — წამიერი დუმილის შემდეგ წამოიწყა მოხუცმა, — კი ბატონო, ღმერთი არ არისო, გავიგეთ, არ უნ-

დათ და ნუ უნდათ. ეგ კი ვერ გამოვიდა, ასე ძალიან რად იკლავთ თავს ამის მტკიცებაზე, ან ამდენ დროს და ქალღალს რისთვისღა ხარჯავთ. მე, მაგალითად, სულ არ მაწუხებს მისი ყოფნა-არ ყოფნა, იგი არც ისე ბევრს ითხოვს ჩემგან, ათასში ერთხელ გოქს ან მამალს თუ მოვუძმობთავემ, იმასაც ჩვენ გეახლებით ხოლმე.

ათასგამიდან მოსდგამდა გუჯუს, ეზოში მდგარი ძირძველა მუხების დაღვარწნილ ფესვებთან ჩაფლული ქვევრების თავზე ჩამოჩოქილს, შორეული კერპთმობთაყვანე წინაპრების მაგიურ სიტყვათა ჩურჩული, ალბათ თვითონ კერპებმა თუ იციან მათი მნიშვნელობა.

მიხეილამ თვალები ააპარპალა, ჭერ გუჯუ ბაბუას შიარჩრდა, მერე დაბნეულმა გადმოგვხედა, ვერ გაეგო რა უნდოდათ მისგან.

— შენ ეგ მითხარი ფრონტიდან რა ისმის, ის მამაძალი ჰიტლერი რას ფიქრობს, თორემ ღმერთი რომ ყოფილიყო, ამდენ უმანკო ბაღლებს ასე უმოწყალოდ არ გახვეტავდა სასაყლაოზე.

— ჩვენები უტყვენ! — შვებით ამოიუნთქა მიხეილამ. მერე რალა-რულა ცეხი იბეუტურა, მაგრამ მაინც და მაინც ახალი არაფერი შეგვიტყვია მისგან და ისიც უბმოდ, ნაჩქარევად წაიკალფებდა.

ჯ ა თ უ

კვამლისაგან გამურული მუხის კარი ნაუცბათევად გაიღო, ცოფიან ქარიშხალს სუსხი, თოვლის ფიფქები და ტომარაამოღლიავებული მანდილოხანი შემოჰყვა.

მოსულის პალტოს საყელოზე შემოფენილი ძვირფასი ბეწვი, შავად მბზინავი შარფი, გარედან შემოჭრილი სინათლის შუქზე წამიერად გაელვებულ ღამაზი სახის ნაკვთები ერთბაშად იპყრობდნენ ყურადღებას. კარი მიიხურა თუ არა, კრაქი და კერიაზე მოპარპალე ალი კვლავ შეეჭიდნენ სიბნე-

ქამას მალე მოვრჩი, ისე უნდა მოვრჩი კი გავიგე, როგორ შემომადნა ხელში მკადი და ყველი.

— წავალ ახლა მე, სხვებსაც მივხედავ, — თქვა და ხელსახოცი აფერთხა, შეახვია და ისევ ღვედზე გამოიკრა, — აბა შენ იცი ბაბუ, ძალიან უჭირს სიმინდს, ყანასაც უჭირს და ქვეყანასაც, იქნებ ვუშველოთ რამე ამ უბედურ დროებას, — და წავიდა, ჭერ ნელა აფაჩუნდა ხარის ტყავის ქალამნები, მერე მოუჩქარა გულჭავრიანად, ახლა მისი ფეხის ტერფები ისე ცემდა მიწაზე, თითქოს მეტეორის ნამსხვრევები ცვივაო. მიწას თუ უჭავრდებოდა მოხუცი.

ჩემთვის კი მეორედ ინათა იმ დღეს, უმაღლესი დამიბრუნდა თვალთა ნათელი. წყაზარი მზეც უცებ გამოიკვეთა ცის ფერმერთალ ფონზე და სხივებად ჩამოწვართული, წვეთებად მელვრებოდა სხეულში, სისხლს მიჩუხჩუხებდა და ცეცხლით მივსებდა ძარღვებს, იმ ძალას მმატებდა, ახლა ამ თოხსა და უანას, ჩემს სოფელს, იმ შორეულში წასულ ბიჭებს რომ სჭირდებოდათ. გუჯუ ბაბუამ რომ დამიტოვა ოდოიას ომანხანი სიმღერის ერთი ნატეხი, ზედაშედ აფლერდა ჩემს სულში და თოხიც წინ წაიძვლარა.

ლეს და ქალის სილუეტიც გაფერმერთალდა.

ჩვენ ისევ ისე ვიყავით მოლუდლუდე ცეცხლს მიფიცებულები, ჭათუს თავისი ახლად გამოძეხვარი არაკი შუა სიტყვაზე შეაკვიდა. თითქოს, ნერვიულად მოკახცახე, უსარკმლო ფიცრულის კუთხე-კუნძულებში მიმოფანტული ლანდებიც გაირინდნენ. კარისაკენ კისერმოღრეცილი მეწისკვილე გაფართოებული თვალებით მისჩერებოდა სტუმარს, ერთიორჯერ ეცხიანი ცხვირიც მოიქექა. ცოტა არ იყოს,

კმუტავდა კიდევაც, ვერ გადაწვევი-
ტა როგორ მოკცეულიყო. ან იქნებ
აღგომაც ეწადა და მუხლებმა უმტყუ-
ნეს.

შემკრთალმა, უხერხულად შეწრია-
ლებულმა ქალმა რამდენიმე ნაბიჯი გა-
დმოდგა, ერთხელ კიდევ მიმოათარა
სიბნელისათვის შეუჩვეველი მზერა.
სიცივისაგან გახეშეშებულ ბაგეებს
უჩუპარი ბგერები მოწყდა, უფროსწო-
რედ, ტუჩების მოძრაობაზე მივხვდი,
რომ მოგვესალმა.

მეწისქვილეს არც ეს შეუნიშნავს,
წამწამებიც არ შეტოკებია, დაძაბული
მიშტერებოდა შაოსანს, მერე ძალდა
ასწია მოცახცახე ხელები, თითქოს ცი-
ვებას შეეპყროს. რამდენჯერმე აშკარად
სცადა წამოეჭანა თავისი სხეული გო-
რკოდან.

— წისქვილი თუ მუშაობს, ჯათუ
ბატონო, — საოცრად ნაზმა, სიფრი-
ფანა ხმამ დაარღვია ობობას ძაფივით
გაწეული-გაწვრილებული მდუმარება,
ქალმა ახლა პირდაპირ მოგვეანათა დიდ-
რონი თვალების შუკი.

— თათია!.. — როგორც იქნა ამო-
იხავლა გონს მოსულმა მეწისქვილემ,
მერე მისი ასაკისათვის შესაშური სიცი-
ქვით ზე წამოიჭრა, ერთხანს ასე
იღვა გახევებულ-გათანგული, ჩალაც
მოულოდნელი აღტაცებით მოფორია-
ქემ გრძელი მკლავები ჩვეულებრივ
წინ გაიგდო, მოკლე მარჯვენა ფეხის
ფლახუნით მიეახლა კიდევ უფრო შემ-
ცხარ მანდილოსანს, მომცრო ტომარა
რიდით, უსიტყვოდ ჩამოართვა, ისევ
უკან წაუტყუებდა, საფქვაკი ხვიბრის
თავზე მარდად მოისროლა, თავი მოხ-
სნა და ოქროსფერი მარცვლები შივ
ჩაუძახა.

— აახლავე ქქალბატონო. აახლავე,
— ენაბრგვილი ამჯერად მე მომიტრი-
აღდა, — რომ შემოგძახებ, ღღარის
ხხელანა გგამოსწიე, დღოლამს წწყა-
ლი მმიუგდეო, — დამარიგა. კარებისა-
კენ ღამურასავით წაფართხუნდა, ერ-
თხელ კიდევ შემოიჭყიტა შეღამების

სუსტმა ნათელმა, ქარმაც ნაღვერდალს და თოვლის ფანტელებიც
შემოაფრქვია. ჯათუ უკვე გარეთ იყო.

დაბნეულმა ისლა მოვახერხე, უხერ-
ხულად მოწრიალე სტუმრისათვის
სკამი მიმეწოდებინა. იმანაც, ძაღლობით
შვილოო, — პალტო შეიხსნა და დინ-
ჯად ჩამოქდა. მე ისევ ფეხზე ვიდექი,
რალაც მაწუხებდა, ვერ გამეგო რა მო-
ხდა, ასე რამ ააფორიაქა ეამისაგან
ქვად და რკინად ქცეული მოხუცი, კერც
განაზრახს მივუხვდი... წისქვილი აკერ
უკვე ორი დღეა არ მუშაობს, დუმს
გალურსული, ღრმა ძილს მისცემია. არ-
ხის სათავესთან ტეხურამ ქვადორღის
ჯებირი გაარღვია, წყალმაც გზა ნახა
და დედამდინარის კალაპოტი გაითავი-
სა. ჯათუც ხომ უკუღმართია — გაუ-
ჩიუტდა სოფელს, თუ გუნებაზე არაა.
თმის ბეწვსაც ვერ შეუხრევე, ემშაქმა
უწყის ვის ან რას გაუნაწყენდა. ძიფი-
ცებია კერიას, ღადარისათვის მიუგ-
ღია ჩანავლული მზერა, გაუფრსული
ერთსა და იმავეს გაიძახის, მოვიდნენ
და თვითონ გააკეთონო. განა არ იცის,
წყეულმა ომმა არხის შეძვეთებელი კი
არა, სიმინდის ძირის გამომჩიჩქნავი მა-
მაკაცი არ დატოვა. კი, ნამდვილად ქვე-
ენის ვარამმა და გასაჭირმა მოიყვანა
ეს ქალაქელი ქალბატონიც ამ ქარგვა-
ლში, ახლა რომ ასე უხერხულად აფა-
ხულებს დიდრონ წამწამებს.

დილიდან, რაც აქა ვარ, მეწისქვი-
ლემ ათამდე მანაც გაისტუმრა უარით,
ქალიცა და ბავშვიც. ცივად, უბოდი-
შოდ, სკამზე შეუტოკებლად, წარბშე-
უთამაშებლად. სიტყვის შებრუნებას
ვინ გაუბედავს. ამბობენ, ზნე რომ მოუ-
ვლის ცოფიან დათვზე უარესიაო... ენა
წაერთმევეა და ერთთავად რრ-ს გაიძა-
ხისო. მე არც ცოფიანი დათვი ძინა-
ხავს და არც მისი ძინამგვანი ჯათუ. ის
კი არა, დედულეთში ჩამოსული, ბე-
ბიას და ბაბუას გამოვეპარები თუ არა,
უმალ მასთან გამოვპარებო, მის ცის-
ფერ, საოცრად მსუბუქფრთებიანი
ზღაპრებს მოწყურებული. ჩემი ხვითო

მოვიდაო, — კარებთან შემომხედება სახეგაბადრული, ფეკილით შეფიფქულ აბლაბუდების სამყაროში შემიძლება, გვერდით მომისვამს, მომეფერება, გამომოკითხავს მშობლების ამბავს, როგორ სწავლობო, მერე მასთან და მის მშფოთვარე, ფათერაკებიან არაკებთან ვალამებ, ლამეებიც კი მითევია, ცხრათავიანი დევებისა და მათთან დაკიდებული რაინდების შეხლა-შემოხლაში.

გოლიათი მთებით შემორავული ეს ერთი ციკქნა სოფელი, რომელსაც ანჩხლი და დაუდევარი ტებურა უხსნის თვალსაწიერს, მარადიული ზღაპრების სამყაროდ დარჩა ჩემში. ჯათუ და მისი წისკვილი ჩემს მესხიერებაში დღესაც ისევ იმ უსახური დევებისა და ცხრათავიანი ურჩხულების, ფერიებისა და რკინისგულიანი რაინდების ნააკვნარია. ასე მგონია, ჯათუც და ჯარგვალციც ერთად გაჩნდნენ ამქვეყნად. ისინი თითქოს იერიითაჲ ჩამოგვანდნენ ერთმანეთს. ეამისაგან დაჩიავებული, წაფერდებული წისკვილი უმალ კერიასთან სამფეხზე მორთხმულ, დაძინილი ისლის სახურავივით წვერდაბურდულ ჯათუს მიცოცხლებს, მოხუცის ენაბრგვილობით მედუდუნება აწ სადავე-მოშვებული არხის წყალი, დღეს შორიდან რომ ელამუნება ყურებჩამოყრილ, აქა-იქ კბილებჩაცვენილ დოლაბის ფრთებს.

ჯათუ წისკვილის გარეთ არ შემხვედრია და ვერც წარმომედგინა. სამაგიეროდ მთელი სოფლის საჭორაო აქ იყო. მოქქონდათ და გაქქონდათ ცხელცხელი ამბები, მთელ იმ მიდამოებში ჯათუზე უკეთ, ალბათ, არავინ არ უწყყოდა მაშინ სად ფრონტის ხაზი ვადიოდა და სად რამდენი სვასტიკიანი ურჩხული დახანძრეს აქედან წასულმა, მისი ნაფეკავით გამოზრდილმა ბიჭებმა.

თვით შორეულ, სოფლებიდანაც კი მოდიოდნენ ჯათუსთან. აქაურ დაღერლილს სულ სხვა გემო აქვსო, — ამბობდნენ, არც მანძილს დაგადევდნენ, არც უამინდობას, ლამეებსაც სიამით

ათენებდნენ მოხუცის მოგუბებში მისი რიასთან.

ამ კეთილ კაცს ერთი უცნაური ჩვევა ჰქონდა, ზღაპრების მოყოლას ყოველთვის მზეთუნახავი ქალის თავგადასავლით იწყებდა. იგი თურმე ყვავილების თოვას შემოპყოლია ამ სოფელში. ისეთი თვალწარმტაცი და სულის წამლები ვინმე ყოფილა, მზესაც ამრმავებდაო. მერე, სად იყო და სად არა, საიდანღაც ცხრათავიანი დევი შემოვარდნილა ხეობაში, სოფელი აუწიოკებია, თან ის ფერია გაუტაცნია და გამქარაღა. როდესაც ეს ამბავი მომხდარა, ჯათუ მაშინ არხის სათავის შესაკეთებლად ყოფილა წასული, ტებურას ზათქსა და ღრიალში ვერაფერი გაუგია. დროზე რომ შეეტყო, ჰაი დედასა, იმ დევს არცერთი თავი არ შერჩებოდაო.

— მერე კვალს ვერ მიაგენით? — მერამდნედ ვეკითხებოდი მეც.

— ველარა, შშემდევში, გგვიან ამბავი მშომიტანეს თითქოს დღიდ ქქალაქში ეენახოთ, — უხალისოდ მპასუხობს, სხიგამდგარ თვალებს აბლაბუდებით დათრთვილულ ჭერს მიპყრობს, დიდი ხნით გაირინდება, მერე როდის, როდის მოაგონდება, სხვა ზღაპრებიც რომ უნდა მიამბოს. უკვე სულ სხვა სამყაროში გადავდივართ, სულ სხვა ფერების ქვეყანაში.

ისე კი თვით მზეთუნახავის ზღაპარს ყოველ მოყოლაზე რაღაც დეტალს უცვლის, ხან დევი გველემშაად გადაიქცევა, ხან რკინისრაშიანი მხედარი მიაქროლებს გულშელონებულს, ერთი სიტყვით, ამბავი ჯათუს განწყობილების მიხედვით იცვლება, მაგრამ თვით მზეთუნახავი უფრო სხივმფენი ხდება, ბევრად წარმტაც და ჯადოსნურ ფერებს ისხამს.

სტუმარი შეიშშუნა, მერე ჩემკენ გამოიხედა:

— ვისი ხარ შეილო? — კვლავ აფართქალდა წისკვილის ბინდში ძისი

იდუმალი ხმა. არ დამიხანებია. წერილად ვუთხარი, ვისაც ვიყავი.

— უი, სქანგოლეუაფირო, რამხელა გაზრდილხარ, დავეყავებულხარ... დედოც როგორაა, თოლოვე, ეპ. რა ჩქარა გარბის დრო. — უძირო სევდა გამოკრთოდა მის ხმაში.

მუგუზალი ხელით შევატრიალე, ნაღვერდალი აჩინჩხლა. ალი აბრიალდა. ქალის სახეზე ვარდისფერები აღიანდნენ. მხოლოდ ახლა შევიცანი დედის გარე ბიძაშვილი. რამდენი კარგი და თბილი სიტყვა მსმენია მასზე. უღამაზესი ქალიშვილი ყოფილა. სოფლის თვალისჩინი, დედოფლად სასურველი. მერე ვილაც თბილისელმა კაცმა წაიყვანაო. ახლა, ალბათ, მოხუც მამას ჩამოაკითხა. წუხელ ბაბუა ამბობდა, საწყალი მიხა დღეებს ითვლისო.

— მამაშენის რა ისმის? — მოგვიანებით ევლავ ალაპარაკდა სტუმარი.

— დიდხანია არ იწერება.

— ოჰ, — ამოიოხრა მან, ხშირი წამწამებით დაფარა დიდრონი თვალები და ისევ გაჩუქდა.

ჯათუ კი დაიკარგა. გავიდა და გაქრა. მხოლოდ გუმანით ვგროძობდი. ვხედავდი კიდეც, თუ როგორ დააბოტებდა ახლა ის თოვლით დაფარულ ნაპირებზე, ბელტებითა და ქვალორლით როგორ გლისავდა. ქოლავდა ყოველ ხერვლს, ნაპრალს. ყოველ ნაბზარს, არხში წყალი წვეთწვეთად რომ მოექუჩებინა.

— ხხვიჩაია ბბიჭო. — მოძესმა როგორც იქნა წყლის შხუილთან შეხვეთებული ეს ბუბუნა ხმა. სადღაც ქვეშეთიდან მოასკდა იგი.

— აქა ვარ. აია ჯათუ. სქირტად წამოვხტი დავალების შესასრულებლად. ღარის ხელანას ვეცი. მთელი ძალით

დავეჯაჯგურე. მიძე იყო, ჯარისკაცის ჯინზალით და დაელოდა. მაგრამ ძანც კიძალე და მოვქაჩე. დოლაბიც უმალ შემაგდაგდა. გაიხრიგინა, მერე თითქოს გადაიფიქრაო, ისევ გაჩერდა. სუნთქვა შემეკრა. ვაითუ. მაგრამ არა. ცოტაც და ევლავ შეტორტმანდა ნაკრისფერი ქვაგოლიათი, მიძემდ. ნელნელა ახრიგინდა. მერე თანდათან უმატა სიჩქარეს. საუკველაც აკავანდა. ამღერდა და ევითელი სიძინდის მარცვლები გამოიხზო ხვიძრიდან.

გულმა ვერ მოძითმინა და გაათთ გავვარდი. ქარყინული ფეხებში შეტაკა, სახეში მყურიდა ხეშეშა თოვლს. მაგრამ ისე დიდი იყო სურვილი. შემეტყო თუ რა მოუხერხა შეწისქვილემ სათავემორღვეულ არხს. რომ ცოფიანი ყინვა არად ჩავავადე. სიბნელეობაძალეზულ სოვრცეს დაეინებით გავხედე. თოვლით დაფარულ ქალაში კაც არ ქაქანებდა. ახლა არხთან მივიბრინე, წყალი ცოტათი მტერი კი მოდიოდა. მაგრამ არც იძდენი. წისქვილის ძიძიე ქვას მორეოდა.

— ძია ჯათუ. — ჩემი შეძახილი ქარბორბალამ გაიტაკა. ტეხურას ტალღებში ჩაახვიდა და გადაეკარგა. არავინ შემხმინანებია. არხზე გადებული ბოჯირი გადავიბრინე. მერე მზრიდან მოუქარე წისქვილს. ვერც იქ დავლანდე. წისქვილქვეშ ხომ არ არის მეთქი შევიკვდი. უმალ ჩავიმეზღე. შურა იქით გავაპარე, სადაც ფიცრის ღარში გაშეებული წყლია ნაყადი. დოლაბის ღერძის ფრთებს დაჭიდებული. ვერცხლის შხეფებდად იმსხვრეოდა. შევხედე და თვალებს ვერ დავუჭერე. ისედაც დაგვარჩილი ჯათუ. მუშტად შეკოული. საფრთხობელასავით ძუხლებადდე წყალში ჩამდგარი ჩქერს შველოდა. რომ ორივეს წისქვილის გაუჩათებული ქვა როგორმე დაებრუნებინათ.

მამა-პაპანი რა ქმნილან...

ერთბაშად ჩამოთოვა. წინა დღით კი დეკემბრისათვის უჩვეულოდ აცხუნებდა სამხრეთის ცაზე ჭაყრული კვი-

თელი მზე. ღამეც ვარსკვლავებით მოიკუნჭა. თუ როდის დაიძენა ცა ღრუბლებით. როდის თოვა მოიფიქრა. კა-

ცმა არ უწყის. ეგ კი იყო, დილას მუხლებამდე ეყარა ფუმფულა თოვლი და რძისფერ სივრცეში კვლავ უთავბოლოდ რიალებდნენ თეთრი პეპლები.

ლადო ჩვეულებრივზე ადრე წამოდგა. უძილობისაგან დაბინდული მზერა ფანჯრიდან შემოტყორცნილმა სითეთრემ რომ მოჰკრა, ფარდა ბოლომდე გასწია, გაუცვირდა, წამიერი სიხარულიც კი დაეფულა, რაღაც ბავშვურმა ეჩინა აიტაცა, მერე გახურებული შუბლი ცივ სარკმელს მიადო და სანამ არ შესცივდა, გარინდებული იდგა. მერე ჭიუტად შემობრუნდა, სასწრაფოდ გადაიკვა, ხელ-პირი დაიბანა. გარედან დანაფოტებული შეშა შემოიტანა და ბუხარში შეყარა. ცოტა ნავთიყ და ასანთის ცეცხლიც აბრიალდა. მოღუშული სახე, ფართო ნაოკებით დაღარული შუბლი ერთბაშად გაუნათდა. სინათლის ლიცილის თვალი გაადევნა. მზერა ბავშვების საწოლისაკენ გააპარა, სამი თმახუჭუჭა ბიჭუნა ერთმანეთს ჩახუტებული თვლემდა. უმცროსს საბანი გადახდოდა და ვარდისფერი სხეული მოუჩანდა. ფრთხილად მივიდა, ნაზად აკოცა, შიშველ ტანი დაუთბუნა, მხოვრე ოთახში გავიდა, მაგიდაზე დაყრილი წიგნები და რვეულები გადაარჩია, წასაღები ცალკე გადასდო, სხვები კარადაში ჩაეკეტა.

— ადექი? — გარედან შემოსულმა მეუღლემ უსიხად იკითხა. თან ახლად მოწველილი. ოსშივარავარდნილი რძე მაგიდაზე დადგა.

— ჰო, ადრე ვარ წასასვლელი. — მეტი არაფერი თქმულა. ისედაც ბევრი იცოდნენ ამ დღისაც და ხვალისაც. თავთავისთვის ფიქრობდნენ და ფუსფუსებდნენ. ალიონის მყუდროება ნაჯახის მჭახე ხმამ დაარღვია. გუჯუ შეშას აპობდა. ლადო შეერთა, როგორც უნდოდა მოხუცისათვის გაესწრო...

— ამ კაცის მოსვენება არ იქნება.

— ეკ, რა ქნას, დარდი საწოლში კი არა, დედამიწაზე როგორ აძლებინებს? რომელიღაც ბავშვმა ამოიკვნესა,

შუათანამ გვერდი იბრუნა და თანაურად ერთდროულად გახედეს პატარებს.

— წავედი მე. — თქვა და წიგნების შეკვრას ხელი დაავლო.

— ცხელი რძე მიინც დაგელია.

— დიდი თოვლია, უნდა ვიჩქარო.

— წაიხემსე მიინც, — ჩააცვდა თამრო.

— აბა შენ იცი, ბავშვებს გაუფრთხილდი. — თქვა და დამნაშავესავით მოარიდა მზერა.

— აღარ შემობრუნდები?

— არ ვიცი, იქნებ დრო არ მყავს.

— კარი აჩქარებით გამოალო და გავიდა.

გუჯუ ახლა ეერკეტა მორს ჩაიცივბოდა. დაღვარჭნილი, ერთმანეთზე გადაბმული ფესვები პირბასარ ნაჯახს აღარ იყარებდა. ყოველ დარტყმაზე ზარივით რყედა რკინადქცეული. აკაციის სოლი მოიშველია და როგორც იქნა, პირი მოუძებნა.

— დილა მშვიდობისა, ბაბა!

— გაგიმარჯვდეს, შვილო!

— მივდივარ.

— ჰა?

— მივდივარ-მეთქი, კარგად იყავი...

— მაშ მიდიხარ აბა...

— აბა როგორ მოვიქცე ბაბა, ქვეყანა იქაა, ჩემი დაბარტყებული ბალებიც პირწმინდად გაიყრიფნენ.

— გუშინ ბარდლამ გამოიარა.

— რაო, რა მინდაო?

— ორ თვეში დირექტორებზე ჭავსანი იქნებაო.

— დიდი ხანია მე ეგ ვიცი, ბაბა!

— გული რომ აწუხებს, დაეწვევო...

— მაგისათვის მოიკალა ვითომ? —

თოვლის ფანტელებმა ცივი ლიმილი მოსტაცეს ლადოს. გუჯუმ ნაჯახი წვერით ჩაასო ძირკვეში.

— არა, მაგისათვის თავს არ მოიკლავს, მაგი ისეთი არ უქნია გამჩენს:

— შეშა უნდა ხომ.

— ორი საფენი... ათსაც მივცემდი...

— არ გაცივდეს, დროზე მიაშველე...

— ოთხნი იქ არიან და არცერთის არაფერი ისმის...

— ოშია, ძამა.

— ჩემგან არ ეყოფოდა მერე ქვეყანას?.. — გუჯუ შებრუნდა და ხერხიულად მოკახტაზე მარჯვენა კვლავ ნაჯახის ტარისაკენ გაიწვდილა.

— გუშინ ბუჭულა წაიყვანეს, ცხვირ-მოუხზოცელს რომ ეძახდი.

გუჯუმ მალა შეათამაშა ნაჯახი, თოლადის სითეთრემ სწრაფად გაიღვა და გაჩივრებული ძირკვი ორად გადავარდა.

— თავს გაუფრთხილდი მაინც!

— დარდი ნუ გაქვს, ბაბა!

ლადო უკვე ჭიშკართან მიარღვედა მუხლებამდე თოვლს. სხვებზე ადრე მიდიოდა ყოველთვის, ჩვევადაც ექცა გზის გაველა. დარშიც და ავდარშიც ხარირემივით მიუძღვოდა სოფლის მართვეებს. სკოლამდე სამი ვერსი ჭკონდა გასავლელ. მის ნამუხლარს იმედინად მიყვებოდნენ.

შუის მოსახვევთან. მარჯვნივ, განმარტოებით მდგარი ისლის დაფეხვილი ქობის წინ შავებში ჩაცმული დედაიაცი იცდიდა. ლადო რომ შენიშნა, ფაციფუციტ მიაშურა ჭიშკარს.

— რა მარიამ, ბიჭო ცუდად ხომ არ არის?

ქალი აიწურა, სათქმელი უცებ გაუსივდა, მოკუმულ ბაგესთან.

— არ იტყვი ადამიანო?

— რა ვქნა, ლადოს ჭირობე, ფეხზე არ აცვია...

ლადო წამით შეუყოყმანდა თოვლ ფეხით, გატეპნა. ფაფუკი ჩქამი გაიღო, წაფრდილი ქობის კარს ერთი გაბედა, მერე ხერხიულად გააქნია თავი. უხმოდ გატრიალდა უკან.

— თამრო, — შორიდან გასაბა მუღლეს.

თამრო თვალცრემლიანი იდგა სარკმელთან, გზას გაუწრებდა. იმ გზას, რომელსაც მიყავდა და უკან არავინ დაუბრუნებია. როცა ლადოს ხმა მოე-

სმა, გულო აუჩქარდა. სილია.

— რა დაგვირუნდა?

— ჩემი ფეხსაცმელი გამოძიტანე.

— რომელი?

— აბა რომელი მაქვს?

— ეგ მაინც ყოფილიყო სახლში. — საყვედურით დაცდა.

— არგახანს არ დამჭირდება და...

თამრო უსიტყვოდ შეტრიალდა. ფეხსაცმელები გაზეთში შეახვია და ჭიშკართან გამოუტანა.

ლადიმ ახალა შენიშნა. გუშინდელს აქეთ ჭალარა შეპარვია თამროს.

— ჰალტო თუ გაატანე კოსტას ბიჭს? — გაახსენდა.

— ჰო, გუშინ დილით...

— ცუდად ახველებს, საეჭვოა.

— რალაც ფილტვებში ვერაა რიგზე, არა და ჩასაცმელიც არა აქვს.

— ექიმი სჭირდება, იქნებ რაიმე მოახერხო.

კოსტა ოთხი ბავშვის სადარდებელი გაპყვა ოშში.

ილიაში ამოიღო ფეხსაცმელი ლადომ.

მარიამი კვლავ ჭიშკართან იდგა.

— ჩააცვი და წამოვიდეს, გავეთილები არ გააცდინოს, დამამთავრებელი კლასშია...

მაოიამს უნდოდა რალაც ეთქვა, მაგრამ ვერაფერი მოიძია. უხმოდ შეკუწრებდა გრძელი ნაბიჯებით მიძვალ სკოლის დირექტორის განიერ ბეჭებს, რომელიც დღეს მოხრილი და დაპატარავებული ეჩვენა.

ლადოს კი ბევრი საფეხრალი ჭკონდა. ამ დილით საქმეები უნდა გადაბაროს მოადგილეს, მეოე რაიონში წავა, კომისარიატში. ალბათ დღესვე გაჰყვება უშელონს. მტერი ლადის მოადგა დაოიას.

სადღაც, სოფლის ცენტრში ბოძზე ჩამოკიდებული რეპროდუქტორი ხროპინებდა. მერე სიმღერის ხმა გაისმა. „მამა-პაპანი რა ქმნილა-ა-ა-ა...“ ომბიანად გუგუნებდნენ კახელი ვაჟაკები.

უშანს წყარუაშვილი

მინიატურები

აკვანო

იავ-ნანა, ვარდოე-ნანა, იავ-ნანინაააო, — ჩიფჩიფებს საუკუნეს მიღწეული კატო-ბებია და თოკშებშულ აკვანს მძიმე-მძიმედ არწევს. აკვანში ჩაყრულ ჩვილს კი დიდხანია სძი. ნაუს, მაგრამ უსინათლო ბებია ვერ ამჩნევს. ხანდახან პირზე თუ მოუთათუნებს დანაოჭებულ ხელს — სანოვარა ხომ არ გამოუვარდაო, და კვლავ განაგრძობს რწევას.

ერთი კვირა ეხვეწა კატო-ბებია შინაურებს, აკვანი მაინც დაშიფვით, მწოლარე ბავშვის ღულუნს გულს გადაეაყოლებო, მაგრამ შინაურები ეუბნებოდნენ, შეგანუხებს ბავშვის ქირვეულობაო... ისე კი, ამოიფვანდნენ თუ არა აკვნიდან, ღიპლიკანას პირველად ბებიას ჩაუგორებდნენ ლოგინში. ეს ნუთები ყველაზე ბედნიერი ნუთები იყო მოხუცისათვის, შვილი-შვილის შვილს ყველგან მოუფათურებდა ხელს, ეაღერებოდა, ცდილობდა ყველგან დაეშტერებინა უსინათლო თვალები და რომ ეერაფერს დაინახაედა, კვლავ ხელებით დაუნყებდა ფერებს და ფათურს — ახლამობალ. ნულ თმებზე მოეფერებოდა, თათუნებს დაუკონიდა და ცდილობდა ხელების შეხებით დაენახა ჩვილის ყოველი ნაკვთი. პატარა ხანდახან ლოგინს თუ ჩაუსველებდა, ამაზე მეტი სასიხარულო არც კი ჰქონდა კატო-ბებიას. სველ ქვეშაგებს ხელს პოუსვამდა და შემდეგ ბურნუთიან ცხვირზე წაისვამდა — ახლა კი შემოიღია მიქელ გაბრიელს დამშვიდებული ბავყეო, უკვე მირონცხებული ვარო...

იმ დღით კატო-ბებია მადრიანად გაიღვიძა, თავისი პირში იხმო. სანოლის კიდევზე ჩამოხედარს ჩამოთოვლილ თმებში თითები შეუცურა, მარტოკანი იყენენ...

ათასქირგამოვლილი და ნაომარი ვაგაკი მოხუცი დედის თბილმა აღერსმა კვლავ გააბრუა. დედის დამჭყნარ ლოყას დაემხო. შვილის ცრემლმორეულ თვალებს დედა ვერ ხედავდა, ვერც შვილმა შეამჩნია ცრემლით დანისლული დედის დამრეტელი თვალები.

ომში დაღუპული შვილის სურათი მოითხოვა მოხუცმა, მიუტანეს. ოცი-ოცდაორი წლის ქაბუკი მგზნებარე თვალებით იყურებოდა ფოტოდან; არაფერს ხედავდა დედა, აქაც ხელები მოიშველია. თვალხილულად ნარმოიდგინა სურათი.

— შვილო, ეგ უღლაშები ისეე გაქვს, თუ გაცვივდა. მაშის მსგავსი ბრიალა თვალები ყორნებმა ხო არ დაგიკორტნეს. მოვიდა დრო, მოვდივარ, შვილო, მოვდივარ...

სურათი მკედრზე დაიდო. სიყრმის შვილს ცრემლები თვითონ შეუმშალა.

ორმოცდახუთში უკანასკნელი წერილი მიიღო — ბერლინი ავიღეთ და გამარჯვებულს მალე მელოდეთო. ელოდნენ და... ავის მაუნყებელი ბარათი მოვიდა. თვითონ თავისი საღი თვალებით ნაიკითხა: რისთვისაც იბრძოლა, იმ საქმემ გაიმარჯვაო, თვითონ კი გამარჯვების დღეს გამორულად დაეცა და მშათა სასაფლაოზე დაეახაფლავეთო.

ამ ამბავმა მოიფნო ეს რკინა დედაკაცი, რომელიც წლების განმავლობაში, დარში და აუდარში, ვაგაკების მხარდამხარ დღე-ღამეს ასწორებდა, შრომაში ფრონტს ზურგი გაუმავროთო, ლოგინად ჩაეარდა, სისხლი მოანვა თვალებში და ერთ კვირაში ორთავ თვალიდან სინათლე დაეკარგა.

ამაგდარმა დედაკაცმა თავისი სიცოცხლის



მესამედი უსინათლომ გაატარა და თავისი წილი საქმე სხვისთვის არ გაუკეთებინებია, საუკუნეს რომ მიუკაკუნა, წელში მოიხარა, მუხლებმაც უმტყუნეს და ერთ დღეს, შინაურები სამუშაოდან რომ დაბრუნდნენ, კატობებია წამონოლილი დახვდათ.

— ეინ შენა და შენი წამონოლიაო! — შემოეხვიენენ ბებიას.

— რა კენა, შეილებო, ალბათ, დავებერდიო, — ჩუმად ჩაიჩურჩულა მოხუცმა.

ათო.თხოუმეტი დღე ლოგინიდან ვეღარ გადმოდიოდა, მაგრამ აქაც უსაქმურად ვერ გაძლო, საქსოე ჩხირებს რომ ვეღარ იმაგრებდა თითებში, აკვანი მოითხოვა, ბავშვს მანც მიეხედავ და გადაეარნეო.

შეასრულეს მოხუცის ნადილი.

ჯერ ჩეილს მოუფათურა ხელები, შემდეგ საგოგავემე გაკრული რბილი ნაჭერი მოსინჯა. სახელურსაც ნაეპოტინა, გამობმული თოკის ნაჭერს წაველო ხელი და აკვანი გადაირწა.

ეს აკვანი კატობების ტოლია; მის გარდა, ამ აკვანმა გაზარდა მისი ოთხი შვილი,

ორი შვილიშვილი და აი ახლა... შვილიშვილის შვილი დულუნებს შიგ.

გარეთ, ივენზე ბავშვი ატირდა. კატობებია გამოფხიზლდა, შეილს სურათი მიანჩა ხელში და აკვანი შემომიტანეო, სთხოვა.

— ნანა, შეილო, ივენანაა, — აჩიფრიფდ მხოუცის ბავე.

— ნადი, შეილო საქმეს მიხედუე, ბავშვს შედეაძინებო...

კარები მძიმედ გაიხურა.

ბავშვი არ ჩერდებოდა...

— ნანა... ნანინ... — ხმა ჩაებლირა მოხუცს. ცალი ხელით სანოლთან მდგარ პატარა წყლიან ტინჭილას დასწვდა, ცხელი ტურნები დაისველა.

— ვარდოანინაო...

ბავშვი ჩანყნარდა. მოხუცს კვლავ გაურბა პირი, ასნია ტინჭილა, მაგრამ პირამდე ვეღარ მიიტანა... აკვანზე მიბმული თოკიც გაეშვა ხელიდან, ორჯერ ღრმად ამოისუნთქა და ყველაფერი მონყნარდა.

ოთახში მხოლოდ ბავშვის მშვიდი ფშეინვის და ტინჭილიდან გადმომდინარი წვეთრეთადა დაღურლი წყლის ხმა ისმოდა.

მ ე ნ ი ს ძ ვ ი ლ ე

სოფლის ბოლოში, ხევის პირზე, ტოტებგაბარჯლული, უზარმაზარი კაკლის ხის ქვეშ, მერცხლის ბუდესავით იყო მიკრული შაქროპაპას ნისქვილი. იმ დალოცვილ მოხუცს ისე ჰქონდა მოწყობილი, რომ ნისქვილს არც ვეკლავში აჩერებდა და არც წყალდღობში, მხოლოდ ეს იყო, საფეკვაი ჰქონოდა.

უთვისტომო შაქროპაპა დღე-ღამეს ნისქვილში აღამათენებდა და თუ კი საფეკვაი იყო, გამუდმებით ბრუნავდა ნისქვილის დოლაბო.

თითო.ოროლა პეშვიანი სიმინდის თოპრაკები ხანდისხან ისე მოეძალებოდა ნისქვილს, რომ ხისფეხიანი ბერკაცი ძლივს ასწრებდა ხვიმირაში მარცვლის ჩაყრას.

ამ პატარა ნისქვილის ჭერ.კედლები ზომ ერთთადად ფევილის მტვრით იყო შეთერებული. ის კი არა, თვითონ შაქროპაპაც შეხამებული იყო ამ გარემოს — თეთრი, ფევექვილები თმა.წვერი ჰქონდა, ასევე შევილისაგან მთლიანად გათერებული ნინსაფარი.

არ ვიცი, ნისქვილში ყოფნისას ასე გვეჩვენებოდა თუ მართლაც ასე იყო, ყურს რომ ვუგდებდით სარეკლას რაკრას, თითქოს საცეკვაო რიტმს გამოსცემდა. ზოგიერთები ამბობდნენ: შაქრო მენისქვილე ისე კოდავს დოლაბებს, რომ ზედ დამავრებული სარეკელა დავლურს უვლისო.

ასე იყო თუ ისე, ეს ადგილი სოფელი პა.

ტარა ბიჭების თაემეყრის საყვარელ ადგილს წარმოადგენდა.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ბებია ნისქვილში საფეკვაის ნაღებას დამავალებდა. ან კი რა იყო წასალები, პურის დიდ ბელეჯში ორიოდ კოდი სიმინდის მარცვლი გვეყარა, ეს იყო და ეს. ამ სიმინდრეს ბებია იმდენს დაჟოფინებდა, რომ რატომღაც ასე მეგონა, სულ თითო.თითო მარცვლად ჰქონდა გადათვლილი. ნისქვილში ნაღების დროს გამანვეინებდა პატარა თოპრაკს, რომელსაც ადრე თურმე მანენის გასანურად ხმარობდა, შემდეგ შიგ თიხის ჯამით პირზე ხელგადასმით თითოდეჯერ ჩაყრიდა სიმინდს, პირჯვარს გადაიწერდა: — ღმერთო, ბარაქა მიეცი ამ ოჯახსო და კიდევ შიგ შეთერთმეტი ჯამსაც ჩაუძახებდა, ოღონდ ახლა უკვე თავმობმულს, ეს კიდევ მენისქვილის მინდიაო. შემდეგ კობტად მოაკრავდა პირს და უნდა გენახათ ფეშეშევილი როგორ მიეხტოდი ნისქვილისაკენ ქეიშიან გზაზე.

როგორც კი ჩავიდოდი იქ, ხვიმირის გვერდზე დაეჯდებოდი. საფეკვაი რომ ჩამოიცილებოდა და ღრში სარეკლას მანებზე უკანასკნელად აცეკვდებოდნენ სიმინდის მარცვლები, შე უკვე გამზადებული მქონდა მორიგი თოპრაკი შიგ ჩასაყრელად. შაქროპაპა კი ხის პროთებს განზე გასწვდა, ახლო მიუჩორებოდა საფეკვილეს და საწყაოთი იწყებდა ფევილის

ჩაყრას. ყოველ მეთხუთმეტზე ერთს ცალკე ედროში ყრიდა, ეს მინდიაო.

ნისქვილში საფქვაავი უმეტესად შაქრითა და დედაკაცებს მოჰქონდათ. შაქრო პაპა, როცა შემოსულთ გადააკლებდა თვალს, ნაღვლიანად ამოიხრებდა და რომელიმე მათგანს საფქვაავს რომ ამოიღებდა საფქვილედან, ერთ ჯამს საკუთარი მინდიდან შვგროვილი ფქვილიდანაც დაუმატებდა. ალბათ სწორედ ამიტომ იყო, რომ რამდენიც გინდა საფქვაავი მოსულიყო, მინდის ედრო არ იცებოდა.

— არა უშავს, შვილებო, — ეტყოდათ ხოლმე შაქრო პაპა, — ცოტა კიდეც და კუდაბიკა პიტლერი სწორედ იმ ორმოში მოაქვს ზღართანს, რომელიც ჩვენთვის გათხარა.

— ნეტავ შენი სიცოცხლითო, — ნუნუნებდნენ დედაკაცები და გარეთ რომ გამოვიდოდნენ, იღლიაში ფქვილიანი თოპრაკებით, სულ შაქრო პაპას ლოცვანი იყვნენ, — ღმერთმა ატოცხლოს, არც დღეს გამოგვართვა მინდო.

ოში იყო და უჭირდა ქვეყანას, ერთი ლუკმა პური ერთი დღის სიცოცხლეს ნიშნავდა.

თითქმის ხუთი თვე გავიდა, ნისქვილში აღარ ვყოფილიყავ, ძეძვე ყოფნის დროს ფეხში ჩარტყმულმა ნაღვმა ბერეკაცივით ყავარიჯვანი ამალბინა ხელში.

შემშლილთა ერთად სიცივემაც იმატა, ზამთარი თავისას მოითხოვდა. ერთხელ, როცა ბებიაშ ამბროდან უკანასკნელი დარჩენილი სიმინდი ამოკრიფა, თოპრაკში პირდაპირ ჩაყარა და ჯამით აღარ ჩაუნყავს, აღარც მინდისათვის განკუთვნილი ერთი ზედმეტი ჯამი სიმინდი მიუთვლია. გულმა აღარ მომიტიმინა და შევახსენე:

— ბებო, მინდისა-მეთქი.

— შვილო, შაქრო პაპას შეეხვეწე, ეს ისე გამოგიფქვი-თქო, — და კარგად დაეინახე, ბებიაშ შავი თავსახვევით ცრემლები როგორ მოინმინდა უჩუმრად.

ყოველთვის თავმომწონე და პურადი ბებიასაგან ამას არ მოველოდი, სხვისას არაფერს შეინევდა და თავისას კი გაიმეტებდა.

ათი კილო სიმინდი კი არა, თითქმის ქვის ლოდები მკიდებოდნენ, ისე მოვლამდასებდი ჩემი საყვარელი ნისქვილისაკენ, ნისქვილთან კაცის ქაქანება არ ჩანდა, კარი კი ღია იყო. ყურბში რატომღაც სარეკელას ხმაურიც აღარ მომესმა, საფრინებელში ჩავვარდი. ზენა ქარი კი გამუდმებით უბერავდა და ნისქვილის გახსნილ კარს ნარამპრა აჭრიალებდა.

— შაქრო პაპა! — ხმაშალდა შევძახე წისკვლის კარებთან გაჩერებულმა.

— რომელი ხარ, — მომესმა კუთხიდან მი. სუსტებული ხმა.

— მე ვარ, კატო-ბებიას შვილიშვილი.

თოპრაკი იქვე მივაგდე და ნისქვილი მივათვლიერ-მოვითვლიერებ. საფქვაავის ნასახიც არსად ჩანდა.

— რას ათვლიერებ, შვილო, — უკრძანებდა სიმინდის მარცვლიც არავის შეუტანა ნაბადზე ნამონოლილმა მოხუცმა ძლივს გადამოიტანა ხის პრითზე. წყალი გამაშვებინა ღარში, დოღაში ამუშავდა, თითონ კი ძლივს მიბობდა საფქვილემდე. ვისხედით ორნი და ველოდით როდის ჩამოიმარცვლებოდა ორიოდვე პეშვი სიმინდი. რატომღაც უშმაურო მერვენა ნისქვილის მუშაობა, აღარც სარეკელას საცეკვაო რიტმი მესმოდა, ბერიკაცსაც მხოლოდ ბუნებრივად გათვრებული თმა-წვერი მოუჩანდა, ასე მომეჩვენა თითქოს კედლებიდანაც გამქრალიყო ფქვილის მტკერი, მხოლოდ აქა-იქ, ობობას აბლახუდებზელა მოჩანდა.

ფქვილის ამოღებისას თვითონ მიშველა, უკანასკნელი ჯამი რომ აავსო და ჩემს თოპრაკში ყრიდა, ხელი ვუტაცე. ეს მინდი იყოს-მეთქი.

მოხუცმა გაიღიმა.

— არა, შვილო, მინდი დიდი ხანია არ ამიღია და რაღა დღეს ავიღო, თუ სიცივეს მიზამ და სანოლამდე მიმიყვან, ამაზე კარგს არაფერს გააკეთებ.

ნისქვილი რომ გაეაჩერე, მერე დახალევი წყალი მომატანინა ჯამით. — მხრებზე მცოცა, ნაბადი კარგად დამახურეო... თვალები დახუჭა და ჩურჩულით წარმოსთქვა: თუ მოვუკვდი, აქვე, კაკლის ხის ქვეშ, დამმარხეთო. შემდეგ ხელის ცახცახით ცოტა წყალი მოსვა და სახლში წაიღო, მიიხრა.

ბებიასთან აქოშინებული შევევარი და ყველაფერი მოვუყვი. მან ერთი კი ამხუდა, — უო, დამიდგეს თვალებიო, — დაიძახა და სწრაფად დაფიცურდა. დიღანდელი შჭადის ნატები და სადღეც გადამაღული ქონის ნაჭერი სუფთა ტილოში გაახვია, თავმალი მოიგდო მხრებზე და თავქვე დაეშვა.

უხშოდ გავყვი უკან.

ნისქვილის კარი თუმც დახურული დავტოვე, მაგრამ ქარს ისეც გავლო და ანჯაღებზე დაკიდებული, გულსაკლავად ტრიალებდარეგნს ადამახილზე ნისქვილიდან ხმა არავინ გავგვია. ჯამიდან დიდვრილი წყალი კარუბამდე გამოსულიყო. თავქვეშეხლამოდებულს დაეღია სული პაპას.

— უბედურო! — მდულარე ცრემლები დაადინა დედაბერმა მოხუცს. შიმშილით მომკვდარი, შვილო, მიმშილით, — კვლავ ნაიშინათვამი ხელები ბებიაშ, — ყველა იმას ამბობდა, მინდს არ გვართმევსო, ამ უბედურს სხვაზე ზრუნვამი თავის თავი დავიწყებია.

ბებიაშ მიცვალებული გაასწორა, გულზე ხელები დაუკრიფა, ზედ თავისი თავმალი გადააფარა და კვლავ აბლავდა. მუც, ამის შემყურემ, თავი ველარ შევიკავე და აყრემლებული პირსახვე ბების დამჭქნარ მკერდში ჩავრტე.

მომხრობები

პაპა ისიდორე

— რომელ ფრონტზე იბრძოდი, ბიჭო? — ბოვირის თავზე ჩამომჯდარმა პაპა ისიდორემ გზად მიმავალი, სერენანტისსამხრეებიანი ჭაბუკი შეაჩერა.

ჭაბუკი შეცბა. ალბათ, არ მოელოდა ასეთ შეკითხვას. მოხუცს ჭაღარა, დიდი ხნის გაუცრუებელი თმა ასწეწოდა, დაღარულ, დანაოჭებულ სახეზე ჭერა წარბები თითქმის არ ემჩნეოდა, ცხვიანი ცხვირი თითქმის ნიკაპს დაბჯენოდა. ტანთ მაჯებზემოცვეთილი სამხედრო ხალათი ეცვა, შავი შარვლის ერთ მუხლზე თეთრი ძაფით მწვანე საყერებელი ჭკონდა შემობლანდული. არეული, თითქმის არაფრისმთქმელი და შიშნარევი თვალებით უყურებდა მოხუცი ჭაბუკს.

— ფრონტზე არა ვყოფილვარ, პაპა! — ბიჭმა ინსტინქტურად შეიბნია გახსნილი საკინფე.

— ფრონტზე არა ვყოფილვარო?... აბა სად იყავი? — გაივირვა პაპა ისიდორემ.

— შუა აზიაში ვმსახურობდი, ტაშკენტთან ახლოს.

— ჰოო, — ისიდორე ჩაფიქრდა, — იჭამდი, აბა, სად მიიღწევდა ჰიტლერა...

— რას ამბობ, პაპა, რაღა დროს ჰიტლერია?! — გაივირვა ჭაბუკმა.

პაპა ისიდორემ გვერდულად ახედა ჭაბუკს, წამოდგა და სხაპასხუპათ მიაცარა:

— მაშ, არც შენ იცი, სად არიან ჩემი დათია, გოგია, ვანო, და მიხეილა, არა?... მე თქვენ გიჩვენებთ სეირაა... როგორ მიმალავენ, ე, როგორ! არავის არ უნდა მითხრას, სად არიან ჩემი ბიჭები. ე! დამაცადეთ თქვენა, ჯერ ჩამოვიდნენ!

ჭაბუკი თითქოს რალაცას მიხვდა, თითქოს ვერც მიხვდა, აბნეული შესცქეროდა მის წინ მდგარ მოხუცს, რომელიც ანჯალს აეტანა.

— რა იყო, პაპა ისიდორე, რას ედავეები ამ ბიჭსა? — გაჭირვებიდან იხსნა ჭაბუკი ის-ის იყო გზად ჩამოვლილმა კაცმა, — ეგ აქაური არ არის!

— სადაურიც უნდა იყოს, ქართველი ხოა, მაშ, არ უნდა იცოდეს, სად იბრძვიან ჩემი დათია, გოგია, ვანო და მიხეილა? — აუწია ხმას პაპა ისიდორემ, — შენც ამათი ამხანაგი ხარ, შენც მატყუებ, არავის არ გინდათ, სიმართლე რომ ვიცოდე!

შუახნის კაცმა თავი გააქნია სონანულის წიშნად, ბიჭს მოუბრუნდა:

— ვისი ხარ, შვილო?

— აქაური არა ვარ, გორელი ვარ.

როსტომთან ბიჭთან ჩამოვედი, ნოდართან. — აუხსნა ჭაბუკმა და ამრეზულ მოხუცს გახედა.

— წამოდი, შვილო, წამოდი, იქით მივდივარ, სახლს მივასწავლი, გაანებე ამ საწყალს თავი, მაგას თავის უბედურება ეყოფა.

— მე რა, თვითონ გამაჩერა, — წამოიწყო ჭაბუკმა, — ლაპარაკი გამიბა, რომელ ფრონტზე იბრძოდით...

— ვიცი. შვილო, ვიცი, ისეა ეგ უბედური!

ნელ-ნელა გაუყვნენ გზას.

— მაშ. არ იცით, არა?.. ეხლა გიჩვენებთ სეირსა! — ქვას დასწვდა პაპა ისიდორე.

— გაიქეცი, ბიჭო, არ მოგარტყას!

ქვეები ერთმანეთს მოკყევა და მოკირწყულულ შარაზე აკბახუნდა, თან ისიდორეს ლანძღვა და მუჭარა მოსდევდა.

* * *

— კარგია, გაგხსენებიათ, ბიჭო! — დაიძახა აივანზე გადმომდგარმა ნოდარმა და კიბეზე დაეშვა, ჭიშკარში ჩატანებული პატარა კარი ხმაურით გააღო და ახალმოსულს გადაეხვია, — შემოდით, პეტრე ძია, შემოდით, მოდი, ზაზა!

— მე საქმე მაქვს, წავალ, აი სტუმარი კი ჩაიბარე! — თავპატივი დაიდო პეტრემ.

— მობრძანდით, პეტრე ძია, მობრძანდით! — მკლავში ხელი გამოსდო ნოდარმა, — ჯერ ეს მითხარი, სად გადაეყარე ამ ჩემს სტუმარს?

— პაპა ისიდორე შეხვედროდა შენს ძმაცკეს, ძლივს გამოვტაცე ხელიდან. პოდა, ჩემო კარგო, — სტუმარს მოუბრუნდა პეტრე, — მაგ მოხუცს ოჯახში ორი რბალი და შვილიშვილები დარჩა, ორი ბიჭი და ერთი გოგო; დათიას ქალ-ვაჟი დარჩა, გოგიას ერთი ბიჭი. ვანო და მიხეილა კი დასანიშნები იყვნენ. ოთხივე ერთად წავიდა და ერთ ასეულში მოხვდნენ. საწყალი ჩემი ძმა ელიზბარიც იმათთან იყო. ორმოცდა-

სამ წლამდე არც ერთს ნახე! — მარტო ლია, ხშირად ვიღებდით წერალებს. ელიზბარისა და ვანოს დალუპვის დეპეშა ერთ დღეს მივიღეთ. მაშინ მე ჯერ კიდევ შინ ვიყავი. ორმოცდასამის შემოდგომაზე გამოიწვიეს...

— ნულარ დგებარ მანდა, აქ მოდით, დაბლა, მარანში, აქ უფრო კარგია ლაპარაკი! — გამოსძახა ნოდარის მამამ თედომ.

— აი, საწყალი ისიდორეს ამბავს ეუყვები, — უთხრა პეტრემ, — სანამ მე გამოიწვევდნენ, დათიას დალუპვის დეპეშაც მიიღეს. ვის არ მოსდიოდა მაშინ შავი ქალაღი, სოფელში ტირილი და გოდება იდგა, ხალხი ტირილით მუშაობდა ეენახსა და მინდორში. უცნაური ის იყო, ცოლი ქმარს არ ეუბნებოდა შვილების ამბავს, — ქმარი — ცოლსა. ახლა მინდორში გენახათ, რა ამბავში იყვნენ, ხან ერთი წამოიწყებდა სიმღერას და ხან — მეორე, ხალხსაც აიყოლიებდნენ ხოლმე, აგულიანებდნენ; დედაკაცები მობრუნდებოდნენ და ჩუმად იშმენდნენ ცრემლსა, იმათ კიდევ ისე ეგონათ, არცერთმა არ იცისო შვილის ამბავი.

ყველანი მარნის წინ, აივნის ქვეშ გაწყობილ მაგიდას შემოუსხდნენ, თედომ ჭიქა შეავსო, დაილოცა, კეთილი იყოს შენი ფეხი ჩვენს ოჯახშით, ამხანაგობა და მეგობრობა არ დაკარგოთო, უთხრა ზაზას. სხვებმაც მხარი აუბეს.

— მერე რა მოხდა, მე გეტყვი, — წამოიწყო თედომ, — ორმოცდაოთხის თებერვალში ჩამოვედი, ომში აღარ ვვარგოდი, — ზაზამ ახლა შენიშნა, რომ თედოს მარცხენა ფეხზე პროტეზი ჰქონდა, — კოლმეურნეობაში დავიწყე მუშაობა, რაც შემეძლო, იმას ვაკეთებდი. ჩემი ამბავი გრძელია, მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ დავკორწილდი. ორმოცდაოთხის ზაფხულში, ისიდორესთან, რუსი ლეიტენანტი ჩამოვარდა. საწყალ ბიჭს მარჯვენა ხელი არა ჰქონდა, სახე მთლიანად დამწვარი და დაწყულულებული, მარტო თვალებიღა ანა-



თებდა ცოცხლად. იმან ჩამოუტანა შეილებს ორდენები და მედლები — მათი მეთაური ვიყავიო. ჩემი სოფელი გაჩანაგებული დამხვდა, ჩემიანი ცოცხალი აღარავინ არის და თქვენთან წამოვედით. რამდენი არ ვეცადეთ, დავათვრეთ კიდევ, მაგრამ იმ ლეიტენანტს ვერაფერი წამოვაცდენინეთ. ვეკითხებოდით, ბიჭები სად არიანო; იბრძვიანო; კარგად არიანო, ამბობდა. საწყალი მარო-ძალო რამდენს ცდილობდა, ვერა და ვერ ათქმევინა სიტყვა; ერთი კვირა დარჩა, გამოგვემშვიდობა და წავიდა. გავეცალეთ. ბოლოს ესლა გვითხრა, მაგ ოჯახს მიხედეთ, არცერთი ბიჭი არ დაბრუნდებაო და წავიდა... მოდიო, მშებო, შინმოუსვლელი ხალხი ვადღეგრძელოთ, ვინც ამ მშვიდობიან ცხოვრებას ვერ მოესწრო, იმათი სადიდებელი იყოს. — პირამდე სავსე ჭიქა გამოცალა თედომ.

— ძნელი დრო იყო, ბიჭებო, ძნელი, — დაიწყო პეტრემ, — საწყალი მარო-ძალო შეილების დარღმა გადაიყოლა. უბედური ისიდორე კი ცოლის დასაფლავების დღეს ჭკუაზე შეცდა. ვისაც სამხედრო ფორმიანს დაინახავს, უკვლას ეკითხება, ჩემი შეილები ხომ არ გინახათო; მაგ საცოდავს ჭერ ისევ ომი ჰგონია.

— ვინც იცნობს, დადგება და წაკითხულსა და გაგონილს უყვება: აქა და აქ ვნახე შენი შეილები, ორდენებით მოჭედული ჰქონდათ მკერდიო, ტანკი ააფეთქესო, — ღიმილით დაიწყო ნოდარმა, — ზოგი თვითმფრინავს ჩამოაგდებინებს გოგიას ან მიხეილას, ზოგი ხიდს ააფეთქებინებს. მაშინ სულ უციინის თვალები, უხარია პაპა ისიდორეს.

— შენ კი დამდგარხარ და, რაღა დროა ომიო, დიდი ხანია დამფაერდა, პიტლერიც აღარ არიო, — ხუმრობით შეუტია ზაზას პეტრემ.

— რა ვიცოდი, ძია პეტრე, თორემ მეც ვიტყოდი რამეს, ცოტა ამბები ვიცი?

...ჭიშკარში ჩატანებული კუტიკარი ნელა გაიღო და ეზოში პაპა ისიდორე დინჯი ნაბიჯით შემოვიდა.

— პაპა ისიდორეს გაუმარჯოს, — შესძახა თედომ და სასმისი შეავსო, მოახლოებულ ისიდორეს გაუწოდა. აბა, დაგვლოცე, პაპავ!...

ისიდორეს თითქოს ლობრი გადაეცალაო, აუციალდა თვალები.

— ბიჭო შენ სადღაც მინახიხარ და ვერ კი მომიგონია... დამაყა, დამაყა...

— ჩაფიქრდა პაპა: ისიდორე, მერე აიხედა, — რას შერებოთ მეზობლებო, რა დროს გავგიშლიათ ეგ სუფრა...

— როგორ დალაგებით ლაპარაკობს, — გაკვირვებით გადაუჩურჩულა თედომ ბიჭებს.

— ხანდახან ვერე იცის ხოლმე, — ჩურჩულითვე დაუქრა კვერი პეტრემ, — წუთით გაუნათდება ხოლმე გონება...

— ჩემი ბიჭების სახითა, — წამოიწყო პაპა ისიდორემ, — ვინც შინ ვერ დაბრუნდა, ყველას სახელს ვენაცვალე, ყველას გაუმარჯოს!

სულმოუთქმელად გამოსცალა ისიდორემ სასმისი, უცებ თვალები დაებინდა, მის წინ უცნობი ლანდები ისხდნენ. ხელები უაზროდ გაასავსავა ჰერში, მდუმარედ შეტრიალდა და სათონისკენ წავიდა. ნელა ჩამოჯდა ფიჩხის კონებზე, მერე გადაწვა და ფეხები სანატრეში წაყო, ხელები მჭიდროდ შემოიკრა მკერდზე და გაირინდა.

პეტრე და თედო მაშინვე მისცივდნენ მოხუცს. ველარ მოაბრუნეს. ხალათის ჭიბეებში ოთხივე ვაეის სურათები, სამკუთხად გაეცილი ბარათებნი და ოთხი დეპეშა უპოვნეს. დროს ყველაფერი გაეხუნებინა, ოფლსა და ქუჭუს წაეშლა და აქა-იქ ორიოდ სიტყვას თუ ამორკითხავდა კაცი.

მაგარიბა დედამიწა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცებ დაეტყო დაკაცება დათებას ბიჭს გიგას — დადინჯდა, სულ უფროსებთან და ცოლ-შვილიან ხალხთან ტრიალებს. საუბარში კი არ ერევა, თუ რასმე ჰკითხავენ — დინჯად პასუხობს; გაუქრა ჰაბუკუერი სიანცე. მერე დიდი ხნის მაინც იყოს — ღვინობისთვეში ოცდასამისა ვახდება. სიარულიც უფრო დარბაისლური აქვს; ეს პატარა კაცი ისე ამაყად თვაწეული დააბიჯებს, თითქოს ყველაზე მალულსაც ზემოდან დაჰყურებსო. ზემობა ზომ არ არის — ვაჟის მამა, ოჯახის თავი. თავის ტოლ დასანიშნავ ბიჭებს ბრძენკაცივით ელაპარაკება, თითქოს გუშინ მათთან ერთად არ დადიოდა იორზე სათევზაოდ და საბანაოდ, მათთან ერთად არ ატარებდა მთვარიან ღამეებს ბუანთ კაკლებთან.

ჭარიდან რომ დაბრუნდა, მეურნეობის მარანში მკეასრედ დაიწყო მუშაობა, კარგი ხელიც გამოიტანა. ყველა ემადლიერება. ისედაც დიდი ჩხირკედელა ვინმეა: რა გინდა, მისმა ხელმა რომ არ გააყეთოს; თავისი ხელით აიშენა და გამართა სახლი. ადრეც არ უყვარდა კლუბის წინ უსაქმურ ბიჭებთან დგომა და მზესუმზირას ენატენი. დღეობებსა და უქმე დღეებში თუ გამოვიდოდა — შავი სატინის ხალათს ჩაიცვამდა, კარგად გაუთოვებულ შარვალსა და პრილა ფეხსაცმელებს დაამშვენებდა და არცერთ გართობას არ მოაკლდებოდა. ვერ ვიტყვით, ცეკვა-თამაშში ბადალი არა ჰყავდაო, მაგრამ სხვებს არ ჩამორჩებოდა, ჭიდაობაში თუ დაეცემოდა, წინ ერთი ორს მაინც გაიმძღვენებდა. ერთი სიტყვით. ტოლ-სწორში გამორჩეული არ იყო.

მერე კი, რაც ჰავლიანთ ქალი — თამარი შეირთო. სულ გადაყვა საქმეს. ზანდაზან ცოლს თუ გაასეირნებდა სალაშობობით კლუბში. ეგ იყო და ეგ...

...გამოიყვანა ცოლ-შვილი სამშობი-აროდან და, ნათესავ-მეზობლები მიეხმარნენ, ორ კვირაში მოათავეს ახალი

აგებული სახლის გაღვსვა-გალამაზება. კარგი სამდღიანი ძეგობა გადაიხადეს, ოჯახი დალოცეს და წაეიდ-წამოვიდნენ. მაშინ იყო, მამამ რომ უთხრა, ბიჭს ჩემი სახელი დავარქვათო.

— არა, მამაჩემო! — პირველად შეკადრა სიტყვის შებრუნება გიგამ, — მეც მადლობელი ვარ ჩემი სახელისათვის, ეხლა კიდევ მაგას შენი სახელი?! ამა გადახედე ჩემს გვარეულობას: გიგა, გიორგი, გოგია, გიგლა, დავითა, დათიკო, დათა... სულ ეს არის, თითო-ორო-ლა სხვა თუ გამოერევა. როგორა, სხვა სახელი აღარ უნდა გააკაროთ გვარსა?! თურმე ერთმა ნინოწმინდელმა კაცმა თავის შვილებს ერთს აკაკი დარქვა და მეორეს კი — კაკო. ჩვენც აგრე არ დაგვემართოს. შენი სახელი აგერ გოგლიამ დაარქვას თავის შვილს, მე ავთანდილი უნდა დავუძახო, — ისე ამაყად და ხაზგასმით წარმოთქვა ბიჭის სახელი. თითქოს იმედი აქვს, მეორე ავთანდილი გაიზრდებაო.

დათებაც რალას იზამდა, ისლა დაუმატა, ავთანდილიც კარგი სახელიაო და ოთახში მოფუხფუხე გოგლიას გადახედდა.

...წამოიჩიბა პატარა ავთანდილი, სახე დაეწმინდა, გაებადრა, ლულულდი და ხელში ხტუნვა დაიწყო. გაიღვიძებს და აკანშივე დაიწყებს ლულუნს, კამარაზე ჩამოკიდებულ ჩხაკუნებს უყურებს, ხელებს აუხსნიან და ცას ეწევა სიხარულით: ჭერ ჩხაკუნას გაჰკრავს თოთო თათებს, გაიღიმებს, თავის ენაზე რალაცას წაილულუნებს, ახლა თავს უკან წაიღებს ორივე ხელით, პირსაფარს დაითრევს, სახეზე დააფარებს. ან პირში დაიჭერს მის კუთხეს და ლოლნის: მერე პირსაფარს ველარ გადაიძრობს და ატირდება. გიგა იქვე ზის სამფეხაზე, ნეტარებით სავსე ღიმილით დასცქერის პირშმოს, ხელსაც წაამველებს, პირსაფარის გადაძრობაშიც მიეხმარება: ავთანდილი მშვიდდება, გიგა დაუწრუბუნებს და ორივენი იცინიან. ამ

დროს თამარი ოთახში დაფუსფუსებს... წამოაყენებენ აყენიდან და გიგა მაშინვე ჰერში ისერის ბიჭს, პაწია ავთო გულთანად ხითხითებს. გიგა დაიჭერს, ბოცო-ბოცო ფეხებს შუა ჩაურავას თავს და ჰკოცნის. ხტის და ხითხითებს ავთო. თამარი ღიმილით გადახედავს გართულ მამა-შვილს და მის თვალბეჭოვ კაფობს დედის ნეტარი ღიმილი.

თუ რაიმე სათამაშო მოეწონა, ყველას შინ მოარბენინებს გიგა. ამას წინათ პატარა ოთხთვალა ეტლიც მოუტანა, ჩასვამს შიგ ბიჭს და ოთახში, დერეფანში, თუ ეზოში დაასეირნებს. მალე ეტყვის თამროს, მაშ კარგი არ იქნება, ჩვენს გზაზე და ეზოშიც ასფალტი იყოს დაგებული, ეტლი ხომ არ იჯაყყავებდაო. ამოიყვანს ეტლიდან ბიჭს გიგა, ორივე იღლიაში წააქვებს ხელებს, მიწაზე დააყენებს და „ტაატას“ ეუბნება. ავთანდილიც მიაფორხილებს ფეხებს, იცინის და ტბილად ღულუნებს. თამრო დასცინის გიგას:

— სულელო, განა ციყანია, მაშინვე გაიაროს, ადამიანია!

— რას ამბობ შენა! ნახე რა მალე დავიწყო სიარული! — შვილის ნაცვლად ამბობს გიგა.

— როგორ ნამდვილი მამასავით ლაპარაკობს, — გამოაჯაერა თამრომ, — გიგას კისერში ხელი წაუფაჩუნა.

— რატომაც არ ელაპარაკობ, შე ოჯახაშენებულო, ზემოტბნელი ზაქრუა იმსისქეა, რომ ჩამოხერხო, ერთი სახლის მასალას დაკურის, მაგრამ ოთხი გოგო ჰყავს, გესმის? ოთხი!

— გოგოები რა, რით არიან ცუდი?

— მერე ვინა თქვა, ცუდიაო, მაგრამ ბიჭი მაინც ბიჭია: აბა, იმაზე რაღას იტყვი, ყოყლოყოიანთ ვანია ძალიან კარგი საბუღეა, დედაკაციც კარგი ჰყავს, მაგრამ უშვილითოდ ბერდებიან...

— მერე რა ვუყოთ, არ აძლევთ ღმერთი და თავებს ხომ არ დაიხოცავენ.

— ხო და, შენთვის მოუტყია ღმერთსა და მოუარე... აბა, დაიჭი, ეს მამაძალი, აჭამე და ჩააგდე! — ბავშვს

მიაწვდის გიგა და რაღაც საქმეს იწყობს ნახავს ეზოში.

ერთ დღისით ტელევიზორი მოიტანა გიგამ, გოგლია და ვანო მოიხმარა, თავისი ხელით აღმართა სამტრედიზე ანტენა და იმავე საღამოს ჩართო.

— აბა, თამრო, შინიდან გარეთ ველარ გადიხარ და უუურე, კინოც მანდ არის და კონცერტიც, ხან თბილისს უუურე და ხან მოსკოვს.

სამსახურიდან, რომ დაბრუნდება, ჯერ ბიჭს დახედავს გიგა, თუ ლეიძავს, რამდენჯერმე შეათამაშებს ხელში და ისევ საქმეს მიუბრუნდება. ხან თამრო იტყვის, ახლა უნდა ვაბანაო, მომეხმარეო, და გიგაც მაშინვე შემოიტანს ოთახში თეთრ მომინანქრებულ აბაზანას. ბიჭს აბანავებენ და თან დასიახიან — «დათვი მკლე და ავთო მსუქანიო». აყვანში ჩააკრავენ, გიგა ღიმილით ნიშანს უტებს შვილს:

— ეგ რა გიყვეს, ბოჰო, გაგთოყეს? აბა ერთი სცადე და გაიხმერი!

ავთანდილს თითქოს ეამის ძაძის ლაპარაკი, მთელი ტანით ტოკავს. ცდილობს გათავისუფლდეს. გიგა თვალბეზე პირსაფარს უსწორებს, აყვანს არწევს:

— დაიძინე, დაიძინე! მაგ არტახებს შენ ველარაფერს დააქვებ!..

თამრო სამფეხას მიიდგამს აყვანთან და სატირლად გამზადებულ პირძმოს თეთი ამშვიდებს. გიგა ტელევიზორს ჩართავს, აყვანს კამარაზე გამობთულ თამას დაიჭერს ხელში. წამოწვება და კონცერტს თუ კინონარკვევს უუურებს... მალე ვანო და გოგლიაც მოვლენ კინოს საყურებლად. საქმიანად დაბრუნებული პაპა დათება გზად შემოივლის ოჯახში, ხანდახან თუ გაიხედავს ტელევიზორისაკენ. ზის და აყვანს ძისჩერება.

გაიღვიძებს ავთანდილი და ყველას ავიწყდება ტელევიზორი: ჯერ ხელში ათამაშებენ, მერე მაგიდაზე დააყენებენ და არის ერთი ამბავი.

— დათიკო პაპა, — წამოიწყებს თა-

მრო, — მე დადგა-დადგა ვისწავლე, იცი? აბა, დგა, დგაა! — თამრო ხელს გაუშვებს ბიჭს, თან მარჯვედ უდგას, არ წაიქცესო, ბიჭი მოსაგლეჯი კბილივით ფამფალებს, ილაშება და ხანდახან ოდნავ ბუჭნის.

— დადგა ბიჭი! დადგა ბიჭი, დედა-მიწა მაგარია!... — ხელს ხელზე შემოკრაევს პაპა დათება.

— დგაა, დგაა, მაგარია დედამიწა...

ყველა ერთხმად აპყვება პაპას.

ავთანდილი კი დგას, ახლად ამოწვევრილ წინა კბილებს აჩენს და წასაქცევად ფამფალებს, მერე ეცემა, თამრო ხელს შეაშველებს. უცებ წამოიწვევს ყველა, ავთანდილი კი იცინის. ისევ დააყენებენ და დასძახიან:

— დადგა ბიჭი! დადგა ბიჭი!..

— დგაა, დგაა, დედამიწა მაგარია!.. არ ჩაიქცევა!...

...უცაბედი გრიალი და გრუხუნე აყრუებს ოთახს, ყველა შეკრთება. პატარა ავთოსაც ჩაუდგება თვალეზში შიში, ატირდება, ტელევიზორს მიხედავს ყველა. დათება ბავშვს შეხედავს და დინჯად ჩაილაპარაკებს:

— ომის კინოს უჩვენებენ... ძალიან გრიალებს, ერთი ხმა ჩააწყვეტინე, ქალო! როგორ შეგვიშინა ბიჭი!

თამროს გიგა დაასწრებს. სიმონი
წევს: სიმონი

— იქნება სულაც გამოგერთო, ეშინია ბიჭსა!

— იყოს, გიგა, იყოს რა! ბიჭი ისევ გამხიარულდება! — ფეხზე წამოდგება ვანო, ავთანდილს მიუღერსებს, თან ტელევიზორს არ აშორებს თვალს.

— დადგა, პაპა, ავთო დადგა! — გაიძახის თამრო.

ავთანდილს სახეზე მარგალიტებივით შერჩება ცრემლი, ისევ ღიმილი ეფუნება სახეზე და ანათებს პირველი კიკებიით.

— დადგა ბიჭი! დადგა ბიჭი! დედა-მიწა მაგარია!.. — გაიძახიან გოგლია და ვანო, თან თვალი ტელევიზორისაკენ გაურბით.

ტელევიზორში კი მოჩანს, როგორ ფეთქდება ყუმბარები, ინგრევა სახლები, ისვრიან ავტომატებს, გუგუნებენ თვითმფრინავები... ხმა კი აღარ ისმის ისე საშინლად. პატარა ავთანდილს არ აშინებს გრუხუნ-გრიალი, მხოლოდ დათება ზის მდუმარედ, ნაღვლიანი თვალებით შესცქერის ომს, მარჯვენაზე შერჩენილი ორი თითით თექვის ქუდს ისწორებს და ფიქრებში იძირება...



სიმქა ჰაბუშანური

იცის კაცური დახვედრა,
 მკლავს გაშლის.
 გაირაინდებს.
 თვალში აინთებს ნალვერდალს,
 გულში სიყვარულს აინთებს.

ყანწს ღიმილივით მოგაწვდის,
 ავსებულს ებიბაურით,
 ციკქასთან როგორ მოიწყენ,
 ან ცივად როგორ ჩაუელი...

რომ შემობრუნდა ბარიდან,
 არბოტს რომ დასცა კარავი,
 ყამირს აბრუნებს ბარითა,
 სევდა-წუხილის მფარავი.

ზოგჯერ გულისტქმას გახედნის,
 გარს შემოიხვევს ყმაწვილებს:
 — მე რა მინდოდა კახეთში,
 ხვესურეთ რაად გავწირე!

რად შეველიე, ნეტავი.
 ჭიუხში შხეფებს ბროლისას,

რად გავხდი გაუბედავი
 ჯაბუშანურთა გორისა?!

სხვამ მოინდომა ჭკონოდა
 ჩემი მთა,
 ჩემი ქარაფი,
 და მეც არაგვის ბოლოდან
 დავბრუნდი მთელი ჯალაბით.

მოვხედე ტყიანს, ველიანს,
 მიწის სინედლეს, სიმწვანეს. —
 ჭირი რომ მარგებელია
 ახლა ნამდვილად ვიწამე!..

მზემ გაბრიელის სულისამ,
 მინდოდა არხვატს ეხარა.
 ველარ გამყარონ სურვილსა,
 შემომედაონ ველარა!..

ციკქაის სიტყვებს გულიანს —
 გულისტქმას ამლის ხეების —
 მთის ყვავილები უვლიან
 და ლურჯი საჭიხეები.

სისტოკლეპი კოჰრის გზაზე

დილის ცვარდაყრილ მდგლოზე
 შევხვდეთ ციმციმა ცისტვალებს.
 საგაზაფხულოს მღეროდნენ,
 ვთვალე და ვერ დავითვალე...

ცისტვალას გევხარ თვითონაც.
 უნაზეს ყალბით ნახატი.
 შენმა მზემ გადაამითოვლა
 მთები ბლოსა და არხვატის.

შენით ყველა დარდს ავლავმავ,
შენი შზის თანაზიარი,
გველოდებიან არაგვთან
დეანიცა და ღვიანიც.

წყაროებიც და ჩქერებიც
ნაჟურნი კლდისა შავისა:
გავუყვეთ სვენებ-სვენებით
ლამაზ სანახებს ფშავისას.

ხევსურეთს დავეცოთ კარავტინაში
ფეხით დავეცოთ სერები,
გავიზარდება, ქალაი,
უას რომ მიწვდები ხელებით.

გადაეხვევი პირიშუს,
როგორც მე ცისფერ ცისთვალს.
— ქალები გამიბილიყე! —
არაგვმა შემოგითვალა.

შენ რომ აქ იყო

შენ რომ აქ იყო,
სხივების ელვა
უას ჩამოხსნიდა ღრუბლის
ნაფლეთებს,
მეც მივეშვებდი უბელო მერანს
არწივისა და ორბის საფრენზე.

შენ რომ აქ იყო,
ლამე უთილო
არ დადნებოდა სევდის სტრიქონად,
არ დათვრებოდა გული ულკინოდ,
ის შენზე ფაქრმა გადაიყოლა.

შენ რომ აქ იყო,
ქროლვა ზღვაურის
ვერ შემირევედა სულის სიმშვიდეს,
ვერ დამჯაბნიდა ზვირთთა ზმაური
და ამღერებას ვერ დამიშლიდნენ.

შენ რომ აქ იყო,
ველი ვერანი,
დღე უღიმლამო არ იქნებოდა,
არ დაშრებოდა ჩემი მელანი,
არც სიხარული ჩამიქრებოდა.



აკეთანდილ პურაშვილი

ქაბური რვეული ანუ ალაქონის ველის სურათები

სალამი ჩემო...

სალამი ჩემო სიყვარულო,
სალამი გრემო!
დიდიხანია აღარ ვფიქრობ,
რომ უნდა მოვევდე...

შენ, შენ ანთიხარ. —
შუქად დგახარ ამ მიწის ზემოთ:
სალამი ჩემო სიყვარულო,
სალამი გრემო!

* * *

შალვა ომსარაშვილი

ვენახში გნახე,
ვაზს სხლავდი,
მთვარეს გიგაფდა პიროს;
თვალში გიკრთოდა ვარსკვლავი,
მკერდზე შეხსნილი ღილიო:

მკლავზე გეფინა ნათელი,
შუბლზე — ცვარ-ნამი გრილიო;
აგხედე, იყავ სანთელი
ტაბარში ჩამოქნილიო...

სუფრასთან გიჯექ,
რას ნახავს
აკი შენს უყვითესაო,
პირზე ვარდები გეყვარა,
ვარდით მინთებდი ცეცხლსაო:

პირიშზე ყანწებს გვაწვდიდა
გულითა, მზიარულითა, —
„ოქროს ქოშები გაცივითა
მარანში სიარულითა“.

* * *

ღელესა მარილოვანსა
ნისლი ჰშვენიოდა დიდის,
ვით ცრემლი ჭალსა მგლოვარსა
წამწამზე გადმოშლილი.

გზას ამოსდევდა ჭაღისას,
ვარსკვლავნარიყი გზითა,
პირმთვარე პირიშთვარისა,
პირიშზე პირიშისა.

რომელი მიყვარს, შენა ხარ!
თვალცრემლიანი გიშერ, —
შენ, ამოსულო ვენახად
ალაზნის გულისპირზე...

ღრუბლიდან ამოხვეული
თრთის ალავერდის ყელი;

ვარ სიყვარულით სნეულობნი
შკლავს სიყვარული შენი;

შენ, ამოსულო ტაძრებად,
შენ, ამოსულო ვაზად,
ჩემო ქიტესას მარჯვენავ,
ჩემო ნასყიდას მაჯავ!

• • •

ალექსი ბეგაშვილი

კახიფართან, კალაურთან,
მელანთან, ვეჯინთან,
თვალად ტურფას,
ტანად ტურფავ,
თმა გშეენოდა ჭეჭილთა:

მკერდზე ვაზი გიღელავდა,
ვაზი რქაწითელისა...
შენი ტყბილი სიმღერა და
ხვევნი ყელზე ყელისა:

მომენატრა, მოვალ. უკვე
ბაკურციხეს გამოვცდი, —
თვალი დავკარ, მომამუქე
შენი კარმიდამოთი;

ვიცი, მთვარე გამოვიდა
რა ხანია მოდიდან, —
ე მაგ მთვარის გამოითაც,
ე მაგ გულის გამოითაც
უფრო, უფრო მომინდი!

სადღაც ახლო კოლაგია,
ახაშენი, ჩემლაყი, —
კოშკის ველზე კოლა ძია
მოქქრის თეთრი ულაყით;

ნარიყალზე ნალო კვესავს,
ქარი ადგა ჭანდარის...
შენი ვაზი არის ფრესკა,
შენი ზეარფ — ტაძარი.

შენი შალვა, შენი ცირა,
შენი გივი, ნათელა
იყო — ხმალით გიდგა წინა,
იყო — თავიც შემოგწირა,
ახლა გწირავს მარჯვენას.

მომენატრე, მოვალ, უკვე
ბაკურციხეს გამოვცდი,
თვალი დავკარ, შუქი ადგა
შენი კარმიდამოსი.

• • •

სათიბ-სათიბ და ჭალა-ჭალა
ნიაგს მიჰყვება თხმელის ნეშო,
ღელედ და ღელედ ჩამომდნარი
მთები შერბიან მამულეშვი:

შავად ჩახურა ჭვა-ჭვიშანი,
შავად ჩახურა კლდე-რიყენი,
ხევში ლიცლიცებს ჭრაქის ალი,
ბნელში მიცურავს შენი ყელი...

ვარსკვლავიერი, დაბურული
აჩნდა ამოღმა სოფლის მხარე...
ლამეს ყვითელი თმა-ბუღული,
როგორ შეენოდა ღამეს მთვარე!

როგორ შეენოდა ჩაშლილ ბიჭს
და კალოებზე თხელი ფუჭუჩი...
ტბილი გალობა დაღალულ ქალთა
იმ ჩემს ბედნიერ სიჭაბუკეში.

ალავერდის ტაძარი

პირსვედიანი გნახე, —
მკერდზე შროშნები გესხა...
თანამდევს შენი სახე, —
ლეთიშობლის ჩვენი ფრესკა:

ჩემთა ღამეთა წიაღ
სუსტი ნათელი კრთები...
ლილუ, შენ ფრესკა გქვია,
ლილუ, ვინ შეგჭრა ფრთები:

ვინ მიგაჯაჭვა თალებს,
ვინ გიდნობს ცრემლის ყინულს!
მზესა ჭგავ შენი ზაგე,
მომღუმარენი, ლილუ!

და როგორც ვაზი ველზე,
ჩემო ხატო და ღმერთო,
მეც ალავერდის ეელზე
მინდა შენსავით ვენთო:

რომ უზიდო შენთან ერთად
ქაპანი დრო და ვაძის;
ყვავილდეთ ასე თეთრად,
ყვავილდეთ ალუბლის ყვავილს.

როს შენი სწორი მხრებით
გადიხსნებთან ცანი,
აქამდე სოფლისანი
მზის გაღმა გავფრინდებით.



უზანს სახლთხუციხვილი

საქართველოს მდინარეებს

ჩამოქონდათ ზღვაში ოფლი —
სახნაეიდან, საყანიდან,
სათოხნიდან, სახლაეიდან,
სათიბიდან, სარწყაეიდან
საქართველოს მდინარეებს
ჩამოქონდათ ზღვაში ღვარად.

ჩამოქონდათ ზღვაში სისხლი —
დიდგორიდან, კრწანისიდან,
ასპინძიდან, მარაბდიდან,
სამშვილდიდან, მარტყოფიდან
საქართველოს მდინარეებს
ჩამოქონდათ ზღვაში მარად.

ჩამოქონდათ ზღვაში ცრემლი —
ვარძიდან, ზერთვისიდან,
კლდეკარიდან, ბოლნისიდან,
მცხეთიდან და თბილისიდან
საქართველოს მდინარეებს
ჩამოქონდათ მლაშე წყალად.

იცლებოდა ქართველი და
იესებოდა წყალი მისით,
წყალს კლება და თქვენ მატება,
ქართველებო, ამას იქით!

რომანი კოეზის სხოვრებისა

ჭერ დაიბადა, მერე დაიწყო:

სად არ იარა,

რა არ გადახდა!..

გზადაგზა სახლებს იშენებდა და
როცა გათავდა ყველგან დასახლდა.

* * *

რითმები რითმებს ისე მოსდევენ,
როგორც ფიქრები ფიქრებს.
ლექსები ლექსებს ისე მოსდევენ,
როგორც ფიქრები ფიქრებს.
ფიქრები ფიქრებს ისე მოსდევენ,
როგორც ოცნებას შენი თვალები.

კანონი გაცხადებულა

ფარები სდუმდა, როგორც სოფელი,
თეთრად მოჩანდა ჩორახზე ფარა,
ცა იყო შავად გადმომზობილი
და ზედ ვარსკვლავი უხვად ეყარა.
მკრთალად ბეჭტავდა ცეცხლი ქვის
ქობთან,
კლდის ფონს ფერავდა მორუხო კვამლი:
ნაბადზე მწყემსი იჭდა ფეხმორთხმით
და ჰიმნს უმღერდა ბუნებებს კრძალვით.

ფოთლები

ფოთლები,
ქარი კი არა, ფოთლებია, რომ ფრიალებენ;
წვიმა კი არა, ფოთლებია, რომ შრიალებენ;
ნამი კი არა, ფოთლებია, რომ ბრჭყვიალებენ,
ღიახ, ფოთლები — სილამაზე,
სიციცხლე,
სუნთქვა.

სიციცხლეც ჩემო,
ამ გაზაფხულის
პირველ ღამეს დღეს,
ამ ყვავილების
შენებრ ნაზ სუნთქვას —
აღნიშვნა უნდა.

და თუ-არ მიწეენ,
თუ კი მიიღებ...
აი მეც ჩემს გულს
შემოგთავაზებ,
შენთვის სიწირფელით
და გზნებით სავსეს მუდამ.

თაჯ-მაჰალი

თაჯ-მაჰალი, მშვენიერი თაჯ-მაჰალი,
სიყვარულის ჩაუქრობი ნაღვერდალი-
ეს ზეიმი კაცის ნიჭის,
კაცის ხელის.
ეს ქმნილება უნაზესი,
საკვირველი.
საუკუნის ლოცვა-გზნებით
მართლა ცამდე აღვლენილი
თაჯ-მაჰალი ჩამის გაღმა
სადირველში ჩარჩენილი.
თაჯ-მაჰალი, მშვენიერი თაჯ-მაჰალი...

აგრას ციხე?! პირქუში და მიუვალი...
ციცქნა სარკე
ციხის კედელზე აკრული,
შაჰ-ჩეშანის მუგეში და მოციქული.
რაოდენი სინაზეა, რა განცდები
ამ სარკეში არეკლილი.
რა გრძნობაა,
რა თმენა და თაყდადება
ამ კედლებში ჩაქსოვილი.
თაჯ-მაჰალი, მშვენიერი თაჯ-მაჰალი
სიყვარულის ჩაუქრობი ნაღვერდალი.

გაღკრძენა

უმსხვრევიათ ჯაჭვ-აბჯარი,
აქ ვეფხვიით ლალ ვაქააცებს,
მტერს უტევდა მცირე ჭარით
ტაშისკართან სააკაძე.

რუსთაველის მშობელ მხარეს
გიზგიზებდა ცეცხლი ომის,
მედგრად იდგა, ვერ დამარხეს
ახალციხე და ბორჯომი.

უცნობია ბევრი მოყმე,
და საფლავი ვისი არის,
გამარჯვების უტყუი მოწმე,
იყო მთები ნისლიანი.

აწ განგებას ვევედრები,
ურდომ ველარ გადათელოს,
მოყვარედ ჰყავს სხვა ერები
გადარჩენილ საქართველოს.

კვი, ოცნებაჲ გაღალო!

ჩამოწვა ლამის წყველიადი,
ყველა სულდგმული შინ არის,
სდუმან ეს მთები ზვიადნი,
არ ისმის ფოთლის შრიალიც.

დრო მიდის, ფიქრი ბრუნდება,
მახსოვს დღეები ნეტარი,
სულის აღმგზნებო წუთებო,
საით წახვედით ნეტავი;

რომ მუდამ კარგი მახაროთ,
ნანას მიმღერდეს ჩინარი,
— ოი, ოცნებაჲ მაღალო,
ლაქვარდში გაუჩინარდი.

ამქვეყნად ვის რას ვუშავებ,
არ დამრჩეს კერა უცეცხლო,
ქვეყნად სიკეთეს ვგუშაგობ,
რომ იმან მარად იცოცხლოს!

დღეო, ნათელო!

ახლაც ასე მსურს, როგორც ერთდროს ჭაბუკობისას,
ამ ახალი წლის სიხარულით ღამე ვათენო.
გემუდარები: უფრო მსლავრად, უფრო ხალისით,
ამიელვარე მომავალი, დღეო ნათელო!

დილით დაცვარულ ზამთრის ვარდებს მოვუალერსო,
დიად მშვიდობას ხალხთა შორის შევეზმიანო.
წინ მივისწრაფვი, სხვებთან ერთად გულანთებული,
ახალი ლექსით, აღტაცებით ვხვდები იალონ!

პოეტის ხსოვნას

რა გულგახსნილი იყავ ყველასთვის,
სწერდი, შრომობდი, არ იღლებოდი.
შენს წითელ ყდაში ჩასმულ პირველ
წიგნს
რა სასოებით თავს ევლებოდი.

გამორჩეული იყავ ჩვენს შორის —
ამდენ სიყვითეს სად ინახავდი?
ვერ ვიფიქრებდი, ჩემო ოსუბ,
შენს თვალებს ჩამქრალს დავინახავდი.

ველავაც გავპერიტ დიდების მიწა,
სიკვდილმა ისევ დაგვცა თავზარი.
ეს რა ელვარე გაქრა ნათელი,
დადუმდა წრფელი პოეტის ქნარი!



დამიტარი იოვანუშვილი

ფრონტული ჩანაწერები

დამიტარი იოვანუშვილი სამამულო ომის მონაწილეა. თავისი ფრონტული შთაბეჭდილებანი მან გადმოგვცა წიგნში, რომელსაც „ომის სახსოვარი“ უწოდა და რომლის ჩამდენიმე თავს ქვემოთ ვაქვეყნებთ.

დამიტარი იოვანუშვილი რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანაშრომელი და ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორია. იგი ავტორია წიგნებისა — „ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები“ (1963 წ.), „თანამედროვე მხატვრული ნარკვევი“ (1965 წ.), „დიდი სამამულო ომში დაღუპული ქართველი მწერლები“ (1966 წ.), „ქართული რომანის წარსული და აწმყო“ (1968 წ.) და სხვ.

ჩად.

აჯიმუშაკის დღეები...

1942 წლის მაისში ყირიმის ფრონტის მეთაურთა სათადარიგო ქვედანაყოფი, რომელშიც კახეთის სამხედრო სასწავლებლის ახალკურსდამთავრებულებიც ვითვლებოდი, აჯიმუშაკის მიწისქვეშეთში გადავიდა.

თავისი სიდიდით აჯიმუშაკი შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ღირსშესანიშნავია იმ მიწისქვეშეთებს შორის, რომელთა შესახებ ჩვენ რაიმე გაგვიგონია, ან ნაკვიციობავს. როგორც იქაურები ამბობენ, ქერჩის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ მიწისქვეშეთში მოპოვებული ქვით არის აგებული, ე. ი. რამდენი სახლის ასაშენებლადაც უხმარიათ აჯიმუშაკის ქვა, მიწისქვეშეთიც იმდენად უფრო გაფართოებულა, იმდენად უფრო მეტი ქვაბური დარბაზი გაჩენილა აქ.

დარბაზი ვთქვით და, მართლაც, ასეა. მთელ მიწისქვეშეთს შეადგენენ ერთიმეორისაგან სვეტებით გამოჩნული დარბაზები, სვეტებს შორის ალაგ-ალაგ კედლებია ამოშენებული და ამით მიწისქვეშეთის ზოგი ფართობი გვაგონებს ოთხი მხრიდან შემოზღუდულ დიდ ოთახს. ეტყობა, აჯიმუშაკის „დარბაზებს“ ჩვენამდეც იყვნენდნენ დროებით სადგომებად, ან საწყობ-სათავსობად...

ასე იყო თუ ისე — ეს ქერჩელებმა უფრო

იციან და ამ მხრივ მათ სიტყვას ვერ შევეცილებით.

ჩვენი სათქმელი მხოლოდ ის არის, რომ 1942 წლის შუა მაისში ყირიმის ფრონტის მეთაურთა რეზერვის ის ასეული, რომელიც კახეთის სამხედრო სასწავლებლიდან მოვლინებული ახალბედა ოფიცრებისაგან შედგებოდა, აჯიმუშაკის ერთ-ერთ ისეთ „დარბაზში“ დაგვაბინავენ. რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ეს იყო, თუ არ მეშლება, მიწისქვეშეთის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, იმ შემოსასვლელიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით, რომლებითაც მახლობელ დასახლებასთან და მკავეშირებულ მოედანზე გადავდივით. ჩვენს მეზობლად „დარბაზებში“ თადარიგის მეთაურთა ქვეგანაყოფის შტაბი და რამდენიმე სხვა ასეული განლაგდა.

1941-1945 წლების ვითარებათა გახსენება, რაც ეგზომ ხშირია ყოფილ მეომართა ნაწილებში, ყველაზე მეტად იმით არის მნიშვნელოვანი, რომ იგი შეტყავს ომის, როგორც ასეთის, თავისებურ დახასიათებას, იმის მიწინაშეას, თუ რა მხრივ მოქმედებდა ომი ადამიანის ფსიქიკაზე.

ზოგს თუ კეთილბაოდ, შეიძლება არც დაფი-

ქრდეს, ისე გითხრათ, რომ ომის გამო ადამიანებს სიკეთეს უფრო უძლიერდებოდათ მიდრეკილება, ვიდრე სიკეთისაკენ. საკუთარი გამოცდილების კარნახით გეტყვით, რომ ეს მთლიანად და ყოველთვის ასე არ არის. არასოდეს დამაინყვება ერთი შემთხვევა, რომლის მონმვეც გავხდი 1944 წელს. როცა მტრის ტყვეობაში ყოფნის შემდეგ, ის. ის იყო ხელახლა დავბრუნდი საბჭოთა არმიამ. ბესარაბიაში სპეციალურად შეიარაღებული რუმინული დივიზიის მიერ გამაგრებული ფრონტის ხაზის გასარღვევად ემზადებოდი. უცაბედად, რაღაც უბრალო მიზეზის გამო, ჩემი მეთაურობით მოქმედი ასეულის ორი ჯარისკაცი წავინდა ერთმანეთს. დავაზავეთ. თუმცა ამას დაზავებასაც ვერ დავარქმევთ, რადგან ერთ-ერთმა მოჩხუბარმა, რომელიც ეტყობა უფრო დახარაღდა, ვინემ მეორე, დაიფიცა — კაცი არ ვიყო, თუ სამაჯიერო არ გიზლო და არ განანოო. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ ერთობ გამიკვირდა, როცა მტრის სიმაგრეების აღებისას ეს ჯარისკაცები ერთიმეორეზე ძმურად გადახვეულები ვიხილე. საერთო მტერთან ბრძოლაში ნარმატებით გამოწვეულმა აღტაცებამ დაივიწყა მათ ერთმანეთის სანიინაღმდეგო „სულ“...

ზედმინვეით ასეთივე იყო ის შემთხვევა, რაც პირადად მე შემეხება და დაკავშირებულია აჯიფუშაკაში ჩემს ყოფნასთან. იმ დღეებში, როცა ვოიკოვის სახელობის ქარხნის რაიონი მტერს დაპყრობილი არ ჰქონდა, ჩვენი მიინსტრუქციის მახლობლად, გზის პირას დაჭრილ სერგანტს ნავანყდი. საბრძოლო დავალების შესასრულებლად მივემურობოდი და, სიმართლე მოგახსენოთ, შემეძლო დაჭრილისათვის ყურადღება არც მიმექცია. მით უმეტეს — ვიცოდი, სულ ახლოს, ქოხში მდებულ ნიქტი იყო, მაგრამ მტკივნეული კენესა მომესმა და მეც გულმა არ მომიბოძინა, დაჭრილთან მივდი.

მიყვდი და რას ვხედავ: გზის პირას ნევეს ჩემი სოფლის საბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე. რამდენადაც ვიცოდი, ერთობ ავი კაცი გახლდათ. პირადად მე შიველი ბავშვობა გამაჩრებული მქონდა მისგან. შენგან უკაც არ გამოვა, ნინასნარ ვიცო, და, ვიდრე გაიზრდები, მანამდე უნდა დაგიჭიროო, — მემუქრებოდა. ვერაფრით ვერ გავიგე, რატომ ფიქრობდა ასე ის ოჯახამუნებელი. მის გადასკიდე სოფელში აღარ მედგომებოდა, და, როცა მომიხერხდა, გავერიდე და გავმოზრდი კიდეც მშობლიურ კარმიდამოს.

გავერიდე მართალია, მაგრამ ნაწვენობა კი გულში გამყვა, არ დამვიწყებია, რომ უსამართლოდ, ყოველგვარი საბაბის გარეშე ვეპ-

დი თავმჯდომარეს ათვალუნებულად და ამიტომ ენატრობდი შური მძძია მის მიმართ.

და აი, ეს ავი კაცი აჯერ ისეთ მდგომარეობაში ენახე, რომ გაუსაძლისი ტკივილებისაგან იგრძიხება და ძლივს უდგას სული.

საოცარი კი იყო, ღმერთმანი, ჩემი ბავშვობის თუ ყრმობისდროინდელი მუქარა შურისძიების შესახებ არც გამხსენებია. გამარჯობა, ვრემოა ბიძია-მეთქი. უღონოდ შემომხედა, რა თქმა უნდა, შემიცნო. უიმეო, სახარელი კენესით გამომხემაურა, თან თვალები დაუსვლდა, ატირდა — ვკვდები. ბიჭო, და ამბავი მინც ჩაუტანე ჩვენებსო. აქ ვარ, ნუ გემინია-მეთქი, სიკვდილი რას მიქვია, ახლავე მანქანა გამოივლის და იმას გაგაყოლებ-მეთქი... ნამოყავენე, ქრილობა ვუნახე, მანქანამ, როგორც მომეჩვენა, ცოტა შეიგვიანა, ამიტომ მედუნქტში მივიბრინე, სანიტრები გამომაცილეს, პირველი დახმარების აღმოსაჩენად; ვიდრე ქრილობას უხვევდნენ, ერთი მტერის ბულში გახვეული ავტომობილიც, როგორც იქნა, გამოჩნდა. მე და სანიტრებმა ხელი-ხელს ჩავჭივთ, მანქანას ნინ დაუდევქით და არ გაუშვეთ.

ყოფილმა თავმჯდომარემ, როგორც მერე გავიგე, მშვიდობიანად გამოაღწია ყირიმის კუნძულიდან, ლაზარეთში განიკურნა და, რაკი სამწუბრო სამსახურისათვის აღარ ვარგოდა, მალე დემობილიზაციის ნესით დაბრუნდა სოფელში, რის შემდეგ საგანგებოდ მოინახულა სამი ვაჟიშვილის ომში ყოფნით შეღონებული და დაღუული დედაჩემი.

— აფერუმ შენს ქალობას, რომ ასეთი შეილი გაგიზრდია, — უთქვამს ჩემზე, — იმან მიშველა, იმან გადამარჩინა. ის რომ არა, ჩემი ნირვა გამოსული იყო.

...რა ვუნდობდი იმ ყოფლისმოქმედ ძალას, რის გამოც მე ამ კაცს მისი სიკეთე სიკეთით გადავუხადე. არ შევეცდები, თუ ვიტყვი, რომ ეს ჩვენი პატრიოტული გრძნობის თავისებური გამოხატულებაა: ჩემზე უცნაურად დამაიტრებულ თავმჯდომარეს, რომელიც დაჭრილი ენახე, ომის დროს მე შევხედე არა როგორც „პირად მტერს“, არამედ როგორც მშობლიურ, ახლობელ ადამიანს, რომელიც ჩემთან ერთად ებრძოდა უცხოელ დამპყრობლებს. ამიტომ არ შემეძლო არ დაუხმარებოდი და დავეხმარე კიდეც მას. რასაკვირველია, ამავე აზრით უნდა გავიგოთ ორი ჩემი ნაცნობი ჯარისკაცის ნაწხუბებისა და შერიგება-დამიბილების ფაქტიც. რომელიც ზემოთ ვამბე.

* * *

მეთაურთა ჩვენი ასეულის ერთ-ერთი უახლოესი მეზობელი აჯიფუშაკის მიინსტრუქცი-



ში იყო თადარიგის პოლიტიკულმძღვანელთა ქვედანაყოფი. ჩვენც და მათაც ერთსადაიმთხვე აღაგას გვექონდა სამწყობრო შეკრებები, ერთდროულად გვირიგებდნენ სადილს საერთო სამზარეულოდან, ზოგჯერ ჩვენც დბ მათაც ერთნაირ საბრძოლო დავალებებს გვაკისრებდნენ.

პოლიტმუშაკთა ასეულთან ჩვენი მეზობლობა პირადად მე ასე განსაკუთრებით იმიტომაც შემჩნა მუხსიერებაში, რომ დასახელებულ ქვედანაყოფში ერთი ჩემი ხსენების მეგობარი კარპეზ გურჯიძე იყო. თავისუფალ დროს, როცა ამის თავი გვექონდა, ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს; ვიგონებდით იმ დროს (1935-1937 წწ.), როცა ერთად ვმუშაობდით, ვიხსენებდით თბილისში ომისწინ კატარებულ ნლებს, როცა ის საქართველოს ექ ცუ-ის ლექტორ-პროპაგანდისტად მუშაობდა, ხოლო მე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი; ვიხსენებდით საინტერესო ადამიანებს, რომლებთანაც საერთო ნაცნობობა გვაკავშირებდა.

ასეთი შეხვედრა-საუბრების გამო კარპეზი და მე კიდევ უფრო შევეჩვიეთ ერთმანეთს, ვისნაძლეოთ ერთიმეორის სანუხარ-სატკივარისა და სიხარულის გაზიარება, ერთიმეორისადმი თანაგრძნობა და ნუგეშისცემა, რაც ყოველ კაცს სჭირდება და ყოფას უადვილებს ყველა შემთხვევაში, განსაკუთრებით კი ღრონტზე.

არ დაშვიწყდება ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა. კარპეზი ცოტა შეუძლოდ იყო — თავის ტკივილს უწიოდა. ამიტომ სადილი მისთვისაც და ჩემთვისაც შე ავიღე. ერთად შევექვეით. სადილის დამთავრება ძლივს მოვასწარი, რომ შტაბში მიხმეს... სასწრაფოდ ათიოდე ჯარისკაცი უნდა ნამეყვანა ე. წ. „გადასასვლელის“ რაიონში. აღნიშნული ამოცანის შესრულებას შეზინდებამდე მოუვლდი ვახშმოზის დრო იყო, როცა უკან ვბრუნდებოდით და შეიძლება ამიტომ გამახსენდა, რომ სამზარეულოდან სურსათის მისაღები ტალონი, რომელიც კარპეზს ეკუთვნოდა, უნებურად მე გამომყოლოდა, ე. ი. სადილობის შემდეგ მისი კარპეზისათვის გადაცემა დაშვიწყებოდა... სიარულს მოვუჭქარე, მოვიწმომე, როგორმე ვახშმოზის დამთავრებამდე მივსულიყავი აჯიშუშკაში, რათა მეგობარი უჭმელი არ დამეტოებინა.

ვახშმოზას კი მივუსწარი, მაგრამ მოვახშმე აღარ დამხედა ადგილზე... მინისქვეშეთში მისვლის უმაღ კარპეზს დავუწვე ტებნა... ამაოდ გავისარჯე. ჩემი ნახელისთანავე, რამდენიმე პოლიტმუშაკთან ერთად, თურმე ცეცხლის ხახზე გაენჯიათ.

დღემდე ვერ გამოგია — რატომ შემალონა

მაშინ ამ ცნობამ გამოურკვეველად, [?] ტყუილად, [?] ლით? ვგების წინასწარ ეგრძეზე [?] ტყუილად, [?] ერებელი ინტუიციით მივხედი, რომ ეს განვევა საბოლოო და სახედისწერო იყო ჩემი მეგობრისათვის, რომ ამიერიდან გურჯიძეს მისი ახლობლები ცოცხალს ვეღარ იხილავდნენ.

მინისქვეშეთში დაბინავების რამდენიმე დღის შემდეგ, ოფიცერთა საკმაოდ დიდი ჯგუფო, ფრონტზე მოქმედი ქართული დივიზიის შტაბის განკარგულებაში გაგვგზავნეს. სიმართლე უნდა ითქვას, გვირამებიდან გამოსვლის უშაღვე ისეთი სანახაობის მოწმე გავხდით, რომ ვერცერთი ვერ ვმაღავდით გარკვებას და გამოურკვეველ შიშს. სადაც კი გავიარეთ, ახლომხალ არე-მარე ცეცხლში იყო გახვეული. მტერი ყოველი მხრიდან ტყვიას და ნალმ-ყუმბარებს უშენდა ყირიმის დასახლებულ ადგილებს, ველ-მინდორებს, გზებს. პაერში განუნყვეტილვ დაფრინავდნენ ფაშისტთა ბომბდამშენები, წივილით დაქროდნენ მიოერიშე თვითფრინავები; ინვოდნენ ტყვია.ნამლის სანყობები, ცეცხლი ეკიდა სახლებს, ავტომანქანებს, ტყეებს...

შტაბი, სადაც ჩვენ მიგვავლინეს, ადგილზე აღარ დავგვხდა. დაიწყოთ მისი ახალი ადგილსამყოფელის ტებნა. დიდხანს ვერას გავხდით. კითხვა-კითხვასა და უმისამართო ხეტიალში მოპირდაპირე მხრიდან მომავალ „ვილისს“ ნაყადიო; როცა მოგვიახლოდა „ვილისიდან“ ერთმა მაღალი რანგის ოფიცერმა გამოყო თავი, მწყრალად მოგემართა, სად მივხეტებით, მტერს ხომ არ გინდათ ჩაუცვივდეთო. მერე გამოუდგელობა შეგვატყო და ცოტა უფრო მშვიდად გამოგვიითხა ვინ ვიყავით. დოკუმენტები შეგვიომწმა და გვიბრძანა უკან დაებრუნებულყავით...

დავბრუნდით და აჯიშუშკაის იმ შესას. ველთან, საიდანაც დილას გავედით, რამდენიმე გერმანელი ჯარისკაცი შევნიშნეთ. ტყუილა-უბრალოდ როდი იდგნენ, ავტომატები მოემარჯვებინათ და ცეცხლს უშენდნენ ჩვენებს. მივხედით, რომ ჩვენი რაზმი მიოერიშე მტრის ზურგში აღმოჩნდა. თითქმის ერთხმად დაეიძახეთ — ახლა გემართებს ბიჭობაო და ყველამ იარაღი შემართა. ზურგიდან მოულოდნელი თავდასხმით გაოტნებულმა ფაშისტებმა სწრაფად მიატოვეს აჯაყებული პოზიცია და უკანმოუხედავად გამორდნენ იქაურობას. მხოლოდ ის იყო, რომ მეტყვიამფრქვევე არ იცვლიდა ფეხს. როგორც შეიტყვეთ, სხვებზე გვიან გაიგო, რომ მისი საქმე ცუდდად იყო. სკადა ტყვიამფრქვევის ჩვენსკენ შემობრუნება, მაგრამ დაუგვიანდა, ერ-

თმა ჩვენგანმა — ელადიმურ გიორგაძემ მთელი ძალით ჩასცხო მას თოფის კონდახი ხერხემალი; შეტყვიამფრქვევემ განწირულის ხმით ამოიგმინა და ვიგრძენით, რომ ჩვენთვის იგი უკვე აღარავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა.

ბრძოლაში ყველაფერი თვალის ერთ დახამბამებაში იცვლება. ასე მოხდა ზემოაღნიშნულ შემთხვევაშიც. რალაც ერთ-ორ ნამში გადავწყვიტეთ ჩვენებთან შეტყეით გაართულ გერმანულ ჯარისკაცებზე ზურგიდან თავდასხმა, შემდეგ ორიოდ ნამში დავაფრთხეთ და გვაქციეთ ისინი. მაგრამ, ვიდრე მათს შეტყვიამფრქვევეს გაუუსწორებოდით, ჩვენ შევნიშნეთ, რომ ჩვენზე იერიში მოჰქონდა მტრის ახალ რაზმს. გერმანელები ამჯერად რიცხვობრივად მეტი იყვნენ და შეიარაღებაც მათ გაცილებით უკეთესი ჰქონდათ. ამიტომ აღარ დავაყოვნეთ და მიწისქვეშეთიდან გასასვლელთან თავდაცვაში მყოფი ჩვენი ჯარნიზონის მთავარ ნაწილებს შეუერთდით, რათა მათთან ერთად გაეძლიანებოდით მტრს.

* * *

კიდრე ფაშისტები მიწისქვეშეთის შემოგარენში შემოაღწევდნენ, რამდენჯერმე შეეცადეთ მათთან გამკლავებას. საქმე იქამდე მივიდა, რომ თადარიგის თითქმის ყველა ოფიცერი, რომელთაცან სპეციალური ქვედანაყოფები იყო შედგენილი, რიგითი ჯარისკაცის სახით მონაწილეობდა ბრძოლაში. ერთ ხანობას ჩვენს თავდაცვით ღონისძიებებს ასე თუ ისე სასურველი შედეგი ჰქონდა. მტრის ბევრი იერიში ისე მოვიგერიეთ, რომ დაკავებული ზღუდეებიდან არ დაგვიხვეია. აღნიშნულ ოპერაციების დროს ფაშისტებს მცირე ზიანი როდ მივაყენეთ, თუმცა არც ჩვენ დავრჩენილვართ უდანაკლისოდ: არაერთმა ჩვენმა თანამებრძოლმა შესწირა სიცოცხლე აჯიშუჰაის დაცვას...

რამდენადაც მახსოვს, 17 თუ 18 მაისს მტრმა განსაკუთრებით გააძლიერა ჩვენი პიზიციების დაბობნება, რასაც სულ მალე მოჰყვა მათი სატანკო შენაერთების იერიში. ამასთან დაკავშირებით, ბრძოლა გაცილებით უფრო უთანასწორო გახდა, ვინემ მანამდე იყო.

მტრის შემატებისა და მასთან ჩვენი შეუპოვარი წინააღმდეგობის შედეგად ჩვენი რიგები კიდრე უფრო შეთხლდა, ტყვია-ნამლის მარაგმა კატასტროფულად იკლო. რამდენიმე ტყვიამფრქვევი გამოვიდა მწყობრიდან. ამასთან, ახალი ძალების მოშვლების იმედიც არ ვიყავით გამსწვევებულნი. ფაშისტთა ძლიერ საომარ ტექნიკასთან ცარიელი ზელებით ვერას გაეზღებოდით, ამიტომ, როგორც სარ-

დლობამ გვიბრძანა, უკან დაეხიზნეთ. უკანდასახვეი ერთადერთი გზა კი მიწისქვეშეთი იყო.

ამ ხნიდან დაიწყო ჩვენი შემორული ცხოვრება აჯიშუჰაის გვირაბებში. ასეთი მდგომარეობა თითქმის იგივე იყო, რაც მტრის ალყაში ყოფნა, ვინაიდან მიწის ზემოთ ფაშისტები იყვნენ, ჩვენ კი გამოქვაბულებში ყოფნა გვარგუნა ბედმა და არც იქით შეგვეძლო ნასვლა და არც აქით. თუმცა, შექმნილ მდგომარეობას თუ კარგად ავწონ-დავწონით, შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენ, ცოტა არ იყოს, უარესად ვიყავით, ვინემ ჩვეულებრივ ალყაში მყოფნი, რადგან ღია ადგილზე ალყაში მოქცეულ ჯარებს მისი სარდლობა შეიძლება დაეხმაროს არამარტო ფლანგიდან ალყის ზოლის შევიწროვებით, არამედ ჰაერითან თოფ-იარაღის, ტყვია-ნამლის, სურსათის მოწოდებით და გარშემორტყმულთა ბრძოლისუნარიანობის აღდგენა-გაძლიერებით. ჩვენს შემთხვევაში ეს შესაძლებლობა ყოველად გამოირიცხული იყო. სქელი თაღი, რითაც დაფარული იყო მიწისქვეშეთი, არამარტო გვიკავდა ჩვენ მტრის დარტყმებისაგან, არამედ, ამვე დროს, საშუალებას ართმევდა ნითელი არმიის სარდლობას — დაგვიხმარებოდა ჰაერიდან.

გარდა ამისა, მიწისქვეშ ყოფნის პირობებში ყველაფერი მკაცრად იყო განსაზღვრული. განსაზღვრული გახლდათ ჩვენი საბრძოლო შესაძლებლობანი, სურსათის მარაგი, რაც დროთა განმავლობაში, ნაცვლად იმისა, რომ გაზრდილიყო, უფრო და უფრო იკლებდა. მებრძოლებისა და ოფიცრების ნაწილი ზოგჯერ ვერ უძლებდა შიმშილით გამოწვეულ სისუსტეს და იხოცებოდა. არაიშვიათი იყო მიწისქვეშეთის გამოსასვლლების დასა. ცვადა გამოყენებული ტყვიამფრქვევების, ავტომატებისა და შაშხანების დაზიანება...

მიუხედავად აღნიშნულისა, მიწისქვეშა გარნიზონის შემორები და ოფიცრები თავს არ ვუზოგადით, თითქმის ყოველდღე ვანუზობდით ღამის პარტიზანულ რეიდებს, დიდ-დიდ რაზმებად გამოვდიოდით მტრის მიერ დაპყრობილ ადგილებში, მოულოდნელად ექსპლოდით თავს დამპყრობლებს, ევლტდით მათ, ვართმევდით იარაღს და ამ ნადავლით ებრუნდებოდით უკან.

რეიდის მონაწილეთა ერთმა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში ოფიცერთა ჩვენი (ქართული) ასეულის ლეიტენანტები არჩილ აბაშიძე, კორნელი ქვათაძე, ვარდოსანიძე, ყიფშიძე და სხვანი შედიოდნენ, 22 მაისს, ღამით, ერთბაშად ააფორიაქა გერმანელები და არამარტო იარაღი აართვეს მათ, არამედ ერთი ეფრეიტორიც დაატყვევეს და მიიყვანეს „მოე-

საქართველო
საბჭოთა კავშირი

ნის" სახით. აჯიმუშაკელთა ქედუხრელობა და შეუპოვრობა, პირდაპირ შეიძლება ითქვას, უმატალითო იყო. ამ შეუპოვრობამ განსაკუთრებით იჩინა თავი სასმელი წყლის უქონლობასთან დაკავშირებით, რაც უაღრესად მწვავე და მტკივნეული გახლდათ ჩვენთვის. ყველამ, ვისაც აჯიმუშაკის მიმე დღეები განუცდია, იცის, რომ მინისქვეშეთში სასმელი წყალი არ იყო. ამ მხრივ მთელი გარნიზონი დამოკიდებული იყო ერთადერთ ჭაზე, რომელიც ჩვენი ადგილსამყოფელის ჩრდილოეთით გაშლილ მოედანზე მდებარეობდა. ფაშისტებს, რომლებიც თავიდანვე დაეპატრონენ აღნიშნულ მოედანს, ვტყობა, იმედი ჰქონდათ, რომ ჩვენები უწყლობას დიდხანს ვერ გაუძლებდნენ და მალე მორჩილად მოიხდიდნენ ქედს მონინალმდეგის წინაშე. მაგრამ ასე არ მოხდა. ერთხანობას ჩვენები სიცოცხლის გმირული განწირვით ჯერ ბრძოლით გარკვეოდნენ ხოლმე ახლო-მახლო ჩასაფრებულ გერმანულ სნაიპერებს, შემდეგ სასმელ წყალს იმარაგებდნენ და ასე უმკლავდებოდნენ წყლის უქონლობით გამოწვეულ გასაჭირს. ერთ-ერთ ასეთ ბრძოლაში, რომელშიც პირადადაც ემონანლეოვდი, განსაკუთრებული მოსაზრებულობითა და სიმამაცით გამოიჩინა თავი ჩვენი ათასეულის პოლიტბელმა ტიჩე ჩხაიძემ.

სასმელი წყლის პრობლემას, ქართველი ინჟინრის კავკასიის თაოსნობით. მოგვიანებით გადაწყვეტის სხვა გზაც მოუხაზა. მინისქვეშეთიდან დაიწყო ჭამდე მისასვლელი გვირაბის გათხრა და ამ სამუშაოს ორიოდე დღის განმავლობაში საკმაოდ წარმატებულად უძღვებოდა შემდეგ გერმანელები მიხვდნენ ჩვენს განზრახვას და მათ ისეთი ღონე იხმარეს, რომ სრულებით აღკვეთეს ჭის გამოყენების შესაძლებლობა (როგორც სჩვეოდათ, ფაშისტები ამჯერადაც არაადამიუნარად მოიქცნენ — დაბოცლათ გვაგებდა ჩაყარეს სამი).

როგორც აღვნიშნე, გერმანელთა ხარდლობა თავდაპირველად იმას ფიქრობდა, რომ დროთა განმავლობაში მოიშლიათ და უწყლობით მერუხებულნი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაეწებდებოდით მტერს, მაგრამ რამდენიმე ხანში მიხვდნენ, რომ ჩვენთან ანგარიშის გასწორება არც ისე იოლი იყო, დანახვას, რომ აჯიმუშაკელებს აზრადაც არ ჰქონდათ გულზედაკრუფილნი დალოდებოდნენ იმ საათს, როცა შიმშილ-წყურვილი ბოლოს მოუღებდა, ან აძულებდა ხელები აენია იარაღმმართულ ფაშისტთა წინაშე; დანახვას, რომ წინააღმდეგობას არ უძლიდით და, შამინ, გერმანელებმა კიდევ უფრო ინტენსიურად გააჩაღეს იერიშები მინისქვეშეთის ჩვენს მიერ გამოგრებული გამო-

სასვლელების დასაპყრობად. კალიტრის სადაც ჩვენ ვიყავით განლაგებული, მომეტებული სიხშირით ფეთქებოდა ნალმები, ცვიოდა ტყვიები...

ერთხანს ასე იყო. მერე ის მოხდა, რომ ჩვენ წინ დაცემული ყუმბარებიდან რაღაც გაუქვეყელი ფერის ბოლმა იწყო ხრჩოლვადინება. თავდაპირველად ამ ფაქტს ყურადღება არ უცინ მიაცქია. შემდეგ რომელიღაც ჩვენთაგანს ხელება აუვარდა. მალე მეორემაც დაახვლა, მესამემაც. მეათემაც... შამინლა მიხვდით, რომ ჩვენს თავს ფარსაგი არ იყო, მივხვდით, რომ გერმანელებმა მომწამლაკი გაზით აღჭურვილი ნალმებით გვებრძოდნენ და ცდილობდნენ გაეტხათ ჩვენი წინააღმდეგობა.

როგორც მალე გამოირკვა, გარედან მონოლილმა პერმა მომწამლაკი გაზი მინისქვეშეთის სიღრმეებისაკენ გაედნა, რის გამოც მთელი გარნიზონი წარმოუდგებლმა ხალისხუთვამ და ხელებამ შეიპყრო. ყველა განიცდიდა სუფთა ჰერის, განგზადის ნაკლებობას და მინისქვეშეთის შუაგულიდან გამოსასვლელებისაკენ მიემართებოდა, ისე რომ, რამდენიმე ხანში თითოეული გამოსასვლელი ხალხით გაივსო. პირდაპირ ტვეა აღარ იყო... თითქოს ამას უღოვნი, ფაშისტებმაც ხელი მიჰყვეს გამოსასვლელთა თაღების ნალმებით აფეთქებას.

1942 წლის 25 მაისი... დღე განახვრდა თუ არა, მინისქვეშეთის იმ ვიწრო გამოსასვლელის თაღმა, რომელსაც ოფიცერთა მცირე და ისიც სუსტად შეიარაღებული რაზმი ვიცავდათ, უცადად გამოყრდებლად დოიქუხა...

ამის შემდეგ მხოლოდ ის მახსოვს, რაც გრწმობაზე მოსულმა ვიხილე და გავიგონემარცხენა ხელი და მხარბჭი ჩამონგრეული თაღის მთმე ლოდებში მქონდა დამარსული. თავთ ჩემი მეგობარი მოსე ქარჩავა მადგა (ერთად ვიყავით გამოსასვლელის დასაცავად), ცდილობდა ნანგრევებიდან ჩემს გამოყვანას და ფტზე წამოყენებას... ამასობაში სულ ახლოდან უცხო ლაპარაკი მომესმა. გაკვირდი, ირგვლივ მიმოიხედე და პიტლერელები დაეინახე. ამყად ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ, სას ერიქანეთს ჩვენზე ანიშებდნენ, ვტყობა, ჩვენი უშეუბოთთა და გასაჭირთა ხარობდნენ. მივხვდი, რომ შაონ ტყვეები იყავით, და ბრაზი მომერია. რა გიხარიათ, თქვენი დედაც-მეთქი, და ამ სიტყვებზე ისე შევიწმერი. რომ მარცხენა მუქუს ხემოთ. ზედ ყელის ძირას საშინელი ტკივილი ვგრძენი. შამინვე მარჯვენა ხელით შეეხე მტკივნეულ ადგილს, და მიხვდი, რომ ლავინის ძვალი მქონდა გადატეხილი.

ამასობაში მოსმავს, როგორც იქნა, წამო-
მაყენა.

— ყოჩაღად დადეთი, წელმოწყვეტილივით
ნუ ხარ, არ ეგონოთ, რომ უიმედო მდგომარეობაში ხარ, თორემ დედის გინება რეზორც
უნდა, მაგენი გასწავლიან. ბევრს კი არ მო-
გებოდიშებთან, ტყვიას დაგახლიან, — ეს თქვა
და მარცხნივ გაშახედა.

მეც გავიხედე და დავინახე — მტრის ერთ-
ერთი ჯარისკაცი ისე იდგა, რომ ავტომატი
პირდაპირ ჩემსკენ პქონდა მომართული. ფე-
ხზე დამდგარი რომ მიხილა, მან ავტომატი
დაუშვა, თავის ენაზე ეტყობა რაღაც საღამო-
ღაი სიტყვა წარმოსთქვა, შემდეგ მეც და
მოსსაც ხელით მახლობელ ეზოში დაფენი-
ლი ტყეებისაკენ გვანიშნა — იმათთან მი-
დითო.

ამიერიდან მოსე ხშირად მეტყოდა ხოლმე
მისთვის ვგზომ დამახასიათებელი ხუმრო-
ბით — არ დაგაინწყდეს, იმ სიცოცხლით, რაც
1942 წლის 25 მაისს შემდეგ გაქვს, ჩემს წი-
ნაშე ხარ ვალში. მე რომ არ მოგშველებოდი,
სწორედ იმ დღეს გერმანელები საიქიოსაკენ
გატგზავნიდნენო. მართლაც, თურმე მოსეს
გამოუდგა თავი, დაერწმუნებინა გერმანელი
მეჯავრმატი, რომ უიმედოდ დაჭრილი არ ვი-
ყავი. ასე რომ არა, შეიარაღებული მკვლედი
აბა ვის დაინდობდა?

მძიმედ დაჭრილი და უიმედო მდგომარე-
ობაში მყოფი არ ეგონოთ, თორემ ტყვიას
დაგახლიანო — მოსემ რომ მიიხზრა, სრუ-
ლიად მართალი იყო. იმავე მოსე ქარჩავსა
და სხვებსაც საკუთარი თვლით ენახათ, რო-
გორ უღეთოდ ცხრილავდნენ ავტომატის
ტყვიებით გერმანელები ჩამონგრეული თაღე-
ზის მიწაში მოყოლილ ჩვენს შემოგებს. თა-
ვადაც არაერთგზის აღმოვჩნდი მოწმე გერ-
მანელ ჯარისკაცთა ენით აუწერელი მხეცო-
ბის. ის ტყვედრავადანლი ნათელარმიულე-
ბი და ოფიცრები, რომლებიც მძიმედ იყვნენ
დაჭრილნი, ხშირად ეცემოდნენ გზაში დაუს-
კენებელი სიარულით ვატანჯულნი. გამოჩნ-
დებოდა შებადრავე გერმანელი, ნახავდა და-
ცემულს, მოიპარჯებდა თოფს და პირდაპირ
სროლით ვაკახებინებდა ხულს.

დიხს, ერთობ დასანანი, უბედური და უსა-
ხელი სიკვდილით კვდებოდნენ ადამიანები...
ასე იყო... და აი მაშინ, ერთმა ჩვენმა თა-
ნამებამულემ სცადა ამგვარი სიკვდილის პი-

რობებშიც გამოეხატა, რომ არაბეჭდვით
ნამდვილი კაცური მონოდების სიმალლეზე
მდგომი ადამიანი იყო; სცადა ეჩვენებინა, რომ
კვდებოდა არა, როგორც დამორჩილებული,
უბედურებისაკენ დათრგუნეული, არამედ
კვდებოდა, როგორც ვაჟაკი, სამშობლოს
ღირსეული პატრიოტი. ის მშვიდად გამოეყო
მტერიან გზაზე ხუთრიგად მოძრავ მწყობრს,
რომელსაც საბჭოთა ტყვეები შევაფედნით,
წელში ამაყად გამართულმა რამდენიმე ნა-
ბიჯი გაიარა პურის მწვანედ მოზიბინე ველ-
ზე, ცალ მხარეზე მოხურული ფარჯა მწარე-
ვენა ხელით მოიხადა, წინ დაიგდო, შემდეგ
იგივე მარჯვენა ხელი შემართა და მთელი
ხმით დაიძახა:

— გაუმარჯოს სტალინს! გაუმარჯოს საბ-
ჭოთა სამშობლოს! სიკვდილი ფაშისტ არამ-
ხადებს!

ეს სიტყვები ჯერ ქართულად წარმოთქვა,
შემდეგ რუსულად გაიმორა...

მწყობრში აჩოქოდნენ ყველას ინტერე-
სი წაკიდა, ზოგი შეჩერდა კიდევ...

— სიკვდილი ფაშისტებს, სიკვდილი, სიკვ-
დილი... — დაიძახა კიდევ უფრო ხმაშალდა
ჩვენმა გმირმა და, როგორც ჩანს, კიდევ აპი-
რებდა ხელის ამართვით წარმოთქვა რაღაც,
რომ მას სირბილით მიუახლოვდა ორი მება-
დრავე და ავტომატთა ჯვრების ერთდროუ-
ლი გასროლით აიძულეს გაბრუნებულიყო.

ასე მოკვდა უფროსი ლეიტენანტი ნიფარაძე.
როგორც აღმოჩნდა, ჩვენს შორის, საბჭო-
თა სამხედრო ტყვეების იმ მწყობრში, რომე-
ლიც ყირიმის მტერიან გზაზე დასაყლეთისა-
კენ მიაბიჯებდა, ნიფარაძის არაერთი თანამე-
ბრძოლიც ერია. მიზი გვარიც ამ უკანასკნელ-
თაგან გახდა ცნობილი.

ის, რაც ზემოთ ვამბეთ, მინდა დავამთავ-
რო მცირე მინაწრით: აჯიშუქაის დღეების
შემდეგ, ყოველთვის, როცა ვაგიგონებდი სი-
ტყეებს — „სიკვდილი ფაშისტებს!“, უმალვე
ვაჟაკურად ხელშემართული ნიფარაძე დამი-
დგებოდა ხოლმე თვალწინ. მეგონა, თითქმის
მთელი ჩვენი ხალხის სახელით იგი გაიძახო-
და აღნიშნულ სიტყვებს, გაიძახოდა ბრძო-
ლისა და გამარჯვების ცინით გამსჭვალული,
რის გამოც ჩემთვის ამ მონოდებს უაღრე-
სად დიდი ძალა ქქონდა.

გაქცევა

უნდა გავიქცე, — ვიფიქრე მაშინვე, რო-
გორც კი ვიგარქენი, რომ მტრის ტყვეობაში
ვიყავი. ვიჯექი და აუცილებლად ვაქცევაზე
ვოცნებობდი. ბანაკის ტერიტორიაზე თუ გა-
ყოვლიდი, უთუოდ მაღალ ღობურებს ვათვა-
ლიერებდი და ამოდ ვცდილობდი ეკლიან

მეთულებს შორის სადმე ადვილად გასაძრო-
მი ადგილი დამენახა. ძილის დროსაც ვაქცე-
ვის სურვილი მიტრიალებდა გონებაში. სიზ-
მარი რომ სიზმარია — ისიც კი ვაქცევის
განზრახვასთან იყო დაკავშირებული.
ტყვეთა ბანაკში დღე ისე არ ვაგიდოდა,

რომ კინმე არ გაეჯობათ, ხუთი თუ ექვსი უღვლოდ არ ენამებინათ, რამდენიმე კაცი სიკვდილით არ დაესაჯათ, — არაეინ ჩამოეზრნათ ან არ დაეხებრიტათ. ბანაკის მახლობლად გაშლილ მინდორზე ამოთხრილი იყო საკმაოდ დიდი ფართობის ორმო, დაახლოებით ისეთი, როგორსაც ახლანდელი მღლივი შენობის რკინაბეტონის საძირკვლისათვის ამზადებენ. ხერსონში ახლა ალბათ ყველამ იცის, რომ ეს ორმო სიკვდილმისჯილ ტყვეთათვის ნინასნარ გამზადებული საერთო სასაფლაო იყო. ათასობით ჩვენიანისათვის სამუდამო სამარედ იქცა ეს წყველი ადგილი. მოიყვანდნენ რომელიმე ნაწილს, დაახლოდნენ ცხელ ტყვიას, გადაუძახებდნენ ზმ საგანგებოდ მომზადებულ თხრილში, ზემოდან გადააყრიდნენ ორ-სამ ნიჭბ მინას, რითაც გვაშის დაფარვა შეიძლებოდა... ტყვეთა ბანაკში დარჩენა და იმის ლოდინი, თუ როდის დადგება ასეთი, შენთვის საბედისწერო საათი, სულერთია მაინც სიკვდილი და თანაც დაყოვნებული, უადრესად მტიკიენული, ძნელად ასატანი იყო, ამიტომ საჭირო იყო ან თავისუფლება გვემოვა, ანდა ერთბაშად მიგველო ხუდრი აღსასრული.

გაქცევის სურვილს ერთი გარემოებაც უწყობდა ხელს. საქმე ის იყო, რომ გაქცევის შემთხვევები ერთობ გახშირდა. სამუშაოდ ნაყვანილ ჯგუფებს, თუ ბრიგადებს, უკან დაბრუნებისას, ყოველთვის აკლდა ორი ან ერთი კაცი მაინც გაქცეულებისა და გაპარულების სახით. ერთი სიტყვით, გაქცევა ჩვეულებრივი გახდა. თითქმის ყველა მონადირე-მული იყო ამ წესით გადარჩენა თავი. რუსები და უკრაინელები, რომელთაც ადგილობრივ მოსახლეობასთან საერთო ენის გამოიხსნის, მათი მხარდაჭერის დიდი იმედი ჰქონდათ, დაინებთი ლაპარაკობდნენ გაქცევაზე... იმასაც არ მალავდნენ, რომ ასეთი შეტყობა სარისკო ნაბიჯის გადადგმა ზაფხულის დამთავრებამდე მოესწროთ, როცა აცივდება, შერბე უკვე ძნელი იქნება, თავის გატანა გაგვიჭირდება.

მეც ჩემი განზრახვის შესაბამისად თავიდანვე სერიოზული თადარიგი დავიჭირეთ. თავდაპირველად, მგალთადა, ის გავაკეთე, რომ მე და კიდევ რამდენიმე სხვა ქართველმა მეშახტის პროფესია დავირჩიეთ. ვვარაუდობდით, რომ ტყვეებს, ვისაც შახტებისა და მალაროებში მუშაობის გამოცდილება ექნებოდათ, შეიძლება დონბასში ან ნიკოპოლში გამოგვიყვებდნენ, გერმანიამ ან სხვა ქვეყანაში აღარ გაგვზავნიდნენ, რის გამოც გაქცევის შედარებით უფრო ხელსაყრელ შემთხვევებზე არ დავყარავდით.

შეიძინე ვიყავით ასე შეთქმული ქართველი

და დღევანდელ ველოდით შესაფერის კატორღებზე გაგზავნას. ზოგჯერ დილაუთუნია დაგვიძახებდნენ — აბა, შეშახტებოო. გავიფიქროდით, შეუერთდებოდით რუსებისა და უკრაინელებისაგან შემდგარ შედარებით დიდ ჯგუფებს. ხუთრიგად დაგვანყობდნენ, დაგვთვლიდნენ, საითაოდ რაღაც რალაცეებს გვაკითხებოდნენ... შემდეგ მინახე დასახდომის გვიბრძანებდნენ, ერთხანობას ასე დაგვაცდევინებდნენ, მერე მოულოდნელად გამოგვიცხადებდნენ — დაიშალეთ, თქვენ-თქვენი ადგილებისაკენ წავითო. ბოლოსდაბოლოს, ისე შევეჩვიეთ ასე გამოძახებას, დაწყობას, გადათვლას, რაღაც რალაცეების გამოკითხვას, რომ ნინასნარ ვიცოდით — რის შემდეგ რას გვეტყობდნენ.

ერთი სიტყვით, იმედი, რასაც შეშახტის პროფესიის დაჩემებას უწყავსირებდით (არ გვეკონოთ, თითქოს ყველა ჩვენგანი ცრუმეშახტე იყო. ერთი თუ ორი, მაგალითად, სამი იმნიერად გოგოტიპე, ნამდვილი გვარია). არც იმდენად რელაური აღმოჩნდა. ამიტომ მე, პირადად, გადაეწყვიტე სხვა შესაძლებლობებიც დამეძებნა.

ერთხელ ყველა ასეთი შემთხვევის მონაშე გაგვხდით: დილით, სანამ ადულებულ წყალს (ე. წ. „ჩაის“) მივიღებდით, ტყვეთა მრგვალიცხვიანი მწყობრის ნინ გავიღებმა გერმანელებმა დაიწყეს საკონსერვო მრეწველობის ტექნოლოგიის გამოძახება. არაეინ გამოიხსურებია და ხელცარიელი გაგვიმოდნენ. მერე ის იყო „ჩაი“ დაეხერხებე და რას გუბედავ: ის, ვინც ტექნოლოგიის გამოძახების დროს გერმანელებს ახლდა, აგერ დგას ჩვენთანებს შორის და ქართულად ლაპარაკობს. თეთრი, ძრვლთვალეა ყმანელი იყო. ჩემზე ერთი-ორი წლით უმცროსი, მაშინვე ახლოს მივეჭვრი, ქართველი ყოფილხარ-მეთქი. კიო, დამიდასტურა. ტექნოლოგს რომ უხმობდნენ, იმ საქმესთან რა კავშირი გაქვს-მეთქი. ერთი ასეთი ტექნოლოგი მე გახლავარ, სხვებიც თუ იქნებოდნენ. იმათაც. ჩემთან ერთად გამოი. ვვანდნენ. ხერსონში, სადაც ახლა ვართ, მრავალი საკონსერვო ქარხანაა, სპეციალისტები აკლიათ და იქ გაგვზავნიანო სამუშაოდ. საადურობა და ვინაობა ეკითხე. ქუთაისელი კაცი ვართ და ის იყო კომენდანტურადან გამოსულმა გერმანელმა მოაყვრო, ჩქარა მოდიო — ანშინა, გაიქცა და მშინ მივძახებ რა გვარი ხარ-მეთქი. როგორც მომესმა, მგონი მაჩაბელი დამისახელა...

ვინანე, რომ ტექნოლოგთან საუბარი გამიწყდა. ამიტომ ვეძებე, ვგებ კიდევ შევხედემეთქი. თვალის ველარ მოვლანდე ბანაკის არე-მარეში.

ტყვეობიდან ჩემი გაქცევის ნინასნარ სამ-



ზადისში ფრიად საყურადღებო მნიშვნელობა უქონდა ერთ დეტალს: საქმე ის იყო, რომ ხერსონის ბანაკში მისვლის რამდენიმე დღის შემდეგ ყველა ტყვეს უნდა უქონოდა სპეციალური გამოხატვის ნიშანი: შარვლის მარცხენა ტატიკა, მუხლს ზემოთ, წინადან, ხალა-სის მარცხენა სახელურზე გვერდიდან და ფარაჯის საზურგეზე. კისრის ქვემოთ, ზეთიანი საღებავით უნდა ყოფილიყო გამოხატული ორ-ორი ლათინური ასო SU. უმაღლესე ვიზარე — ასეთი ნიშანი გერმანელებს იმისათვის სჭირიათ, რომ გაქცევა ვერ შეძლო, ხოლო თუ მაინც გაიპარები, ადგილად შევიდნენ და დაგიჭირონ-შეთქი. ამის გამო ტრაფარეტებითა და ფუნჯებით შეიარაღებული მღვანელების წინ დამდგარ გრძელ რიგს თავი ავირთვებ.

მაგრამ მეორე დღეს გავიგე, რომ იმათ, ვისაც ტანსაცმელზე ეს ნიშანი არ უქონდა, უარს უთხრებოდადენ მუშათა ბრიგადებში შეყვანაზე. ეს კი მაინც და მაინც სასურველი არ იყო: ბრიგადებში მყოფთ ცოტაოდენი დამატებითი ულუფა ეძლეოდათ, ისე რომ, თუ ამ ბრიგადებში ვერ მოხვდებოდით, ნამდვილად შიმშილი მოგიტეობდა ბოლოს.

გარდა ამისა, გაქცევის მისურნე ტყვეს აუცილებლად ესაჭიროებოდა სამუშაოზე მიმავალთა ბრიგადებში მოხვედრა, ვინაიდან საკუთარ სანადებლს იგი სხვა პირობებში ვერ ენუოდა, თუ არა სადმე სამუშაოზე ყოფნის დროს. ასე რომ, ჩვენთვის დაკანონებული ნიშანი — დამლის არ ქონება ხეირს არ დამაყრბდა.

მაშინ, რაღაცა ბედად, იმ ადგილას, სადაც კომუნისტურის ავტორიტეტს აყენებდნენ, მახუთის გუბეს მივაგენი. იმ მახუთით საკუთარი ფარაჯის საზურგეზე ის ნიშანი დავანერე. ხალათ-შარვალს კი ხელი არ ვახლერა უშავს, — ფექტობრივ ჩემთვის, — დილაობით შედარებით ჯრილა და საქმროა, რომ ფარაჯა შეეკას. შემხუდავენ და ნახავენ, რომ ნიშანი მაქვს და სამუშაოდ წაყვანაზე უარს ვერ მეტყვიან, ხოლო თუ გავიქცევი, იმ შემთხვევაში, ფარაჯას თან არ გავიყვლებ, უნიშნო შარვალ-ხალათით კი ისე ადვილად ვერ შემიძნეობენ.

უნდა ვთხრობათ, რომ ამ ეარაუდმა ყოველმხრივ გამომართლა, ე. ი. ჩემი ეშპეობა კეთილად გამომადდა.

როცა კაცი საბედისწერო გასაჭირში ხარ, მაშინ ერთგულ მეგობარს არაფერი სჯობია: მეგობართან ერთად შეგიძლია მონახო გასაჭირიდან გამოსასვლელი გზა, მისი მხარდაჭერითა და შემწეობით შეგიძლია გაიარო ცუცხლსა და წყალში. რასაკვირველია, ისიც მართალია, რომ თავად თუ გიშველის ეს მეგობარი, შენგანაც ისევე მოითხოვს შემწე-

ობას... მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ როგორც შენს, ისე მის გასაჭირში ერთად იქნებით და ერთმანეთის მეოხებით საკუთარი შესაძლებლობისადმი რწმენა გენახებათ.

რამდენი მეგობარი ვიყავით ჯაჭვის რგოლებით ერთმანეთზე გადაკეპილი თბილისში, თელავში, ქერში?! ყველანი გაიფანტა-მოიფანტნენ. ტყვეთა ბანაკებიდან მტერი ჩემს მეგობრებს — ზოგს საით ერეკებოდა თავისი საქიროებისამებარ და ზოგს საით! რა თქმა უნდა, გერმანელები იმას არ ფექტობდნენ — მაგას აქ, ახლოს მძაკაცი ჰყავს და ის მძაკაცი ამასთან ერთად გადავადგოთ გახურებულ საკერში, ან ესეც, იმასთან ერთად აქ დავტოვოთ, რომ ერთად იყვნენ და ერთმანეთის ნუგეში არ მოაკლდეთო. სტუდენტობისას ერთი ფრიად გულითადი მეგობარი შევიძინე (ოტია კახაძე, რომელიც ომის შემდეგ ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელია), ქერში ერთად წამოვდით და მოულოდნელად ისე დავშორდით, — ნახვამდისო — ვერ ვუთხარით ერთმანეთს. ქერის აჯიშუქაის მინისქვეშეთში შევხვდი კარგუნ გურჯიძეს, რომელსაც ასევე უცაბუდად დავშორდი. მოსე ქარჩავა მწყობრში თითქმის ყოველთვის ჩემს უკან იდგა. ხერსონში რომ ჩავგიყვანეს, ტყვეები, ჩემი ჩათვლით, ერთ მომცრო ბანაკში შეგვიარეს, ხოლო იმ მწკრივს, რომელშიც მოსე შედიოდა, სხვა მხრისაკენ უქნეს პირი.

არა ერთი მძაკაცი მყავდა იმ შვიდ „შემხატეს“ შრომის, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ [ვლადიმერ გიორგაძე, არჩილ აბაშიძე, სტეფანე აფხაიძე], მაგრამ ვაი, რომ მათ გვერდით ყოფნა დიდხანს არ დამცალდა.

ჭირში მყოფმა, მეგობარი, შეიძლება, ძველიც ადვილად დაკარგო და ახალიც ასევე ადვილად იშოვნო. ეს საკუთარმა გამოცდილებამ უფრო მათქმევინა. ადრინდელი მეგობრები დამაკლდნენ, მინდოდა ისევე მოვლებოდა, ამიტომ წინასწარ იმას როდილა დავიფუქვით — როგორი იქნებოდა ახლადშენამდენი, გამომადგებოდა, გამიტანდა თუ არა. ოღონდ — კი ჩემთვის საცნაურ ენაზე დამლაპარაკებოდა, სხვა, ალბათ, შემდეგ გამოინდებოდა. შემხუდა ერთი ასეთი კაცი ხერსონის ბანაკში ყოფნის დროს. მანამდე შრომისაგან დიდხანს ვიყავი მიუხედავად იმისა, რომ როგორც სამხედრო ხელქვეითები ესალმებიან უფროსებს. მისგანვე შეიტყვე — რამდენიმე ხანს დაპატიმრებული ჰყავდათ გერმანელებს — კომისარი ხარო. მართალიც იყო, მეც და ჩემმა ამხანაგებმაც ვიცოდით, რომ მას საბჭოთა არმიის ათაქულის კომისარის ჩინი უქონდა და შესაბამისი თანამდებობა ეჭირა. მიუხედავად ამისა, თავს „იმართლებდა“ —



პოლიტიკასთან საერთო არაფერი მაქვს, ელექტროინჟინერი ვარო. რატომღაც ვერმანულებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ ერთიდაიგივე პიროვნება ინჟინერიც შეიძლებაოდა ყოფილიყო და კომისარიც. ერთხელ თუ ორჯერ შეხვედრის სპეციალისტებს, გამოსცადეს, ნათქვამი დაუდასტურეს, ე. ი. დაუჯერეს, რომ ინჟინერი იყო, რითაც მისი კომისრობა გამოირიცხა. გადაარჩა.

ისე მეჩვენა, რომ ადვილად გაუგებთ ერთმანეთს. ხშირად ემასლათობდით, ზედმეტლუკმა პურის ვიშოვნიდით და თანაბრად ეინანილებდით. წარსულზე ფიქრსაც ვაღახებოდად გადაეცემდით ერთიმეორეს. როცა გაიგო, რომ ჟურნალისტი ვიყავი, სფიზონებით გაიღიმა — თითქმის კოლეგები ვყოფილვართო და მიაშბო, როგორ მუშაობდა თბილისში ერთ-ერთი გამომცემლობის რედაქტორად.

ბევრი აღარ დამიყოვნებია და ჩემს ახალ მეგობარს ის ფიქრები გავანდე, რითაც ბანაკიდან გაქცევას, თუ გაპარვას ვითვალისწინებდი. აღტაცებული დარჩა. ეს რა ბიჭი ყოფილხარო, უკეთეს ამხანაგს ვერც კი ეინატრებდით. ვა თუ გავაკეთებ, ჩვენი ამბავი და ჩვენი ძმობა დასაწერი გახდებოდა. დასაწერი იქნება თუ არა, მაგას არ დავებებ, ოღონდ კი როგორმე ამ ჯოჯოხეთიდან გავაღწიოთ და სამშობლოს სასიკეთო სამსახურს კვლავ დაუბრუნდეთ-მეთქი.

იმ ხნიდან მოყოლებული ხშირად ვსაუბრობდით გაქცევაზე. ჩვეს მიერ შეტყობილ ახალ ამბებს შორის პირველ რიგში იმას ვაქცევდით ყურადღებას თუ ვინ და როგორ გაიპარა — ნაიყვანეს სამუშაოდ რომელიმე მეურნეობაში ან ფაბრიკა-ქარხანაში და უკან აღარ დაბრუნდა. შიგადაშიგ იმასაც გავიგებდით, თუ გაქცეულს შეიპყრობდნენ, როგორ სცემდნენ და ანამებდნენ.

ორივემ გადაწყვიტეთ, შემოგლომამდე გავდგომოდით გზას, რათა ზამთრის სუსხის მოახლოებით ზედმეტად არ გავგმნულვოდა განზრახვის შესრულება... თუმცა ასე — პირობაზე მტკიცედ დგომა — მხოლოდ ერთ ხანობას იყო. ცოტა მოგვიანებით რომ ეკითხა კაცს — ვერ დავადასტურებდი, რომ ელექტროინჟინერიც ისევე სერიოზულად ამირებოდა გამოვებოდა აქაურობას, როგორც მე. რაღაც მოხდა ამ კაცში და დღესაც ერთობ მიძინელებდა ავხსნა, თუ რისი შედეგი იყო ასეთი, ჩემს მიერ შემჩნეული ცვლილებები. საქმე ის არის, რომ ეს ერთი ხანი იყო ჩემი მეგობარი მეტიმეტად გაერთო ბანქოს თამაშით. გამოიღვივებდა თუ არა, უმაღლეს ამფსონების წრეში ამოყოფდა თავს და ხანდახან შუალამემდე არ შორდებოდა მათ.

თამაშით გატაცებას, როგორც მე მგონია,

ყოველთვის აქვს რაღაც საფუძველი (საფუძველი) ნობიერებული თუ გაუცნობიერებული (ფიქრები) ქოს არა უშავს, თუ ამ თამაშს შენთვის რაიმე სარგებლობა მოაქვს, ე. ი. თამაში გიმართლებს; მაგრამ მხოლოდ ნაუგებისათვის თამაში უკუღმართობაა და მეტი არაფერი. ელექტროინჟინერს კი, როგორც ვატყობდი, სწორედ ასე უკუღმართად მისდიოდა საქმე. შემთხვევაც არ მახსოვს, რომ იგი მოგებით გახარებული მენახოს. ერთ დღეს უკანასკნელი მანეთიანიც იქ დაეგლო, სადაც თამაშობდა, და ისე მოვიდა დასაძინებლად. შემდეგ ზედა საცვალი გახადეს, მერე ჩემების მაგიერ დაგლეჯილი ბატინკები ეუნახე ფეხზე... ერთობ გაუღიზიანდი, თავი ვეღარ შევიკავე. შენი საქციელი მაკვირვებს-მეთქი, დაღრეჯილმა შემომხედა. მაინც რა გინდა, რომ თქვაო. მეგონა საქმე წამოვიწყეთ და იმას გავაკეთებდით, შენ, კი ღმერთმაც არ უწყის, რას ჩადიხარ, ამ უკუღმართულ თამაშს გადაყვი-მეთქი. შევატყვე, ეწყინა, მომიბრუნდა: — თუ კაცი ხარ, რჩევა-დარიგება არ დამიწყო. ქვავა ჩემიც მიყოფო, და იქით გასნია, სადაც მოთამაშები ეგულვობოდა.

იმ საღამოს ელექტროინჟინერი უნიდელზე უფრო დაღრეჯილი მეჩვენა. მივხვდი, რომ კიდევ ნააგო, რაღა მექნა, ამან თუ ასე ვაგრძელა, ჩვენი საქმე დაღუპულია-მეთქი. მაინც თავს ძალა დავატანე, მოვიწოდე მისთვის მტკიცეულ თემას არ შევხებოდი და უბრალო რამებზე ვაგუბი საუბარი. არ ამევა, ერთი ფრაზით მომიჭრა სიტყვა და მეც გავჩუმდი.

გულითადი სიტყვა-პასუხი არც შემდეგ დღეს გამოგვივიდა, თუმცა ამას მის უფროობას ვერ დავაბრალებდო, რადგან სათამაშოდ აღარ გავუნვეია (ან კი როგორღა ითამაშებოდა, როცა ნასაგები აღარაფერი გააჩნდა). ერთადერთი ის მითხრა — იქნებ როგორმე სამუშაოდ მიმავალთა შორის მოვხვდეთო. მაგრამ რაკი ჩვენი ცდის მიუხედავად, ეს იმ დღეს ვერ მოვახერხებთ, მეტად ხმაც არ ამოუღია. მაინც ახლო-ახლოს ვისხედით. მომწყინდა დუმილი და, რამდენადაც შეეძლო, მორიდებული, თავაზინი ტონით ავლაპარაკედი... რაღაც გენყინათ და გულახდლილად მითხარით-მეთქი. არა, ბავშვი არ იყოო. ჩემს თავზე ვარ გულმოსული და, მგონი, ამის უფლება მაქვსო. მეტი არაფერი უთქვამს. მეც აედექტი და ბანაკის იმ მხარეს წავყაილდი, სადაც ოქანნიდან მომდინარე წყალზე დასიცხული ხელ-პირის დაბანა და გაგრილება შეიძლებოდა.

იმავე ღამეს, ერთი გარემოების გამო, საბოლოოდ მივხვდი, რომ ელექტროინჟინერ-

თან ჩემი დამეგობრება შემთხვევითი და ამო
საქმე გახლდათ.

საქმე ის იყო, რომ შუალამისას, როცა
ყველას ეძინა, ინჟინერმა ბოდეა დაიწყო. უნ-
და შევნიშნო, ასეთი რამ სხვა დროსაც ვმარ-
თებოდა. მაგრამ ამჯერად ძილში წარმოთქ-
მული მისი სიტყვები ერთობ მტკიცენულად
მომხვედა გულზე... აჰაი, შენი დედაო, — მო-
მესმა მისი ხმამაღალი ლაპარაკი და გინება.
ბავშვობიდანვე ფხიზელი ძილი ვიცოდი. ამი-
ტომ მისი დალაპარაკებისთანავე გამუდვობა,
თვალები გაუახილე და რას ეხედავ? თავისი
სანოლიდან ნახევრად ნამომდგარი ინჟინერი
ზემოდან დამყურებს და მუშტებს მე დედას.
ადექი ახლავეო... ადექი, მე შენ გიღუნები,
თორემ დედას გტირებო... მერე თვალგახე-
ლილი დამინახა და უშალეუე გაჩუმდა, შებ-
რუნდა, ზურგი შემომაქცია, ფარაჯა წაოფა-
რა და დანვა.

თავი საგონებელს მივეცი... ეს რა იყო-მე-
თქი?! გინება და მუშტები რაღას ნიშნავდა-
მეთქი?!... პო, მაგრამ აქედან რაღას მერე-
ვობოდა, მის სახლში ხომ არ ვეგონე-მეთქი?!

ვედარ გავართვი თავი ამდენ ფიქრსა და
დახლართულ ვითხვებს. ეს რა კაცი ყოფილა,
ამასთან მეგობრობა რა ხეირს დამაყრის-მე-
თქი?! გამიგრძელდა ასეთი ფიქრები, გამიგრ-
ძელდა და აღარ გათავდა. მაშინ აუდექი,
სადგომის სულ ბოლოსაკენ ნამეტანი ფრთხი-
ლად წავედი, რომ ნახევრადსიბნეულში ფხვი
არავისთვის დამედგა. სულ განაპირს თავი-
სუფალი ადგილი ვიპოვე, ნამოვენქი, ფარაჯა
წაიხურე და შევეცადე დამძინებოდა.

ჩემი და ელექტროინჟინრის ურთიერთობა-
ში რომ ყველაფერი. ამით დამთავრებულიყო,
ნამდვილად აღარაფერს ვინანებდი და შეიძ-
ლება სულაც აღარასოდეს მეფიქრა იმაზე,
რაც მოხდა, ე. ი. როგორც თვითონ ინჟინე-
რი, ისე მისი ბოდეა სულაც დამევიწყებინა
და არ გამხსენებოდა. მაგრამ იმას მერე, რაც
ზემოთ ვიამბეთ, კიდევ მოხდა ისეთი რამ,
რის გამოც ჩემს სიამარტელშიც უჭჭი მუპა-
რება და არც ინჟინრის აუკაცობა მგონია ნა-
მდელი.

...მეორე დღეს, დილაადრიანად ნამოვედ-
ქი და საუზმის რიგს მივაშურე. ერთი სიტ-
ყვით, თავიდანვე იმის თხდარიც დავიჭირე
— სამუშაოზე მიმავალ რომელიმე ბრიგადას
გავეყოლიდი. მაღლობა ლმერტს, რომ ეტამ
არ მიმტყუნა. ნახსადგურში მიმავალ ოთხ-
მოცდაექვს კაცს შორის ჩავეჭირე. კარგად
გადაგვთვალეს. ხან წინიდან შემოგვხედეს,
ხან უკანიდან. გარშემო ბადრავი დაგვიყუ-
ნეს და, ის იყო ნასვლის ბრძანებას ველო-
დებოდით, რომ ზნაქვის ეზოდან ხმამაღლა
დამიძახა. უშალეუე ვიყანი, ელექტროინჟინ-
რის ხმა იყო და სწორედ იმიტომ, რომ შე-

ვიყანი, თავი ისე დავიჭირე, თითქოს სწო-
ფერი გამეგონოს. ამასობაში მეორედ, მესა-
მედ მომამახა უფრო ხმამაღლა. თან ჩემს
სახელს — სად დამეკარგე კაცოო, — ესეც
დაუმატა. სწორედ ამ დროს გერმანელმა
ნასვლის ნიშანი მოგვცა და ჩვენც წავედით.
წავედით ისე, რომ ერთხელაც კი უკან არ მო-
მიხედავს, სხვათაშორის, აღარც ინჟინრის და-
უძახნია.

გვიან, რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა ისე
ძალუმად აღარ განვიციდიდი ხერსონის ბა-
ნაკში გატარებული უკანასკნელი ღამის შემ-
თხვევებით აღარულ ფიქრებს, არაიშვითაოდ
ვიხსენებდი — როგორ შეძახდა ინჟინერი
ტყვეების მწყობრში მყოფს: სად დამეკარგე,
კაცო?!... სად დამეკარგე?!... დამეკარგე?!...

მაინც რაღა უნდოდა, — ვფიქრობდი ჩემ-
თვის.

რაღა უნდოდა?...
გვების, ინჟინრის ღამეული ბოდეა უბრა-
ლო ავადმყოფური ამბავი იყო მხოლოდ და
მეტეი არაფერი?! გვების, მე გავაზვიადე უსა-
შველოდ ყველაფერი, იქნებ, ვინ იცის, იმის
გამო, რომ მე ასე დავცილდი, როგორ შეე-
შალა ხელი ცხოვრებაში იმ კაცს, გვების ის
კი არა ჩემს ნიშნე, მე ვარ მის წინაშე დამ-
ნამავე?!
* * *

ერთი ნათლისმეილი მყავდა, ხელმარჯვე
ახალგაზრდა იყო. რამეს მოინდომებდა, არა-
ჩვეულებრივად კარგად გააკეთებდა, საკუთარ
ნახელავს დახედავდა... მოინონებდა და იტ-
ყოდა — ნათელი მიზანი, მართლაც რომ
ბევრს ნიშნავს კაცის ცხოვრებაში... ეს სი-
ტყვები მაგონდება ყოველთვის, როცა ფაშის-
ტური ტყვეობიდან ჩემი გაქცევის გარემოე-
ბანი მიინდა აღუნერო და დავახასიათო...

მტერი და ორგული გეყოლათ ისე, როგორც
მე ტყვეობაში ვიყავი. ძლიერ ძლივობით დავ-
ლახლახებდი, სახადით დაავადებული ვეგო-
ნებოდი კაცს. იმდენი ღონეც კი არ მქონდა,
რომ სიორულისას ნაბიჯი გამემართა, გაჭი-
რებით ვიცავედი წინასწრობას, ნაქცევის
შიშით ვიყავი დაფეთებული.

კიდევაც ამიტომ არაერთგზის მიფიქრია —
ასე დაბერაებული სად ოხრობაში უნდა გა-
ვიქცე-მეთქი.

თუმცა ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მე
გამონაკლისი როდი გახლდით. ტყვეთაგან
ზოგი ჩემზე უკეთესად კი არა, უფრო უარეს
დღეში იყო.

...იმ დღეს კი, როგორღაც, დილიდანვე კა-
რგად დავიგულე თავი. აღბათ გუშანით თუ
ვგრწნობდი დასახულ მიზანთან სიახლოვეს
— სულერთიანად გამოვიცვალე. მანამდე
რომ დიდის ვაჟავლახობით მივათრევიდნი

ზე ხან ერთ და ხან მეორე ფეხს, ახლა მუხლში რაღაც გამოურკვეველი ძალა ჩამიდგა და ისე შეგონა, თითქოს მართათნულ რბოლაში მონაწილეობის მისაღებად ვემზადებოდა.

დნეპრის სანაპიროზე ნავსადგურში მიგვიყვანეს. დაპრესილი თივის ცალები უნდა გადაგვეტანა ერთიდან მეორე ადგილზე. თითოეული თერთმეტ ცალს როცა გადავიტანდით, დასვენების უფლება გვეძლეოდა.

სამუშაოდ მოვემზადეთ: ფარაჯები გავიხადეთ, დაეკეცეთ და ჩვენ-ჩვენს ქვაბურებთან ერთად იქ დავანწყეთ, ვისაც რომელი ადგილი უჭირა მწყობრში. რაც მოგახსენეთ, ყველაფერი მარდად გააკეთეთ და მაშინვე ჩემს მუხობლად მყოფ ნაცნობ ქართველს, ჩხაიძეს, ტიტე აცანელის ბიძაშვილს, მიუბრუნედი — გიორგი-მეთქი! ისე გამეპასუხა, თავი არ აუნეგია. დახრილი იყო და თავის ზურგჩანთაში აფათურებდა ხელებს. მეც ცოტა ჭკაცადე, სანამ წელში გაიმართებოდა და ჩემთვის მოიხდიდა. ჩემი ბარგი-ბარხანაც აჯერ იქნება-მეთქი. თვალბში შევხედე და რაზეც ვეუბნებოდი, ხელითაც ვანიშნე. შევატყვე, გაუკვირდა, მხერა გამისწორა. თითქოს რაღაც საიდუმლო დაიგუშინა ჩემში და იმის ამოცნობას ლამობდა — რა გინდაო! არაფერი, ისე იცოდე-მეთქი... შეიძლება ამ ფარაჯის პატრონობა შენ მოგიხდესმეთქი... მიყურა, მიფურა და მერე ხელში ხელი წამაქალა. შევატყვე, რომ უტბად აღუდგა. ბიჭო, რას ფიქრობ, მითხარო! გავიხედე-გამოვიხედე, ყურს ხომ არავინ გვიგდებდა, ჩემო გიორგი-მეთქი, დღეს ან თავისუფალი უნდა გავხდე, ან... ერთი სიტყვით, მე ბანაკში ვეღარ გამოვბრუნდები-მეთქი.

მეტისმეტო მოულოდნელობისაგან თითქოს გამშებდა ჩხაიძე, ერთ ხანობას ვერაფერი მითხრა, მერე გადამხვებია და სხვებს რომ არ შეემჩნიათ, ისე მაკოცა. ღმერთმა ხელი მოგიმართოს... ამასობაში, როგორც შევამჩნიეთ, ტყეები ერთ-ერთ მებადრავებს მივისივნი. სიბეს ადგენდა, რათა შემდეგ დაერიცხათ ვინ რამდენ თივის ცალს გადაიტანდა მათ მიერ ნაჩვენებ ადგილამდე. ორივე იქით ნავედით. ვგულისხმობდი, რომ გაპარვის შემდეგ ჭებნას დამინჯებდნენ, ამიტომ სიაში გამოგონილი გვარი — ევლახიშვილი ჩავენერინე და მუშაობასაც მაშინვე შეუდგეთ.

უკვე მოგახსენეთ, რომ დიდიდანვე საოცრად მოვეცობლდი. ამ სანატრულ ცვლილებას, რაც დრო გადიოდა, იმდენად უფრო მეტად ვგრძნობდი და ეს მუშაობაშიც დამეტყო: სხვა რომ ჯერ ისევე თივის პირველ ცალს მიაციდებოდა, მე უკვე მეორე გზობისათვის ვემზადებოდი. მოკლედ, კარგი შეჯიბრებულივით ვმამუშაობდი.

ასე გამეცადინებული რომ მნახან, ცუთრტა ჩხაიძე ნამომენია და ხმადაბლს გამამტრისსა — იცოდე, მეტისმეტად ნუ გამოიჩენ თავს, თორემ მებადრავები ადვილად დაგეხსოვებენ და... შენთვისაც არ არის კარგიო. დაუჯერე და ტემპი შევანედე, თუმცა სხვებზე მარჯვედ მაინც მე ვუმკლავებოდი საქმეს. რა შექნა, შესვენების უფლება მინდოდა მიმელო დროზე.

რალა ბერი გაგვარძელო, ის ნორმა, რომელიც გერმანელმა მებადრავებმა გაგვისახლერეს, ორიოდე საათში და უფრო ადრე შევასრულე... მერე ერთი ვინმე გულბურყვილსავით, გერმანელთან მივიტრუე და სანულად გამოვთხოვე თუ შეიძლება ახლა დავისვენებ-მეთქი! იმანაც ჯერ სიას დახედა, ევლახიშვილის გასწვრივ თერთმეტი ხაზი დათვალია, შემომხედა, კიდევ ხაზები ჩაათვალიერა. კარგიო, — ორჯერ დაიძახა, კვლევაც თუ ასეთი ყოჩალი იქნები, მდინარეში ბანაობის ნებას მოგცემო... ცოტა ხანს იქვე ჩამოვედვი, ვითომ მართლა ჩემი დადლილობის დარდი მქონდა და დასვენება მინდოდა, მერე ვითომ მომწყინდა ეს ჯდომა, ავდეგი და გვაიარ-გამოვიარე. ამასობაში მოშორებით საპირფარეო შევამჩნიე. ვაწუწყვეტივ შედიოდნენ და გამოდიოდნენ ტყეები. არც ვაცოე, არც ვაცხელე და მეც იქით გავეშურე, თუმცა იქ იმ წუთს აბსოლუტურად არაფერი მესაქმებოდა. საპირფარეოდან რომ გამოვიედი, ჯერ ახლომახლო მიდამოები მივთვალიერე-მოვთვალიერე, დავრწმუნედი, რომ სხვა საზრუნავით გართული ჩვენი დარაჯები იმ მხარეს არც იყურებოდნენ და იქვე მოფარებულში ქვანახშირის დატვირთვაზე მომუშავე უკრაინელებთან მივედი... გადაიწყვიტე, თუ აქ დამიჭირეს, ვიტყვი მუშებთან მივედი-მეთქი. რატომ რა საქმეზეო, თუ მეოთხეს, ამაზეც ხომ უნდა გავქე პასუხი? მართლაც, რა საქმეზე შემეძლო მე, გერმანელთა ტყეებაში მყოფს, მივსულყავი ამ მუშებთან? და ერთ ნაშში მოვისახრე ყველაფერი: ფარაჯის ხომ არ ინებებთ, პურზე გატვიცდით-მეთქი?! — მივმართე უკრაინელებს. არაო, პური ჩვენთვისაც არ გვეყოფის, შენ საიდან გაგიჩინოთო. ესეც ასე — მუშებთან ჩემთვის საქმეო სავაჭრო გარიგება ვცადე, მაგრამ ვერაფერს მივაღწიე. ეს რომ გავიფიქრე, ანახდად ისევ მებადრავებისაკენ გავიხედე. საკმაოდ შორს იყვნენ და თანაც მომუშავე ტყეებს უტრიალებდნენ გარშემო, აქეთ არავინ იყურებოდა, თითქოს ჩემთვის არავის ეცალა. კიდევ რომ გამოვხედაო, შემეძლო არხვინად ვყოფილიყავი, რადგან ჩვენს მიერ გადმოტანილი თივის ცალების წყობამ ისე მალდა აინია, რომ მათზე ამოფარებულნი, არავის შეეძლო დაეინახე.

მით უკეთესი-მეტეი და დნებრის სანაპიროდან ქალაქისაკენ მიმავალ ქუჩას შევხვდეთ. თვალს. მაშინვე განვსაზღვრე, რომ ამ ქუჩით უნდა გავდგომოდი ჩემს გზას; ქუჩაზე ადამიანის ქაჭანება არ ჩანდა. სრული სიყაროეუ იყო. ვიფიქრე, რომ ეს კარგიც იყო (ზედმეტი ცნობისმოყვარეობის საგანი არ გავხდებოდი) და ცუდიც. უფრო ცუდი იყო, რადგან ჩვენი მებადრადგები ცარიელ ქუჩაზე მიმავალს ადვილად შემამჩნევდნენ და ისე, პირდაპირი დამიხნებით მომპყრიდნენ ავტომატის ტყეეები.

ასე იყო თუ ისე, გაქცევის უფრო ხელსაფრელი შესაძლებლობის მოლოდინი, ვგონებ, არ უნდა მქონოდა. ამას რომ ვფიქრობდი, მე უკვე მივაბიჯებდი ხსენებული ქუჩის მიმართულულებით. ღმერთო ჩემო, რანაირი გრძნობით ვიყავი ამ ნუთებში შეპყრობილი! მიდიხარ და იცი, რომ რამდენ ნაბიჯსაც ადგამ, იმდენად უფრო უახლოვდები შენს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანს, ყველაზე სასუკვარს... ამავე დროს, კი არ შეგიძლია დაივინყო, რომ ყოველ შენს ნაბიჯს ძალუმს საბედისწერო მარცხამდე მიგყვანოს.

ასე გავლევ ნავსადგურის მოედანი და მადლობისაკენ შემართულ ქუჩას ავეცი (უნდა შევნიშნო, რომ დღემდე არ ვიცი ამ ქუჩის ოფიციალური სახელი). მივდივარ და ვფიქრობ, რომ ნინ თავისუფლებაა. თავისუფლებისაკენ კი არა მარტო ჩვეულებრივად მიაბიჯებენ, არამედ უფრო მიზნად, ელვის სისწრაფით მიჰქრიან. მეც შემიძლია ვიზინო, მაგრამ ვგრძნობ, რომ ეს კარგს არას მომიტანს. შენიშნავენ — ვილაც გარბის. მაშინვე მიხვდებიან, რომ გამოქცეული ვარ, მიხვდებიან და მესვრიან... ამიტომ უფრო ნინდახედილია, მიზანშეწონილია, გონიერულია არ ვიზინო, არამედ დინჯად, აუქარებლად ვიარო, ვითომ სულაც არ მექარება, ვითომ ფეხებზეც არ შიკდია დროზე მივალ იქ, სადაც მივდივარ, თუ დამავიანდება...

უთაფრეთი უახლოესი ამოცანა ბერსონის სამდინარო ნავსადგურიდან ქალაქის სიმაღლეზე შემოჭრილი ქუჩით როცა მოვდიოდი, ჩემთვის ის იყო, რომ უნებლად და მშვიდობიანად მიმდინია აღნიშნული ქუჩის უახლოეს გადასახვევამდე. მეტისმეტი მღელვარებისსაგან ისე ვიყავი შებოქილი, რომ თვალთგან კარგად ვეღარ ვიხედავოდი. ამიტომ ვერ მოვახერხე შორიდანვე დაშინახა გადამკვეთი ქუჩა, რომლითაც შემემლო უჩინარი გაემხდარიყავი ნავსადგურიდან მაყურებელი თვალისათვის.

თითქოს საკმაოდ დიდხანს ვიარე, თითქოს გრძელზე გრძელი მანძილი გამოვლეე და, მაღლობა ღმერთს, აგერ გამოჩნდა ეს ნანატრი

გადამკვეთი ქუჩაც, რომელსაც შემემლო ცოტათი მიინც შევეკვეცა ჩემი განსაცდელი... ერთი ნუთიც და მე მარცხნივ შემოვბრუნდი. შემოვბრუნდი და მაშინვე დავმშვიდდი, აღარ ევლოდი, რომ ნავსადგურიდან გამოსროლილი ტყეეები დამშევიდნენ.

მას შემდეგ, რაც მარცხნივ გადავუხვიე, ბერსონის ნავსადგურიდან შელმართზე აჭრილ ქუჩას, რომლის სახელწოდება, როგორც უკვე ვთხარით, დღემდე არ ვიცი, მე ჩემი სახელი გამოვუგონე. იმის გამო, რომ ეგზომ დიდი სამსახური გამინია და საბედისწერო ხიჯათს ამცდენდა, მე მას ხსნის პირველი ქუჩა დეარქერი, ხოლო იმას, რომლის ქვაფენილზეც ახლა მივაბიჯებდი, ხსნის მეორე ქუჩა ვუნოდე იმ პირობით, თუ ისიც ბოლომდე გამოყვანდა სამშვიდობოს და ამ შემთხვევაში უფრო ნაკლებად მოსალოდნელ საფრთხეს ამ გადამკვიდებდა. ისე ამენდეს ყველა კარგი კაცი, ვინც ამ ქუჩაზე ცხოვრობს, ან მომავალში იცხოვრებს, როგორც ჩემი იმედი ამჯერადაც გამართლდა და ამიტომ ამის შემდეგ, როცა აღნიშნული ქუჩის შესახებ ვინეებ ფიქრს ან საუბარს, მე მას სხვანაირად არ ვუნოდე, თუ არა ხსნის მეორე ქუჩას.

ახლა ეგების მკითხველი უფრო ადვილად მიმიხვდეს და ამიტომ აღენიშნავ, რომ არც პირველი და არც მეორე ქუჩების ოფიციალური სახელწოდება იმიტომ არ გავიგე და არ ვიცი, რომ დაფინებით მინდოდა ჩემს მეხსიერებაში ორივე ეს ქუჩა ჩემს მიერ ნოდებულის სახელებით შემენახა.

ხსნის მეორე ქუჩაზეც, როგორც პირველზე, სიცილიერე იყო. ათი-ათუთმეტი ნუთი ისე ვიარე, რომ არც ნინადან და არც უკანდან მომავალი ვერაინ ვნახე. ამით შევატყვე, რომ ეს ადგილი ქალაქის გარეუბანს განეკუთვნებოდა და არა იმას, რასაც ცენტრს უწოდებენ.

ამას რომ ვამბობ, კაცს ვგონებ, თითქოს მე, ტყვეობიდან ახლად გამოპარულ კაცს, გარეუბანი ხელს არ მაძლევდა და ცენტრისაკენ უნდა წავსულიყავი. თქენიც არა გეტკინოთ-რა, მე ასეთი რამ არ მეფიქრია. ის კი არა და, რივიან-პირიანად ისიც არ ვუნყოფი სად მივდიოდი ან სად უნდა წავსულიყავი. მარტოოდენ ის ვიცოდი და ეს ნათუბათევი გუმანით განვსაზღვრე, რომ სადღაც ნინ და ზევით, სადღაც ხელმარცხნივ უნდა მველო. ნინ და ზევით იმიტომ, რომ უკან და ქვემოთ დარჩენილ სამდინარო ნავსადგურს დავშორებოდი, ხელმარცხნივ კი იმიტომ, რომ ხელმარჯვნივ ტყეეთა ბანაკი მეტულეობდა და არ მინდოდა მის ახლო-მახლო ყვოფილიყავი.



არ ვიცოდი სად უნდა წახსულიყავი-მუთქი, ეს მთლიანად ნამდვილი როდია. არ ვიცოდი, მაგალითად, ხსნის პირველი ქუჩიდან აუცილებლად მეორეზე რომ უნდა გადამხვებია. ეს მართალია. არ ვიცოდი აგრეთვე ხსნის მეორე ქუჩის შემდეგ, სახელდობრ, რომელ გზას დავდგომოდი. ესეც სწორია. მაგრამ ბოლოს-დაბოლოს, სად და ვისთან უნდა მივსულიყავი — საკმაოდ დიდი ხნის წინათ შევინდა გათვალისწინებული.

ხერსონი, რკინიგზის კვანძი... აი, ის კოორდინატები, რომლის მიმართულებითაც უნდა მეყო ტყეობიდან თავდაღწეულს.

სამხედრო ტყვეების ხერსონის ბანაკიდან ჯერ კიდევ ამ საშიშოდ კვირის წინ პირველად მომიხდა ამ ადგილას ყოფნა. ერთობ ჩვეულებრივი შემთხვევა იყო: ვაგონებიდან ხე-ტყის გადამოსატვირთად წაგვიყვანეს. შუა მუშაობაში რომ ვართ, უხედავ მუშობლად ვაგონშემკეთებელთა შორის, ერთი ძალზე ნაცნობი კაცი დგას. ჩემზე ცოტა უფროსი, ნითური, ცისფერთვალუბიანი, ტანბრგვე ყმანვილია. ნახვერად მელოტი, სქელი ნარბეზით. გაიცინა და ორი თუ სამი ხელოვნური კბილი გამოჰჩნდა. ნამდვილად ის არის — ფეიქროზი ჩემთვის — კაცი, რომელიც ხშირად მინახავს. მაგრამ სად მინახავს? დავიწყე, როგორც იტყვიან, ხელის ფათური ოდესღაც წარსულში აღქმულ სახეებს შორის... დადიოდა ეს ვაჟაკი იმავე ქალაქში, ქუჩებში, სადაც მე ვიმყოფებოდი, ლაპარაკობდნ ტუჩების ენერგიული მოძრაობით, იცინოდა ხმა-მღლა, ლღლად, მყავდა ბევრი ძმაცატი, ამიტომ ყოველთვის ერთსადაიმავსთან კი არა, სხვადასხვა ენისებებთან მხედებოდა... ღმერთო მომაგონე, სად იყო ეს, სად იყო?

ამ ფეიქროსი რომ ვიყავი, საქმეზე ხელი გამაშვებინეს და დეპოში გამგზავნეს ორთქლმავლის გამოსაძახებლად. წავიდი და ჩემს მიერ დანყებულ ფეიქროს თან გავიყოლე... სად იყო, სად შევხვედრივარ ასე ხშირად კაცს, რომელიც აგერ ახლა ვნახე და შევიცანი?

დეპოში მივედი, დანაბარები მორიგეს გადავიცი. მან, თავის მხრივ, რომელიღაც შემანქანეს ვახძახა — მუხუთე ჩინში გაემურე და დადვლილი ვაგონები გამოიყვანეო. გაისმა ორთქლმავლის წელი შეიკვლება ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და თითქმის, იმავე დროს, გამახსენდა ჭიათურა, ჭიათურაში გამოგონია ორთქლმავალთა საყვირის ასეთი ვიცილი... რამდენიმეჯერ გავიმეორე ფეიქროსი — ჭიათურა, ჭიათურა, ჭიათურა და ის იყო შუბლივც ეტიკიცე მარჯვენა ხელისგული, მივირდა, რომ ამდენ ხანს ვერ მივხვდი, ვერ მოვიგონე, რომ სწორედ ჭიათურაში შინახავს ეს კაცი, რომლის სადაურობის გამოკ-

ვლევა ასე მინდოდა... ისიც კი ვიტყვი, რომ ლანდაქვა, ჩემი ყოფილი მასწავლებლის უმცროსი ძმა. თუმცა თვითონ მას ახლოს არ ვიცნობ. სხვადასხვა ასაკისა ვიყავით, სხვადასხვაგან ვსწავლობდით, ერთმანეთთან საერთო არა გვექონდა-რა.

სატვირთო შემადგენლობასთან, სადაც ჩვენ გვამუშავებდნენ, ვაფაციცებით დავებუნე ვაგონშემკეთებლები. ჩემ ბედს რა ვუთხაროქო გულისტკივილით დავიკენე, როცა ზეღარც შევავგონეები და ვეღარც ჩემი ნაცნობი ადგილზე ვერ აღმოვაჩინე. ხუთიოდე წუთში აპარგებულყვენე აქედან.

იმ დღეს ბანაკში ისე გაგებარუნეს, რომ კალანდაძე აღარ დამილანდავს. მეორე დღეს სულაც ბანაკში დარჩენა მომიხდა: მუშათა ვერცერთ ბრიგადაში ვერ მოვხვდი (თუ დიდი საქირობა არ ჰქონდათ, ოფიცერი ტყვეები ხშირად არ მიჰყავდათ სამუშაოდ — ნაკლებად ენდობოდნენ). ალბათ მუხუთე დღე იქნებოდა, რომ ისევე რკინიგზის კვანძში მიმავალ ბრიგადას მივეთვალე. ადგილზე მიგვიყვანეს თუ არა, უშაღვე კალანდაძე დავინახე. უუახლოვდებით იმ ადგილს, სადაც იგი დანარჩენ მვეავგონებთან ერთად რაღაცას საქმიანობს. სანამ გვერდით ჩავუვლიდით, მანამ მივაძახე — გამარჯობა-მუთქი. ქართული მისალმება რომ მოესმა, მკვიციხლად შემოტრიალდა, გაკვირვებით შეათვალეირ მწყობრი, მე დამბუნა. რომელი ხარ, დამე-ნახეუო. მე ვარ-მუთქი. მშინვე დამუნია მი-მავალს, ვაგიმარჯოსო და ხელი ჩამომართვა. მუბადრავსი მოვირდა, შენიშვნა არ მომცესო... ვნახე აუცილებლად, ვიცი სადაც მივეხარო!

ერთ წუთს ისევე თავის ვაგონ-სახელოსნოსთან მიბრუნდა, მოკლე საუბარი გაუბა იქვე მდგომ გერმანელს და შემდეგ აჩქარებით გამოიფენა ჩვენს მწყობრს, დავეუნია დე მახარა ახლავე ჩემთან წაგიყვანო.

სალამომდე ვისაუბრეთ მე და გიორგი კალანდაძემ, ვავისინეთ ჭიათურის ამბები, პატარ-პატარა თავგადასახვლები, საერთო ნაცნობები, სასაცილო შემთხვევები... შენ გაგაშენა ღმერთმა, რაც ომი დაიწყო, ასე გულიანად და გემრიელად არავისთან მისაუბრიო... გულახდილობა რომ შევატყვე, არ დაუშაღვე და გავუტყვი, რასაც ვაპირებდი. ვაჟაკური გადამწყვეტილებათაო, რაღა ჭიათურელი იქნები, თუ ასე არ მოიქციო. აგერ, თუ გინდა ჩემი მთავალით აიღე, ორ კვირამი მივატოვე ბანაკიო... მერე გაიცინა, თუ ძმა ხარ, როგორმე ჩემიდან წუ გაიქციე, სხვა შემთხვევაში კი ხელისშეწყობა ჩემზე იყოსო.

სწორედ ამ ქიათურული კალანდაძისაკენ მივეშურებოდი ახლა... ჩემი „ხსნის მეორე ქუჩიდან“, სხვა ზემოთ შემართულ ქუჩაზე გამოყვები და სადღაც ბაზრის მიდამოებში ამოყვავი თავი. ერთ წყლის ჯიხურთან შევეჩერდი. რკინიგზის სადგურზე როგორ უნდა გავიდე-მეთქი? ქალმა, რომელსაც შეკითხვით მივმართე, ჩაიცინა. ეტყობა, ამ ქალაქში პირველად ხართ, მაგრამ გასაყვირია — თუ სადგური ჯერ კიდევ არ იცით, ისე ჩვენთან როგორ მოხვედითო? ან მერე შემატყო, რომ არაფერი მებუმრებოდა და ჯიხურიდან მარჯვენა — აი, ამ მაგისტრალს გაჰყვით, სულ პირდაპირ იარეთ, ყანებს დაინახავთ და იმის გადაღმა სადგურიც გამოჩნდება.

ეინ იცის, ალბათ, რამდენი ისეთი მხატვრული ნაწარმოები წაგკითხავთ, რომელშიც ყველაფერი ისე და იმ დროს ხდება, როგორ და რა დროსაც ეს სიუჟეტური მოქმედების შემდგომი განვითარებისათვის არის აუცილებელი. ასეთ გარემოებას ალ. ოსტროვსკის ერთ-ერთი დრამის ანალიზთან დაკავშირებით ნ. დობროლიუბოვი საგანგებოდ უსვამდა ხაზს... საქიროა, რომ გმირი, რომლის გარშემო ავტორი მოგვითხრობს, დროის გარკვეულ მონაკვეთში აღმოჩნდეს მოქმედების ამათუიმ კონკრეტულ ადგილზე და ეს სწორედ ასე ხდება. საქიროა, რომ ამ ადგილზე იგი შეხვდეს მისთვის საინტერესო პირებს და ეს უკანასკნელიც მინცდამინც მაშინ გვევლინება. სიუჟეტის შექმნის აუცილებლობა მოითხოვს, რომ აღნიშნული შეხვედრის გამო გმირის კანონიერ მეუღლეს ექვინანობის ქია შეუჯდეს და ეს მეუღლეც სწორედ იმ დროს ჩნდება არენაზე, როცა მისი ქმარი სიყვარულს ეფიცება თავისთვის საინტერესო არსებას. იმდენად ხშირია ასეთი შემთხვევები ლიტერატურაში, კერძოდ, XIX საუკუნის მწერლობაში, რომ ზოგი რამ მართებული და ეჭვების მიზეზიც კი ხდება — ყველაფერი ასე, წინასწარ შეკვეთილივით, წინასწარ მოწოდებით როგორ ხდებაო?

მაგრამ დამიჯერებთ თუ არა, რომ ზოგჯერ ცოცხალ სინამდვილეშიც ხდება შემთხვევები, რომლის დროსაც ყველაფერი წინასწარ მომზადებულს, წინასწარ მოწყობილს და შეკეთებულს ჰგავს. მაგრამ წინასწარ მოწყობილი არ არის, პირიქით, ყველაფერი ბუნებრივი, უცაბედად და თავისთავად მომხდარია. მაგალითად, რა იქნებოდა, თუ მე და გიორგი კალანდაძე ადრევე მოვილაპარაკებდით და შევთანხმდებოდით, რომ ზუსტად ამ დღეს, 12-დან 14 საათამდე მე, ხერსონის სამხინარო ნავსადგურიდან გამოშარული, მოვდიოდი ამ ქალაქის ბაზრის მიდამოებში, წყლის სავაჭრო ჯი-

ხურის წინ, და ისიც დამიჩინებდებოდა სწორედ აქ შემხვედებოდა აღნიშნულ... ისათვის? პატროსან სიტყვას ენდეთ, რომ მსგავსი შეპირება არ მომხდარა და მაინც, სულერთია, როდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ყველაფერი ეს ასე მოხდა: გავთავად თუ არა ჯიხურში მდგომ მანდილოსანთან საუბარი და მოვახსენე თუ არა მას მადლობა თავანონობისათვის, შემოებრუნდი, რათა რკინიგზის სადგურისაკენ მიმავალ გზას დაეგლომოდი, და ის, ვისაც ასე სასოებით დაეჭობდი, სულ ახლოს, პირდაპირ თვალწინ დამიდგა. გრიშა-მდეტი. ბიჭო, ნუ თუ შენა წარო და დიდი ხნის უნახავი ძმბივით გადავეხვიეთ ერთმანეთს.

სიხმარში იცის ხოლმე ასე. თუშცა ჩემდა საბედნიეროდ ეს სიხმარი არ გახლავდათ. ნამდვილად დიდებული ნუთები იყო ეს მთელს ჩემს ცხოვრებაში.

მხოლოდ ამ ნუთებში განვიცადე, რომ თავისუფლება, რომელიც ჯერ კიდევ ორიოდ საათის წინ საოცნებოდ მესახებოდა, ახლა თითქმის განადლებული მქონდა.

1942 წლის 19 ივლისი იყო, ცამეტი თვე სრულდებოდა სამამულო ომის დაწყებდან.

ირაიდა გუშინავა

დაებერდი კაცი, აგერ-აგერ ჩემს წილ ცხოვრებას გავთავადე, და ირაიდაზე უფრო კეთილი, გულითადი ამხანაგი მყავდა-თქო, ვერ ვამბობ.

ჩემი და მისი ამხანაგობა კი, თუ მეტი არა, ნახევარი საუკუნის უწინდელი მანცდა; პირველ-მეორე კლასში მონაფეობის დროს დაწყებული ამხანაგი.

საზიარო მერსს ვუსხედით ორივე და თვალში რომ ჩავგვარდნოდა ერთმანეთი, არც ის და არც მე ხელს არ ამოვისვამდით, სხვანაირად, სწორედ რომ ვერ წარმომედგინა — ისეთი თბილი ბუნების გოგო იყო ეს ირაიდა. მისი ენით ნათქვამი ერთი ავი სიტყვაც კი არავის გაუგონია. ყოველთვის შექმლო რალაც თავისებური დაუფინყარი სიკეთე გავნია, რალაცით გავხარებინე.

მასხოვს ასეთი შემთხვევა: ირაიდასთვის რვეულის ერთი ფურცელი მითხოვნია, მას კი, თითქოს წინასწარ იცოდა, რომ ასეთი თხოვნით მივმართავდი, მთელი რვეული შემოუთავაზებია. ფანქარი მათხოვეთქო, მას კი ერთადერთი თავსა და ბოლოში წათლილი ფანქარი შუაზე გაუტყვია, ნახევარი ჩემთვის უბოძებია და ნახევარი თავისთვის დაუტოვებია.

ზოგ ასეთ შემთხვევაში ბავშვური სინდი. სის ქენჯნა მომრეცია, წინაღმდეგობა გამინეცია ირაიდას ქველმოქმედებისათვის, უარი

მითქვამს მის საჩუქარზე. უნდა გენახათ, როგორ შეეცვლებოდა სახე ამ დროს! მუდამ მოციმციმე, სიხარულით განათებულ თვალებში ჩრდილს ჩაიყენებდა, ტურები ისე მოუბრიცებოდა ხოლმე, თითქოს ტირილს აპირებდა... ატირებამდე შეიძლება საქმე არ მისულიყო, მაგრამ გაბუტვით კი ნამდვილად გაიბუტებოდა, ხმა აღარ გამცო, და ზურგს შემოგაქცევდა. ერთი სიტყვით, ბოლოსდაბოლოს, ბოდვის მოგახდევინებდა, პატიებას გათხოვინებდა და შენგან უარყოფილ საჩუქარს მივალებინებდა.

მოგვიანებით, როცა სიმწიფის ასაკში შევდივდი, ირანიდა, როგორც ჩანს, მიხვდა, რომ მისგან ყოველგვარ საჩუქარს თავაპატივის გარეშე ვერ მიიღებდნენ. ამიტომ წინასწარ ისეთ რამეს გეტყოდა, რომ შენი თავაპატივის გამო თავადვე ვრწმუნობდი უხერხულობას. გეტყოდა, მაგალითად, უარი არ გამიბედო, თორემ მეწყინებო... თორემ გული მეტკინებაო... გამომხრთვი, თორემ გუნება მომენამლება და შენივე მოსაბრუნებელი შევიქნებიო. ან კიდევ: თუ ჩემი სიხარული გინდა, ერთ რამეს გთხოვ და შემისრულოო!... შემისრულებ, თუ არა მითხაროო!... პირობას ჩამოგართმევდა, მერე რაიმეს შემოგატყებდა — ჩემგან მიიღო... მისი სათხოვარიც, თურმე, ეს იყო, სხვა არაფერი.

ერთ წელიწადს შემოდგომის სუსხმა ჩვეულებრივზე ადრე ნამოუბერა, მაშინ, მგონი, მესამე კლასში ვიყავით. თმა მქონდა ახალი გადაკრეჭილი და თავზე, ცოტა არ იყოს, შემცოვდა. ირანიდას ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიდა და, ქუდის დახურვის დროს, მომაგონა. არ მაქვს ქუდი-მეთქი, ვერ გავუხმობლე, თავი ისე დავიჭირე, თითქოს ვთაკილობდი ქუდით სიარულს... მერე, როგორც შევატყვე, თავადვე მიხვდა ჩემი გაჭირვების ნამდვილ მიზეზს. კლასში რაღაც შეხვეული მოიტანა, ცალკე გაიხიზო. სანამ რამეს შეტყოდა, შევნიშნე — დღეაღმა, ხმის ამოღებას ვერ ბუდვებდა, თითქოს თრთოდა კიდევ. რა მოგივიდა-მეთქი? ვაიმე, მეშინიაო. საგონებელში ჩავევარდი, მითხარო-რა გემართება-მეთქი?! უფრო შეწუხებული ხმით გაიმეორა — მეშინიაო. რისა, რისი გემინია-მეთქი?! და ორივე ხელი ჩაკვიდა, შეეანჯღრივ. ისე დაბნეული იყო, სხვა ვერწყურნი მოახერხა, შეხვეული მომაჩერა... გამომართვი, თუ არა ახლავე, ნაეჭიყვი და მოკვდებიო. კითხვის ნიშნად გადავიტყვი, რას მაძლევ-მეთქი? და უნებურად შეხვეულს ხელები შევაგებე. გახსენი და ნახეო! ბენვიანი ტყავის ქუდი აღმოჩნდა. მაშაჩემს ვაყიდვინე შენთვისო, დაიხურეო! სანამ ამას იტყოდა, მე დაბნეული ვატრიალებდი ხელში ქუდს და ის იყო უკან უნდა შემეძლია, ირანიდამ საკმაოდ ნამაძლია

შემომკვილა: ჯერ მომალი და მერე ტამბორუნე, ჯერ მომალიო!!! და ამ სიტყვებზე გაიქცა კიდევ...

იმედი მქონდა გაკვეთილზე შეეხვებოდი და მოულოდნელ საჩუქარს გავებრუნებდი. თქვენც არაფერი გეტკინოთ, გაქცეულს გაკვეთილებზე მიტოვებინა. უფრო უარესიც გითხრაო: ირანიდა მინამდევ არ გამოჩნდა სკოლაში, სანამ არ შეატყობინეს, რომ მის მიერ მოძღვნილ ბენვიან ქუდს ვატარებდი.

მე ზედმინდვით ზემოიშვრული ხასიათის კაცი ვარ. არასოდეს არ მინდა ვინმე შეეანუხო, ზედმეტად დავავალო ჩემდამი პატივისცემით. ამიტომ, როცა რამეს მთავაზობენ, ან სტუმრად მიწვევენ, არა — მუდამ ენაზე მაკერია... თუმცა ეს როდი ნიშნავს, თითქოს ჩემდამი პატივისცემა არ მახარებს. რა დაგომალათ და, ირანიდას მიმართაც ასე ვიყავი... არ მინდოდა მეტისმეტად შემეეწირობინა იგი საჩემო საჩუქრებით. ამიტომ ძალიან ხშირად თავს ვიკავებდი, რომ რამე მეთხოვა ან მისგან გამოწვეული ნივთი ულაპარაკოდ მიმეღო. ისე კი, მის ასეთ ყურადღებას, რომლის დამადასტურებელიც მისივე საჩუქრები იყო, სიხარულით ცაში ავუყავდი.

თავად ირანიდა, აღბოთ, ვერც კი წარმოადგენდა, თუ რაოდენ დიდი სიამოვნებით ვიხმურავდი მის მიერ ვეზომ მოკრძალებულად მორთმეულ ქუდს. მიყვარდა ეს ბენვიანი ტყავის ქუდი და ვატარებდი მას ყოველთვის, როცა მინდოდა განსაკუთრებით მომწონებინა თავი ხალხში.

ამის გამო, ბავშვობის პირობაზე, დიდ სულეერ ტრავმას წარმოადგენდა ჩემთვის, როცა აღნიშნული ქუდი დამეკარგა (ერთ მეზობელს, რომლის ბავშვმაც, როგორც მე მეგონა, ჩემი ირანიდასული ქუდი იპოვნა და არ გამოიჩინა, დიდხანს აღმაციერად ვუყურებდი).

ასე მგონია, მთელს ჩემს ბავშვობაში, მონაფეობის წლებში, ყველაზე მთავარი ირანიდასთან დამოკიდებულებით გამოწვეული შთაბეჭდილებები იყო... მგონია-მეთქი ისე ვამბობ, თორემ ეს ნამდვილად ასე იყო.

რატომ არ არის ირანიდა ჩემი და, რატომ არის, რომ მეც და მასაც საზიარო დედ-მამა, ძმები, ნათესაები არა გვყავს, საზიარო სახელ-კარი არა გვაქვს, ერთად არ ვუზიაროთ სუფრას, როცა ვსაუზნობთ, ვხადილობთ ან ვვახშობთ-მეთქი...

მაგრამ ამასობაში ზოგჯერ იმასაც გავიფიქრებდი, რომ და და ძმაც კი ერთმანეთისათვის ისეთი ახლობლები ვერ იქნებოდნენ როგორც მე და ირანიდა ვიყავით...

შეიძლება უცნაური იყოს, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ სრულებით არ მახსოვს, — რა



ვითარებასთან დაკავშირებით შეწყდა ჩემი და ირაიდას ის გულითადი სიახლოვე, რომლის გარეშეც ზემოთ მოგახსენეთ. დაეპყროვით დაწვევით, სკოლის კურსი და გავეშურეთ სწავლის გასაგრძელებლად. ის თავის მხრივ და მე, ჩემი მხრივ.

დაწვევით სკოლაში სწავლის შემდეგ ჩვენს ურთიერთობაში უმნიშვნელოვანესი იყო შეხვედრა, რომელიც მოხდა ერთი შემთხვევით და მდგეს. ქორეოში, ერთობლივ სწავლიდან შეიღწეა ნელინადი მანდი იყო გასული. ამ ნდებს ჩვენი ბავშვობის კვალც აღარ დაეტოვებინა. მეც და ირაიდაც დაკაცებულ-დებქალიშვილებული, საქორწინლო შეღწეებულები უჩანდით. ამიტომ ჩვენ-ჩვენი სახეცვლილებით გამოჩვეული გაკვირვების გამოშხატველ ერთსადაიმევე სიტყვებს რამდენიმე წუთს გავიძახოდით ორივე: როგორა ხარ?! რამოდენა გაზრდილხარ?! სულერთიანად გამოცვლილხარ, ძლივსა გიცანი!... ასე როგორ დაბავნივდ თავი, შე უსინდისო. ვანა ჩვენი და-მშობა იმად არ ღირდა, რომ ერთი-ორჯერ მაინც მოგკონებოდი? და ა. შ.

აგრ როდის-როდის ერთმეორის მიკითხვა-მოკითხვით გული რომ მოვიჯერეთ, ირაიდამ შორიხალის გაქრებულ თავისიანებს გახედა. დედა, და და ბიძაშვილი — ყველა სათითაოდ მოიხშო. ეს როგორ ვერ იცანითო? — ჩემზე აქვანა — ოთხნდემი ერთად ვისხდით, მძა რომ მყოლებოდა, — ის არ შეეყარებოდა მამზე მეტადო. მისიანებმა გაიცინეს, თავები დააქნიეს — მერე კინ მოგახსენა, რომ ვერ ეიცანით, დანახვისთანავე მივხედავით — ვინც იყო. ხელი ჩამომართვეს, როგორც იტყვიან, აქეთებურ-იქითებური გამოკითხვის. ჩემი პასუხები მოისმინეს, ზოგ რამზე გაიციან, ზოგი რამე გაიკვირვეს. ზოგაც შეიცხადეს...

მერე ისევ მე და ირაიდა დამმარტოხედით. ორმოცი წუთის განმავლობაში ქლოშინით, კვიღ-წივილით, ბრაგა-ბრუვით, და ქრიქინით მიიწვედა პატარა მატარებელი ქოთორიდან საჩხერისაკენ და მივალ ამ დროში ენაგაურჩებულად ვუვებოდი — ხან ერთი და ხან მეორე. ყუბდობდით, ვიცინოდით და ისევ ვუბდობდით. უინ მოთვლისკარზე აღარ ვლაპარაკობდით, რას არ ვისხეუნებდით, რომელ ჩვენს მასწავლებელს, რომელ ჩვენს ამხანაგ-მისწავლელზე არ ვილესავდით ვნას... ერთმანეთით ასე ვართობი რომ გენახეს, ირაიდას მბუბუბობა საჩხერეში მისვლის შემდეგაც არ მოინადინეს ჩვენთვის „ხელის შეშლა“, ჩვენ ეივლით და შენ ნამეტანი ნუ ჩამოგვრჩებიო, გააფრთხილეს ჩემი ამხანაგი და თვისთვის გაუდგენ გზას. მე და ირაიდამაც არხეინად გავაგრძელებთ მატარებელში დაწყებული მასლაათი.

უკუ მოგახსენეთ, რომ შეხვედრის შემდეგ შესახებაც გიაშობოთ, უმნიშვნელოვანესი იყო ჩემი და ირაიდას სკოლისშემდგომ ურთიერთობაში. ნათქვამს უნდა დაესძინო, რომ აღნიშნული შეხვედრა ასეთი გახლდათ არა ჩემი და ირაიდას ბავშვობისდროინდელი შემთხვევების საამური გახსენებით, რის შესახებაც ეს-ესაა გაკვირით ვითხარით, არამედ უმთავრესად იმ ერთი ამბით, რაც ამის შემდეგ უნდა მოგახსენოთ.

...ის იყო, მე და ჩემმა თანამგზავრმა ყვირილაზე გადებული საჩხერის ძველი რკინის ხიდი გადმოვიარეთ და ჩვენთვის საჭირო მიმართულებით განვდილ ვხატეცილებზე გამოვუხევეთ, რომ ზედ ბახართან ნახშირივით შევი ბოშა ქალი გადაგველობა — გინდათ, თუ არა, უნდა გიმარჩიელოთო. მე და ირაიდამ ერთმანეთს გადავხედეთ და გულიანად გაეციანეთ. მერე მე, როგორც მაშაქამა, ბოშას ხელი ავუქნიე — რა დროს მარჩიელობაა, მოგვცლიათ ერთი-მეოთხე და გზის განგრძობა მოვიწადინე. ირაიდამაც ერთი მხარი დამიქარა, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. ბოშა საქმეოდ შეუპოვარი აღმოჩნდა და არას გზით არ ამირებად უკანდახევაას. კარგა ხანს „ვებრძოდით“ ერთმანეთს მე და მარჩიელი. ორივე ნამეტანი გაეჯიუტდით. ის „მოითი“ მიტვედა, მე „ართი“ ვიგერიებდი. ამასობაში ირაიდა ჩვენს სივრს უტყერდა და სიცილის გამო სულს ძლივს ითქვამდა. შემდეგ, არც ვცივი ამ სიცილით დაიღალა. თუ ბოშასთან უღონოდ შეჭიდებულს, მე გამინია ანგარიში, ირაიდამ ხელი ჩაიქნია და მიმარჩიელები, რაც არის არისო — დაამყა მოძალადე ქალის ნებას. გაჭერდი, გულზე მომეშვა. რაკი ირაიდა თავად არ თაილობს და უარს არ ამბობს ცრუმორწმუნე ქალის რჩევაზე, მე რალატომ დაეუშვლო-მეთქო. ერთი სიტყვით, მარჩიელმა თავისი ვაიტანა.

ალბათ არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმის დასურათებას, თუ როგორ ჩაბლუჯა ბოშამ ირაიდას აფთხი ფაფუკი ხელი, როგორ თვალების ცვეებით დააცქერდა მის გულზე გაულებულ ხაზებს, როგორი თაკვისებური ტუჩების ცმაცუნით აჩურჩულდა იგი საკუთარი შთაგონების წინაშე, ან კიდევ: როგორ იცინოდა ამ დროს თვითონ ირაიდა (ვგონებ, ბოშას დასცილოდა იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ყოველნაირად ცდილობდა წინასწარ დაემსახურებინა თავისი პაციენტის ნდობა და რწმენა).

განსაკუთრებული ხაზგასმით მხოლოდ ის მინდა აღვნიშნო, რომ როგორც კი ბოშა ხმამალა აღაპარაკდა, მამინევი ირაიდაც სიცილის შეეშვა და სმენად იქცა.

კარგი ბედი და იღბალი გელოდებაო... ქუიანი და მდიდარი ქმარი გეყოლება...

ორივე დიდხანს, ბევრ წელსნაღს იცოცხლებ-
თო... ტკბილად შეაბერდებით ერთმანეთსო...

როგორც დაუბრუნდა, ბოშას გადაწყვეტილი
ქტონდა ამის შემდეგ პაციენტის მშობლები-
სა და სხვათა და სხვათა შესახებ გაება საუ-
ბარი, მაგრამ ირანიდამ არ აცალა. შეიღებო,
— მოუთმენლად შესძახა, — შეიღები თუ
მეყოლებათ?! მარჩიელმა იგრძნო, რომ მის
მიმართ დასმული კითხვით გამოხატული ან-
ტრუსი ირანიდამი ერთობ დიდი იყო, ამიტომ
შეეცადა ეს ინტერუსი თავის სასარგებლოდ
გამოეყენებინა. შეიღები გვეყოლება, თუ გრა-
— ებ რომ რაივოგო, თუღი უნდა დამიმატო
და ორივეს რიგ-რიგობით შემოგვხადო. მეც
მამინევე განებაზღერე — როგორც უნდა მო-
ქცეულიყავი და, სანამ ირანიდა რამეს მანიშ-
ნებდა, როგორც იტყვიან, მარდად გაეკარი
ხელი ჯიბეზე...

ბოშამ თავისი მიიღო თუ არა, ისევე მიპუო
ხელი მკითხაობას. გაიგორა, რომ ირანი-
დას კარგი და ღირსეული ქმარი შეხედებოდა,
შემდეგ აღნიშნა, რომ შეიღებიც, რა თქმა
უნდა, მათ ც. ი. ირანიდას და მის ქმარს
ვეყოლებათ... ვეყოლებათ ერთი, ორი... ორივე
ქალი... სამი... მესამე ბიჭი და კიდევ მეოთხე
ქალი... ოთხი შეიღი, ოთხი ქალ-ვაჟი!

ბოშა ქალის ლამარაკზე ირანიდას პირდა-
პირ სახეში შეეფურებდი და ხედავდი რო-
გორ მატულობდა მის ცისფერ თვალებში სი-
ხარულის გამოხატვები სინათლე... ის იყო
ბოშამ ოთხი ქალ-ვაჟი წარმოსთქვა და ირანი-
დაც ისე მოწყდა ადგილიდან, როგორც ტო-
როლამ იცის, როცა მინიდან აფრენას და
ცაში შენაყარდებას მოინდომებს. ისე გახარე-
ბული იყო, ჩემი ყოფილი თანაკლასელი, ნამ-
დვილად აღარ იყოდა რა ექნა, ხან მარჯე-
ნიუ გაქენა, ხან მარცხნიუ, მერე მე მომეარ-
და, კისერზე ჩამომეკიდა: ამას უშველა ღმე-
რთმა, ეს რა კარგი რამ მითხრაო. შემდეგ
ისევე მარჩიელს მიუბრუნდა და ნინასწარ
მომზადებული ქალღმის ფული ჩაუტენა
უბეში.

გასამრჯელო, რომელიც ბოშა ქალმა თა-
ვისი მკითხაობისათვის ჩაიჯობა, როგორც
შევატყევე, მნიშვნელოვნად აღემატებოდა მის
მოლოდინს, უკმაყოფილო არ უნდა ყოფი-
ლიყო, ალბათ ამიტომ იყო, რომ ჩემდამი
„მომსახურებას“ ისე დაიკინებოთ აღარ მოინ-
დომა და ადვილად, უდავიდარაბოდ გაეკიშა
ჩენს გზაზე. მე და ირანიდა უკვე გულმეში-
დად მივაბიჯებდით, როცა ბოშამ მოკვამეი-
რა, მოდო, მანიშნებდა. მე და ჩემმა თანამგ-
ზავრმა გაეკირეებით გადავხედეთ ერთმანეთს.
ორივეს გაგვეყინა და ამასობაში ბოშამ ხე-
ლახლა მიხმო. მიდო, ხათრს ნუ გაუტეხავო,
შემომთხოვა ირანიდასაც.

რადღს ვიზამდი, სხვაკ არამ არა ყოფილი-

ყო, ირანიდას ვერ გავანბილებდი, შევედი.

— შენ ეგ გოგო გიყვარს! — ხმადაბლა,
მაგრამ ჯიქურ მომახალა ბოშამ, როგორც კი
მიეუახლოვდი. გაეკირებდა რომ დამატყო,
უფრო მეტი დაინებოთ გამიმეორა — გიყ-
ვარს, მე იცი!

ერთბაშად ისეთი კაცის მდგომარეობაში
აღვიმოგრნდი, რომელსაც მოულოდნელად
თავს დაქსხნენ და რალაც სანუკვარის წართ-
მევეს უპირებუნ არა, — მიწლოდა მეყვირა
პროტესტის ნიშნად, მაგრამ მარჩიელმა ხმის
ამოღება არ მაცალა. ახლოს მოვიდა და უფ-
რო მეტი იმეუახლებით გამიბა ლამარაკი,
იმით, რაც მისგან მამინ გავიგონე, იმდენად
გავვოცდი და შეეძრნუნდი, რომ კარგად
ვერც გავიზრე თანამოსაუბრის სიტყვების
მნიშვნელობა. ბოშას შეუმჩნეველი არ დარ-
ჩა ჩემი დაბნეულობა; მიხვდა, რომ ვერ შე-
ვიმეცნე, რაზეც მელამარაკებოდა, ამიტომ
ველოდური ნაწყვეტ-ნაწყვეტად გამიმეორა:

— გიყვარს... მე იცი, მე ხედავ... გინდა
მაგის გული შენი გახადო? მე მოგცე ნამა-
ლი! შეგიძლია, როცა გინდა, შენად აქციო.
შენს მეტი კაცის დანახვაც არ მოუნდება...
მე ნამალი მოგყიდო...

ბოლოსდამოლოს, გაჭირვებით გავიგე, რა-
ზეც ბოშა მელამარაკებოდა. გულისრევის
დროს რომ იცის, — ისეთ ხასიათზე დაედე-
ქი... ერთბაშად სიტყვისუთქმელად შევაქციე
ზურგი ბოშას და აქტარებით გამოვეშურე,
სადაც ირანიდა მელადებოდა.

დიდხანს ხმა არ ამოიღია, ისე მიუბი-
ჯებდი ჩემი თანამგზავრის გვერდით. თვალნი
ისევე ბოშად ბოშაქალი მიტრიალუბდა, ეს რა
მითხრა-მეთქი? მართლაც, რომ კუდიანი ყო-
ფილა-მეთქი... უზომოდ ველაადედი, გამწარე-
ბული ვიყავი. ამ დღეში მყოფი რომ მნახა,
ირანიდამაც მოსვენება დაკარგა. რა იყო და
რა მოგივიდაო? რა გითხრა ასეთი, რით მოგ-
შხამა ამ ქალმაო! მითხარი, თუ ოდნავ მაინც
ჩემი პატივისცემა გაქვსო!

არაფერი, არაფერი არ ყოფილა-მეთქი,
თვალში რალაც ჩამიყარდა და იმან შემანუ-
ხა-მეთქი და ამაზე ხელსახოცი თვალის ამო-
წმენდა დავიწყე.

მატყევა, შე უსეინდისო! ტყუილი ყოფი-
ლა ჩვენი მეგობრობაო! ამის შემდეგ ჩემი
სახელი აღარ ახსენო! ერთი სიტყვით, გაც-
ხარდა და აღარ დანყარდა ჩემი დაია-ქალი.
სანამ არ მიამბობ, რაც იმ ქალმა გითხრა,
ხედაც არ შემომხედოო...

მიხვდი, უარი არ გამოვიდოდა, და ყვე-
ლაფერი ვუთხარი. მოისმინა და ისიც ჩემ-
საკით განიშმატდა. ენა გაუხმეს, ეგ რამ ათ-
ქმეინაო?! მერე რამდენიმე ხანს იმანაც ჩემ-
საკით ხმაგაქმენდილა, დაფიქრებულმა
იარა და აკერ მოგვიანებით თავისთვის ჩაი-

ლაპარაკა — განა, ვინ ვგონივართო! ცოტა კიდევ იყურა და მერე ისევ კითხვისა და გაკვირვების ნიშნით დაუმატა: ჩვენს შორის ასეთი რამ რა სკადრისიაო?! ისევ მძღუმარედ განვაგრძებ გზა, რის შემდეგ მომიბრუნდა და შეიხება.

— მაინც ასეთი რა ნამალიაო — იმ სასიკვდილემ?

არც მე მიკითხავს და არც იმას უთქვამს-მეთქი.

... მე გამიგონია მაცნაირი ნამლის შესახებ... სულ ერთიანად გამოაყუყურებს თურმე ადამიანს. ერთი შეიძლება შევიყვარდეს, სა-მაგიეროდ ყველა სხვა დასანახავად შეგზარდება თურმე.

როგორც ნინასნარ დაეთქვით, მე და ირაიდა ერთად უნდა დაებრუნებულიყავით ქიათურაში იმავე საღამოს მატარებელზე. რკინიგზის სადგურზე ადრეანად გავდით. მატარებლის ნასვლამდე სალაპარაკოდ საქმომ დრო გვექნება-მეთქი. დავიწყე ბაქანზე წინ და უკან სიარული და საათის ისრებისადმი გულისგამანვრილებელი თვალთვალი... არ მოვიგია...

სიმატილე მოგახსენოს, ძალიან გამიკვირდა, ასეთ რამეს ირაიდასაგან არაფრით არ მოველოდი... გამიკვირდა და მუნყინა.

ორიოდე წლის შემდეგ, როცა ყველაფერი ზემოაღნიშნული თითქმის დამავიწყდა, ირაიდამ სამსახურში მომაკითხა: თვალები ჰქონდა დასიებული. შევატყვე, ნამტირადლევი იყო. შენუხებელი ხმით ლაპარაკობდა — ამდენი ხანა რაღაც შინდა გითხრა და ვერ მოვედიო, ორიოდე წუთი შემომწირე და მომისმინეო!

არ გრცხვენია, მე და შენ ასეთი ბოდისობა როდის ეცოდით-მეთქი?!

მართალია, არ ეცოდით, მაგრამ ახლა საჭიროაო. ცოტას გაჭმედა, ნამიანი თვალე-ბით შემომხვდა, თან გალიმება სცადა — ვთხოვდებიო.

რა მითხარი-მეთქი! ისე გავიკვირე, თითქოს შეუძლებელი რამ ეთქვას. კაცმა რომ თქვას, მართლაც, ვერ ნარმომდგინა ირაიდა და გათხოვილი... მერე ნელ-ნელა მოვეუ-განს. მიხედაო, რომ საქმე სრულიად ჩვეუ-ლებრივ აშავს ეხებოდა, მიველოცე, ვაგრ-ძნობინე, რომ გამეხარდა მისი გაბედნიერე-ბა.

მილოცვა თითქოს არც მიიღო, ყურადღე-ბის გარეშე დატოვა და მოულოდნელად ისე-თი რამ გაიხსენა, რისი ადგილი აქ არ იყო — ბოძა ქალმა რომ იონი ვეყო, თუ გახ-სოვსო?... საღამოს მატარებლით შენთან ერთად უნდა ნამოვსულიყავი ქიათურაშიო!... იცი, რატომ არ მოვედიო? შემეშინდაო... ბრიყუ-ლად ვიფიქრე ბოძასაგან ჩემს მალულად სა-

ნამლაგი არ გყვიდა და შენთან შეგზავნიდა დროს არ შემოგეპარებინაო.

ეგ რა გავიგე-მეთქი, და ელდისაგან კინა-ლამ თავში ვიტკიცე ხელი... ხო-ხო, ასე იყოო, — თავის კანტურით და ცრემლიანი სიცილით დამიდასტურა ირაიდამ საკუთარი ნათქვამი. რა სულელი ვიყავი, მე დასამინებელი, შენში ეჭვი შემეპარაო!

დაბნეულობისაგან, როგორც სხვა დროსაც ხშირად ვიცი ხოლმე, ენა ჩამივარდა. გაჩუ-მებული ვიდები და თვალს ვადევნებდი, თუ ირაიდა ერსა და იმავე დროს როგორ დას-ტიროდა და როგორ დასცინოდა ჩემსა და თავის ადრინდელ სიბრიყვეს.

როგორც ახლა ვაკვირდები, ყველაფერს, რაც ირაიდას შესახებ მეხსიერებაში შემომ-რჩა, თავისებური მარტივი სიუჟეტის ფორ-მა აქვს. ამ სიუჟეტის ზოგერთი ნაწილი ივად იყო, თუ კარგად, მე უკვე გაგაცანით. თუ ჩემმა ნათქვამმა მცირეოდენი ინტერესი მაინც აღვიჩინაო, მაშინ გავუბედე და ამბის დასკვნით ნაწილსაც ორიოდე სიტყვით მო-გახსენებო.

ირაიდასთან ჩემი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ სულ მალე დაიწყო ომი, რომელმაც თავდაყირა დააყენა ადამიანთა ცხოვრება და ამ მხრივ, როგორც დავინახეთ, არც ირაიდა ყოფილა გამოჩაღისი.

* * *

...1944 წლის აგვისტოში, მესამე უკრაინის ფრონტზე, დაჭრილი მიმიყვანეს ოდესის ერთ-ერთ ლაზარეთში (შოთავსებული იყო საშუა-ლო სკოლის სამსართულიან შენობაში, ლეე ტოლსტოის ქუჩის დასაწყისში); ორიოდე თვის მერე, როცა მწვავე ტკივილები დამიც-რა და ლაზარეთის დერეფნებში გასვლა-ვა-მოსვლის ნება დამმრცხე, ერთ ქართულ მეო-მართან მიმიყვანეს. ერთობ დიდ გასაჭირში იყო სანყალი. სანოლში გადაბრუნ-გადგმობრუ-ნებაჟ კი არ შეეძლო დაუხმარებლად. ხერხე-მლის ძვალი ჰქონდა დაზიანებული და, ამას გარდა, ბარძაყის საქმოდე მოზრდილი ნაწი-ლი გამოეგლიჯა ყუმბარის ნამსხვრევს. ინ-ვა და გულსაკლავად კენესოდა. ხანდახან თი-თო-ოროლა სიტყვას თუ ამოიძახებდა, ეს იყო და ეს. როგორც იქნა მოახერხა და ვინაობა მკითხა, პასუხი ვუთხარი და გაჩუმებულმა დიდხანს მიცქირა. მერე აგერ-აგერ გვიან მი-თხრა, რომ ექსამოვნა ჩემთან გაცნობა — მეუ ქიათურული ვარო. რა თქმა უნდა, ძა-ლიან გამეხარდა, უამრავი რამე ვკითხე. ერ-თადერთი ის მითხრა და ისიც გაჭირვებით, რომ ძინობაჟე იყო. დანარჩენ ჩემს კითხვებ-ზე პასუხის გაცემა ვერ შეძლო, ცრემლები კი მოადგა. შევატყვე, რომ ჩემი საუბრით

საძნელო მდგომარეობაში ვაფენებდრ, ამიტომ ხმა აღარ ამომიღია და პალატადან გამოვედი.

ერთ ხანობას ძინძობაძემ საგრძნობლად მოიკეთა. ქრილობებზე სიმსივნემ დაუკლო. ლაპარაკის უნარი მოემატა. მაშინვე შევაშინე, რომ მის კარადასთან ხშირად იჯდა ექიმის თანაშემწე: შინაურებთან გასაგზავნ ბარათს უმზადებდა მძიმედ დაქრილ მეომარს. იცოდა, რამდენიმე ხანში ოპერაცია უნდა გაეუტობინათ, ყუმბარის მამხზვერი უნდა ამოეღოთ სხეულიდან. ამ ოპერაციამ უნდა მიშველოსო. — იმედოვნებდა და ეს იმედიც თავის მხრივ, მხნობას მატებდა. რეჟიმის საოცრად დიდი პატივისცემელი, პუნქტუალური კაცი ჩანდა. მივიდოდი თუ არა, მაშინვე პალატის ექიმს ჰკითხავდა, ცოტა რომ უტოლპარაკო ხომ არ მავნებსო! ექიმიც დახედავდა, დიკრამაზე შეტანილ ტემპერატურის მაჩვენებლებს შეამონებდა და იტყოდა: შეიძლება, თუ ბევრს არ ილაპარაკებ... ცოტა შეიძლება!

ყოველ სიტყვას გამოზოგილად ამბობდა, ფრთხილბოდა, მეტი არ მომივიდებო! სამედიცინო პერსონალიც ჯეროვნად აფასებდა ძინძობაძის ასეთ თვისებას. ძალზე თადარიგიანი, ჭკვიანი კაციაო.

თანდათანობით ნიკო ძინძობაძემ თავისი ვინაობის დამახასიათებელი თითქმის ყველა ინფორმაცია გადმომიღაგა. რაც უფრო მნიშვნელოვანი იყო, მითხრა, რომ ახალი შერთული ცოლი ჰყავდა, თვითონ უმაღლესი განათლების დიპლომიც ის-ის იყო მობილჩა-ციის წინ მივლო, საბჭოთა მეურნეობაში ინჟინერ-მექანიკოსად აპირებდა მუშაობის დაწყებას, მაგრამ არ დასცალდა. არაფერი არ დამცალდაო, თითქოს თავისთვის ჩაიღებარაკება და გაული ამოუჯდებოდა ხოლმე.

განსაკუთრებით მომეტებულად ნიკო ცოლზე ლაპარაკობდა. სახლში მოყვანა მოყასნარი და ეს ხოცვა-ჭლებაც ატყდაო, ბედი არ გინდაო?! მე ხომ ვერ გავიხარე, აგერ ელაფე სულს, ის ქალიც გააუბედურეო!

ცოლის მისამართით „გაუაუბედურეს“ ხშირად იმორებდა, თურმე, იმიტომ, რომ საცოლის თანხმობა ქორწინებაზე ძალიან ჰქონდა მიღებული.

— მოხერხებული დრო შეუურჩიე და ვაკოცე. — მისუსტებული ხმით ჰყვებოდა ძინძობაძე, — უი, ჩემი სიყვდილიო, შეიცხადე... საწყაღმა ვოგომ, — ეს რა მკაადრეო... ხელი რომ არ მიმეშველებინა, ლოცვებს დაივლევდა. ატორდა და აღარ გაჩუმდა... თურმე რატომ იკლავდა თავს — შენი ნაკოცნი ტურები ვილას მივუტანო, ვილას უნდაო...

ერთხელ დაეატყვე, ძინძობაძე უკეთეს ხასიათზე იყო, ტურებზე მკრთალი ლიმილი

უთამაშებდა. დამინახა თუ არა, მაშინვე მამაძე — რა კარგი პქენი, რომ მოხვედი, ლმერთმა გიშველოსო. რაღაც სასიხარულოს მოლოდინმა შემბაჟო და უმაღლე ჩაკითხე რა იყო, გეტყობა კარგი რამ გაიგე-მეთქი ერთ ხანს არ გამოშვასხუბა, მე რე ძლიეს გასაგონი ხმით დაილაპარაკა: ისეთი არაფერი... ცოტა მეძინა, გავიღვიძე, ერთი რაღაც გამახსენდა და გადარჩენის იმედი მომემატაო.

მანც რა გაგახსენდა-მეთქი? — როცა ექორწინეთ, ჩემმა ცოლმა ერთიორჯერ მიხუმრა, ოთხი შვილი გაგვიჩნდებაო.

— განა საიდან იცოდა-მეთქი? — მკითხავს უთქვამს... ნეტავ, მართლა აგვიხდებოდა ეს მკითხაობა. — ისურვა ნიკომ და უფრო გაიღიმა — თუ ოთხი შვილი მინერია, მაშინ ახლანდელ, ჩემს უბედურებასაც ხომ უნდა გადაურჩეო?

პო-მეთქი, ნამდვილად გადაურჩები. მეთქი, აგერ ნახავ, მალე კარგად გახდები-მეთქი!

ერთხელ ვკითხე — მინიდან ბარათებს თუ იღებ-მეთქი? როგორც საერთოდ იცოდა, პასუხი შეაგვიანა. მერე უარის ნიშნად თავი გადაუქან-გადამოქანა: თავად არაფერი მიმინერია, ისინი როგორღა მომწერენ — მისამართ არ იციაო!

მაშ, ექთანს რაღას ანერინებდი-მეთქი?

— თავს ვიტყვედო... არა, ასე კი არ უნდა მეთქვა ერთხანს მინდოდა მიმწერო. მოკამხადე კიდეც ბარათი, ექთანს დაეანერინე. მერე უცებ გადავიფიქრე, გადავწყვიტე — მხოლოდ იმ შემთხვევაში გაეგზავნო ის დანეროლი ბარათი, თუ გადაურჩები და სახლში მისასვლელი პირი შექნება...

ძინძობაძის საქმე თითქოს უკეთესობისაკენ მიდიოდა, მაგრამ...

ერთხელ, როცა ჯერ კიდევ კარგად არ გათენებულყო, პალატაში ექთანი შემოვარდა და გაღვიძება დამინყო (მძინარე ვეგონე), თქვენბური ძალიან ცუდად გაგვიხდა და გაკითხულობთო. ერთ ნაშმი ფეხზე დაედექი და თითქმის სირბილით გავეშურე ძინძობაძისაკენ. მისთანა თქვენს დამანწყევარს, სულთმობრძავს ძლიეს მივუსნარი. ჩანთაში თავმყოფი ქაღალდები და ორდენ-მედელები მაჩვენა. თუ მამა ხარ ეს ყველაფერი შენ გებარებოდეო, თვალებით მანიშნა და გათავდა.

დიდხანს არ მინდოდა შევხებოდი ნიკო ძინძობაძის ნივთებს და მხოლოდ მაშინ, როცა ოდესის ლაზარეთიდან ისევე ფრონტზე გასამგზავრებლად გამწერეს, ვიფიქრე — ბრძოლაში მივდივარ, ვინ იცის, შეიძლება კარგი დღე არც მე დამადგეს, ამიტომ უმჯობესია ეს ნივთები ახლავ ნიკოს ჭირისუფ-

ლებს გადაუტანად-მეთქი და ქალაქებში მისამართს დაუწუნე ძებნა.

ადრესატის ვინაობა ნაეკითხე და რეტი დაშესხა... შავით თეთრზე ირავდა გუგუნავა ეწერა. მაშინლა მივხედი, რას ნიშნავდა ნიკო ძინძიბაძემ რომ მითხრა — ცოლისათვის მკითხავს ოთხი ქალ-ვაჟის შეძენა უნინასწარ-მეტყველებიაო.

გადავწვიტე, რომ ირავდასათვის მისი მუღლის დაღუპვის გარემოებაზე არაფერი მიმეწერა. ცუდი ამბავი რალა ჩემგან გაიგოს-მეთქი. თუ ცოცხალი დაერჩები, ომის შემდეგ ჩავალ, პირადად შევხედები და ყველაფერს მაშინ ვუამბობ-მეთქი.

ცოცხალიც გადაერჩი, შინაც ჩამოვედი, მაგრამ, სამწუხაროდ, ირავდა აღარ დამხედა. პოტკინის ავადმყოფობას გაეთანგა სანყალი, ომის დამთავრებამდე სამი თვით ადრე.

ეს რომ მითხრეს, კიდევ ერთხელ გავგულისდი ბოშა ქალზე, რომელიც საჩხერის ბაზრის წინ შეგვხედა. იმ კუდიანმა ასე ყველაფერი ტყუილი როგორ თქვა-მეთქი... მაგრამ მერე ვიფიქრე და მივხედი, რომ ბოშა არაფერ შუაში იყო, რომ მთავარი ბრალი ირავდას და ყველა ჩვენგანის წინაშე უფრო სხვა დამნაშავეს მიუძღოდა და მის სახელს თქვენ ჩემს უთქმელადაც გამოიცნობთ — ომი!



უბნ მდებარე
 უბნ ილია

ალექსანდრე კუზნინი

ონეზინის მოგზაურობა

ნაწიყვეტები

„ვეგენი ონეზინის“ ბოლო თავის ცალკე გამოცემის წინასიტყვაობაში პუშკინი აღიარებს, რომ იძულებული გამხდარა მთელი თავი ამოელო რომანიდან, სადაც აღწერილი იყო ონეზინის მოგზაურობა რუსეთის იმპერიაში.

ამ გარემოებას განუპირობებია ნაწარმოების ფინალის კომპოზიციური ცვლილება და გამოტოვებულ სტროფთა ციფრების წერტილებით შეცვლა.

„ცდუნების ასაკილებლად“ (მისივე სიტყვებით) პოეტს „ვეგენი ონეზინის“ ბოლო თავი მე-9 მაგიერ მე-10-ით დაუნომრავს.

ლექსად დაწერილი რომანის დამასრულებელი მე-9 თავის ნაწიყვეტები ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება.

ოთარ ხაღიძე

ვეგენი ონეზინი მოსკოვიდან ნიჟნი-ნოვგოროდს

მიემგზავრება:

...აქ, მის წინარე
დულს მაკარევის
უხვი ბაზრობა,
მიწვივ მშფოთვარე და მოწრიალე;
ინდოელს მოაქვს მარგალიტები,
ევროპელს — ლვინო ნათალღითები,
მერმე ბაი ცხენების რემას
ტრამალეზიდან მოერეება,

აქ მოთამაშეს ბანქოს დასტანი
და კამათლებიც მოჰყუა ჩასმული,
ბატონს აქ მოყავს მოდაგასული
ასულნი, ერთ დროს ახალგაზრდანი.
აქ ყველა ცრუობს და უსაშველო
მერკანტილიზმი სუფევს გარშემო.

მოწყენილობა!..

ონეზინი ასტრახანში მიემგზავრება და

იქიდან — კავკასიაში

გაჰყურებს იგი: არღევს ფრიალო
ნაპირებს თერგი ტალღებყაროლი,
რკალაუს არწივი მფფურ ირაოს
ბეჭეზე ირემი დგას რქებდახრილო,

წევს ნარაქლემი ჩრდილში ქარაფთა,
ველზე ჩერქეზის მიჰქრის მარქაფა
და მომთაბარე კარაფთა ახლოს,
სადაც ყალმუხთა ცხვარი ბალახობს,



შორს — ქედები უზარმაზარი:
მათკენ ვა გახსნეს, ბრძოლით
გაიჭრენ.

სილიეს საშოში კლდეთა კარიბჭე
და ბუნებრივი ზღუდე-საზღვარი,
მტკვარში არაგვი სადაც ვარდება —
ნახე რუსულმა სარაფარდებმა.

ტრამალთ გუშავი მარადიული,
წვერწამახული მთა ბეშთაუის
ბორცვთა ალუაში დგას გარინდული
და გვერდზე უდგას მწვენე მამუციც,
რომლის უებარ წყალს შესეულნი
ელტვიან გრძნველ ტალღებს ნუნუნნი:
ზოგს ტანჯავს კვალი ბრძოლის

განცდილის,
ზოგს ტრფობის ნაშთი, ზოგს ბუასილი.
საპუარი ფიჭრობს: სასწაულებრივ
წყალში სიციხის ბაფს გაიმაგრებს,
ტურფას ჰგონია: ფსკერზე მიადგებს

რაც ავი წლების დარჩა წყლებში,
ბერიკაცს მთელი გულით სწადია
გაყმაწვილება — თუგინდ წამითაც.

მწარედ აფიჭრებს და ავალალებს
მათი ოჯახის დარდი ონეგინს,
ღრმა სინანულით თვალს გადაავლებს
ჰველებს — ოხშივრად ზეამოდენის;
მას გულს უნისლავს სევდა ტალი.
ფიჭრობს: რად არ ვარ მკერდნატყვიარი,
რად არ ვარ ეგრე მჭლე და ტანჩია,
როგორც საწყალი ეგ მევახშეა,
ვით ტულელ მსაჭულს, მეც უსამველო
დამბლა ლოგინად რად არ მაგდებდა
ან რევმატიზმით დაავადებდა
რად არ ვგრძნობ მხარში? პოი,
გამჩენო!

ვარ ჭანმაგარი და ახალგაზრდა:
რას ველი? სევდის, ნალველის გარდა!..

ონების შემდეგ თავრიდს ეხვევა:

შმინდა მხარეა წარმოდგენილი:

აქ შეედავა ატრიდს პილადე,
აქ განიგმირავს თავს მითრიდატე,
აქ მიცვევიჩი შთაგონებული
მღეროდა ზღვისპირ კლდოვან სერებთან,
მშობლიურ ლიტვას რომ იხსენებდა.

მწვენიერნი ხართ, თავრიდის პირნო,
ოდეს ეპირიდა შუქს გფენთ დილისას,
გემიდან შორით ტკბილად საშვირო,
როგორნიც გნახეთ პირველ ხილვისას;
მექორწინეთა ნაირ ბრწყინავლით:
ლურჯ, გამჭვირვალე ცაში ციავით
ჭგროდ იდგენ თქვენი მთანი მალაღნი,
ველთა, სოფელთა, ტყეთა მაქმანი
წინ გამეფინა და იქ თათართა
ქოხებთან რაროვ გამომიფხიზლა
გზნებანი სევდის ჯადო-თილისმამ!
რა უნათლესი დარდი ჩაეარდა
გავარეარებულ ჩემს საგულეში!
მაგრამ მუხაო! წარსულს მოეშვი.

რა გრძნობაც ენთო ჩემში მალულად,
ალარ შემომრჩა მათი ნასახიც;
ყველა შეცვლილა ან მინავლულა...
მშვიდობით, წლებო განცილ
ცახახის,
ჩემად მეწადა მაშინ ტრამალნიც,
მარგალიტოვან მხარის ტალღანიც,
ზღვის ზეთიც, ჭარად კლდენიც
ფიქალის,
და იდეალიც ზვიადი ქალის,
სხვა დღენიც და სხვა სიზმართ
სამეფოც,
ტანჯვაც — უთქმელად გამოსახული...
დამცხრალხართ ჩემი გამოზაფხულის
ნატვრებო — მალაღფარდოვანებო,
და მგოსნურ თასში, წლების ჩაელის
ხანს,
წყალი საქმოდ ბევრი ჩამისხამს.

სხვა სურათები ვცანი საჭიროდ:
შემყვარებია კბოდე ქვიშნარი,
ქობის წინ წყვილი წორო საჩრდლო.

გადამზღველელი ღობე, ჭიშკარი,
მონაცრისფერო ცა მოღრუბლული,
კალოსთან ნამჭა-ჩალის ბულულნი,
ჩერო დაბურვილ მტირალ ტირიფთა,
იხვების გუნდიც იქვე, ტბისპირას.
ბალაღიკა მავსებს ხალისით
და ბაეაბუი მთვრალი ტრეპაკის,
დუქნის კარებთან, ვაცისკრებამდის.
მყავს იდეალად დიასახლისი.
ცხოვრება მინდა მშვიდობიანად
და ოჯახის თავს — შჩი ქოთინიანად.

მგზავრი, ანაზდად, დარმა უდარომ
საჩეხში ამას წინათ შემავდომ...
ფუ! პროზაული აბდაუბდომ,
ფლამანდურ სკოლის მწერრევე ფერადო!
ბახჩისარაის შადრეევანო, თქვი!
ასეთი ვიყავ, ოდეს ვყვავოდი?
განა ამგვარი რამ უსასაო
აღმიძრა შენმა ხმამ უსასრულომ,
როცა ზარემას წარმოდგენისას
წან გედექ ჩუმად, როცა კაეშნის
ტყვე ესახე მეფურ, ყრუ დარბაზებში...
სამი წლის შემდეგ აქ ონეგინსაც,
ჩემს მერე, ამავ გზაზე ნებივრად
მოხეტიალეს გავხსენებია.

მაშინ ესტუმრობდი ოდესას მტვრიანს...
სადაც ნათელი ცაა ხანგრძლივად,
უხვი ვაქრობის ორომტრიალის
აფრები მალა სადაც აწვდილან.
აქ ვველაფერში სუნთქავს ევროპა,
ბრწყინავს სამხრეთი ნაირფეროვნად
ცინცხალი, ჭრელი და პეწიანი.
იტალიური აესებს წკრილით
ქუჩას მხიარულს და გაცინებულს,
სადაც ამაყად მიმავალ სლავთან
ნახავ ესპანელს, ბერძენს, ფრანგს,
თათარს,
სომეხს, მოლდაველს —

თავდამძიმებულს,
მოყმეს, ეგვიპტის შვილი რომ არის
და აწ გადამდგარ კორსარს —
მორალის.

ოდესა ერთ დროს ხმოვან ჰანგებით
ჩვენს ძმას ტუმანსკის აღუწერია,
მას ოლონდ მისთვის უთვალალებოდ
და პირუთენელად არ უცქერია.
პირდაპირ მგოსნად მოსულს

ლორნეტით,
ზღვისპირ მოხეტეს განმარტოებით,
კალმით მომხიბვლელს უთქვამს
კიდევაც

ოდესის ბალთა ქება-დიდება,
ეს ყოველივე კარგია, მაგრამ
შიშველი სტეპა მეფობს გარშემო,
და სულ ახლახან შემოგარენში
აქ-იქ ჩაყრილ რტოებჩვილ ნარგავს
აჩვევენ ზვატში სიცხის მოთმენას
და იძულებით ჩრდილის მოფენას.

ამ უთავბოლო ამბავს რა ჰქვია?
მტვრიან ოდესას ესტუმრობდი-მეთქი,
არ შევეცოდებდი, არა, ნამდვილად,
მას ტალახიანს თუ დავარქმევდი.
ყოველ წელს ხუთ-ექვს კვირას ოდესა
მრისხანე ზევისის ნებით, როდესაც
დაიტბორება და შავ არშიად
შენობებს ლაფი სწვდება არშინზე;
ქუჩის სხვა მხარეს ვინმე ვაგლახით
ოჩოფეხებზე თუკი გატოპავს,
ნულარ დავედრის უყისმათობას.
იწოვს კარტებს, მგზავრებს ტალახი,
და ბეხრეკ ცხენის ნაცვლად შებმული
ხარი სწვეს ფორანს რქებდაშვებული.

მაგრამ უროთი ქეები იმხერევა,
და ხვალ ქალაქი გადარჩენილი
ხმიერ ფილაქნით მოიკირწყლება,
როგორც რვა-ჩაეშნით გადაჰვდილი.
ოლონდ ნესტიანს ახლავს ოდესას
ყურადსალები ნაკლი, რომელსაც
თქვენც ხედებით? — წყალი არ
გააჩნია.

მისი საშველი, ხსნა ჭაფაშია.
რას იქმ?.. არძენილი გასაძლისია,
თუ ბლომად მოსდის საზღვარგარეთის
უბაყო ლეინო, თუ მზე სამხრეთის,

შევი ზღვასავეთ მარად მისია.
მეტი რა გნებავთ? ამებო, საყუთრიე
ეს მხარე ლეთისგან არის ნაყურთხი!

დაიკვებებდა ხოლმე ცისკრისას
გემზე ქვემეზი და მეც ჩაუღვედი
სირბილით დაღმართს ზღვის ნაპირისას,
გამაკოცლებდნენ მლაშე ქაელები.
მერე ცხელ ჩიბუხს გვაბოლებდი
ვანცხრომით, ტალღის ნაამბორები
სქელ, აღმოსავლურ ყაეას მოვსევამდი,
ნირეანას მყოფი ოსმალოსავით.
შემდეგ გავწვედი, სადაც კარლია
კაზინო იდგა კეთილგანწყობით
კიქათ წყრიალით, სადაც ნაცნობი
მარკერა ცოცხით ჰგვიდა აივანს
ჭერაც მთელმარე, და წინგარდასთან
მხედებოდა უკვე წყვილი ბაზაზთა.

ხედავ — აკრულებს დილა მოედანს.
გამოცოცლება უცებ ეტუობა
ყველას, საქმიანს, უსაქმოებსაც,
საქმეზე გარჯის უმეტესობა.
ქე ანგარიშის და შემართების
ვაჭარი ჩქარობს ნახვას აფრების,
უნდა იბილოს — ცამ თუ აღირსა
მოაფრიალება წაცნობ აღმისა.
ამჯერად რომელ ახალ საქონელს
აქვს კარანტინი გამოსავლელი?
მოვიდა ღვინო გამოგზავნილი?
ჭირი, ხანძრები სადა სახლობენ?
ოპი, შიმშილი მაინც სად არი
ან სიახლეხი ამისდაგვარი?

ჩვენ კი, უსაღვლო უმაწვილეაეები,
მზრუნველ ვაჭართა შორის ნადიმაღ
ველოდით მხოლოდ ნაზ ხამანწყების
მოსელას ზღვისპირა ცარეგრადიდან.
რა? მოიტანეს? ო, სიხარულო!
უძღვებ უმაწვილთა ჯგრო მოხმაურობს,
ზღვის ნიეარათა მსუყე და ცინცხალ
ტყვეებს ლიპონით ოდნავ დაწინწყლავს

და შთანთქავს ცოცხალს, გინჯლიმთქმს
გაუშზადებელს.

ახალგაზრდობა ზრინავს ზარბოში,
მარნიდან ღვინო გრილ-მარაბოში
ამოაქვს ოტონს* დაუზარებელს.
დრო კი უჩინრად ჰქრის არსანდობი
და მკაცრ ანგარიშს ზრდის საათობით.

უკვე მქედება მწუხრი ცისფერი.
დროა ოპერის, სადაც როსინი
გვზნიდავს ევროპის ქე ბედნიერი,
დამათრობელი ორფეოსივით,
მკაცრი კრიტიკა არ ენაღვლებს,
მარად უცელელი მარად ახლდება,
ჰანგებს ღეროს იგი და ჰა, ბგერები
დიან, იწვიან ანაუღერები,
როგორც ამბორი ახალგაზრდების
უნეტარესი ტრფიალის ალით,
როგორც შიშინი, ჩქრიალი აის**
ოქროსქაელება და აღმაგზნები.
მაგრამ ნება მაქვს, ჩემო ძვირფასნო,
ღვინოს რომ ვადრო

დო-რე-მი-ფა-სოლ-ს?

იქ გზიბლავთ განა მარტო ჰანგები?
არ გსურს ლორნეტით თვალის
გართობა?
არც კელისთ მიღმა ჰაემანები?
არც ეს ბალეტი? არც prima donna?
არც ლოქა, სადაც მეფობს ციავით
ლამაზი ცოლი ნეგოციანტის —
გარემოცული თავის მონებით,
თვალებს რომ ნაბავს თავმოწონებით?
უსმენს და არც კი უშეებს უურებში
იგი ღალადისს და კაეატინას,
ეთი ჭათინაურს მაევილაკისას.
ქმარი კი — უკან ყვინთავს კუთხეში,
თვლემს და, ბისისას, ხან აყვირდება,
ხან დაამთქნარებს და ახვრირდება.

* ოდესელი რესტორატორი.

** შეშხუნა ღვინო.

ფინალი გრგვინავს; დარბაზს ტოვებენ;
ხალხი ზრიალით გარეთ გავარდა
და მიაშურა სწრაფად მოედანს
შუქში ვარსკვლავთა და მკრთალ
ფარანთა.

შვილნი ბედნიერ ავზონიასი
გალობენ ნარნარ, ამო სინაზით
აკვიატებულ მოტივს ხმალალად,
ჩვენ რეჟიტატივს ვბლავით ვაგლაზად.
მაგრამ გვიანი, ჩუმი და მუქი
არ სუნთქავს მუნჯი ღამე, როდესაც
სითბოში ყუჩად სძინავს ოდესას.
ამოდის მთვარე: ციდან მსუბუქი
და გამჭვირვალე ეშვება ფარდა;
სდუმს ყველაფერი, შავი ზღვის გარდა...

მაშინ ეცხოვრობდი მე ოდესაში...

თარგმნა ითარ ჯაღიძე



ოჯახი ქარში

მოთხრობა

ორი მამაკაცი მანქანით მიუყვებოდა გორაკს, სისხლივით წითელი მზის მიმართულებით. გზას შეჩხერო და შემკნარი ბამბის პლანტაცია ერთყა, ნაძვის ხეებში ნიაფი არ იძროდა.

— ფხიზელი რომ ვარ, — ამბობდა ექიმი, — ესე იგი, საესებით ფხიზელი რომ ვარ, იმავე სამყაროს კი არა ვხედავ, რასაც თქვენ. ერთი ჩემი ნაცნობით მომდის: ცალი თვალი აქვს სალი და ბეცი თვალისთვის სათვალე იყიდა, მაგრამ გაიკეთებდა თუ არა, მზე მაშინვე კეპრცხივით დაგრძელდებოდა, ტროტუარი დაიბრიკებოდა და ეცემოდა. ასეთ დღეში იყო, სანამ არ მოიძრო და არ მოიხროლა სათვალე. მეც თითქმის მთელი დღე ნასეამი ვარ და სწორედ ამიტომ მხოლოდ იმას ვაკეთებ, რისი გაკეთებაც შემიძლია ასეთ მდგომარეობაში.

— ჰო-ო, — დაეთანხმა ექიმს მისი მამა ჯინი, თან უხერხულობა იგრძნო. ექიმი ახლაც შემთვრალი იყო და ჯინმა ვერაფრით ვერ მოახერხა თავისი სათქმელი ეთქვა. მასაც, როგორც უმრავლესობა სამზრეთელს—დაბალი წირს წარმომადგენლებს — ღრმად ჰქონდა ჩანერგილი ზრდილობის წესები, დამა-

ხასიათებელი იმ ადგილებისათვის, სადაც მგზნებარე და ფიცხი ხალხი ცხოვრობს. ჯინს არ შეეძლო შეეცვალა საუბრის თემა, სანამ ერთი წუთით მაინც არ ჩამოეკარდებოდა სიჩუმე. ფორესტი კი შეუჩერებლივ ლაპარაკობდა:

— ან ძალიან ბედნიერი ვარ ხოლმე, — განაგრძო მან, — ან ძალიან უბედური. ზოგჯერ კმაყოფილი ვიცი, ზოგჯერ მთვრალივით ეტირი. ფეხს ვითრე, ცხოვრება კი თანდათან უფრო სწრაფად გარბის. ისე რომ, რაც უფრო ვიფიქტები, მით უფრო საინტერესო ხდება ცხოვრების სწრაფად მსრობილი სურათები. ნაცნობ-მეგობრების პატივისცემა დაეკარგე, მაგრამ ამას გრძნობების ციროზით ვინაზღაურებ. რაკი აღარაეინა მყავს, რომ თანაუფგრძნო, შევიკოდო, ვინც მომხვდება, იმას თანაუფგრძნობ და საოცრად კარგი ადამიანი გავხდები, გაცილებით უკეთესი, ვიდრე მაშინ, როცა კარგი ექიმი ვიყავი.

ერთი მოსახვევი კიდევ გაიარეს, გზა გასწორდა, ჯინმა მოშორებით თავისი სახლი დაინახა, გაახსენდა ცოლის სახე, როცა მან დაითანხმა, რომ ფორესტი მოეყვანა, და ველარ მოითმინა:

— ფორესტ, რაღაც უნდა გითხრა... მაგრამ ექიმმა ერთბაშად გააჩერა მანქანა პატარა სახლის წინ, ნაძვების კორომის უკან. წინა კიბეზე რვა წლის გოგონა ნაცრისფერ კნუტს ეთამაშებოდა.

— ამაზე საყვარელი ბავშვი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს, — უთხრა ექიმმა ჯინსს და მერე ბავშვს ჰკითხა სერიოზული კილოთი: — ელენ, შენს კნუტს აბები ხომ არ სჭირდება?

გოგონამ გაიციხა.

— რა ვიცი, — უპასუხა ყოყმანით ბავშვმა. ის სულ სხვა რაღაცას ეთამაშებოდა კნუტს და ექიმმა ალბათ ხელი შეუშალა.

— იმიტომ, რომ ფისომ დამირეკა ამ დღით, — განაგრძო ექიმმა, — მითხრა, დედაჩემი სულ არ ზრუნავს ჩემთვის, იქნებ მონტგომერიდან კარგი ბიძა გამომიგზავნოს.

— ამას არ დაურეკავს, — აღშფოთებულმა გოგონამ კნუტი მკერდზე მიიკრა. ექიმმა ხუთცენტისანი ამოიღო ჯიბიდან და კიბეზე დააგდო.

— რძე დიდი დოზით მიეცე, — უთხრა ექიმმა და მანქანა აამუშავა. — ღამე მშვიდობისა, ელენ.

— ღამე მშვიდობისა, ექიმო!

მანქანა რომ დაიძრა, ჯინსმა ისევ სცადა ეთქვა თავისი სათქმელი:

— მომიხმინე, ერთი წუთით გაჩერდი აქ, ერთი წუთით.

მანქანა შედგა და ძმები ერთმანეთს მიაჩერდნენ. ორივე ერთნაირად ჩაფსკენილი იყო, რაღაცნაირი ასკეტური სახეები ჰქონდათ და ორივე ორმოცს იყო გადაცილებული. განსხვავდებოდნენ კი იმით, რომ ექიმის სათვალე ვერ მალავდა მის წითლად დაძარღვულ, ლოთის ცრემლმორეულ თვალებს, სახე ჭალაჭური ნაოჭებით ჰქონდა დასერილი. ჯინსს ღრმა ნაოჭები კი ნივნივებს და ჩარდახის საყრდენ ბოძებს ჰგავდა, მას მშვენიერი, ხვევრდოვანი ლურჯი თვალები ჰქონდა. მაგრამ ყველაზე მეტად ძმები იმით განსხვავდებ-

ოდნენ, რომ ჯინსს ჯანი სიმბოლო ექიმში ფორესტს ჯანი კი უდავოდ განათლებული.

— რა იყო? — ჰკითხა ექიმმა.

— შენ ხომ იცი, რომ პინკი დაბრუნდა, — თქვა ჯინსმა, თან გზას გასცქეროდა.

— ჰო, გავიგე, — ცივად უპასუხა ექიმმა.

— ბირმინჰემში იჩხუბა და თავში ესროლეს, — ჯინსი შეყუყუანდა, — ექიმში ბერერი მოვიწვიეთ, იმიტომ რომ ვიფიქრეთ, იქნებ შენ არ...

— არც მოგვიღებ ხელს. — დაეთანხმა ექიმში ზრდილობიანად.

— კი მაგრამ ფორესტ, — არ ეშვებოდა ჯინსი, — შენ თვითონ ხომ იცი... სულ იმას არ ამბობდი, ექიმ ბერერს არაფერი ესმისო. მეც ასე მგონია. ბერერი ამბობს ტყვია... ტყვია ტვინს აწვევბა და ამოღებისას ვაი თუ სისხლის დენა ვერ შევუწყვიტო... ისეთ მძიმე მდგომარეობაშია, არ ვიცი ჩააღწევს თუ არა მონტგომერიმდე, ან ბირმინჰემამდე. ჩვენ მხოლოდ იმასა გთხოვთ...

— არა, უპასუხა ძმამ და თავი გაიქნია, — არა.

— მე მხოლოდ ის მინდა, ნახო და გვითხრა, როგორ მოვიქცეთ, — მუდარით უთხრა ჯინსმა, — უგრძობლად არის, ფორესტ, ვერ გიცნობს, შენც გაგიჭირდება მისი ცნობა. დედამისი ღამის გაგვიდეს.

— დედამისი ცხოველური ინსტინქტის ტყვეობაშია, — ექიმმა უკანა ჯიბიდან ბოთლი ამოიღო — წყალგარეული ჯინსი — და მოსვა. — მე და შენ კი ვიცით, — ეგ იმ დღესვე უნდა დაგვეჩჩო, როცა დაიბადა.

ჯინსი შეერთა.

— ჰო, ცუდი ადამიანია, — აღიარა ჯინსმა, — მაგრამ... რომ დაგანახვა რა დღეშია...

ექიმს ვისკიმ გულგვამში დაუარა და უცებ იგრძნო, რომ რაღაც უნდა გაეკეთებინა, თავისი აზრი კი არ შეეცვალა, უბრალოდ, რაღაც ექსტი გავკე-



თებინა. შეენარჩუნებინა საკუთარი მი-
სუსტებული. მაგრამ მაინც მებრძოლი
ნებისყოფის სიძლიერე.

— კარგი, გავსინჯავ. — თქვა მან. —
მაგრამ შეეღიჯე არ ეუშევილი. მაგის-
თანა უნდა მოკვდეს. თუმცა სიკვდილი-
თაც კი ვერ გამოისყიდის იმ დანაშა-
ულს, რაც მან მერი დეკერის მიმართ
ჩაიდინა.

ჩინმა ტუჩები მომუწა.
— ფორესტ, დარწმუნებული ხარ მა-
გამი?

— დარწმუნებული! — წამოიძახა
ექიმმა. — რა თქმა უნდა, დარწმუნე-
ბული ვარ. მერი შიმშილით მოკვდა.
არა მგონია, კვირაში ორი ფინჯანი ყა-
ვის გარდა რაშე ჩაეღოს პირში. მისი
ფეხსაცმელი რომ გენახა. მაშინვე მიხ-
ვდებოდი, რამდენი მილი გაიჭრა ფე-
ხით.

— ექიმი ბერერი ამბობს...
— მაგან რა იცის? ბორმინგემის შო-
სეზე რომ იპოვეს მკვდარი, მე გააკვი-
რეთ. ნაშინილვე იყო და მერტი არაფე-
რი. მაგ... მაგ... — ექიმს მღელვარებო-
საგან ხმა აუკანალდა — მაგ თქვენმა
პინკიმ შეურაცხყო, გამოავლო და მე-
რი შინისაკენ მოდიოდა. ძალან მიხა-
რია, რომ ორი კვირის შემდეგ მისი
მომაკვდავი მოიყვანეს შინ.

თქვა ექიმმა, გაკოფებით დააკირა
ფეხი გახს. მანქანა მოსწყდა ადგილს
და ერთი წუთის შემდეგ უკვე ჩინის
სახლთან გაჩერდა.

სახლი მაგარი ჩინის ზისგან იყო ნა-
გები. საძირკველი აფურისა ქონდა.
კარვად მოვლილ ვაზონს ეზოსაგან ღო-
ბე უფდა. ბენდინგისა დანაშაულობლო
სოფლების სახლებზე უფთესი იყო ეს
სახლი. მაგრამ მისი პატრონების უო-
ფა-ცხოვრება არაფრით არ განსხვავდე-
ბოდა მეზობლებისაგან. ალაბაძის ამ
კუთხეში კლანტატორების უკანასკნე-
ლი სახლებიც დიდი ხანია ვაქრა. მათ-
მა შედიდურმა სვეტებმა ვერ გაუძლო
სიღარიბეს, ღობას და წვიმებს.

ჩინის ცოლი, როზა საქახელა საეარ-

ძელში იჭდა კერანდაზე და მან დახა-
ვაზე წამოიჭდა.

— გამარჯობა, დოკ. — მიესალმა ქა-
ლი, თან ნერვიულობდა. თვალს ათი-
დებდა. — დიდი ხანია არა ათვილობარ
ჩვენთან.

ექიმმა რამდენიმე წამით გაუსწორა
თვალი რბალს.

— გამარჯობა, როზა. — უთხრა მან.
— ედისის და იუჯინს ვაუმარჯოს. —
ახლა პატარაპკოვო-ბიქს მიმართა, რო-
მლებიც დედას უკან ამოსდგომოდნენ.
და მერე — მოქმარჯობა. ბერ! — ეს უ-
კვე ცხრამეტი წლის ჩასკენილ ვაქს უთ-
ხრა, რომელიც სახლის კუთხეს გამოს-
ცდა. მკლავები ლოდისთვის შემოკვდო
და ისე მოქმონდა.

— წინ დაბალ ყოვესაკით გუნდა
ამოუვაშენით, უფრო კობტად იქნება.
— აუხსნა ჩინმა.

ყოველი მათგანი ვერ კიდევ პატრეს
სცემდა ექიმს. მაგრამ გულში უსაყვე-
დურებდა, რადგან უკვე კულარ დაიტ-
რბახებდა სახელგანთქმული ნათესავი
მყავსო: „დიახ, სერ, ერთ-ერთი საფე-
კეთესო ქირურგია მონტგომერიში“. მა-
გრამ ექიმს შერჩა თავისი სწავლულო-
ბა და საუკეთესო ქირურგის სახელი.
რომელიც მანამდე გაითქვა, სანამ პრო-
ფესიული აფიომკვლელობა ჩაიდინა
ციხიკოსი და ლოთი ვახდა. ორი წლის
წინ ბენდინგში დაბრუნდა და აქაური
აფთიქის მფლობელისაგან წილის ნა-
ხეკარი იყდა. ექიმის ლიცენზია შეუ-
ნარჩუნეს, მაგრამ ოპერაციას უვიდუ-
რეს შემთხვევაში აკეთებდა.

— როზა. — უთხრა ჩინმა ცოლს.
ექიმმა თქვა პინკის გავსინჯავო.

პინკი ჩანი ჩახელებულ ოთახში იწ-
ვა. ტუჩები გასთეთრებოდა, დაბრეკო-
და. წვერიც წამოზრდილი ქონდა. რო-
ცა ექიმმა თავზე სახევეი შემოხსნა, პი-
ნკის სუნთქვა ჩუმ კენესად გადაიქცა.
მაგრამ ოპერაციის სხეული არ
განბრეულა. რამდენიმე წუთის შემდეგ
ექიმმა ისევე შემოახვია სახევეი და რო-

ზასა და ჯინთან ერთად ვერანდაზე დაბრუნდა.

— ბერერმა უარი თქვა ოპერაციაზე?

— კი.

— რატომ ბირბინებში არ ვაუქეთეს?

— არ ვიცო.

— ჰმ... — ექიმმა თავისი ქუდი აიღო.

— ტყვია სასწრაფოდ უნდა ამოულოთ, საძილე არტერიის გარსს აწეება. ეს არის... ერთი სიტყვით, ამ ჰულსით მონტგომერიში ვერ წაიყვანთ.

— მაშ, რა ვქნათ? — აღმოხდა ჯინს.

— ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— კიდევ სთხოვეთ ბერერს, იქნებ დაითანხმოთ, ან მონტგომერიდან ჩამოიყვანეთ ეინზე. ოპერაციით გადაორენის შანსი 25 პროცენტია. უოპერაციოდ კი სულაც არ არის.

— მონტგომერიდან ვინ ჩამოიყვანოთ? — ჰკითხა ჯინმა.

— რომელიც გინდა კარგი ქირურგი გააკეთებს ამ ოპერაციას. ბერერიც კი, ცოტა ეაკაცობა რომ ჰქონდეს.

უკებ როზა ჯინი სულ ახლოს მივიდა ექიმთან. დაძაბულ თვალებში ცხოველური დედობრივი გრძნობის ეცხლი ენათო. მან ექიმის პიჯაკის ორივე ლაქიანი ჩაბლუჯა.

— შენ ვაუქეთებ ოპერაციას, დოქ! შენ შეგიძლია! შენ მაგათზე უკეთესი ქირურგი იყავი! გემუდარები, დოქ, ვაუქეთ!

ექიმმა უკან დაიხია, ქალს ხელები გააშეშებინა, თავისი კი წინ გაიშვირა.

— ხედავ, როგორ მიკანკალბებს? — უთხრა მან დახვეწილი ირონიით, — კარგად დააკვირდი და დაინახავ. მე ვერ გავებდავ ოპერაციის ვაუქეთებას.

— მშვენივრად ვაუქეთებ, — ნაჩქარევად უთხრა ჯინმა, — ერთს მოსვამ და ვაგივლის კანკალი.

ექიმმა თავი გაიქნია, თან როზას უუუბებდა.

— არა, არ მენდობიან და თუ რამე ისე არ მოხდა, როგორც საჭიროა, მე დამაბრალებენ. — ექიმი, ცოტა არ

იყოს, თავს იწონებდა, საჭმელზეც იმეძებდა სიტყვებს. — უფრო მოკვარი, ჩემი დასკვნა, რომ მერი დეკერი შიმშილისაგან მოკვდა, თურმე სავსეოდ მიანიხიათ, აქაოდა, ლოთის დაწერილიაო.

— მე ეგ არ მიიტყვამს, — სულმოუთქმელად იცრუა როზამ.

— რა თქმა უნდა, არ ვითქვამს. ეს იმიტომ ვახსენე, რომ შეჩვენებინა, რა სიფრთხილე მმართებს. — ექიმი კიბეზე დაეშვა. — გირჩევთ, ისეე მოელაპარაკეთ ბერერს, თუ უარი თქვას, ქალაქიდან ჩამოიყვანეთ ეინზე, ღამე მშვიდობისა.

მაგრამ, სანამ კიშკარს მიაღწევდა, როზა დაეწია, ვაცეცხლებული შობოდა, ბრაზისაგან თვალის კაკლები გასთეთრებოდა.

— დიახ, მე ვთქვი, რომ ლოთი ხარ!

— იყვირა მან. — როცა შენ განაცხადე, მერი დეკერი შიმშილით მოკვდაო, ამით ჩვენს პინკისა სდებდი ბრალს. ნეტა, შენ თვითონ იცი, როდის რას აკეთებ? მთელი დღე გახეთქილი დადიხარ! ან რას გადაეფოტრე იმ მერი დეკერს, ამ ხნის კაცი! ქვეყანა ხედავდა, როგორ დაძვრებოდა შენს აფთიაქში, როგორ ლაქლაქებდით...

მაგრამ ამ დროს ჯინმა მოუსწრო და ცოლს მკლავებში ჩააფრინდა.

— გაჩუმდი, როზა! წადი, ფორესტი! ფორესტი მანქანაში ჩაჯდა და წაიქვდა: მოსახვევში გაჩერდა და ბოთლიდან მოსვა. გაღანთული ბამბის პლანტაციების გადაღმა მერი დეკერის სახლი მოჩანდა. ეს რომ ექვსი თვის წინ ყოფილიყო, ექიმი ამ სახლისკენ გაუხვევდა და დაჰკითხავდა მერის, დღეს რატომ არ მოხვედი უფასო სოდიანი წყლის დასალევადო; თან გაახარებდა — რაიმე უბრალო კოსმეტიკას აჩუქებდა, რომელიც იმ დღით კომიკოვიაერმა დაუტოვა. ექიმს არასოდეს გაუმღალავებია მისთვის თავისი გრძნობა და არც აპირებდა, იმიტომ, რომ მერი დეკერი ჩვიდმეტი წლისა იყო, თვითონ კი ორ-

მოცდახუთისა და არც მომავალი ჰქონდა. მხოლოდ მაშინ მიხვდა, რა ბევრს ნიშნავდა მისთვის — მარტოხელა ეაციისთვის — ეს სიყვარული, როცა მერი დევერი ბირმინჰემში გაიქცა ჰინკი ჩანისთან ერთად.

ექიმის ფიქრები ისევ მისი ოჯახს დაუბრუნდა.

— ჩენტლმენი რომ ვიყო, — ფიქრობდა ექიმი, — ასე არ მოვიქცეოდი. და კიდევ ერთი ადამიანი შეეწირებოდა ამ ბინძურ ძაღლს, რადგან ეგ რომ მოკედეს, როზა მე დამაბრალებს, ძალად მოკლავ. იტყვის.

მაინც ძალიან ცუდ გუნებაზე იყო, როცა მანქანა გარაჟში დააყენა. იმიტომ კი არა, რომ სხვანაირად უნდა მოქცეულიყო, უბრალოდ, ამ ამბავმა გული აუტრია.

ათი წუთის შესულიც არ იყო, რომ გარედან მანქანის დამუხრუჭების ხმა გაიგონა და მის ოთახში ბეჩი ჩანი შევიდა. პირი მაგრად ჰქონდა მოკეპული, თვალები მოჭუტული, თითქოს ცდილობდა, ნადრეუად არ გადმოლოცოდა თავისი გულისწყრომა, რომელიც იმაზე უნდა გადმოეხსნა, ვისზეც საჭირო იყო.

— ბეჩს გაუმარჯოს.

— მე ის მინდა გითხრა, ძია ფორესტ, რომ დედაჩემს ასე ნუ ელაპარაკები. ერთხელ კიდევ გაბედავ ეგეთი რამის თქმას და კიდევაც შემომაკედები.

მორჩი ახლა, ბეჩ, და დაქექი.

მოკლედ მოექრა ექიმმა.

ისედაც დაზაფრულდა ჰინკის აკადემიკოსობისაგან და შენკიდევ ეგეთ რაღაცეებს ეუბნები.

დედაშენმა თვითონ შეურაცხყო.

მე უხმოდ გადაველაპე.

თვითონაც არ იცის, რას ამბობს.

უნდა გავუბო.

ექიმი ერთ წუთს ჩაფიქრდა და მერე ჯიჟისა:

ჰინკიზე რა აზრისა ხარ?

ბეჩმა უხერხულად იგრძნო თავი, შეეკოცნახლა.

— მე არ მითქვამს, ძალიან მოწყობილი მეთქი — მერე გამომწვევი კილოთი განაგრძო. — მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, ჩემი ძმა არის.

— მოითმინე, ბეჩ, იმაზე რას ფიქრობ, მერი დევერს რომ ისე მოექცა.

მაგრამ ბეჩმა უკვე ენაზე იკბინა და ბრაზი გადმოათრქვია:

— ეგ რა შუაშია? მე იმას ვამბობ — ვინც დედაჩემს აწყენინებს, ჩემთან ექნება საქმე-მეთქი, ეს რა საბარათლია, ასეთი განათლება შიილუ და...

— მე არავინ დამხმარებია განათლების მიღებაში, ბეჩ!

— რაში მენალელება, ჩვენ შევეცდებით, დავითანხმით ექიმი ბერერი ან ქალაქიდან ჩამოვიყვანოთ ვინმეს, მაგრამ თუ იქაც უარი გვითხრეს, შენ წაგიყვან, თოფს დაგიმიზნებ და ისე ამოვალებინებ იმ ტყვიას.

„გული მიგრძნობს, — ჩილაპარაკა თავისთვის ექიმმა, — რომ ჩემს მშვიდ ცხოვრებას ჩილტონის ოლქში ბოლო მოეღო“. მერე ზანგ მსახურს დაუთხა, ვახშამი მომიტანეო, ჰაპიროსო, გაახვია და უჯანა კართანაზე გაიქცა.

ამინდი შეიცვალა, ეს მოილოეშა, ბალახი აიღულდა და ხანმოკლე წვიმამ წამოეშინა. ერთი წუთის წინ ცხელოდა, ახლა კი ექიმს შუბლზე შეაკვირდა ოფლის წვეთები და ცხვირსახოცით მოიწმინდა. ყურში რაღაც აუგუგუნდა, ნერწყვი გადაეღამა და თავი გაიქნია. ალბათ აუად გაეხდოო გაუეღია, მაგრამ გუგუნე უკებ გაეცალა, თანდათან იმატა, მერე ისევ მოახლოედა, გაძლიერდა, თითქოს მატარებელი მოისწრაფოდა მისკენ.

შინისკენ მიმავალ ბეჩ ჩანის ნახევარი გზა ჰქონდა გავლილი, რომ უკებ დაინახა უშველებელი შავი ორბული, რომლის ქვედა ბოლო თითქმის მიწაზე ეთრეოდა. უაზროდ კი მიშტერებოდა, მაგრამ მაინც შენიშნა, რომ ორუ-



ბელი თანდათან იზრდებოდა, სანამ ცის სამხრეთი ნაწილი სულ არ დაფარა. ბეჩი ხედავდა, როგორ იკლავებოდა ამ ღრუბლის შიგნით უფერული ელექტრონული ზაზები და ესმოდა გუგუნი, რომელიც თანდათან მატულობდა. უცებ ძლიერი ქარი ამოვარდა. ჰაერში დაქროდა რაღაც ნატეხები, დამტვრეული ტოტები, ნაფოტები და რაღაც დიდი სავნები, რომელთა გამოცნობა შეუძლებელი იყო, რადგან გარშემო ჩამობნელდა. ბეჩი ინსტინქტურად გადმოხტა მანქანიდან და მიწაყრილისაკენ გაიქცა, თუ ქარიშხალმა აიტაცა და მიწაყრილთან განართხო. გავიდა ერთი წუთი, ორი, და ჯანი ჯოჯოხეთის ბნელ ცენტრში აღმოჩნდა.

პირველად მხოლოდ ხმა ისმოდა და ბეჩიც ამ ხმის ნაწილი ვახდა: ისე შთანთქა ამ ხმამ, ისე გათანგა, რომ ცალკე აღარ არსებობდა. სხვადასხვა ბგერები კი არ იყო, არამედ ერთადერთი ხმა, რომელიც ღრუბლით გამოსცა უშველებელმა ქამანმა სამყაროს სიმებზე. ხმა და ძალა განუყოფელი იყო, ხმამ და ძალამ ერთად მიაჯაჭვეს მიწაყრილზე, ჭვარტულივით მიაკრეს ზედ. პირველ წუთში, ძირს რომ განერთხო, თავი გვერდზე მოღრეცილი დაჰყვა და დაინახა, როგორ შეხტა მისი მანქანა, დაბზრაილდა, გზიდან გადაუხვია და მინდორზე გაგორდა ხტუნვა-ხტუნვით, დიდი, უსუსური თევზები რომ ამოხტებიან ხოლმე წამდაღუწმ წყლიდან, ისე. მერე ხმა აფეთქდა, ზარბაზნის გრუხუნის დაქუცმაცდა და უშველებელი ტყვიამფრქვევის კაენად გადაიქცა. ბეჩი ჭერ მთლად გონებადაკარგული არ იყო და იგრძნო, რომ თვითონაც ამ კაენის ნაწილი ვახდა. მერე რაღაც ძალამ ასწია და გააქანა ყლორტებისა და ტოტებისაგან შემდგარი მასის შუაგულში, რომელიც აბრმავებდა, გლუჯდა — წეწდა და მერე აღარ ახსოვს, გრძნობა დაეკარგა.

გონს რომ მოვიდა, ბეჩი, მთელი სხეული სტკიოდა. ნაძვის ხის კენწეროში.

ორ ტოტს შუა გაჩხერილქაქა, მტვრითა და წვიმით იყო გაელენთილი, არაფერი არ ესმოდა. კარგა ხნის შემდეგ მოისაზრა, რომ ძირფესვიანად ამოთხრილი ხის ტოტებში იყო გაჩხერილი და რომ მისი წიწვებიანი ქანდარა, რომელზედაც უნებლიეთ მოხვდა. მხოლოდ ხუთი ფუტით იყო დაშორებული დედამიწას.

— ააცო! — წამოიყვირა მან ხმამალა, შეურაცხყოფილი ადამიანის ხმით, — ააცო, ეს ჩა ქარი ამოვარდა!

ტყვილმა და შიშმა აზროვნების უნარი დაუბრუნა და მიხვდა, რაც გადახდა: ეტყობა, ხის ფესვებზე იდგა და, როცა ნაძვი ფესვებიანად ამოვლიცა გრივალმა, საშინელმა ბიძგმა ისიც აიტაცა. ბეჩმა ხელით მოისინჯა ყველაფერი: მარცხენა ყური გამოტენილი ჰქონდა მტვრით, თითქოს ვიღაცას მისი ყურის ანაბეჭდის ალება უნდოდა. ტანსაცმელი ძონძებდაც ეკიდა, პოჯაკი ზურგზე გადამსკდარიყო, განაყერზე, და როცა ისევ დაბერა ქარმა და ვახდა დაუპირა, ილიებში შეეჭრა.

ბეჩი ძირს ჩამოვიდა და თავისი სახლისაკენ გაემართა. გარშემო ყველაფერი ახალი და უცნობი ეჩვენებოდა. იმან, რაღაც იყო — არ იცოდა, რომ ტორნადო დაატყდათ თავს — მეოთხედი მილის სიგანის ცარიელა ზოლი დასტოვა და ბეჩი დაიბნა, რადგან მტვერი უკვე ილექებოდა გზაზე, ის კი პირველად ხედავდა ამ გარემოს. შეუძლებელია, რომ აქედან ბედნიერად ეკლესიის სამრეკლო მოჩანდეს, მუდამ კორომები ეფარებოდაო, გაიფიქრა.

მაშ, სად იყოფება? აქვე ბოლდუინების სახლი უნდა იყოს: ბეჩი მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ბოლდუინების სახლი აღარ არსებობდა, როცა გადადიოდა ახორხილი ფიცრების გროვებზე. უპატრონოდ მიტოვებულ ხე-ტყის საწყობს რომ ჰგავდა. მაშინ კი დააცეცა ველურივით თვალები, მიიხედ-მიიხედდა და დაინახა, რომ აღარც ნეკროუნების სახლი იდგა გორაკზე და არც

პელტეცერებისა გორაკის ძირში. ირგვლივ არც სინათლე მოჩანდა საღმე, არც ხმა ისმოდა, გარდა წვიმისა, წაქცეულ ხეებს აწვიმდა.

ბეჩი გაიქცა. შორიდანვე დაინახა მამამისის სახლი და გულზე მოეშვა, ჰეიო, შესძახა ვახარებულმა, მაგრამ, ახლოს რომ მივიდა, ზოგი რამ მოაკლდა თვალში — შრამელი და მინაშენი, პინკის ოთახიანად, გამჭრალიყო.

— დედა! — დაიძახა ბეჩმა, — მამა! პასუხი არაეინ ვასცა, მხოლოდ ძალი გამოვარდა ეზოდან და ხელი აულოცა.

...ამაზე ოცი წუთით გვიან, როცა ექიმმა ჯანიმ მანქანა გააჩერა თავისი აფთიაქის წინ, გარშემო უკუნეთი იყო გამეფებული. ელექტრონი ჩამჭრალიყო, მაგრამ ქუჩაში ხალხს ფარნები ეჭირა და მალე პატარა ბრბო შემოეხვია ექიმს. მან საჩქაროდ გააღო აფთიაქის კარი.

— წადით ვინმე და უიგინის საავადმყოფოს კარი შეამტვრიეთ. — ექიმმა ქუჩის გადაღმა გაიშვირა ხელი. — ჩემს მანქანაში ექვსი მძიმედ დაშავებულია. რამდენიმე კაცი მჭირდება, რომ საავადმყოფოში გადავიყვანო ექიმი ბერერი აქ არის?

— აგერ არის, — ცოცხლად უპასუხა რამდენიმე ხმამ სიბნელიდან, სანამ ექიმი ბერერი გზას იკვლევდა ხალხის ბრბოში. მას ხელში სამგზავრო ჩანთა ეჭირა. ფარნების სინათლეზე პირისპირ იდგა ორი მამაკაცი, რომლებსაც უკვე დავიწყებოდათ, რომ დიდად არ ეპოტნავებოდათ ერთმანეთი.

— ლმერთმა უწყის, კიდევ რამდენი იქნება. — თქვა ექიმმა ჯანიმ. — მე შესახვევსა და სადღეზინფექციო მასალას წამოვიღებ. მოტეხილობა ბევრი იქნება ალბათ, — მერე ხმას აუწია, — ერთი ქურტყელი მომიტანეთ რამე მედიკამენტებისათვის.

— წაეალ და ახლავე დავიწყებ, — ექვსიოდ კაცი უკვე მოლოლდა საავადმყოფოში.

— რა ზომებია მიღებული თხა ექიმმა ჯანიმ იმათ, ვინც აფთიაქში შეპყვა. — დარუევს ბირმინჰემში და მონტგომერიში?

— ტელეფონის მავთულები დაწყვეტილია, მაგრამ ტელეგრამები დაგზავნეს.

— კარგი. წადით ვინმე და ექიმი კონი მოიყვანეთ უეტელიდან. ვისაც მანქანა ჰყავს, უთხარით, უილარდ ჰაიკამდე მივიდნენ, იქიდან გადასჭრან გზა კორსიკისაკენ და იქ რაც გზებია, ყველა მოიარონ. გზაჯვარედინთან, სადაც ზანგების დუქანია, ერთი სახლი აღარ დარჩა, ყველა დანგრეულია. უამრავი დაშავებული შემხვდა გზაში, მაგრამ მანქანაში ადგილი აღარა მქონდა, — ექიმი თან ლაპარაკობდა, და თან საბანზე ისროდა ბინტებს, სადღეზინფექციო მასალას და წამლებს. — მე მეგონა, უფრო მეტი მქონდა მომარაგებული ყველაფერი. მოიცადეთ! — დაიყვირა მან, — წადით ვინმე მანქანით ხევში, სადაც ვულები ცხოვრობენ, მინდვრებზე გადასჭერით, შარაგზა ჩახერგილია... თქვენ, ქუდიანო, მგონი ელ ჯენკსი ხართ, არა?

— დიახ, დოკ. — ხომ ხედავთ, აქ რა მაქვს? წამოკრიფეთ, რაც კი ამის მსგავსი ნახოთ აფთიაქში და გზის გადაღმა გადმოიტახეთ, გასაგებია?

— დიახ, დოკ. ქუჩაში რომ გამოვიდა, დაშავებულების ნაკადი უკვე მოედინებოდა ქალაქში: მოდიოდა ქალი და ხელში მძიმედ დაჭრილი ბავშვი ეჭირა; ზანგებით სავსე ღია ეტლიდან კენესა ისმოდა: შიშისაგან გაგიჟებული მამაკაცები ქოშინით ჰყვებოდნენ საშინელ ამბებს. მღელვარება, ისტერია მატულობდა ფარნების მბუტყავი სინათლით ოდნავ განათებულ უკუნეთში. ბირმინჰემიდან ტალახში ამოგანგლული რეპორტიორი ჩამოვიდა მოტოციკლეტით — ბორბლები ჩამოცვენილ მავთულებსა და ტოტებზე მოგორავდნენ: კიოდა უკუ-

რის პოლიციის მანქანის სირენა, კუპერი ოცდაათი მილით იყო დაშორებული ბენდინგს.

— ორი ღუფინი ფანარი მიშოვებთ სადმე! — ბრძანა ექიმმა ჩანომ.

— ექიმ ბერერს იოდი და სალბუნი სჭირდება.

— აილეთ, აგერ არის... შინკი, შენ კართან დადექი და მხოლოდ ისინი შემოუშვი, ვინც საკაცით მოჰყავთ. გაიქცეს ვინმე ღუფანში, იქნებ სანთლები იშოვოს.

გარეთ, ქუჩაში საშინელი ხმაური იყო — ყვიროდნენ ქალები, მოხალისეების ჯგუფები ცდილობდნენ შარაგზა განეტვირთათ და ერთმანეთის საწინააღმდეგო ბრძანებებს იძლეოდნენ. ეს იყო სტიქიის წინააღმდეგ საბრძოლველად აღმდგარი ხალხის ერთმანეთში ათქვეფილი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმები.

შუალამისათვის წითელი ჭვრის პირველი ბრიგადა მოვიდა. მაგრამ ექიმებმა — სამი იქ იყო, ორი კი მახლობელი სოფლებიდან ჩამოვიდა — დიდი ხნის წინ დაკარგეს დროის შეგრძნება.

ათი საათისათვის დალუპულების გამოსვენება დაიწყო: ოკი, ოცდახუთი, ოცდაათი, ორმოცი — მკვდრების რიცხვი თანდათან მატულობდა. ამათ უკვე აღარაფერი სჭირდებოდათ და როგორც უბრალო მიწათმოქმედებს შეეფერებოდა, გარაჟში იციდნენ, საავადმყოფოს უკან. ათასობით დაჭრილი კი მოჰყავდათ და მოჰყავდათ ძველ, ოცსაწოლიან საავადმყოფოში. ქარიშხალმა ბევრი დააშავა: ბევრს ჰქონდა მოტეხილი ფეხი, ლავიწი, თეთის ძვალი, ჩამტვრეული ნეკნები, აგრეთვე გლეჯილი ჭრილობები: ზურგზე, იდაყვებზე, ყურებზე, ქუთუთოებზე, ცხვირზე. ზოგი ჩამოვარდნილი ხის კოჭისაგან იყო დაშავებული, ზოგს უცნაურ ადგილებში შერჭობოდა უცნაური ხიჭვები. ერთ კაცს თავზე კანი ჰქონდა გადაყვლეფილი — ამას ახალი თმის ამოყვანაზე უნდა ეზრუნა. ექიმი ჩანი ყველას იცნობდა, ცოცხლებსაც და მკვდრებსაც,

თითქმის ყველას სახელი მასსახვედრად —
— კარგი ახლა, ნულარ ლელავეთ. მილი კარგად არის. წყნარად იწეკით, მაკალეთ, შეგიხვით. დაჭრილები მოჰყავთ და მოჰყავთ, მაგრამ ამ წყვეულ სიბნელეში ვერც კი ეპოულობთ. მისის ოუკი, ყველაფერი კარგად არის, ეგ არაფერია, იგი იოდს წავისევამთ და... აბა, ახლა ეს კაცი გავსინჯოთ.

ლამის ორი საათია. უტეტელელ მოხუც ექიმს ქანკი გაუწყდა და მონტგომერიდან ჩამოსულმა დასვენებულმა ექიმმა შეცვალა. დეზინფექციისაგან დამამბებულ ჰაერში ხალხის განუწყვეტელი ლაქლაქი ისმის და ბუნდოვანად აღწევს ექიმის გონებაში დაღლილობის ახალ-ახალ შრებებს შორის.

— ...მაგორავა და მაგორავა. ბუჩქს მოვებლაუქე და ისიც ძირიანად ამოგლიჯა.

— ჯეფ! სად არის ჯეფი?

— ...ნიძლავსა ვდებ, ის ლორი ას იარღზე გადაისროლა...

— სად არის ჯეფი?

—... იმან მითხრა, სარდაფში ჩაივლიეთო, მე კიდევ ვუთხარი, სადღა გვაქვს სარდაფი-მეთქი.

— საკაცები თუ არ არის, მსუბუქი კარები მოძებნეთ სადმე.

— ...ხუთი წამი? მე მგონი ხუთ წუთზე მეტი იყო!

ექიმმა ამ დროს ყური მოჰკრა — ჭინი და როზა ვნახეთო ორი უმცროსი ბავშვით. მან ჩაუარა ძმის სახლს მანქანით და რომ ნახა, უვნებლად იდგა, აღარ შეჩერებულა, ჩქარობდა. ჩანიანთ ოჯახს ბედმა გაუღიმა: ექიმის სახლსაც გვერდი აუარა გრიგალმა.

ექიმმა მხოლოდ მაშინ იგარძნო, როგორ დაიღალა, როცა ქუჩაში უცებ აინთო სინათლე და დაინახა წითელი ჭვრის ფურგონის წინ, ცხელი ყავის მოლოდინში შეჩვეულად დამდგარი ხალხი.

— იქნებ წახვიდეთ, დაისვენოთ, — უთხრა მას ახალგაზრდა ექიმმა, მე შეგცვლით, ორი მოწყალეების და მახლავს.

— კეთილი... კეთილი... ოღონდ
ჭერ ამ მწკრივს მოვრჩებო...

დაშავებულეებს, როგორც კი პირველ
დახმარებას გაუწევდნენ, მაშინვე მა-
ტარებლით სხვა ქალაქებში გზავნიდ-
ნენ, მათ ადგილებს კი სხვები იკავებ-
დნენ. ექიმის მწკრივში ორი საწოლი-
ლა დარჩა. პირველზე პინკი ჯანი აღ-
მოაჩინა.

ექიმმა სტეტოსკოპით მოუსმინა მის
გულს. ძალიან სუსტად ფეთქავდა. პირ-
დაპირ საოცარი იყო, რომ ასეთი და-
სუსტებული, სიკვდილის პირას მყოფი
გადაურჩა გრივალს. ისიც სასწაული
იყო, ვინ იპოვა, ვინ მოიტანა აქ. ექიმ-
მა სხეული გაუსინჯა: რამდენიმე ადგი-
ლას დაბევილი ჰქონდა, აქა-იქ გაკაწ-
რული, ორი თითი მოტეხილი, ყურები
მიწით ამოვსებული, როგორც ყველას,
და მეტი არაფერი. ექიმი ერთ წუთს
შეყოყმანდა, მაგრამ თვალეები რომ და-
ხუჭა, მაშინაც კი მერი დეკერის სახე-
ბა თითქოს გაილალა, გაუსხლტა მეხ-
სიერებიდან. რალაც წმინდა პროფესი-
ული დაეუფლა, რასაც საერთო არა-
ფერი ჰქონდა ადამიანურ გრძნობებთან
და ექიმს ძალა არ შესწევდა წინააღმ-
დეგობა გაეწია. მან წინ გაიშვირა ხე-
ლები და დაინახა, რომ ოდნავ უკანკა-
ლებდა.

— წყველიმც იყოს, — ჩაიბურტ-
ყუნა თავისთვის.

მერე გავიდა ოთახიდან, დერეფნის
კუთხეში დადგა, ჩიბიდან ბოთლი ამო-
იღო და ნაშუადღევადან შემორჩენილი
წყალგარეული ვისკის ნარჩენი გამოს-
ცალა. პალატაში დაბრუნდა, დენინ-
ფექცია გაუკეთა ორ ინსტრუმენტს და
ადგილობრივი ანესთეზია იმ ადგილს
პინკის თავზე, სადაც ჭრილობას უკვე
დაეწყო შეხორცება. მერე მოწყალეების
დას დაუძახა და სკალპელით ხელში
თავის მისწვლის საწოლის წინ ცალ
მუხლზე დაიჩოქა.

ორი დღის შემდეგ ექიმი მანქანით
მიდიოდა მწუხარებით სავსე სოფელში.
იმ საშინელი ღამის შემდეგ ოპერაცია
აღარ გაუკეთებია, გრძნობდა, რომ კო-
ლეგებს შეაცუბუნებდა აფთიაქარის ქი-
რურგობა. სხვა-ბევრი რამ იყო გასა-
კეთებელი და ექიმში წითელ ჯვარს ეხ-
მარებოდა, დაშავებულები გადაჰყავდა
მოსორებით მძღვმარე ქალაქებში.

დემონის კვალს ადგილად გადადევ-
ნებლით თვალსმისს; თავისი შეიდმილი-
ანი ჩექმებით მწოარი გზით კი არ მია-
ბიჭებდა, ხან სოფელს გადასჭრიდა,
ხან ტყეებზე გადაშლივინდებოდა, ზო-
გჯერ თავაზიანობას გამოიჩინდა და
შარავზას გაუყვებოდა, პირველივე მო-
სახვევთან კი ისევ თავისებურად დაი-
წყებდა. ზოგან მისი გზა ბამბის პლან-
ტაციაზე გადიოდა, რომელიც აყვავე-
ბულს ჰგავდა, მაგრამ სინამდვილეში
ქარიშხლის მიერ მოტანილი ასობით
საბნისა და ლეიბის ბამბის ფთილებით
იყო მოპენტილი.

ექიმი ერთი წუთით შეჩერდა იქ, სა-
დაც ადრე ზანგის ქობი იდგა, ახლა კი
მხოლოდ დახვავებული მორები ეყარა;
უნდოდა ორი რეპორტიორისა და ორი
დარცხვენილი ზანგის ბიჭის საუბარი
მოესმინა. თავშეხვეული მოხუცი დი-
დედა საქანელა სავარძელში იჯდა ნან-
გრევებს შორის, რალაცას ლეჭდა და
შეუჩერებლივ ქანაობდა.

— ამა, რომელ მდინარეზე გადავის-
როლათ გრივალმა? — ჰკითხა ერთმა
რეპერტიორმა.

— აი, ამაზე.

— ამაზე?!

პატარებმა დიდედას გადახედს, შვე-
ლას სთხოვდნენ.

— სწორედ ამაზე, თქვენს ზურგს
უკან რომ არის, — თქვა დედაბერმა.

რეპორტიორებმა ამრეზით გადახედეს
ოთხი იარდის სიგანე ამღვრეულ ნაკა-
დულს.

— ეს რა მდინარეა?!

— მდინარე მანადა. პატარა რომ ვიყავი, მაშინაც ასე ეძახდნენ. დიახ, სერ, ეს მდინარე მანადაა. ბიჭები მდინარის ვადალმა გადაისროლა, მაგრამ ისე კობტად, რომ არაფერი დაშავებიათ. მე საკვამური მილი დამეცა თავზე. — დაამთავრა დედაბერმა და ხელით თავი მოისინჯა.

— სულ ეს არის? — აღშფოთებით წამოიძახა ახალგაზრდა რეპორტიორმა, — ამ ნაკადულზე გადაისროლა ასეული მილიონი ადამიანი კი შეეცდომავი შეიყვანეს და ჰგონიათ...

— ასეა, ასე, ბიჭებო, — ჩაერია საუბარში ექიმი ჭანი, — ჩვენი მხარისთვის ნამდვილად კარგი მდინარეა და ეს ბიჭები რომ გაიზრდებიან, მდინარეც გაიზრდება.

ექიმმა ოცდაბუთცენტიათი გადაუგდო დედაბერს და წავიდა.

სოფლის ეკლესიასთან ისევ შეჩერდა, ახალი საფლავების რუბი ბორცვები დაითვალა, ლაქებივით რომ აჩნდა მწვანე სასაფლაოს. ახლა უკვე ახლოს იყო განადგურების ცენტრთან. აქ პაუდუნების სახლი იდგა და სამი კაცი დაიღუპა; მხოლოდ დახორხილი ნანგრევები და გრძელი საკვამლე მილი დარჩენილიყო, ბოსტანში კი, თითქოს ბედმა დასცინათო — უვნებლად იდგა საფრთხობელა. გზის ვადალმა, ნანგრევებში, პიანინოზე ამჟყად დააბიჭებდა მამალი, ხმამაღალი ქოთქოთით ბატონობდა თავის სამფლობელოში: თავს დასტრიალებდა ჩემოდნებს, ჩექმებს, კოსსერვის ქილებს, წიგნებს, კალენდრებს, ხალიჩებს, სკამებს და ფანჯრის ჩარჩოებს, ჩაჭყლელი რადიომიმღებს და უფეხო საყვარე მანქანას; სუკველვან ეყარა: საბნები, ლეიბები, დაგრებილი ზამბარები, დაგლეჯილ-დაძინილი ბალიშები — ექიმი არასოდეს დაფიქრებულა რა ბევრ დროს ატარებს ადამიანი საწოლში. აქა-იქ საქონელი ისევ სძოვდა ბალახს, ბევრ მათგანს იოდის ლაქები აჩნდა. წითელი ჭერის კარვები ერთმანეთისაგან

დაშორებით იდგა და ერთმანეთს ეხებოდა. თან ექიმი ელენ კირლაინი დაინახა. ბავშვი იჭდა, ხელში ნაცრისფერი კნუტი ეჭირა. ექიმი მაშინვე მიხვდა, რაც დატრიალდა აქ, როცა დაინახა ნაცნობი სურათი — დახვავებული მორები, თითქოს ჭირვეულმა ბავშვმა თავისივე აშენებული კუბურები დაანგრიაო.

— გამარჯობა, გენაცვალე, — მიესალმა ექიმი, თან გული ჩაწყდა, — როგორ მოეწონა ტორნადო შენს კნუტს?

— სულაც არ მოეწონა.

— რას აკეთებდა?

— ენაოდა.

— ოჰ!

— გაქცევა უნდოდა, მაგრამ ზედ გადავეფარე და აი, როგორ დამკაწრა. ექიმა წითელი ჭერის კარავს შეხედდა.

— ახლა ვინ გვიღის?

— ქალბატონი წითელი ჭერიდან და მისის უელსი, — უპასუხა გოგონამ, — მამაჩემი დაშავდა. მამა მე ვაღამეფარა ზედ, მე კიდეც კნუტს. ახლა ბირმინჰემის საავადმყოფოშია. როცა დაბრუნდება, ახალ სახლს აგვიშენებს.

ექიმი შეძრწუნდა. მან იცოდა, რომ ელენის მამა ველარასოდეს ააშენებდა სახლს; იმ დილას გარდაიცვალა. ბავშვი მარტოდმარტო დარჩა და არ იცოდა ეს. მის გარშემო ვადაშლილიყო ბნელი, უსახო, შეუცნობელი სამყარო. ელენმა ზევით აიშვირა თავისი პატარა, საყვარელი სახე და ნდობით შეხედა ექიმს, როცა მან ჰკითხა:

— ნათესავი თუ გყავს ვინმე, ელენ?

— არ ვიცი.

— კნუტზე ხომ გყავს?

— ეს მხოლოდ და მხოლოდ კატაა, — მშვიდად უპასუხა ელენმა, მაგრამ მაშინვე შეწყუბდა, რომ უღალატა თავის საყვარელ კნუტს და მაგრად მიიკრა მკერდზე.

— კნუტის მოვლა ალბათ ძალიან ძნელია.

— ოჰ, არა. — სწრაფად უპასუხა

ბავშვმა, — სულაც არ არის ძნელი, ძალიან ცოტასა სჭამს.

ექიმმა ჭიბეში ჩაიყო ხელი, მაგრამ უცებ გადაიფიქრა.

— კიდევ განახვ, გენაცვალე, მოგვიანებით დაებრუნდები. ფისოს კარგად მოუარე. კარგი?

— კარგი. — უდარდელად უპასუხა ელენმა.

ექიმი წავიდა. მეორედ ქარიშხალს გადარჩენილ სახლთან შეჩერდა. ამ სახლის პატრონი უოლტ კაპსი კართანაზე იდგა და თოფსა სწმენდდა.

— რასა შეები, უოლტ? მეორე ტორნადოსთან საბრძოლველად ემზადები?

— მეორე ტორნადო არ იქნება.

— ნუ იტყვი. ცას შეხედე, როგორ მოიქრება!

უოლტმა თოფს მიუტყაპუნა ხელი და გაიცილა.

— ას წელზე ადრე არ განმეორდება. ეს მოთარეშებებისთვის მინდა. ბევრი დამრწის აქ და არ გეგონოთ, ყველა შეეკანიანი იყოს. ქალაქში რომ ჩახვალთ, უთხარით, გვარდიელები გამოგვიგზავნონ.

— უსათუოდ ვეტყვი. ძალიან კი გადარჩით, აი.

— მადლობა ღმერთს, ექვსნი ვართ ოჯახში და ყველანი გადავარჩით. ერთი ქათამი მოიტაცა, ალბათ ახლაც აბზრიალებს სადმე.

ექიმი ქალაქისაკენ გაემგზავრა. შემფოთებული იყო, მიზეზი კი ვერ გაეგო. „ამინდის ბრალია, — გაიფიქრა მან, — წარსულ შაბათსაც ასე დახუთული იყო ჰაერი“.

უკვე ერთი თვე იქნებოდა, ექიმი სულ იმაზე ფიქრობდა, აქაურობას სამუდამოდ უნდა გაეცალოო. ადრე ეს სოფელი თითქოს სიმყუდროვეს ჰპირდებოდა. როცა იმპულსი, რომელმაც დროებით მოსწყვიტა დაქანცულ, ბებერ ფესვებს, დასუსტა, ექიმი ისევ სოფელს დაუბრუნდა, რათა დაესვენა, დამტკბარიყო აყვავებული დედამიწით

და სიამტკბილობით ეცხოვრებოდა. სიმშვიდე! მან იცოდა, ნათესავებთან უსიამოვნება დაეიწყებას არ მიეცემა, უკვალოდ არასოდეს არაფერი გაქრება, ძველებურად მაინც ვერ იცხოვრებს, სიმწარე სამუდამოდ დარჩება. მის თვალწინ მყუდრო სოფელი მწუხარებამ მოიცილა. არა, აქ სიმშვიდეს ვეღარ ჰპოვებს. უნდა გაეცალოს აქაურობას!

გზაზე ბეჩ ჩანის დაეწია, რომელიც ქალაქისკენ მიდიოდა.

— შენთან მოვიდიოდი, — პირქუშად უთხრა ბეჩმა, — ბოლოს მაინც გაუკეთე ოპერაცია პინკის, არა?

— დაჭექი. პო, გაუუკეთე. შენ საიდან იცი?

— ექიმმა ბერერმა გითხრა. — ბეჩმა სწრაფად შეხედა ექიმს, რომელმაც უნდობლობა ამოიკითხა მის თვალბში, — დღის ბოლომდე ვერ გაატანსო, გითხრეს.

— დედაშენი მებრალება.

ბეჩმა ბოროტად გაიცილა.

— მაშ, ძალიან გეცოდება!

— მე ვთქვი, დედაშენი მებრალება. მეთქი, — უთხრა ექიმმა მკვახედ.

— გავიგონე.

ერთი წუთი ხმაგაყმენილები მიდიოდნენ.

— იპოვე შენი მანქანა?

— ვიპოვე. თუ იმას, რაც ვიპოვე, მანქანა შეიძლება ვუწოდოთ. შემძლო კი ოცდახუთ ცენტად დამეგირავებინა ტორნადოსაგან. — ბეჩს ხმა აუთროლოდა აღშფოთებისაგან, — ოცდახუთ ცენტად. მაგრამ მაშინ ვის მოუვიდოდა თავში ტორნადოსაგან მანქანის დაზღვევა.

სწრაფად ბნელდებოდა, სამხრეთიდან ქუხილის ხმა ისმოდა სუსტად.

— იმედი მაქვს, გადაკრულში არ იყავი, როცა პინკის ოპერაციას უკეთებდი. — თვლები მოჭურტა და ისე უთხრა ბეჩმა.

— ყური მიგდე, ბეჩ, — დინჩად უთხრა ექიმმა. დიდი საძაგლობა კი



ჩაედიდნე, ის ტორნადო რომ გამოვიწყვი.

ექიმს იმედი არა ჰქონდა, რომ მის ირონიას მიხედვებოდა ბეჩი, მაგრამ შეპასუხებას ელოდა და უცებ სახეში შეხედა მშისწულს. ბეჩი გადაფითრებულყო, პირდაღებული წინ რალაცას მიშტერებოდა და ზღუტუნებდა, მერე მოდონდლოვებულ ხელის ასწია და ექიმმა დაინახა: ერთ მიღზე უფრო ახლოს ვეებერთელა, წვეტიან შავ ღრუბელს დაეფარა ცა, ძირს ეშვებოდა და მძიმედ, ტრიალ-ტრიალით მოემართებოდა მათკენ, მის წინ კი მკვრივი ქარი მოქროდა გუგუნით.

— ისევ ბრუნდება! — დაიღრიალა ექიმმა.

წინ, ორმოცდაათი იარდის მანძილზე, რკინის ხიდი იყო გადებული მდინარე ბილბი-კრიკზე. ექიმმა მაგრად დააკირა ფეხი გაზს და ხიდისკენ გააქანა მანქანა. მინდორზე უამრავი ხალხი მირბოდა იქითკენ. ხიდთან ექიმი გადმოხტა მანქანიდან და ბეჩის მკლავი მოქაჩა.

— გადმოდი, შტერო, გადმოდი!

მთლად მოდუნებული ბეჩი ბორძიკით გადმოვიდა მანქანიდან. ერთ წუთში ისინი, ექვისიოდე აფორიაქებულ ადამიანთან ერთად, უკვე იდგნენ სამკუთხედში — ხიდსა და ხიდის ბიჭგებს შორის.

— აქეთ მოდის?

— არა, პირი იბრუნა.

— შინ პაპა დარჩა!

— ოპ, იესო მაცხოვარო, გადაშირჩინე! მიშველე!

— ღმერთო დიდებულო, გადაარჩინე ჩემი სული!

ზემოთ უცებ მაგრად დაუბერა ქარმა და ხიდქვეშ ისე მძლავრად მოახეტქა წვრილი წვეპლები, რომ ექიმს ტანში ერთნეტელმა დაუარა. მაშინვე, თითქოს ვაკუუმში მოექცნენო, ქარიც ჩადგა და უცებ კოკისპირული წვიმა დაუშვა. ექიმი ხიდის კიდესთან მილოღდა და ფრთხილად ასწია თავი.

— გვერდი აგვიარა, — თქვა მან.

მხოლოდ კული მოგვიქნია. ცენტრმა ჩვენგან მარჯვნივ ჩაიქროლა.

ექიმი კარგად ხედავდა, როგორ მიჰქროდა გრიგალი. ერთი წამით კიდევ გაარჩია, რას მიაქროლებდა — ბუჩქებს, ნორჩ ხეებს, ფიცრებსა და მიწის ბელტებს. ექიმი ცოტა კიდევ გამოლოღდა გარეთ და საათი ამოიღო, რომ დრო აღენიშნა, მაგრამ საათი წვიმის საბურველმა დაფარა და ველარ დაინახა. მთლად გაწუწული ისევ ხიდის ქვეშ შელოღდა: ბეჩი, რაც შეიძლება ღრმად მიუხუტებულყო კუთხეში და ანკალეზდა; ექიმმა შეანჯღრია.

— ქარიშხალი თქვენი სახლისკენ მიქრის! — შეუხვირა ექიმმა, — გონს მოდი, ვინ არის შინ?

— არავინ, — ამოიგმინა ბეჩმა, — ყველანი პინკისტან არიან.

წვიმა სეტყვამ შეცვალა. ჯერ ხომცაკალი წამოუშინა, მერე მსხვილად, უფრო მსხვილად და ბოლოს ყურის გამაყრუებლად აგრუხუნდა რკინის ხიდზე. ვინც ხიდის ქვეშ გადაარჩა, საცოდავები თანდათან გონს მოდიოდნენ და სიხარულს ისტერიული ხითხითით გამოხატავდნენ. ადამიანის ნერვული სისტემა ვერ უძლებს დაძაბულობის გარკვეულ წერტილს და თავისი ღირსებისა და გონების შეუფერებლად იქცევა. ექიმსაც გადაედო მათი განწყობილება.

— ეს უბედურება კი არა, უწესობაა.

— ცივად თქვა მან.

IV

იმ გაზაფხულზე ტორნადო აღარ გამოჩენილა. მეორე ტორნადომ (ხალხს ეგონა, რომ პირველი მობრუნდა, რადგან ჩილტონის ოლქის მცხოვრებლებისათვის ეს იყო განსაზიერება წარმართული ღმერთით ნათელი, რეალური ძალისა) თორმეტ სახლი დაანგრა, მათ შორის ჯინი ჯანისაც, და ოცდაათი კაცი დაასაბიჩრა. მაგრამ მსხვე-

ერეკინისა და
გვამისა და
მედიცინისა

რკლი არ ყოფილა, რადგან თითქმის ყველამ მოახერხა დამალვა. ტორნადო ბოლოს დრამატულად გამოემშვიდობა ბენდინგს — მთავარ ქუჩაზე ჩაიქროლა, ტელეფონის ბოძები წააქცია, სამი მალაზიის და ექიმ ჯანის აფთიაქის ფასადი დაანგრია.

იმ ეკირის ბოლოს უკვე ახალი შენობები წამოიშრათა — ხალხმა ძველი ფიცრებისაგან ააშენა სახლები. ალაბამის გრძელი, უხეი ზაფხულის მიწურულში კი ყველა საფლავზე ბალახი ამობიზინდება. მაგრამ კიდევ ბევრი წელი გაივლის, სანამ აქაურები აღარ დაუკავშირებენ ტორნადოს. სხვადასხვა შემთხვევებს, აღარ იტყვიან, ტორნადომდე მოხდა“, ან „ტორნადოს შემდეგ მოხდა“. ბევრ ოჯახში კი ცხოვრება ვერასოდეს ვეღარ წარიმართება ძველებურად.

ექიმმა ჯანომ გადაწყვიტა, ახლა ყველაზე ხელსაყრელი დროა აქაურობას გავეცალოო. მან გაუიდა აფთიაქი — რაც გრივალსა და ქველმოქმედებას გადაურჩა. თავისი სახლი კი მძას — ჯინს — დაეტოვა, სანამ ის ახალს ააშენებდა. ექიმმა გადასწყვიტა, მატარებლით წასულიყო, რადგან მისი მანქანა ისე მიეხუტა ხეს, რომ სადგურამდე ძლივს მიიყვანდა.

გზაში რამდენჯერმე შეჩერდა, იქაურებს ემშვიდობებოდა, ერთხელ უოლტერ კაპის ეზოსთან შეჩერდა.

— მაშ, თქვენც მოგზავდათ? — უთხრა მან და საცოდავ ფარდულს გადახედა. — იმის მეტი არაფერი ჩანდა მთელ კარმიდამოზე.

— კარგა მაგრადაც, — უპასუხა უოლტერმა. — მაგრამ ექვსნი ვართ და ყველანი გადავრჩით, ზოგი შინ იყო, ზოგი ეზოში. ისე, რომ ღმერთს მადლობა უნდა გადავუხადო.

— ღობალი გქონიათ, უოლტ, — დაეთანხმა ექიმი. — ხომ არ გაგიგონია, წითელმა ჯვარმა სად წაიყვანა პატარა ელენ კირლაინი — მონტგომერიში თუ ბირმინგემში?

— მონტგომერიში. სწორედ იქ იყო ელენი, როცა ელენი მოვიდა თავის კნუტიანად და ხალხს ეხვეწებოდა კნუტსათაი შეუხვეითო. იმ კნუტისთვის რამდენი მილი გაიარა წვიმაში და სეტყვაში. ძალიან ცუდ დღეში ვიყავი, მაგრამ ისეთი მტკიცე გამომეტყველება ჰქონდა, სიცილი ვეღარ შევიცავე.

ექიმმა ერთხანს იყუჩა, ბოლოს ჰკითხა:

— ხომ არ გახსოვთ, ჰყავს ვინმე ნათესავი ელენს?

— ნამდვილად ვერ გეტყვით, მაგრამ მგონი არაეინ არ უნდა ჰყავდეს.

სულ ბოლოს ექიმი თავისი ძმის კარმიდამოსთან შეჩერდა. მთელი ოჯახი იქ იყო. პატარებიც კი ნანგრევებში მუშაობდნენ. ბეჩს უკვე ფარდული გაეკეთებინა და, რაც გადარჩა, იქ გადაჰქონდათ. გარდა ამისა, გადარჩენილიყო კიდევ მრგვალი თეთრი ქვა, რომელიც ბალის მიჯნაზე იდო.

ექიმმა ამოიღო ჩიბიდან ასი დოლარი — ქალაღის ფული, და ჯინს გაუწოდა.

— როდისმე გადამიხდი, ოღონდ მაინცდამაინც თავს ნუ მოიკლავ. აფთიაქი გავეიდე და იმის ფულია, — მერე ჯინს მადლობის სიტყვები შეაწყვეტირა და დაუმატა — წიგნები კარგად შემითეთე, ვინმეს გამოვგზავნი წასალებად.

— ისევე ჭირურგობას დაიწყებ, ფორესტ?

— შევეცდები.

ძმების ხელს ჩამორთმევა ერთხანს გაგრძელდა. უმცროსებიც მოვიდნენ გამოსამშვიდობებლად. როზა განზე იდგა, ძველი ლურჯი კაბა ეცვა, ფული არა ჰქონდათ, რომ უფროსი ვაჟის სიკვდილის შემდეგ ძაძა ეტარებინა.

— მშვიდობით, როზა. — უთხრა ექიმმა.

— მშვიდობით, — უპასუხა როზამ და მერე უსიცოცხლო ხმით დაუმატა, — ბედნიერებას გისურვებ, ფორესტ! ექიმს უცებ მოუნდა, რაიმე სანუგე-

შო ეთქვა, მაგრამ ხედავდა, რომ არ იყო საჭირო. მის წინ იდგა დედობრივი სიყვარულით შეპყრობილი ქალი, სწორედ ამისთანა სიყვარულის ძალამ გაატარა ელენი გრიგალში თავის დაშავებულ კნუტთან ერთად.

სადგურში ექიმმა იყიდა ბილეთი მხოლოდ მონტგომერიმდე; უკან დასაბრუნებელი აღარ შეუძენია. გაჟიანურებული გაზაფხულის ცისქვეშ სოფელი რუხი ჩანდა და როცა მატარებელი დაიძრა, გაუკვირდა, რომ ექესი თვის წინათ აქაურობა საუკეთესო ადგილად მიაჩნდა.

ექიმი მარტო იყო თეთრკანიანების ვაგონში. მალე უკანა ჯიბე მოისინჯა და ბოთლი ამოიღო. „ბოლოს და ბოლოს, ორმოცდახუთი წლის მამაკაცს, რომელიც თავიდან იწყებს ცხოვრებას, ნება აქვს დოპინგისა“. მაგრამ უცებ ელენი გაახსენდა: „ნათესავები არავინ ჰყავს. მაშ, ამიერიდან გოგონა ჩემი იქნება“.

ექიმმა ხელი მიუტყაპუნა ბოთლს და თითქმის გაკვირვებით დახედა.

— რას იზამ. ძველო მეგობარო,

დროებით უნდა მოგიცილო, რომელზეც ასე ზრუნავენ და უვლიან, ბევრი რძე დასჭირდება.

ექიმი თავის ადგილზე მოეწყო და ფანჯარაში გაიხედა. ქარიშხალი გაიხსენა. მის გარშემო კი ახლაც დაპქროდნენ ქარები — დერეფნიდან — ორპირი ქარი, დედამიწის ქარები, ციკლონები, ქარიშხლები, ტორნადოები — რუხები და შავები, მოსალოდნელი და მოულოდნელი; ზოგნი ციდან უბერავენ, ზოგნი ჯოჯოხეთის ქვაბულებიდან.

მაგრამ ექიმი ელენამდე აღარ მიუშვებს ამ ქარებს, თუ მოახერხა.

უცებ ჩასთვლიმა, მაგრამ ავიატებულმა მოგონებამ გააღვიძა: „მამა მე გადამეფარა, მე კიდევ კნუტს“.

— კეთილი, ელენ, — თქვა ექიმმა ხმამალლა, ხშირად ელაპარაკებოდა ხოლმე საკუთარ თავს, — იმედი მაქვს, ძველი ხომალდი კიდევ იცურავებს ზღვაში, რანაირი ქარიც არ უნდა ქროდეს.

ინგლისურიდან თარგმნა 3. ტატიშვილი.



კობა იმედაშვილი

მითი და თანამედროვე ქართული პროზა

წამილი მემრა

პირველ წერილში („მნათობი“, 1980, № 2) მოხსენიებული იყო პრობლემის ძირითადი კონტურები და ისიც იყო ნათქვამი, რომ პროკესის ღრმად შესასწავლად საჭიროა ცალკეულ ნაწარმოებთა დეტალური განალიზება.

დაიწივებ ნოდარ წულენიკირის „თუთარჩელაში“, რომელშიც 1970 წელს საქართველოს კომკავშირის პრემია დაიმსახურა. ეს არჩევანი განაპირობა იმან, რომ „თუთარჩელა“ ის რომანია, რომელიც, შედარებით ადრე, მხატვრული ტექსტის მთელი სტრუქტურა განსაზღვრული და განაპირობებულია მითის ლოგოკით. მითოლოგიების გარეშე ეს რომანი წარმოუდგენელია.

რომანის ინტერპრეტაცია:

„ეპითელი მთვარე“ ნელ-ნელა ამოცურდა და საკლანდარით თეთრ ბურუსში გახვია, თითქოს მუღის ტბაში რძე ჩაიდარა. თუთარჩელა თეთრა მთიდან დაიძრა, კლანდარების კობტა ეხოვბს ეწვია, ლიბ-ლიბე ჩარიგებულ მაღალ აკაციებს ჩამოვარა და ცხენისწყლის ქალებში ჩადგა. საკვებ მთვარე წითელკრამიტან ოდა საბლებს ისე დააჩერდა, თითქოს პირველად ხედავდა. თუთარჩელას ხიჩუმე ეუვარს, სითერე და ხიჩუმე ციდან ჩამოაქვბ და მიწაზე ისე ლამაზად დააფენს, ფეხის დადგმის გემონია, სიჩუმეში გარინდელა თე-

თრა საკლანდარით; ელოდება რას ეტყვის მთვარე“.

ნოდარ წულენიკირის რომანი „თუთარჩელა“ ამ სურათით იწევბა. ერთის შეხედვით, საცდებით რეალური პეიზაჟია. ერთი ვგაა თეთრი ფერი ხაზგასმით მთავარია და თანაც დამაფიქრებელია ბოლო მეტაფორა: „სიჩუმეში გარინდელა თეთრა საკლანდარით; ელოდება რას იტყვის მთვარე“. შემდეგ აბზაცში ეს მეტაფორა ახალ დეტალებს იძენს: „ცხენისწყლის ქალებში მთელეშარე თუთარჩელა ცისკარს ელოდებბა. თეთრი მთა თუთარჩელაში ენას იდგამს, თეთრ ღაშებს, ძველისძველ მეგობარს საიდუმლოს ემხვებს“.

მერე „მთვარე ოქროს ტახტზე დაბრძანდება“ და ირყევა რომ მთვარისანი პეიზაჟები ეფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მხოლოდ ბუნების სურათია. მერე ტექსტში სხვა მოთმეზბიც იჩენს თავს, რომელიც მთვარის ღეთაებბს ეუკავირდებბა და რომანის რეალურ პლასტს ფართო მნიშვნელობას ანიკებს.

„თუთარჩელას“ პროტაგონისტი გუგა კლანდარია, კაცო, რომელშიც ზიდა მოძმეთა ცოდებები და საკეთარი სხეული ჰკვემა მათი განწმენდისათვის.

„ამბობენ, კლანდარიები „მთვარის კაცები“ იყენენო, თერმე თეთრა მთის ფერდობზე საკართველოში მთვარის უველაზე დიდი ტაძარი იდგა“.

ოდესლაც კლანდარიები თუთაშები იყენენ და ადამიანებისთვის იღვწოდენენ. „თუთაშის მოღვაწეობა იყო ზორცის სრული განწირვა

1. აქ და შემდეგ ხაზგასმა უველგან ჩემია.

სულსათვის". გუგა, კალანდარიასაც, რომანის პროტაგონისტს, დღევანდელ ადამიანს, განწირული აქვს თავი ხალხისათვის. მწერალი იყვლება დღევანდელ კალანდარიასა და ოდინდელ თეთამს შორის გენეტური კავშირებს, ამტკიცებს ამ კავშირების არსებობას, ცხადყოფს მუდმივ ღირებულებათა არს.

აქ შემთხვევით არ მივმართვ ტერმინებს: „იკლევს“, „ამტკიცებს“, „ცხადყოფს“. მწერალი პირველი სიტყვიდანვე სდებს მკითხველთან კონვენციას იმის შესახებ, რომ მისი ნაწარმოები მიზნად ეკლევას ისახავს — ცალკვარდ მითისა და ცალკვარდ გუგა კალანდარიასა და მის მოგვარეთა ავადმყოფობის ისტორიისა.

უცნაური და მრავალსმთქმელია ეს ავადმყოფობა, რომელშიც სამოციან წლებში, ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, მოამღებელი ლტოლვა ელენდება — მომხვეჭლობიანობი, ეგოიზმისადმი, უსტადგლობისა და თავყვარებისადმი. ყველა ამაზე სამოცდაათიან წლებში პარტიამ მთელი გულახილობითა და სიმწვავეთი უთხრა ხალხს, დაიწყო დიდი და აწელი ბრძოლა ადამიანისა და საზოგადოების თვითგანწმენდისათვის...

„თუთარწილში“ ყოველივე ეს მთელის სიმწვავეთი გამოვლინდა. რა თქმა უნდა, მწერალს შეეძლო, ისევე როგორც, მაგალითად, გურამ ფანჯიციძემ რომანში „თვალის პატომანი“, თანამედროვეობის პრობლემები თანამედროვეობისავე დროით შემოსისადგურა, ყველა დასმულ კითხვაზე სინამდვილისავე ენით გაეცა პასუხი. მწერალმა სხვა გზა არჩია. ეროვნულად მნიშვნელოვანი პრობლემების დასმისას, მათი გადაწყვეტისას მითს მიმართა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო ერთადერთი და ამდენად ექვეყნად სწორი გზა, მაგრამ ეს იყო ერთ-ერთი შესაძლო გზა, რომლის არჩევითაც მწერალმა ხაზი გაუსვა იმ აზრს, რომ დღევანდელი ცხოვრება არ არსებობს იზოლირებულად ზეაღინდელისაგან, რომ დღევანდელია ნიშნავს არა კალენდრით შემოფარგლულ დროს, არამედ ერის მახსოვრობით გავრცობილ სინამდვილესაც. ერის მახსოვრობაში კი ცხოვრობს, როგორც მუდმივად არსებული სიღრმე, ისტორიაც, ლეგენდაც, მითიც. იგი იმდენადაა თანამედროვე, რამდენადაც მას მოეხერხებოდა, დროის გარეშე მდგომი სიმბოლო იმდენად შეიძენს დღევანდელიობის აზრს, რამდენადაც ჩვენვე გავიარებთ, გაიცოცხლება და დადგება ჩვენს გვერდით ჩვენს ბრძოლაში, რამდენადაც ჩვენ დაეყვანებო. ნოდარ წულუისკირმა შესძლო მითის გაიცოცხლება და ამდენად გათანადროვლება. ეტყობა, ამის დასტურიც იყო ის, რომ ამ რომანმა 1970 წელს საქართველოს კომკავ-

შირის ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციის სახურა.

ზემოთ აღნიშნვ, ავტორი „იკლევს“ მუთუ მითს. ეს განგებისი მეცნიერული ტორი ავტორს სინამდვილის ასახვაზეც გადააქვს — იგი იკლევს ადამიანთა მორალურ დაავადებებს, ცხადყოფს დაავადების მიზეზებს, ამტკიცებს მკურნალობის აუცილებლობა.

ორი პლანი — კლევვა მითისა და კლევვა სინამდვილისა თითქოს ცალკე, ერთმანეთის პარალელურად ვითარდება, მაგრამ შემდეგ მითოლოგიური დონე და რეალური დონე ერთმანეთის უახლოვდება, ხდება მითოლოგიური სიტუაციისა თუ მათგების ანალოგიების იძება სინამდვილეში, მითოლოგიური და რეალობის მოდულების თანადამთხვევა, რაც ამწუმიერ სინამდვილეს დროის გარეთ მდგომ ზოგადობად აქცევს.

მათი არგს ტომზე მოგვითხრობს, ყალბ რწმენებს აყოლილ ხალხზე, რომლის ბელადმაც, არგმა, იყის მხოლოდ, რომ ხალხის მიერ კრპად მიწნეული კაენია, კრუ რწმენის კერპია, რადგან იგი, ჩვეულებრივი ლოდი მან თვით აიტანა თეთრ მთაზე და მისი ღირსება მხოლოდ ისაა, რომ იგი ადამიანმა აიტანა ზემოთ, თავისი ძალისა და თავგანწირვის წყალობით.

არგმა „ხელთა ოდენა კაენია ზურგზე გაიღო და გაუდგა მძიმე გზას თეთრი მთისაკენ. აუთი იყო ნება სფინქსისა — არგს შეუსვენებლად უნდა აეტანა თავისი ტვირთი თეთრ მთაზე. ესაა დღესა და ცხრა ღამეს მიიწევდა წინ არგ. ხალხი სულით ხორცამდ შეძრა ამ ამბავში“. ამტკიცედ მიანიჭებდა არგ, ყოველი ნაბიჯი მოზომილი, თანაბარი და ზუსტი უნდა ყოფილიყო. წონასწორობას ოდნავ თუ დაკარგავდა, სიყვდილი ელოდა, საწინელი, დაუნდობელი სიყვდილი, — ლოდი გაარესდა“. „სული კბილით ეჭირა, მაგრამ მას ძალას მატებდა მრველი, რომელიც გაოცებული, მონუსხული უკან მოსდევდა. საოცარი რამ ხდებოდა, დაშლილი, დაფანტული, სასოწარკვეთილი, დაბეჩავებული ხალხი ეუცებ რაღაც ძალამ შეკრა, გაავრთინა“.

რწმენამ შეკრა გაერთიანებული, დაშლილი ხალხი, მაგრამ „მხოლოდ ერთმა კაცმა, არგმა იცოდა, რომ კაენია არ იყო კუწმარტი ღმერთი“. არგის სიყვდილის შემდეგ ხალხში ეჭვმა დაიბედა, შეკრვა ხალხს კაენიასადმი რწმენა და მტერმაც იძალა და „ოდესღაც მამაკი არგის ტომი, კვლავ სასოწარკვეთილებამ შეიპყრო“.

მაგრამ ხალხის წიაღში ისევ იწვა გმირი — მწყემთი ბიჭი ოდოია, რომლის ფიჭრი და ოცნება მესამე ცაში ტრიალებდა. იქ ეძიებდა თავისი სულის ნაწილს, მწვენიერების, სათნოე-



ბის, სიყვარულის ნამდვილ ღმერთს — ნანას. „მონღოლმა შერთოდა მალაღას და დიადს. დათბო ყოველი მიწიერი, ლანდად, აჩრდილად იქცა და როგორც მომთავრული, თვით დაშვებულ ადამიანს“. „სიყვარულმა თვალი აუხილა თურმე შეუდარბოეს. მან პირველმა გაიგო დიდი საიდუმლო, მიავსო შეარველსა და წინამძღოლს ჳეშმარიტ ღმერთს — თუთებს და იგი აღიარა“. ოდოიან „ხეტის მბრძანებელმა ამავეს როგორ ესხნა აკაყუთონ თავი და შრომელი ხალხი დაღუპვისაგან — მხოლოდ მოქმედება, მოძრაობა, ბრძოლა გაეჭარებდა გულს დაარს“.

„ხალხი ოდოიან გააყვა. ოდოიან ევლავ გაერთიანა დაშლილი და დაბეჭავებული არგის ქვეყანა, შეკრბა დიდი ლაშქარი და მტერი დაამარცხა, მშობლიური მიწა-წყლოდან განდევნა. ხალხს თავისუფლება დაუბრუნა“.

ოდოიან თვითთვის აგებულ „ტაძარში დაეუფლა, მიწიერ, მშვილ და ეზრუნველ ცხოვრებაზე ევლავ ეუბო თქვა, ჩაკვები აისხა, თუთა ჩრქულაში თავის ღმერთებთან საუბარი განაგრძო „ყოფიერ ჳეშმარიტებების ძიებას შეუდგა“.

ერთ ვერსი, ადრე თუ გვიან, დაამარცხებამდე მიიყვანა ხალხი, დაანგრეს და დაშორი-მორბენ მას ხალხი ჳეშმარიტმა რწმენამ უნდა გაერთიანოს, ამ რწმენამდე მისვლას ემსხვერპლი სჭირდება, პიროვნების მიერ გაღებული მსხვერპლი. ოდოიან გაიღო მთელი ეს მსხვერპლი, ამიტომ აღორძინა ყოველი თაობის ხალხი. მაგრამ ოდოიან უფრო დიდი მიზანი და ენება ამოძრავდება. „ჩაკვებისმული ოდოიან ვერ განაზრგება, როგორ უნდა შერთოდა ემარღვსა. იგი მხოლოდ მიოლტეოდა, განეყოთხავად, დაუფიქრებლად მიოლტეოდა ცისაყენ. ოდოიან ამ ლტოლევას ძალზე ჩვეულებრივი, ადამიანური გზა გამოუძენა. მესამე კიდან ნანას მოტაცება ვადაწყვიტა“, სიყვარულის ღმერთქალის, ნანას. ოდოიან მიაღწია ყოველ მიერვე ცას, ღმერთად იქცა — თინი ანთარად — მესაკონსულობისა და მისხვლის ღმერთად. მაგრამ როდესაც ეინი ანთარმა გრძნეული ცას დახმარებით მესამე კიდან ნანა მოტაცა და მიწაზე ჩამოიყვანა, თუთამ, ცის მბრძანებელმა დასაყა იგი — აქცია ოჩოკიხად, ხოლო გრძნეული ცა — ტაშმად, მიუწვედომელის ძებნაში, ღმერთადვე ამაღლებული ადამიანი დაშარცხდა, უმაღლესს მიხატვებულ უმდაბლესს ეზარა — ენებით დაბრწყვეულ ოჩოკიხად იქცა.

აქ თავდება რომანის მითოლოგიური ექსპოზიცია და იწყება ხაზგასმით საქმიანი, ყოფითი პროზა: აღარსად არის ექალ-ბარდით გადაბურული ქვეწარმობის ცხენისწყლის ჳაღები. აღარსად არის ჩვეულებით გადახლართული თვითი შირს ტუიანი ფერობები. გამრევ

ადამიანებმა ოჩოკიხა და ტაშმა შეუდარბოეს ხეთის ჳაობებს თან გააყოლეს. მაგრამ ეს მოწვევებითობა გარე პლასტს ემთავრება მხოლოდ, რადგან ტექსტის სიღრმეში მუდამ იჩენს თავს მითოლოგიური ფანტომები, რომელნიც ქნინან არა მხოლოდ მითოლოგიურად განწყობას, არამედ ყოფით რეალობას ხაზგასმითი მინიშნებებით უკავშირებენ მითოლოგიურ პლასტს. მეტრც, მთავარი გმირის პირველივე გამოჩენა, მისი უცნაური აღქვრვილობა თავიდანვე უსვამს ხაზს მითოლოგიურ არქტიპთან თანაზიარობას: „ადრე, ამ მიდამოებში იდუმალ სიხუმეს, ვასაოცარ, თითქოს დამუხტულ სიშვენიდესა და სიწყნარეს, როგორც უეცარი აფეთქების ხმა, ჩაკვების ელარფნი არღვევდა. სოფლის ბოლოს მალაღას გვიმრებოდანა ჩაკვის ელარფნით გამოდიოდა ერთი წვეგრისანი. გვიმრები ისე ირბეოდნენ, თითქოს კაცი ტანიწყალში მიტოპადა. წვეგრისანი მალაღას იყო, ტარანივით ხმელი, ეკიმური თეთრი ხალაით ეცვა. ხალაის ქვეშოდან ჩაკვები მოუჩინდა. ელარფნით ნელა მიამიყვებდა. გაბურღული თმაწყვარი, ეუბარი თვალები და ეს ჩაკვი მნახველს თავხარსა სეემდა.“

ფეშმეშველს ხალათის შიგნით მხოლოდ საცელები ეცვა, — როცა ხალათი გადახსნებოდა, გაბანყველული მუხლები გამოჩნდებოდა. მუხლებამდე წვედებოდა ჩაკვების ბოლოები, თეთრი ხალაით რომ არა, კაცს ოჩოკიხი ეგონებოდა, ან საფლავიდან ამდგარი მკვდარი. ჩაკვებს მიავლარუნებდა და ორლობში ლანდივით მიამიყვებდა“.

გაიხსენით ზემოთმომხობილი: ოდოიან „მშვილ და ეზრუნველ ცხოვრებაზე ეუბო თქვა, ჩაკვები აისხა“.

საერთარი სხეულის გვემით, ქვენა სურვილების დათრგუნვით ოდოიან ხალხს ღმერთი მოეუბო, ხოლო შემდეგ ჩაკვები — აისხა, რომ ღმერთებთან საუბარი განეგრძო და ცოტრი ჳეშმარიტებანი ეძებნა. აქ, მითოლოგიურ დონეზე შეიძლება გამოვეყოთ ჩაკვის ასხმის მოტივი. მაგრამ „ჩაკვებისმული ოდოიან ვერ განაზრგება, როგორ უნდა შერთოდა უმაღლესს“. აქ უღინდება ჩაკვითაგან ვანთავისუფლების მოტივი, როგორც წინაპირობა უმაღლესთან შერთვისა. თემკალა, „ვერც თუთაშიბა, ვერც ღმერთობა ოდოიან გულს ვერ განუკურნავდა. სიყვარულით სწეული ღმერთი — თინი ანთარი (ყოფილი ოდოიან) მთავარეულით დაამიყვებდა ღმერთებს შორის ცის კაბადონში“. მხოლოდ სიყვარულია ის სიყვლისშემძლე ძალა, რომელიც პიროვნებას თავისუფალ ადამიანად ხდის, ხნას მის სულ შემბორკავ ჩაკვებს. სხვა შემთხვევაში ადამიანი ვერ თავისუფლდება, იგი „სხვადა“, ამ შემთხვევაში, ოჩოკიხად იქცევა. სიყვარულის ყოვლისშემძლეობის მოტივი გან-

საზღვრავს ამ წიგნის როგორც მითოლოგიურ, ისე რეალურ დონეს.

საბრალო ოდოია ოზოკონად იქცა, რადგან ვერ ეზიარა სიყვარულს ქალღმერთის ნაწას სიყვარულს (სებათაშორის, სიყვარულს, როგორც ადამიანის პიროვნებად დამდგენელი ძალის არსი მითოლოგიური ასპექტით თავს იჩენს ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებში). გიორგი ახლოა ამ მდგომარეობასთან „სხვად ქცევასთან“ (რაც წმინდა მითოლოგიური პასაჟია. ვ. ი.), იგი „კაცს ოზოკონი ან საფლავიდან ამდგარი მკვდარი ეგონებოდა“.

გიორგი აქ ჭერ შუა გზაზეა, გააჩნია საით გადაიხრება. ოდოია ვერ გადაარჩინა სიყვარულმა, მაგრამ გიორგი? გაეცხვინათ ტექსტს: გიორგი იქნა ანინას სახლს წინ მთავარი განათებულ ჭირჭე, ისე გაჩინდული იქნა „თითქოს ადამიანთათვის მიუწვდომი და გაუგებარ რამ საიდუმლოს ეზიარებო“.

ბოლოს ანინა მოახდენს სასწაულს. თავისი სიყვარულით გაათბობს გათოშილი გიორგის სხეულსა და სულს, ახსნის ჩაჭვებს. მაგრამ ამ ახსნამდე გიორგი თითვე მივიდა, იგი მზად იყო, მან თავის თავში დაამარცხა შერისძიება, რადგან ეზიარა მიტყვების საიდუმლოს. იგი წმინდა პიროვნებად იქცა, კაცად, რომელსაც ღმერთის მსგავსად უნებ აქვს უფლება ადამიანებს ასწავლოს როგორ უნდა იცხოვროს.

აქ გვგვთ კალანდარია დაშორდა თავის არქეტის, მან გაიმარჯვა მის გარეთ მდგომ და მასში არსებულ ძალებთან ბრძოლაში. და თუ მთის სუვერენობენ, რომ იგი აქრონულია ამ შემთხვევაში მითოლოგიური არქეტისა და მისი ორეულის დაპირისპირებამ ბევრსა მიჭყელი კონკრეტულობა შეიძინა. ორეულმა გაიმარჯვა, რადგან დღეს აუცილებელია მისი გამარჯვება, რადგან დღეს შესაძლებელიცაა მისი გამარჯვება. მითში ეს არაა ნათქვამი.

ასე უპირისპირდება და აგრძელებს დღევანდელობა წარსულს.

მითოლოგიურ და რეალურ პლანში აქ შემდეგი მოტივები იჩენს თავს: 1. ჩაჭვის ახსნა, როგორც თვითგველა; 2. ჩაჭვისაგან განთავისუფლება, როგორც წინაპირთა უშაღღესი ტემზარატების წვდომისა; 3. სიუარული, როგორც პარობა ჩაჭვისაგან განთავისუფლებისა. ყველაფერ ამას კი აერთიანებს ერთი პათოსი — უშაღღესი ტემზარატების წვდომის დიუოცებელი ცნება.

მითოლოგიური და რეალური დონეების პარალელიზმი ტექსტში ბოლოს თანადამთხვევაში გადადის, სადაც არა მხოლოდ მოტივებისა თუ სიმბოლოების თანადამთხვევასთან გვაქვს საქმე, არამედ არქეტისთან, ვმირის თანაზირობასთანაც. ამ თვალსაზრისით მეტად მრავალმთქმელია და პოეტურად თვალსაზრისით

განსაკუთრებულად საინტერესოა „ქვეყნის წმინდანის“ სცენა — ელმინაცია რეალური, იქნებ

ჩაჭვებისზედ გვგვთ კალანდარის, რომელმაც ვეღარ გაუძლო სხვისი და თავისი ცოდვების სიმძიმეს და განერიდა ადამიანებს, სიყვარული თავისი ცალკეოფილის სახლთან მიიყვანს.

ღევემბრის თვია, როცა იწყება დიდი თეთარჩელები როცა ქვეყანა ღამისაა, როცა „მთვარეა მშურობელი ცისა და შიწისა, მთვარეა ტემზარატი შეუფე, ხოლო თეთარჩელა მისი სასუფეველი“. „თეთრი მთვარე ჩაახატებს ცაზე. თეთრ ღამეში თეთრად აღანბულა თეთრი მთაც და თეთარჩელას სიმადლეს ჰმატებს. როგორც თეთრი სიცივე, თეთარჩელაში გაბოდის თეთრებში გამოწყობილი გვგვთ კალანდარია“.

„ირგვლივ თეთრი სიბუმე სუფევს. ღამეს მხოლოდ ჩაჭვების ეღარუნი აკრთობს. გვგვთ გაუიხულ თოვლზე მიახიჭებს“. იგი ანინას სახლთან მიდის. „მთვარე თეთრი მთის ურსიონს თავს დაადგება“.

ანტერაგი, როგორც ვხედავთ, ხზგასმით მითოლოგიური, სადაც მითემა თეთრი მიანინშებს მანამდე არსებული მითოლოგიური სიტუაციის მდმიეობასა და განმეორადობაზე. იჭნება განწყობა და მითოლოგიური ფონი, სადაც ყოველივე შემდეგ მომხდარი — მხატვრულად დამაჩერებელია. მხედველობაში მაქვს გვგვს მითოლოგიური ზილეა და ამ ზილეაში მისი თანაზირობა არქეტისთან.

„ჭირჭე ზის გათოშილი გვგვთ კალანდარია. ამ ქვეყნის არაფერი ესმის, ამ ქვეყნის აღარაა, თეთარჩელას შეერთვის მისი სული“. იგი ხედავს წარმოსახულს, ესმის წარმოდგენილი, განიცდის სათოოს, რადგან ყოველივე რაც თითქოს მის გაჩუმება ხდება, ზილეაში გაცხადებული მისი სურვილია მხოლოდ, რომელიც მან დათრგუნა, მაგრამ რომელსაც მთელს არსებით ელტვის. „როდესაც ადამიანი აღსაესვა გადაწყვეტილებით რაღაც გაყეთოს, მაგრამ ვერ აღწევს მიზანს, მაშინ აქტი მის წარმოდგენაში სრულდება“ (მიხუტანი).

ადამიანი მისი დათრგუნილი სურვილები ვეღარ ეტევა და სულიერი კრიზისის გამძფრების ეამს იღუზორული ან პალეონაციური პერსონაჟის სახით გარებული პიროვნების მერე შედ ან „სხვად“ იქცევა — რომელსაც ეკამათება ან ეთანინება, ზედაც და ა. შ. ეს გამოყოფილი ანუ აქსტერიორიზებული პერსონაჟი ძალიან ზმირად სიმბოლოდ წარმოგვიდგება. იგი იმ განცდათა, გრძობათა, ფიქრთა, თვისებათა, იდეათა სიმბოლოა, რომელიც ვეღარ დაეტია პიროვნებაში, გახლიჩა იგი, გამოყუო მას და გარყვეულად დაანგრია კიდევ პიროვნების მოლიანობა“. „ზილეა“ გვგვთ კა-

ლანდარის არქტიკითან თანაზიარობასაც ავლენს, არქტიკითან თანადამთხვევეს, ეს არქტიკებია არგი, ოდოია. ანინას არქტიკაზე სიყვარულის ქალღმერთი ნანა ელინდება. ასეა ყოველივე გუგუს წარმოსახვაში, რაც გვგვ კალანდარის ხასიათს საუკეთესო მხრიდან აჩვენს, რადგან ხაზს უსვამს მისი რეალური ქმედების სხვათათვის უხილავ მოტივს — მის ერთვებულ მისიას.

გვგვ კალანდარისაჲს ჳერ ეჩვენება, რომ არაკითი „მზარზე ხელსოთდენა კაპუნია გავდევს და თეთრი მითსიენ მიეპართება“. ჳერე „მიაბიყებს მტყიცოდ, უშიზრად, გაყინულ თოვლს მიაბრღვეს და არგისებურად მშვიდად და მედგრად მიიწევს წინ. თეთრი ხალათი სულ მთლად სასხლით შეედება, აღმათ ძარღვები დაუწყვტოა ლოდმა“.

უკან ზღვა ხალხი ზიმიზებას.

ეს ხალხი და მათი „ხმები“ კი უკვე გვგვ კალანდარის თანამედროვეთა რეალური ჩანახატია, მექანიკურად გადასმული მითოლოგიურ წარსულში. ასინი უცხო არიან მითისთვის, მექანიკურად გადარგულნი, მაინც, როდესაც გუგუ და ანინა ორგანულად ერწყვიან მათს.

„გვგვ უკვე შორს არის, აღარ ესმის კალანდარიების ხორხოცი და ყოინა. არც გოგობიკების გუნდაობას ხედანს. ხომ არ სჭერთათ დაუნეისი, მაინც უნდა აიტანოს იქ, სადაც არგმა აიტანა. გუგუს თავისთავისა სჭერთა, თავისი ტანჯავაწვალებისა სჭერთა. „ცოტა დარჩა, ჳერამ უკვე ჳეტი აღარ შეუძლია, ტვირთი ვასასრელად ემტკრება. „კაპუნია, სქანი საბელი ჳეამილი...“ გვგვმ ძალა მოიკრიფა და თეთრი მითის თხემისავე გაიხედა, იქ საკორწილო კაბაში გამოწყობილი ანინა დგას. ანინა გვგუს გაღიმებული ელოდება. ანინას დანახვა ძალას მატებს...“

„უკებ ანინა თვალდახელშევა დაჯარგა, გატრა. თეთრ მთაზე აღარ დგას. შეშფოთებული გვგვ ანინას დაეძებს. თუ დეჯარგა, კაპუნია გარბისას, კაპუნეის სიმომეს ევლარ გავძლებს, უნდა იპოვოს, ანინა უნდა იპოვოს...“ „გვგუს ჳეტი ძალა აღარ შესწევს, სისხლისაგან იცუნება, თვალთ უბნელდება და სასოწარკვეთილი უვარის: ან, ძვირფასო! ანუღია...“

— გვგუ! გვგუ!! — გაისმის პასუხად ანინას გაწწილი ხმა. „გვგუე ჩაქვების ეღარუნით ფეხზე წამოდგება და გაქცევას აპირებს, რადგან ხედავს, რომ ანინა ცხადად დაეშვა კიბეზე და მისიენ წამოვიდა. ეს უკვე აღარ არის მოახვენება“.

ასე, ხილვა გადადის სინამდვილეში, მითი

2. კობა იმედაშვილი, ოცდაათი წლის შემდეგ. გვ. 243, 247.

ერთვის რეალობას. მოქმედება ვითარდება ალურ დონეზე, ჳერამ ბოლოს, როდესაც გვგუ ზოლი ევლინაციას მიაღწევს, მითოლოგიური დონე კვლავ წინა პლანზე წამოვა, გვგუს აგზნებულ გონებაში კვლავ მითში გადაინაცვლებს ყოველივე. ოღონდ აქ თვით გვგუ გრანობს, რომ ეს „გადაქცევა“ „ეთიომ“ ხდება და არა სინამდვილეში. ეს „ეთიომ“ არის „ხილვათაგან“ განთავისუფლებისაკენ გადადგმული ნაბიჯი, მითთან ზიარების შეშეუობით წინარეწარსულისაგან აწმყოში დაბრუნება.

„ანინა თეთრი მთაზე იდგა და იქიდან ეძახდა. იმ ნაცობ ადგილას ლევა, ძველი ტაძრების ნანგრევებზე იდგა ანინა. პეპლების ფრთებისაგან შეკერილი თეთრი კაბა ეცვა. ანინა ანინა კი არ იყო, ვითომ ნანად კტეულყო, სილამხისა და სიყვარულის ქალღმერთად. აღარსად იყო ანინა, შეშვიდე ცაზე ზღამრულ ბაღში, პეპლების ფრთებისაგან შეკერილი კაბაში დასაყრბობდა სილამხის ქალღმერთი ნანა, ყვავილები ფართოდ შლიდნენ კოკრებს და თავს მორჩილად უქრავდნენ თავიანთ დედოფალს, გუნდ-გუნდად ეხვეოდნენ სირინობები და იაღონები, უკან მოსდევდნენ ირმები და შვლები. გრანეული ცია და ქალღმერთები მოხდენილად უგებდნენ ფეხქვეშ ყვავილების ხალიჩას. დაბლა, ჳესამე ცაზე კი ღმერთებს შორის დარდიანად დაბიჭვება სიყვარულის რანდი ეჩი ანთარი“.

ეს სურათი ხილვაში ვაცხადებაა გიორგის სიყვარულის, მისი აზრით, დაჯარგული სიყვარულის ანინააღმძი. ამ სიყვარულის დაჯარგვამ ეჩი ანთარი, ღმერთი, ვაკცაიად, თიოკოჩად აქცია, დაჯარგვინა ყველაფერი, რასაც სხეულის კირთებით და სულის განწმენდით მიაღწია. გიორგისავე ანინას დაჯარგვით ყველაფერი დაჯარგა, იგი, წმიშა კაცი, თავის სურვილებში მხეცაკად იქცა. ამ გადაქცევას ხაზს უსვამს ჳემოთმოყვანილი ხილვის რეალობაში განჯკრობა: ოთახში ჩაქვების ეღარუნი გაისმა. იოიოჩის ვნებით წამოღგა ფეხზე გვგუ კალანდარია, საწყალი გვგუ კალანდარია. ანინა საშინელების მთლოღინში ადგილზე გაქვავდა. გვგუ მხეცს უფრო მკავდა იმწამს, ვიდრე ადამიანს“.

ეს გაღამწვევტი ლამეა. ანინამ სინამდვილეს, სიცოცხლეს უნდა დაუბრუნოს მხეცაკად ტკეული თავისი ქმარი, ან მასთან ერთად დაიღვბოს, ისე როგორც ოჩოკოჩის მიერ ძალით დამორჩილებული ტყაშმაჯა იღუპება. ანინა ორივე დასასრულისთვის მზადაა: „ანინამ იფიქრა თუ მომკლავს, მომკლასო, რომ ვიციელო, ამ ლამეში მაინც ვჯარვინ გაიგვბსო. ტუჭი გაღამწერევაო, ვაიმე მავწვიო! თვალები დახუჭა, დახუჭა და ანინას შემოგებლო ნაცობი მკლავები. ლოგინზე ჩაქვების ეღარუნით ამო-

ბობლდა გუგუ. მაგრამ გონს სწრაფად მოეგო, ჩაქვებისან-ჩუნებისანად ველში ჩაიკრა ქმრის გაუინული სხეული“.

1. მაგრამ გუგუ კალანდარია უნდა განთავისუფლდეს ამ ჩაქვებისაგან, იგი სიყვარულმა უნდა გაათავისუფლოს მხოლოდ მის მიერ სიყვარულის ტალღებით ნაად წარმოდგენილ ანიმას შეუძლია მისი ახსნა. და ეს განთავისუფლება, ნამდვილი და სიმბოლურიც, რეალურ დონეზე სრულდება: ანიამ გუგუს „ახლა თვითონ დაუწყო გამსაგებელი კოცნა, ხოლო ცალი ხელით ჩაქვების შეხსნას შეუდგა, ნელა ჩამოაცურა ერთი ჩაქვი ლოგინიდან, ერთს მეორე მიაყოლა, მეორეს მესამე, ლურჯნაგებია და რკინებიც კოცნასა და ფერებაში ნელ-ნელა გამოყარა ლოგინიდან...“

უოველივე ეს ხდება რეალობაში, რეალობაში გადაწყდა ადამიანის ბედი, რომელიც მითოლოგიურ წარსულში ნახულობდა თავის გამოძახილს. ამიტომაცაა მწერალი რომ აქ სვამს წერტილს და მითოლოგიზირებული განწყობის შესაქმნელად თხოობას მითოლოგიურ დონეზე აგრძელებს: „ორკოროს ვენება აქვს ამ ღამეს. სამყარო ვარსკვლავეთში, ჩაბრუნა, აღმოსავლეთით სპილენძის სასახლეში იღვიძებს და თავის სხივოსან, ელვარე საშობს იცვამს ცხოველი ღმერთი ბეა, მსახურნი დიდებულ ეტლში ფრთოსან რაშებს აბამენ. ვარსკვლავეთში შემოიჭრება ბრწყინვალე ეტლი და ბეას ნათება თავზარს სცემს ციურ მხეცებს. ციურ მხეცებს შორის გადის ვიწრო გზა, სადაც დიდმა მეტეორმა შევსებლად უნდა გაატაროს ქვეყნიერების ბუნის ეტლი. მარჯვნივ კუროს რტები ემუქრება სხივოსილ მეტეორს, მარცხნივ დიდი დათვი, ურჩხულისოდენა ღრიანკალი, კენტაური და კირჩხები. და ამა, მოდის იგი სხივოსანი და ცხოველი, დიდებული და ბრწყინვალე შვის ეტლი!“

გუგუს არც გათენება გაუგია, არც შვის ამოსვლა, არც ანიანს ადგომა. გამთენიისხანს თავმოკეთილივით ჩაებინა“.

რომანი დაიწყო მთვარისა და ღამის ამოლოგით, დამთავრდა შვის ამოსვლის დიდებული სურათით.

გიორგი კალანდარია დაბრუნდა რეალურ სამყაროს, იგი განთავისუფლდა და დადლილი კაცის ჯანმრთელი ძილით დაიძინა.

გიორგის განუტრუნება სოფლისათვის უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანის მორჩენაა: ეს რწმენის დაბრუნებას მაუწყებელიცაა, ამიტომაცაა, რომ „შუა სოფელში, თავისი ოდის აივანზე გადმოდგარაიყო დიდკოსტა, გუგუს ამბავი იმასაც გაეგო და თოფს ცას ესარგა, თითქმის ხარტბაო“.

ასე თავდება ნოდარ წულუკისკრის რომანი „თეთარჩელა“. როგორც დაჯერმენდით, მასში

მითი მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. მის გარეშე ეს რომანი ვერ იარსებდა. რომანი იწყება მითით და თავდება რეალობით, მაგრამ ამ რეალობაშიც მითემები მოხაიკოს კენკვებით ბრწყინავენ და იმ კავშირებს უსვამენ ხაზს, რომელიც მუდამ არსებობს თანამედროვეობასა და ერის მასსოვრობას შორის, აწყოსა და მითოლოგიურ წარსულს შორის.

ამდენად, რომანის პოეტაე მითემების გააზრებისა და გაანალიზების გარეშე ჩვენთვის ამოუსნელი დარჩება. ასევე, მკითხველიც, რაც უფრო სრულიად გაშიფრავს დაშიფრულ მხატვრულ ტექსტს, მით უფრო ღრმად ჩასწვდება მას, რადგან მითოლოგიური დონის გარეშე ეს რომანი ძალიან ბევრს დაჰკარავს, იგი მხოლოდ აწყამიერი დროითა და პრობლემებით იქნებოდა აღბეჭდილი.

მიმთხიბი და პარალელუმიბი

„თუთარჩელას“ ექსპოზიცია მითოლოგიზებულია: მასში მოთხრობილია ორი მითი თავისი მწყობრი, ჩამოყალიბებული სახით — მითი არჯისა და მითი ოდოიასი.

ქართული მითოლოგია ასეთ მითოლოგიურ ტექსტებს არ იცნობს, რადგან ასეთი მითები არ არსებობენ. როვეე მითი — არჯისა და ოდოიასი რეკონსტრუირებულია არსებული მითემებით მითოლოგიური ლოგიკისა და კანონების საფუძველზე. მწერალი კმნას ფსევდომითს, რომელსაც მითის პირველსაწყისის, პირველწყაროს ფუნქცია ენიჭება და ხდება რეალურ დონეზე მასთან პარალელულების გეალება. ფსევდომითი რეალურ მითად აღიქმება კუმარტიო მითემების მეშვეობით, ისინი კმნაან ისეთ მითოლოგიურ ატმოსფეროს, სადაც სიმბოლოსაც მითემისა თუ არქეტაიპის მნიშვნელობა ენიჭება. ასე რომ, „თუთარჩელაში“ უნდა ერთმანეთისაგან განავსებავოთ მითი და ფსევდომითი, მითემა და ფსევდომითემა, არქეტაიპი და რეკონსტრუირებული არქეტაიპი.

ძირითადი მითემა რომანში არის თუთა — მთვარე და მასთან დაკავშირებული, თუ მისგან ნაყარო მითემები: თუთარჩელა, თუთაში, თუთაშხა.

რომანი იწყება თუთას ამოლოგით და როგორც ვნახეთ თავლება ბეას — შვის ამოლოგით. თუთაც და ბეაც ქართული მითოლოგიური პანთეონის მთავარი ღვთაებანია.

ივანე ჯავახიშვილის დასკვნით, მთვარე ქართულთა უმთავრესი ღვთაება იყო ქრისტიანობამდელ წარმართულ პანთეონში, რომელიც შემდეგ წმინდა გიორგიმ შესცვალა.³ „სამეგ-

3 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 50.

რელოში დღემდე შემორჩენილი მთვარის კულტის აღმნიშვნელი ტრეზინები, თავს „თუთა“ (მთვარე) ეწოდება, ორშაბათს „თუთაშა“ (მთვარის დღეს), ავადყოფი, როცა ზოდესს, მას „თუთაშის“ (მთვარისას) ეძახიან.⁴ არქანჯელო ლამბერტის მოწმობით, მეგრელებს სწამთ, რომ „მთვარესთან არის დამოკიდებული ყოველივე მათი ბედი და უბედობა“⁵ არსებობს სხვა უამრავი დამოწმება მთვარის ღვთაებრიობისა, რომელთაგან უძველესი მაინც მითის ფრაგმენტია:

ბეა — დიდ^რ შქიმი,
 თუთა — მუმა ჩქიმი,
 ხეჩა-ხეჩია მურუცხეფი —
 და დო ჭიმა ჩქიმი.
 (შე დღაა ჩემი,
 მთვარე — მამა ჩემი,
 წვრილ-წვრილი ვარსკვლავები
 და და მამა ჩემი).

ზემოთ ითქვა, მთვარე შერე წმინდა გიორგიმ, თეთრმა გიორგიმ შეცვალა. შითემა „თეთრი“ რომანში სწორად გვხვდება და იგი მაშინაც კი ატარებს მითოლოგიურ ხასიათს, როდესაც ყოფითი დეტალის უბრალო განსაზღვრებად უნდა იხმარებოდეს თითქმის. მაგალითად: გიორგი თავის ხილაში, რომელიც მიოლოგიურ ხასიათს ატარებს ფსევდომითიან გენეტური კავშირით, ხელისოდენა კახენიათი ზურგზე მტკიცედ მიამოჭებს თეთრი მთისაყენ, „გაყინულ თოვლს მიარღვეს და შედგარდ მიიწიეს წინ. თეთრი ხალაი სულ შოლად სისხლით შეედება. აღბათ ძარღვები დავწყვიტა ლოდმა (ისევე როგორც არგის — ვ. ი). აქ თეთრი ხალათი ფერზე მეტს ნიშნავს. ესაა არქეტაპთან თანაზიარობის მიზნიშვნელი მითემა, რასაც ავტორისეული ცნობა უსვამს ხაზს: „პირველი ქადაგების შემდეგ თუთაში თავს ანებებდა ვარსკვლავთმკითხველობას, ღამის თევს. სათელთვალში მის ნაცვლად სხვა დაეუფდებოდა, თვითონ კი შეიშოსებოდა თეთრი ხალაოსლით და ტაძრის წინ აღმოართული ამბიონიდან ქადაგებდა. ხალხი ქადაგებას ისმენდა ორშაბათ ღამეს, თუთარჩეულში“.

შემთხვევითი არაა ისიც, რომ გვგვ თეთრად შორთავს ოთახს, თეთრებს ვაყარავს უვლგან კედლებზე, იწიეს ამ უცნაურ პალატაში გვგვ კალანდარია და ადამიანთათვის სრული-

ად უცხო სამყაროში ცხოვრობს. იქვე, *ქვემოთ* მიწიერი, თუთარჩელასფერია ეს *ზემოთ* კალანდარია...⁶ ...წარსულთან გაბამს კავშირს. წარსული თეთრია, სულეთი თეთრია და ამ სითეთრისკენ მიისწრაფის გვგვ კალანდარის სულიც. როცა მთვარე მოადგება საშაბადის ფანჯარას, თუთარჩელა თეთრა წეწრიდან ჩაიდრება ოთახში“.

თეთრი ფერის ის პირველადი ფერია შავსა და წითელთან ერთად, რომელთაც ადამიანის შეგენებაში არქეტაპული სახეები წარმოშვეს, თავისი მკვეთრად ჩამოყალიბებული მნიშვნელობებით. ინდური „ვედანტა“ ყოფს სამფერად ასახავს... „ძირა ფენი ბნელია და ქაოტური: „ტამას“ — მას უღრის შავი ფერი; შუანა ფენი კიდილია, ბრძოლა, შებმა სინათლისა სიბნელესთან, წყობისა და რიგის ქაოტიურთან; „რაჯას“ — მას უღრის წითელი; ზედა ფენი სინარულია და მუღღრობება ღვითერი; „სატატა“ — მას უღრის თეთრი“. (ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“, ბუენოს აირეს, 1954, გვ. 139). გავიხსენოთ „ამირანდარეჯანიანის“ თეთრი, წითელი და შავი ვეშაპები თავისი სიმბოლური მნიშვნელობით, გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსნის“ თეთრი და შავი (ცხენების ფერი); „სტრიელისა და ავთანდილის ცხენთა ფერების დამოხმობრება“ „ვეფხისტყაოსანში“ ტარიელისა და ავთანდილის სხვადასხვა სულიერი ვითარების გამოშახველია. შავი — მწუხარება და გლოვა; თეთრი — იმედი და ღებნი“ (იქვე, გვ. 29).

ანალოგიურია თეთრის მნიშვნელობა „ნებილენგებში“. თეთრის, წითელისა და შავის ასეთსავე მნიშვნელობებს ვხვდებით ფაქტურად ვეველგან, რადგან ამგვარ აღქმაში გამოვლინდა კოლექტიური შეგენების ის საერთო ფორმა, რომელიც ვეველამ გაიარა. აქ უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ერთით დავკმაყოფილდეთ — აფრიკელი ნდემბუს ტომის ენაში თეთრი, შავი და წითელი ძირითადი ფერებია. მათგან თეთრი ვეველა იმ ღვთაებრივი თუ ადამიანური სიკეთის სიმბოლოა, რაც შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს. მეტრც, თეთრი ფერით მოხატვა მიუთითებს ცუცხლებსა და მკვდრებს შორის მშვიდობიანობასა და კეთილგანწყობილებასზე.⁶

თეთრის ის პირველადი ფერია, რომელიც ვეველს აერთიანებს, რადგან იგი განუყოფელია, სერთია, ვეველანია.

4. ა. ს. სანაია, კონსტანტინე გამსახურდია და ხალხური შემოქმედება, „მეცნიერება“, 1970, გვ. 30.
 5. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, 1938, გვ. 147.

⁶ Виктор У. Тернер — Проблема цвето-вой классификации в примитивных культурах (на материалах ритуала идембу). См. сбор.: Семиотика и искусствоведение: «Мир», М., 1972, стр. 56.

„თეთრისა“ და „შავის“ ანტინომია რომანში თავს იჩენს გვირის სულიერი კრიზისის ეპოქა: „...დაეკარგა თეთრი სულეთი, თვალსა და ხელს შუა დაეკარგა, ბნელმა ჩანთმა გუგუთ კალანდარია. ირველვე ბნელეთითა საზარელი, საშინელი ბნელეთით... შავი სივრცე უსაზღვროა და უკიდვანაო... უცებ ამ ბნელეთში საზარელი კვქა-ქუბილი ატყდება... ვულგარბოქილს გამოვლევებდა“.

სხვათაშორის, თეთრისა და შავის ანტინომია თავს იჩენს მითშიც შესუფთა შესახებ, სადაც ფერი განაწილებულია შესუფთა სქესის მიხედვით: „როცა შამაქაეები შოღიან, მათ შავი ტანსაცმელი აცეით და ამიტომ მთელ კვირას წყნის. ქალები თეთრი ტანსაცმლით მგზავრობენ და ამინდიც კარგია“ (პ. ცანავა, ქართ. ზეპირსიტყვიერება, გვ. 8, 1970 — თვითონ უთითებს СМОНИК ტ. 24, განყ. 11, გვ. 1-5, 1898 წელს მასწავლებელ იოსებ სტეპანოვის ჩანაწერს).

თეთრი ფერი მთვარესთან დაკავშირებული მითებია, მისგან იგი გადვლავდა თეთრ გოორგისთან, მთვარის შემცველ ღვთაებასთან. ეტყობა, შემთხვევითი არც ისაა, რომ რომანის პროტაგონისტს გიორგი ჰქვია — იგი, თეთრებით შემოსილი, თუთაში, ხალხსათვის ეწამება, ხალხისთვის ებრძვის ადამიანის სულში დაბუღებულ ავაციობის ურჩხულს.

მაგრამ გიორგის მარტო თუთასთან და თეთრთან არა აქვს კავშირი. სულიერი მგრუეობისა და მარცხის ეპოქა იგი ენი ანთართან და ონოკონთან ნახულობს საერთოს, ისევე, როგორც ანინა — ტყაშმაფასთან. გიორგისა და ანინაშ არქეტებები ეს მითებები არაა, რადგან ასეთებლ პირველსთვის არგი და ოდოიაა, ხოლო მეორისათვის — სიყვარულს ქალღმერთი ნანა — მაგრამ ეს სამივე ფსევდომითებია, მწერლის მეორ რეკონსტრუირებული და მასზე ცალკე შევრჩადები, კვემით. ახლა, რაც შეეხება ენი ანთარს, ონოკონსა და ტყაშმაფას.

ენი ანთარი (ზეციური ანთარი) — შინაური საქონლის მფარველი ღვთაებაა.⁷ ი. ჟავახიშვილით: „ანატარი“ „ანთარი“ და „თთიარ“ ძველსტველი ღვთაების სახელი უნდა იყოს, რომლის სხონეა და თავიანისცემა ოდნავლა არის შემორჩენილი“.⁸

ოპოტოპი

ივ. ჟავახიშვილით — ონოკონი ნიშნავს „კაც-კაცს, ანუ იმ ზღაპრულ არსებებს და

7. ს. მკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 1941, გვ. 329. პ. ცანავა, დსაბ. ნაშრომი, გვ. 29.

ღვთაებს, რომლის სხუელის თიბისაა, მეორე კი ადამიანისა შიგავს“.⁹

პ. ცანავას აზრით, „ონოკონი არ წარმოადგენს ნაღირობის ღვთაებას, იგი ორსახოვენი, ორბუნებოვანი მითოლოგიური პერსონაჟია, რომელმაც დეგრადაცია განიცადა და დაზიანებული სახით ტყვეებში და მღინარის ნაპირებზე დაებტება. იგი უპკეთო, ბრთვი და უგუნური არსებაა“.¹⁰

ნოდარ წულვისკიარის მიერ „თუთარჩელაში“ რეკონსტრუირებული ფსევდომითით: ენი ანთარი გაღმერთებული მოყვდავი, მუყემსი ბიკი ოდოია იყო, რომელიც ღმერთმა თუთამ სიყვარულს ქალღმერთის ნანას შესამე ციდან მოტაცებისათვის ონოკონად აქცია. ონოკონი ბანჭველიანია და ღონიერი, იგი ღვემორეული ლაშებით და ანთებული თვალებით ტყაშმაფას დაებტებს, რადგან იგი თავის საყვარულს აგონებს. თუ მან ტყაშმაფა დაიმორჩილა, მის სხეულში ბორბტი სული ჩასახლდება და ტყაშმაფა თავს იკლავს. მთვარის მოჭკვევის ღამესაა თურმე საშიში ონოკონი.

გიორგი კალანდარია უბრალო მოყვდავი იყო ოდოიასათვის, მაგრამ ხალხის სიყვარულმა და თავგანწირვამ იგი განსაკუთრებულ პიროვნებად აქცია, იგი ამალდა ადამიანებზე, ოდოიასათი კულტურულ გვირად იქცა, ღმერთებს მიეახლა და მოყვდავთან განსხვავდა. თუმცა, საკმარისი იყო ოდოიასათი აგრძალული სურვილი დაამადგმოდა სულში, საკმარისი იყო მას მტრებლობა ჩაფუქრა, რომ ადამიანური იერიც კი დაკარგა, ჩვეულებრივი ადამიანისთვის დამახასიათებელი ნირი და წესი ცხოვრებისა, იგი ონოკონს დაემსგავსა.

გიორგი თავისი ხასიათის განვითარების სხვადასხვა საფეხტრზე ავლენს გარკვეულ ახლობლობას სამივე არქეტთან, მაგრამ გენეტური კავშირი მას შიონე არუთან და ოდოიასთან აქვს. შემდეგ, კეუას გადასულიც ხომ მხოლოდ მათ ელპარაკება, მათი ესმის, მათი სურა, მათი სწამს. გუგუს „ოთახი სახევა ლანდებით წინაპართა ანრიღები მობრძანებულან“. ავადმყოფი ელის მათ, ესაუბრება, მაგრამ სახელები აქ ორია დასახლებული — არგი და ოდოია, ისინი მას სიყვარულს წუდომასა და სიყვარულით მზისკენ სელას ასწავლიან; ამიტომაცაა გუგუ რომ ღადღებს მათი მსაპართათ: „ოჭვენი დანახე იმედს მაძლევს, ძალას მშატებს, უთქვენოდ მე მტვერი ვარ, არარაობა, დაბშულია ზემი გონება, დაშლილია ზემი სხეული, უაზროდ დაუფარფტებ მღვრიე

8. ივ. ჟავახიშვილი, დსაბ. ნაშრომი, გვ. 84.
9. იქვე, გვ. 86.
10. პ. ცანავა, დსაბ. ნაშრომი, გვ. 28.

სივრცეში და უსაზღვროდ მივჭრი არარაობაში...“

ამ კავშირების გვერდით, ობოკონთან გიორგის შედარება, რა თქმა უნდა, სცილდება ჩვეულებრივ შედარების ფარგლებს, რამეთუ მითოლოგიაში ლიტერატურაში ნიშნავს არა მითთან თუ მითემასთან შედარებას, არამედ როგორც ერთის, ისე მეორის გაცოცხლებას, ახალ დროში გაქცალებას. შედარებითსათვის ერთ მაგალითს მივეთითებ:

„ გამაბუტრდია „მთვარის მოტაცებაში“ მებორნენ ობოკონსა ადარებს და ამას მითოლოგიაში არაერთი კავშირი აქვს, რადგან გაირვენულ ხატის შედარება და არა არსისა: „იგი მართლაც ობოკონს მიაგავდა, ენგურის ქალღმერთს მოხეტიალეს“ (ჩრ. თხ. I, 1958, გვ. 16), ისევე, როგორც: „შეე გაბარულიყო ღრუბლებში და გარუჭული ზეები ახოზე შეეოსან ობოკონებს დამსგავსებოდნენ“ (იქვე, გვ. 332). თუმცაღა, სხვა შემთხვევაში მეტაფორად ნახვარი „ობოკონი“ არქაულ, იდეალურ განწყობას ბადებს: „წყლის დედა წყალში ცხოვრობს და ობოკონი ქალებში დააბობტებს“ (იქვე, გვ. 80).

„თუთარჩელაში“ ძირითადად ორი გმირია, რომელთა ხასიათსა თუ ბედში ცოცხლება მითი. ერთი გიორგი გახლავთ, მეორე, მისი მეუღლე ანინა. აქ არის გაჩვენებული შინაგანი ლოკა: ისინი სხვათაგან გამოირჩეულნი არიან, ამბლებულნი, ხალხის საუკეთესო თვისებათა მქონენი და ამდენად ხალხის მითოლოგიური წარსულის, ხალხის მესტიერებაში დაღმწეული წინარეწარულის გამოხატველნიცა და გამოცოცხლებულნი თუნდაც თავის დრამატული ბედით. სხვათაგან გამოირჩეულია თითქოს გვახივ, მაგრამ მოჩვენებითია მისი რჩეულებთან წლანაყრობა.

ტაყაშაშა (ტანის გიჟი)

ივანე ჯავახიშვილით, „სამეგრელოში სწამთ ტყის მეფის, ანუ, როგორც მეგრელები ეძახიან, „ტყაში-მაფა“ არსებობა: ხალხს ეს ღელთება მომხიბლავ გრძელთმიან ჰაეროვან არსებად ჰყავს წარმოდგენილი: ტყის ნადირის მფლობელია და მასზე დამოკიდებულია მონადირის ბედინაობა თუ უბედობა: თუ უნდა ნადირს მოაკლვიენებს, თუ არა და — ბედს შეუკრავს“.¹¹

„მეგრელების წარმოდგენით, ნადირთ პატრონი „ტყაში-მაფა“, ტყის მეფე, ლამაზი ქალია, რომელსაც ორი გრძელი და ოქროსფერი

ნაწნავი აქვს. მონადირის ბედ-იხსნის მასზე დამოკიდებული“.¹²

1894 წლის ჩანაწერით (ი. ტარცივი) „ტყაში-მაფა“ მეგრელებს წარმოდგენილი ჰყავთ ტანშიშველ მზეთუნახავად, გრძელი და ჩამოშლილი დალალებით, მუტუქი (ნარნარი) სიარულით“.¹³

„თუთარჩელა“: „ანინა ღია კარში ტყის ქალივით გამოინდა გაჩეჩილი თმებით, მოკლე ღამის პერანგით, ფეხშიშველა ნამდვილი „ტყაში მაფა“ გვეგონებოდათ“.

„ტყაში მაფა“ სხანეთში გაერყელებული ღელთების — დაღის ანალოგია, ორივესთან ეშვადოდ დაკავშირებულია ირემი და, საერთოდ, გარეული ცხოველ-ფრინველი.

„თუთარჩელა“: „ანინას ლანდივით თანა სდევს ირემი. შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ქალი ირმად გადაიქცეს, აიქრას თეთრ მთაზე, „ირმის ნახტომით ცაში ავიდეს და იქიდან გადმოხედოს გვერუც და გვაჩისაც“. გიორგის ხილვაშიც ანინა ირემთან ერთად ჩანს, ოღონდ იგი ეკვმ სიყვარულის ქალღმერთ ნანად გვევლინება: „ანინა თეთრ მთაზე იდგა და იქიდან ეახლდა. იმ ნაცნობ ადგილს იდგა, ძველი ტაძრების ნანგრევებზე იდგა ანინა. პეპლების ფრთებისაგან შეეკრილი თეთრი კაბა ეცეკა. ანინა კი არ იყო, ვითომ ნანად ქცეულიყო, სილაამზისა და სიყვარულის ქალღმერთად. აღარსად იყო ანინა, მეშვიდე ცაზე, ზღაპრულ ბაღში, პეპლების ფრთებისაგან შეეკრილ კაბაში დასეირნობდა სილაამზის ქალღმერთი ნანა, ვევილები ფართოდ შლიდნენ კოჭებს და თავს მორჩილად უკრავდნენ თავიანთ დედოფლებს, გუნდ-გუნდად ეხვეოდნენ ხარინოზები და ააბონებენ, უკან მოსდევდნენ ირმები და შველები. გრძნეული ცია და ქალღმერთები მოხდენილად უგებდნენ ფეხქვეშ ვევილების ხალიჩას. დაბლა, შესაშვ ცაზე კი დღერთებს შორის დაჩლიანად დააბიჯებდა სიყვარულის რაინდი ფინი ანთარი“.

მოთქმები — მეშვიდე ცა, პეპლები, თეთრი კაბა, ხარინოზები, აბმები და შველები, გრძნეული ცია, ქალღმერთები, ფინი ანთარი — წარმოაჩენს გმირის გენეტურ კავშირს არქეტიპთან. ეს არქეტიპი კი ხომ ღმერთქალია, რასაც „ირმები და შველები“ და, განსაკუთრებით, „თეთრი კაბა“ უსვამს ხაზს. გვიხსენოთ ზემოთმხიბობილი მესვეყნები და ტანსაცმლის

12 ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, 1964, გვ. 31.

13. СМОНПР, ტ. 18, გვ. 3, გვ. 12) უუთითებ აბ. ცანავას წიგნის მიხედვით. გვ. 13).

11. ივ. ჯავახიშვილი, დასაბ. წიგნი, ტ. I, 1964, გვ. 31.

ფერის განაწილება — კაცებს აყვით შავი, ქალებს — თეთრი.

როგორც ითქვა, „თეთარჩელაში“ არქიტექტონთან თანაზიარობას ორი გმირი ავლენს — ღირსი და — გიორგი კალანდარია და მისი მეუღლე ანია, რადგან ისინი თვისობრივად განსხვავდებიან „სხვათაგან“ თავისი სიწმინდით, თავისი სწრაფებით ხალხს მოუტანონ სიყვთე, დააბრუნონ ხალხი თავისი წიაღის საუკეთესო საწყისებთან.

უოველივე ამასთან ერთად, გიორგი კელტურელი გმირის თვისებებსაც ავლენს — იგი ასწავლავს ხალხს როგორ უნდა იცხოვროს, იგი ხალხს წინამძღოლობს, მას ხალხს მიჰყავს განწმენდისა და უკეთესი შერბისაკენ. ამდენად, გიორგის თანაზიარობა არქიტექტონთან რეალურ პლანში არის ერთი საუკეთესო თვისებებთან, ერთი სულში ჩამოყალიბებულ სიწმინდესთან თანაზიარობა, რასაც გიორგის ხილვა ცხადყოფს განსაკუთრებით შეამბეჭდავად:

— ღამის სიტყმრებს შორის კუთხეში არც და ოღოია დგანან, ოღოია მშვიდად, დინჯად, დამარწმუნებლად იწეებს საუბარს:

— სიყვარულმა აგვიხილა ოვალები და სიყვარულმა დაგვაბრძავა, ჩვენც კიყვარული არ ყოფილა მხოლოდ ტრფიალი, ჩვენი სიყვარული იყო ხილვა, წვა და ღრღოლა. როცა ჰემ-მართი სიყვარულია, უნდა იტანჯო, ტანჯვის გზა არის ერთადერთი და სწორი გზა. ტანჯვის გზას მიყვავართ სიყვარულისაკენ, სიყვარულს მიყვავართ მზისაკენ.

ოღოიას არგმა ჩამოართვა სიტყვა, წინ წამოღდა და განაგრძო:

— სიყვარული უმადლესი შემოქმედებაა, ღმერთის სულის გამოვლენაა სიყვარული, ადამიანს ძალა არ შეწყვეს უარყოს იგი.

— სიტყუა! — შესაბა გიორგომ.

გიორგის პაროენება დაიშალა, მის აგზნებულ გონებაში პერსონაჟები გამოცალკეედნენ (არც და ოღოია) რომელთაც იგი ეკამათება, ბოლოს კი ეთანწყება. ხანაათის ასე დამოაწვე ექსტეროორიზება თანამედროვე ლიტერატურისათვის განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რაც ხალხს უსვამს თანამედროვე ადამიანის დაუოკებელ სწრაფებს თვით გატყვეს მოვლენათა რთულ არსში, ამ ძიებაში კი ადამიანი ხშირად ეურდნობა მითს — ერთს მესიყურებაში შემოჩენილ მღვრად ცნებებსა და ფსევდოობებს.

„გზავთ კვლავ დაემზო მუხლებზე და ღანღებს ზეწწა-მუდარა დაეწყო, — საუკუნეებს იქიდან შესმის თქვენი ზმა, ის ზმა შთამბგონებს და აღმაფრთოვანებს... თქვენც ხომ გესმით ჩემი, ხომ გესმით?... თურმე გესმით!

— გვესმის, — უპასუხა არგმა.
— გესმით!.. — აღტაცებით შესაბა გვგუმ,
— მაშ, არ გაეკრებით უკალოდ, დღესაც.

ხვალა, ზეგაც თქვენს ზმას მე გაეგონება, ჩემსას თქვენ გაეგონებთ, ჩვენი შვილებიც, შვილთაშვილებიც ჩვენ მოგვბაძავენ და მარადისობიდან მარადისობაში იმორჩავენს სულა... ეს იმედია“.

სწორედ ეს — „მარადისობიდან მარადისობაში მორჩაი სული“ იჩენს თავს თანამედროვე ლიტერატურის ამ პროცესში, რომელიც მითოლოგიებით ხანიათდება.

მითი მხატვრულ ნაწარმოებში სხვადასხვაგვარად იჩენს თავს, მრავალგვარაა მისი ფუნქცია: იგი შეიძლება ნაწარმოების მოდელად იქცეს, შეიძლება ნაწარმოებში მისმა არქიტექტურამა იზინონ თავი, შეიძლება მითემგება შმა. მითმა შეიძლება ფონი შექმნას რეალური დონისთვის, შეიძლება განწყობა, არც ის არის გამორიხებული, რომ მითის პაროდირებას მიმართოს ავტორმა, მაგრამ უოველივე ამის გვერდით, შეიძლება მითი ჩვეულებრივი მხატვრული სახეებითაც გამოვილინდეს: იქნება ეს შედარება, მეტაფორა თუ ფრაზეოლოგიური ნაშთი რიტუალისა.

მაგალითად ნოდარ წულუციას „თეთარჩელადან“ მითოლოგიური მეტაფორაა: ისეთი თბილი ამინდი დადგა, ისეთი შინაინი დილა გათენდა გლეგაყის გული გაახარა. ეს-ეს არის ბარჩხალა მზე თავისი ხააღუნის სახაზლიდან გამოვიდა, ჩაბრძანდა კაშკაშა ეტლში და ცის გულისაკენ გასწია.

საკვალანდარიოს კრიალა ცახე დიდი, ნათელი მზე ამობრწყინდა“.

აქ სიტყვა-სიტყვით არის გამოთრებული მითი მზეზე, მაგრამ რეალური დონე: „საკვალანდარიოს კრიალა ცახე დიდი, ნათელი მზე ამობრწყინდა“ და „ისეთი თბილი ამინდი დადგა, ისეთი შინაინი დილა გათენდა გლეგაყის გული გაახარა“, მითოლოგიური შინაარსს უყარავს ეპაზოდს, მას რეალური პერსონაჟის აღწერად აქცევს. ასე რომ ფრაზა: „ეს-ეს არის ბორჩხალა მზე თავისი სპილენძის სახაზლიდან გამოვიდა, ჩაბრძანდა კაშკაშა ეტლში და ცის გულისაკენ გასწია“, მხოლოდ პერსონაჟს, მზის ამოსვლის სურათი, კონკრეტულ ადგილზე და კონკრეტულ სინამდვილეში.

რიტუალის ფრაზეოლოგიური ნაშთი:

„თუთა ახალი, სი გაახარა ჩემი სქუა დო მოთა“, უთხრა ტატემ მთვარეს.

„ღნიშნული ფრაზის მნიშვნელობაა: „მთვარე ახალი, შენ გაახარე ჩემი შვილი და შვილი-შვილი“. თედო საბოკის მიხედვით, „უოველ ახალ მთვარეზე ანუ მეგრულად — მოგზაურობიდან მთვარის დაბრუნებაზე, მეგრული თავის სიბარულს გამოსთქვამს და ისწრაფვის დამტყციკოს თავისი პარტიესკება და მორჩილება; ვინც პარველად დაინახავს ახალს მთვარეს, სხვებს ახარებს. ყველანი დადგებიან და უუუ-

რებენ მთვარეს, საღამს აძლევენ. კოცნას უგზავნიან ხელით: ზოგი ოკროს ან ვერცხლის ფულს უჩვენებს, კარკაშებიდან ხმლებს იღებენ და სამჭერ ამბობენ ლოკის ფორმულას „თუთა ახალი, ღორონთ, სი გამახარა“ (მთვარე ახალი, ღმერთო, შენ გამახარე...) (თედო სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამოცემლობა, 1956, გვ. 89).

მითოლოგიური პარალელი, გაცხადებულია არამართო ენაში, არამედ რეალურ დონეზეც. მხედველობაში მსგეის „გერგებებს ბალი“, რომელსაც გუგუშე გამოუცვალა სახელი და თაყვისი ფეხლის-ფეხელი, ნამდვილი სახელი დაუბრუნა — „მედვას ბალი“ დაარქვა“. მედვას ბალში ატარებს გუგუშე კოლექტიური ჰაინოზის სეანსებს, სწორედ აქ, მითოლოგიური და რეალური დონეების თანადაბნელებისას ეძებს იგი გზას აღმართა სელის იმ სიწმინდეებისადგ, რომელიც ღრმადია ჩამალული „პაციენტებში“; იქნება აქ, მედვას ბალში ეზიარონ ისინი არტეტიკთა წმინდა სამყაროს: „გუგუშე ცახვიის ძირას იდგა, დამახული, აცახცახებული წარმოთქვამდა სიტყვებს და თვალს არ ამორებდა კლანდარების მთელმდარე სახეებს...“

— ამ მიწაზე ცხოვრობდნენ თქვენი დიდი წინაპრები, ამ წყალს სებადნენ, ამ ჰაერით სუნთქავდნენ, თქვენ დიდი კლანდარების შთამომავლები ხართ! წარსული დაბეჩავენის უფლებას არ იძლევა, თქვენ უნდა აღდგეთ, ზოლო ის ქაღო, რაც თქვენ სულს შთავებრავთ, სიყვარულია. ყოველ თქვენგანში სძინავს ამ ქაღოს“.

„...მე თქვენ შთავგონებთ სიყვარულს, ქეშმარტ, უნგარო სიყვარულს“.

„უწმინდო სული უძღურია სიყვარულსთვის, სიყვარულს დიდი რწმენა სჭირდება, ურწმუნო სული მერყევია, ცვალებადი, სიყვარული კი მტკიცე ერთგულებას მოითხოვს, მე თქვენ შთავგონებთ სიყვარულს, მტკიცე სიყვარულს ერთმანეთისას!“ (104).

მითოლოგიური რამინისცანცანი:

„გუგუშე ექონებს „ნატის ქაღებს“ ეძახდა“. „ამ თეთრხალათიან, ლამაზ გოგონებს მოსწონდათ ხატისქაღობა. უფრო თვით სიტყვა ხატისქაღი და ხატისქაღობის გარეგნული ნიშნები მოსწონდათ, თუთარი ხილბანდების წაყვრა, ექიმურად, ოღონდ ლამაზად, კობტად ჩაცმა და ერთად ყოფნა, ჭორისავით ერთად სიარული, ერთად ლაპარაკი ეხალისებოდათ. გუგუშეს წმინდა გიორგის ეძახდნენ, ანიანს კი თამარ აქიმ-დედოფალს“.

„...ბარდაველით თაყის ზემოხსენებული მასში ასტენებს ხატის მონუმს...“
ტანსაცმელი ეცვათ თუთაშებს — მთვარის ქურუმებს. წმინდა გიორგისა და თამარ დედულას სალოცავები ჰქონდა საქართველოში.

მითის ეს რემინისცენკია, გარკვეულად მითის პაროდიების ხასიათს ატარებს. თუმცა ასეთი მიბრუნება მითთან ნოდარ წულღისკირის ამ რომანისათვის დამახასიათებელი არაა — ეს ხერხია, გამოავლინოს გმირთა, ამ შემთხვევაში, „ხატისქაღობა“ ზედამართული დამოკიდებულება იმ მუდმივ სიდიდებთან, რომელსაც გიორგი კლანდარია ასეთ გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს. „ხატისქაღობისათვის“ უოველივე ის, რასაც გუგუშე კლანდარია აცხადებდა ხალხის სულიერი გაქანსაღბნისათვის, მხოლოდ საინტერესო სიახლე იყო და მტკი არაფერი. ამდენად, ისინი მითს ვერ ჩამწვდებოდნენ, ვერ გახედავდნენ წარსულს, რამეთუ სუფთანი იყვნენ, მაგრამ უმეცარნი.

მითის ტრანსპირანცია:

მითთან მიხლებდა თუ მითისქნაღობა გულისხმობს როგორც არტეტიკთან თანაზიარობასა და ეთიური კონცეფციების გაზიარებას, ისე ამა თუ იმ მოტივისა თუ მითების ტრანსპირანციას შეცვლილი თუ შეუცვლელი სახით, ფული თუ ახალი ფუნქციით. მითთან ასეთი დამოკიდებულების მაგალითია ზემოთხსენებულ ქაქვიის ასმის მოტივისა და ქაქვის მითების ტრანსპირანცია „თუთარელაში“.

„გუგუშე ვეღაზე მსხვილი ქაქვი, უავრის ლურსმნებითა და რინებით შემკობილ-შეკამული, შიშველ ტანზე ფალსქსავით გადიაკიდა“. „გუგუშე დედის ხმა გაავრინა, სწრაფად აყრიდა ქაქვები, ზოგი წელზე შემოიკრა, ზოგი კისერზე გადაიგდო და ვითომც აქ არაფერიაო, ქაქვებსახმული ჩაწვა“.

ეს ქაქვი თვით რომანში არსებულ მითოლოგიურ დონესთან ნახულობს, უპირველეს ყოვლისა, პარალელს: გაეიხსენოთ ოდიოს ავტომითი, რომლის მიხედვითაც „ოდოია ტამარში დაეყუდა, მიწიერ, შშვიდ და უზრუნველ ცხოვრებაზე კვლავ უარი თქვა, ქაქვები აიხსა, თუთარელაში თაყის ომერთებთან საუბარი განაგრძო, ცუერი ქეშმარტებების ძიებას შეუდგა“.

ოდოიას მითი, როგორც აღინიშნა, ფსევდომითია, რომანის ავტორის მიერ კონსტრუირებული, მითის შინაგანი კანონზომიერებით პირობადებული (აქ ყველაფერია „ისეა“, როგორც კლასიკური მითში, მხოლოდ ავტორის პოზიციის განსხვავებული, მას ნამდვილად კი არ ხჭერა თავისი მონათხრობა, არამედ ვითომ სჭერა, მითითებებიც მასში კლასიკური მითისაგან არის ნასტებული და ტრანსპირანცია, თუმ-

ცალა, არა ყველა). ერთი ასეთი მიზეზი, ოდით-
ის მიზეზი **ჩაჭვია**, რომელიც ქართული მიმო-
სის კეთენილებაა, ხოლო ქრისტიანობის ჩაჭ-
ვთან მას მეორადი კავშირი აქვს.

„წინააღმდეგობა, რომ სტრატონის (ძვ. წ. 63 — ახ. წ. 20) აღწერილობაში, რომელიც აღმანათლებლობაში მთვარის ღვთაებისადმი განკეთებულ წესებს ეხება, აღნიშნულია ყველზე დასაფხვი ჩაჭვის, რომელიც სამსხვერპლო მონასთვლის იყო განკეთებული, ამგვარივეა ის საქვედრებიანი ჩაჭვები ლაშარის ქვარისა, ლომის ხატისა, აწყურის თეთრი გიორგისა, გორის ქვარისა და გერის წმ. გიორგისა, რომლებსაც ღვთაებისადმი შეწირული მონები ატარებდნენ, იმ განსხვავებით, რომ მსხვერპლად შეწირვა შეცვლილია სიმბოლურად ქაჭვის ტარებით (შტრ. ივ. კავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 1, თბილისი, 1928 გვ. 47). უნდა ხაზგასმით ითქვას, რომ არც საკულტო ქალამბარისა თუ ჩაჭვს და არც საკულტო ჯარის ქრისტიანული სარწმუნოებმანთან არავითარი კავშირი არა აქვს. ისინი და მათთან დაკავშირებული რიტუალი ხატის მონობის სიმბოლური გამოხატულებაა და ქრისტიანობაზე ადრინდელი რელიგიის კეთენილება უნდა იყოს“ (ე. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მითანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. ტ. 1, „მეცნიერება“, თბილისი, 1947, გვ. 28).

**ფსიქოლოგიური ბაგარტულიანი მითთან
თანაზიარობისა**

გერას სიყვდილია კაცი ღანჯურა და დიდ-
კოსტა შეარვა. ამან გააპარა გუგუ და ქვე-
შეცხველად იმოქმედა კიდევ მასზე. მერე, რო-
დესაც ავადმყოფ ანინაზე ფიქრობდა, „უნდა
ვაპატიო“, უცებ გუგუემა თავში და უმაღ-
სადაც გააჭრო, გონების წიაღში დამარხა ეს
ორი ლამაზი სიტყვა: „დიდკოსტსაგან გადამე-
ლო პატიება“, — გაეცინა გუნებში“.

მერე ყვლავ ამ მოტყუებით მივიდა: „უნდა
შეუბრალოდ, აღარ შემიძლია მარტოობა“. უცებ
გადაწყვიტა. სწრაფად ურბუკო ყოველივე, რაც
თავმოყვარეობამ უკარნახა და ვულისხმის მი-
უხგლო ყური: „მე იგი მიყვარს“.

გუგუ „შარაგზას დაადგა“. მაგრამ აქ
გიორგი ანინას ეზოში გვიანს მანქანას ნახავს,
მერე ფანჯრიდან ოთახში გვიანსაც შეივლეს
თვალს და მისატყუებლად მოსული კაცი ჩუმად
გაბრუნდება უკან. რა იცოდა მან, რომ გვიან
ანინამ სახლიდან გააგდო, რა იყოლა, რომ
ერთადერთი, ვისთვისაც ღია იყო ანინას სახ-
ლის კარი, გუგუ კალანდარია იყო.

ძნელი იყო ამ იმედგაცრუების ატანა. გუგუ
„შინისაგან ვზას ისე დაადგა, თითქოს დანა-

შეუღეს ჩასადენად იყო წასული, გადაარჩა და
აღარ ჩიოდინა დანაშაული“.

მერე საფლავის გამო ატეხილ ჩხუბს შეეს-
წრო გიორგი კალანდარია — იგი შეზარა თი-
ნასოფლებების ცხოველური ბუნების შახინჯმა
გამოვლენამ. ყველას განერვიდა და გონს მო-
სასველად სახლს მიამხურა. სწორად აქ აეკ-
ვიტა ფანჯრი აღამიანებისაგან განარღებისა.
„იქნებ სადმე წასულიყო? სად? სად? სად? სად
იყო ის ადგილი, სადაც თუნდაც ერთ წამს
დაისვენებდა“. თანასოფლებების გამო-
როტებით გამოწვეული სულიერი ტრავმა იმ-
დენად დიდი იყო, რომ გიორგის, „ანინა და გვა-
ჩი გადავიწყდა“ (199), „რატომღაც აღარ სცე-
როდა თვალთი ნახულის, თითქოს სინამდვი-
ლე კი არა, ამ დღეადრიან საზარელი სიზმარ-
ი ნახა“.

გიორგიმ ვერ გაუძლო სინამდვილის საშინე-
ლებას — მას ყველაზე წმინდა და ძვირფასმა
ადამიანმა უღალატა — ანინამ, უღალატა მე-
გობარმა გვიანმ, იმ ადამიანებშიც ვერ სინახა
მან რაიმე სასურველში და წმინდა, ვისი სულიერი
გაქანალებისკენაც იგი ილტვოდა.

მას რწმენა შეერყა და უკვე დაიწყო მისი
განრღება ხალხისაგან. მაგრამ მთავარი, რაც
მას გადაიყვანდა ზმანებათა სამყაროში, წინ
ელოდა — საკუთარ თავში შეეჭვება. გუგუმ
მოლაღატე გვიანს მოყვლა განიზრახა, მიიღო
მის სახლთან ნაქაბით შეიარღებული, მაგრამ
მოყვრულად დახვედრილი ძაღლი „გუგუს
თავგზა აუბნია“. „ბარბაცი თუყვა კიბეს, სულ
ბოლო საფეხებზე შედგა. შემდეგ ნელ-ნელა
დაეშვა და ჩამოქდა“. „ყოფევ უფრო აფორი-
აქა, რაღაც ეტყინა სულში, მწარედ ეტყინა“.
„გაუხედა, სინხელეში ჩაიძირა, უცნობ წყვი-
ლში ჩაეფლო, არასოდეს ენახა ამგვარი წყვი-
ლში, თეთრი იყო იგი. თითქოს თეთრ ქვეს-
ნელში ჩაყარადა“. გათენებადმდე იქდა
გუგუ კალანდარია მოლაღატის კიბეზე. ისევ
დაეჭვებული „ძაღლის უფემ შეაშინა. წამოხტა
და კიბეზე დაეშვა“. „მას ეგონა, რომ გვიან
მოყლა და უკან მოსდევდნენ. კოსტუმში თავზე
გადაიხებრა, თავი შიგ ჩამალა, ეგონა ხალხს
ემალებოდა. როცა კიბის ბოლო საფეხებზე
ფეხი შედგა, მაშინ დაეარგა გონება, იმ წამი-
დან გადაეშვა თეთრ წყვილში და ახლაც ამ
უღებურ ქითხტურში გარბოდა“. გიორგი
შეზარა სინამდვილემ, მან რწმენა დაეარგა და
სიყვარული დაეარგა. სწორედ ამიტომ სინამ-
დვილემ მან ხილვებით შეცვალა აწმყო წარ-
სულოთ, რეალობა — წარმოსახული სამყარო-
თი, მდებალი და ბიწიერი სინამდვილე — ამა-
ღლებული და წმინდა მითით.

მითისა და სინამდვილის დაპირისპირება

